

საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებანი
სამოქალაქო, სამეწარმეო და სხვა კატეგორიის საქმეებზე

2010, #3

სამოქალაქო

პროცესი

1. საკასაციო საჩივრის დასაშვებობა
2. საკასაციო საჩივრის შეტანის ვადა
3. შემოწმების ფაქტობრივი საფუძველი
4. გადაწყვეტილების გაუქმების აბსოლუტური საფუძვლები
5. საქმის წარმოების განახლება
6. წარმომადგენლის საქმიანობის შეზღუდვა სამოქალაქო პროცესში
7. არბიტრაჟი
 - კანონისმიერი მემკვიდრეობა
 - კერძო არბიტრაჟის გადაწყვეტილების გასაჩივრება (გაუქმება)
 - საარბიტრაჟო შეთანხმება

1. საკასაციო საჩივრის დასაშვებობა

განჩინება

#ას-404-720-09

13 ივლისი, 2009 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკორტრების საქმეთა პალატა

შემადგენლობა: მ. გოგიშვილი (თავმჯდომარე),
ლ. ლაზარაშვილი (მომხსენებელი),
ნ. კვანტალიანი

დავის საგანი: ზიანის ანაზღაურება

აღწერილობითი ნაწილი:

2007 წლის 19 ივლისს ბათუმის საქალაქო სასამართლოს სასარჩელო განცხადებით მიმართა შპს "ჯანმრთელობის" დირექტორმა თ. მ-ელმა მოპასუხეების -ხ. ნ-ძისა და ხ. ბ-ძის მიმართ. მოსარჩელემ მოითხოვა მოპასუხეებისაგან ზიანის ანაზღაურება 19 570 ლარის ოდენობით.

სასარჩელო განცხადებაში აღნიშნულია, რომ ბათუმის მერიის 1998 წლის 27 იანვრის #1/10 გადაწყვეტილებით შეიქმნა ბათუმის ცენტრალური მექანიკური სამრეცხაოს სტერილიზაციისა და ქიმიკატების მუნიციპალური მრავალდარგოვანი საწარმო, რომლის დირექტორად დაინიშნა თ. მ-ელი; ამავე დადგენილების თანახმად საწარმო განთავსებულ იქნა მერიის მიერ გამოყოფილ, ... ქ. #72-ში მდებარე 373კვ.მ-ზე.

ზემოთაღნიშნული საწარმოს ჩამოყალიბებამდე, 1997 წლის 10 აპრილს, თ. მ-ელმა ბათუმში ჩაიტანა 11 დასახელების დაზღვა-დანადგარი, რომლებიც განათავსა ... ქ. #72-ში გამოყოფილ ფართში. დაინიშნულ ადგილამდე მათი გადატანა განხორციელდა მოსარჩელესა და ხ. ნ-ძეს შორის დადებული ზეპირი შეთანხმების საფუძველზე, ამ უკანასკნელის მიერ.

ბათუმის მერიის 1998 წლის 27 იანვრის გადაწყვეტილების გაუქმების შემდგომ, დაზღვა-დანადგარები შეტანილ იქნა შპს "ჯანმრთელობის" საწესდებო კაპიტალში, რომლის დამფუძნებელსაც თ. მ-ელი წარმოადგენდა. შპს "ჯანმრთელობა" ბათუმის საქალაქო სასამართლოს სამეწარმეო რეესტრში რეგისტრაციაში გატარდა 2000 წლის 22 სექტემბერს.

თ. მ-ელის მითითებით, ის გარემოება, რომ მოპასუხეები თვითნებურად დაეუფლნენ მისი კუთვნილი დანადგარებიდან ძრავებსა და სხვა დეტალებს, დასტურდებოდა სარჩელზე თანდართული, ბათუმის რაიონული პროკურატურის პროკურორის 2007 წლის 19 მარტის დადგენილებით, რომლითაც სისხლისსამართლებრივი დევის ხანდაზმულობის გამო საქმეზე წინასწარი გამოძიება შეწყდა. მიუხედავად ამისა, გამოძიებამ დადგინილად მიიჩნია, რომ მოპასუხეებმა ჩაიდინეს სისხლის სამართლის კოდექსის 360-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაული.

მოთხოვნის დაკმაყოფილების სამართლებრივ საფუძველად მოსარჩელემ დაასახელა სამოქალაქო კოდექსის 992-ე მუხლი, რომლის მიხედვით პირი, რომელიც სხვა პირს მართლსაწინააღმდეგო, განზრახი მოქმედებით მიაყენებს ზიანს, ვალდებულია აუნაზღაუროს მას ეს ზიანი. ამავე კოდექსის 998-ე მუხლის თანახმად, თუ ზიანის დადგომაში მონაწილეობს რამდენიმე პირი, ისინი პასუხს აგებენ, როგორც სოლიდარული მოვალეები.

ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2007 წლის 14 დეკემბრის გადაწყვეტილებით შპს "ჯანმრთელობის" სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

საქალაქო სასამართლომ საქმეზე დადგენილად მიიჩნია შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები:

ქ. ბათუმის მერიის 1998 წლის 27 იანვრის #1/10 გადაწყვეტილებით შეიქმნა ქ. ბათუმის ცენტრალური მექანიკური სამრეცხაოს სტერილიზაციის, ქიმიკატების მუნიციპალური მრავალდარგოვანი საწარმო, რომელსაც ბათუმში, ... ქ. #72-ში გამოეყო არასაცხოვრებელი 372კვ.მ, რომლის დირექტორადაც დაინიშნა თ. მ-ელი;

ბათუმის მერიის კაბინეტის 1998 წლის 7 ოქტომბრის #372 გადაწყვეტილებით გაუქმდა ბათუმის მერიის 1998 წლის 27 იანვრის #1/10 გადაწყვეტილება, რომლითაც შეიქმნა ბათუმის ცენტრალური მექანიკური სამრეცხაოს სტერილიზაციის, ქიმიკატების მუნიციპალური საწარმო და მასზე გამოყოფილი ფართი გადაეცა #6 მიკრორაიონის გამგეობას;

2000 წლის 22 სექტემბერს ჩამოყალიბდა შპს "ჯანმრთელობა", რომლის საწესდებო კაპიტალსაც შეადგენდა ორი ცალი სარეცხი ბარაბანი, ორი ცალი საშრობი ბარაბანი, ორი ცალი საწური ბარაბანი, ერთი ცალი 15 კგ-იანი საწური ბარაბანი, ერთი ცალი საუთოო კალანდრა, ორი ცალი ელექტრო ფარი, ოცდაორი ცალი ღვედი, ორი ცალი 100 მმ წყლის ურდული, ოთხი ცალი 50 მმ წყლის ვინტილი, ორი ცალი ელექტრო გამშვები, ერთი ცალი გამშვები დანადგარი;

1999 წლის 8 თებერვალს ბათუმში, ... ქ. #72-ში შენახული ქიმიკატების დანადგარები გადატანილ და შენახულ იქნა ხ. ნ-ძის მიერ, კერძოდ, დანადგარები: კპ-310, კპ-412 ორი ცალი, კპ-1628, კპ-019 ორი ცალი, სამი საშრობი დანადგარი ძრავის გარეშე. 2002 წლის 17 ოქტომბერს პოლიციის მიერ ამოღებულ იქნა ორი ცალი სარეცხი ბარაზანი, ორი ცალი საშრობი ბარაზანი, ორი ცალი საწური ბარაზანი, ერთი ცალი საუთოო კალანდრა.

საქალაქო სასამართლოს განმარტებით, ზიანის ანაზღაურების შესახებ სარჩელის საფუძვლიანად მიჩნევისათვის საჭირო იყო ერთდროულად რამდენიმე პირობის არსებობა: მოპასუხეთა მოქმედება უნდა ყოფილიყო მართლსაწინააღმდეგო, მართლსაწინააღმდეგო მოქმედება გამოწვეული უნდა ყოფილიყო განზრახი ან გაუფრთხილებელი ქმედებით, ქმედებას უნდა მოჰყოლოდა ზიანი და ქმედებასა და დამდგარ შედეგს შორის უნდა არსებული მიზეზობრივი კავშირი.

მოცემულ შემთხვევაში გამოძიების მასალებით დგინდებოდა, რომ ხ. ნ-ძე დაეუფლა შემდეგი დასახელების მოწყობილობებს: კპ-310-ს, კპ-412 ორ ცალს, კპ-1628-ს, კპ-019 ორ ცალს და სამ საშრობ დანადგარს ძრავის გარეშე, რაც დასტურდებოდა შესაბამისი აქტით. წინასწარი გამოძიების პროცესში ამოღებულ იქნა ორი ცალი სარეცხი ბარაზანი, ორი ცალი საშრობი ბარაზანი, ორი ცალი საწური ბარაზანი, ერთი ცალი საუთოო კალანდრა.

საქალაქო სასამართლომ ყურადღება მიაქცია იმ გარემოებაზე, რომ მოსარჩელეს არ წარუდგენია მტკიცებულება, თუ რა მდგომარეობაში იყო დასახელებული ნივთები მითვისების დროს და რა მდგომარეობაში ჩაიბარა პოლიციამ, ასევე, არ დგინდებოდა ის ზიანი, რაც ნივთებმა განიცადა მითვისებიდან დაბრუნებამდე. ამდენად, მოსარჩელემ ვერ დაამტკიცა ის ზიანი, რაც მას მიაღდა სარჩელში მითითებული ნივთების თვითნებობით დაკავებიდან დაბრუნებამდე.

პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა შპს "ჯანმრთელობამ", რომელმაც მოითხოვა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილება.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 29 იანვრის გადაწყვეტილებით შპს "ჯანმრთელობის" (წარმომადგენელი ვ. ხ-შვილი) სააპელაციო საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, გაუქმდა ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2007 წლის 14 დეკემბრის გადაწყვეტილება და მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება, შპს "ჯანმრთელობის" დირექტორ თ. მ-ელის სარჩელი ხ. ნ-ძის მიმართ არ დაკმაყოფილდა, ხოლო სარჩელი ხ. ბ-ძის ნაწილში განუხილველად იქნა დატოვებული.

სააპელაციო სასამართლოს მიერ საქმეზე დადგენილად იქნა მიჩნეული შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები:

1997 წლის 10 აპრილს თ. მ-ელსა და ხ. ნ-ძეს შორის დაიდო ზეპირი ხელშეკრულება, რომლის თანახმად, ხ. ნ-ძეს უნდა მოეხდინა ბათუმში თ. მ-ელის მიერ შეძენილი ნივთების, დაზოგა-დანადგარების ტრანსპორტირება, სანაცვლოდ კი თ. მ-ელს უნდა გადაეხადა ტვირთის გადაზიდვის საფასური;

ხ. ნ-ძემ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულება შეასრულა, თუმცა თ. მ-ელმა მას საზღაური არ გადაუხადა;

ტრანსპორტირებული ნივთები თ. მ-ელმა შეინახა ბათუმში, ... ქ. #72ა-ში, ბათუმის მერიის მიერ გამოყოფილ ფართში;

ბათუმის მერიის კაბინეტის 1998 წლის 7 ოქტომბრის #372 გადაწყვეტილებით, თ. მ-ელის მიერ პირობების დარღვევის გამო, გაუქმდა ბათუმის მერიის 1998 წლის 27 იანვრის გადაწყვეტილებები და ბათუმში, ... ქ. #72ა-ში მდებარე ფართი ჩაჰბარდა გამგეობას თავისუფალ მდგომარეობაში. შემდგომში იგი გადაეცა აჭარის ა/რ-ის მიწის მართვის სახელმწიფო დეპარტამენტს;

1999 წლის 8 თებერვალს დანადგარების ნაწილი (შვიდი დასახელების დანადგარი) აჭარის ა/რ-ის მიწის მართვის სახელმწიფო დეპარტამენტის თავმჯდომარის, მთავარი ბუღალტერის, სალიცენზიო განყოფილების უფროსის, ბათუმის #6 საბინაო-საექსპლუატაციო უბნის უფროსისა და ხ. ნ-ძის მიერ ხელმოწერილი აქტის საფუძველზე, ხ. ნ-ძემ გადაიტანა და შეინახა ძმის სახლში, სოფელ ...;

აღნიშნული მოქმედებით ხ. ნ-ძეს სურდა, უზრუნველყო თ. მ-ელის მიერ მის მიმართ არსებული ვალდებულების შესრულება;

2002 წლის 17 ოქტომბერს, ფულადი ვალდებულების ნაწილობრივ შესრულების შემდეგ, ხ. ნ-ძის თანხმობითა და თანდასწრებით, შვიდი დასახელების დანადგარი შსს მე-6 ქვეგანყოფილების კრიმინალური პოლიციის უფროსმა, შპს ბათუმყოფმომსახურება 37-ის დირექტორმა და აბანოს გამგემ წამოიღეს ხ. ნ-ძის ეზოდან და გადასცეს თ. მ-ელს;

შპს "ჯანმრთელობის" პარტნიორთა კრების 2002 წლის 31 ოქტომბრის გადაწყვეტილებით თ. მ-ელმა ხსენებული ნივთები სხვა ნივთებთან ერთად შეიტანა საზოგადოების საწესდებო კაპიტალში. ამასთან, საწესდებო კაპიტალში შეტანილი ნივთები შეფასდა 19 750 ლარად.

მოცემულ შემთხვევაში აპელანტი ხ. ნ-მისაგან ზიანის ანაზღაურებას ითხოვდა იმ მოტივით, რომ მას არ გადასცემია ხ. ნ-მის მფლობელობიდან გამოთხოვილი დანადგარები და ისინი იყო დაზიანებული.

სააპელაციო სასამართლოს მითითებით, საქმეზე დასტურდებოდა, რომ ხ. ნ-მის ძმის სახლიდან წამოღებული დანადგარები დაუბრუნდა თ. მ-ელს, რომელმაც ისინი შეიტანა შპს "ჯანმრთელობის" საწესდებო კაპიტალში. გარდა ამისა, დგინდებოდა ისიც, რომ ხ. ნ-მემ დანადგარები დააბრუნა იმ მდგომარეობაში, რა მდგომარეობაშიც ისინი ჩაიბარა.

სააპელაციო სასამართლომ მიუთითა, რომ, მართალია, 2002 წლის 17 ოქტომბრის აქტის მიხედვით დანადგარებზე მოხსნილი იყო ელექტროძრავები, თუმცა საქმის მასალებით დგინდებოდა, რომ დანადგარები ასეთ მდგომარეობაში იყო ხ. ნ-მის მიერ მათი ჩაბარების დროსაც.

რაც შეეხებოდა მეორე მოპასუხეს -ხ. ბ-მეს, სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ მის მიმართ მოსარჩელის მოთხოვნა განუხილველად დატოვებას ექვემდებარებოდა. აღნიშნული განპირობებული იყო იმით, რომ საქმეში არსებულ მისამართებზე ხ. ბ-მისათვის სასამართლო უწყებებისა და გზავნილების ჩაბარება ვერც ერთხელ ვერ მოხერხდა. სასამართლოს მოსაზრებით, მითითებული ფაქტობრივი გარემოება იძლეოდა საფუძველს დასკვნისათვის, რომ მოსარჩელემ არასწორად მიუთითა მოპასუხის მისამართი, რაც სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 275-ე მუხლის მე-2 ნაწილიდან გამომდინარე, სარჩელის განუხილველად დატოვების საფუძველს წარმოადგენდა.

სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საკასაციო წესით გაასაჩივრა შპს "ჯანმრთელობის" დირექტორმა თ. მ-ელმა, რომელმაც მოითხოვა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილება.

კასატორის მითითებით, სისხლის სამართლის საქმეში არსებული მასალებით, კერძოდ, 2002 წლის 17 ოქტომბრის აქტით დასტურდება, რომ მისი კუთვნილი დაზღა-დანადგარები თვითნებურად მიისაკუთრა და თავის სახლში გადამალა ხ. ნ-მემ. მოგვიანებით, თ. მ-ელის დაჟინებული თხოვნით და პოლიციის ჩარევით მოპასუხემ თერთმეტი დანადგარიდან უკან დააბრუნა შვიდი დანადგარი, თუმცა დაზიანებულ მდგომარეობაში. ხ. ნ-მემ აღნიშნული დანაშაულებრივი ქმედების თანამონაწილე გახადა მისი მეზობელი ხ. ბ-მე, რომლის ავტოფარეხშიც მოხდა დაზღა-დანადგარების მოთავსება. თავის მხრივ, ხ. ბ-მემ დანადგარებს მოხსნა ნაწილები და გადამალა. დასახელებულმა პირებმა მოსარჩელის ნივთები გაასხვისეს ჯგუფურად, რის შესახებაც აღიძრა სისხლის სამართლის საქმე. მოცემულ საქმეზე თ. მ-ელი ცნობილ იქნა დაზარალებულად.

რამდენადაც მოპასუხის მიერ დაბრუნებული დანადგარები ფაქტობრივად განადგურებულია, კასატორი მიიჩნევს, რომ სამოქალაქო კოდექსის 992-ე მუხლიდან გამომდინარე არსებობს მისთვის ზიანის ანაზღაურების საფუძველი.

კასატორის აზრით, სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებით ხ. ბ-მის მიმართ სარჩელის განუხილველად დატოვება არასწორია, ვინაიდან მოპასუხის მისამართი, რომელსაც იგი საქმეში მიუთითებდა გამომდინარეობდა საქმეში არსებული მასალებიდან.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის შესწავლის, საკასაციო საჩივრის დასაშვებობის საკითხის შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ შპს "ჯანმრთელობის" დირექტორ თ. მ-ელის საკასაციო საჩივარი არ აკმაყოფილებს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 391-ე მუხლის მე-5 ნაწილის მოთხოვნებს და არ ექვემდებარება დასაშვებად ცნობას, შემდეგ გარემოებათა გამო:

საკასაციო სასამართლოს მიიჩნევს, რომ სააპელაციო სასამართლომ საქმე განიხილა არსებითი პროცესუალური დარღვევების გარეშე და საქმეზე არსებითად სწორი გადაწყვეტილება მიღებული. მოცემული საქმე არ არის მნიშვნელოვანი სამართლის განვითარებისა და ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკის ჩამოყალიბებისათვის.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ ამ შემთხვევაში არ არსებობს სააპელაციო სასამართლოს მიერ გამოყენებული სამართლის ნორმების განმარტებისა და სამართლის განვითარების მიზნით საკასაციო სასამართლოს მიერ ზოგადი მნიშვნელობის მქონე სახელმძღვანელო და სარეკომენდაციო გადაწყვეტილების გამოტანის ფაქტობრივი საჭიროება.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 391-ე მუხლის საფუძველზე, შპს "ჯანმრთელობის" დირექტორ თ. მ-ელის საკასაციო საჩივარი არ ექვემდებარება დასაშვებად ცნობას.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 391-ე, 401-ე მუხლებით და

და ა დ გ ი ნ ა :

1. შპს "ჯანმრთელობის" დირექტორ თ. მ-ელის საკასაციო საჩივარი ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 29 იანვრის გადაწყვეტილებაზე მიჩნეულ იქნეს დაუშვებლად;
2. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

საკასაციო საჩივრის დასაშვებობა

განჩინება

#ას-469-781-09 16 ივლისი, 2009 წ., ქ. თბილისი
საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატა
შემადგენლობა: მ. სულხანიშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
რ. ნადირიანი,
თ. თოდრია

დავის საგანი: ურთიერთმოთხოვნათა გაქვითვა, თანხის დაკისრება.

აღწერილობითი ნაწილი:

2008 წლის 16 ივნისს რუსთავის საქალაქო სასამართლოს სარჩელით მიმართა დმანისის მუნიციპალიტეტის გამგეობამ მოპასუხე შპს „სორის“ მიმართ თანხის დაკისრების და ურთიერთმოთხოვნათა გაქვითვის თაობაზე.

მოსარჩელემ მიუთითა, რომ დმანისის რაიონის გამგეობის 2005 წლის 18 მაისის #142 დადგენილების მიხედვით სოფელ ... ტერიტორიაზე გამოყოფილი მიწის ფართზე დამტკიცებული პროექტის და ხარჯთაღრიცხვის მიხედვით შპს „სორის“ მიერ აშენდა შინაგან საქმეთა სამინისტროს ქვეგანყოფილების შენობა სახარჯთაღრიცხვო ღირებულებით 40316 ლარი. 2005 წლის 29 ივნისს დმანისის რაიონის გამგეობასა და შპს „სორის“ ქვემო ქართლის რეგიონალურ ფილიალს შორის გაფორმდა ხელშეკრულება #25, რომლის მიხედვით ხელშეკრულების საერთო ღირებულებად განისაზღვრა 40316 ლარი, აქედან 7316 ლარის ღირებულების სამშენებლო მასალებს დმანისის რაიონის გამგეობა გადასცემდა შპს „სორის“, ხოლო შესრულებულ სამუშაოებზე გადახდილი იქნა 33000 ლარი.

2005 წლის 30 ივნისს დმანისის რაიონის გამგეობასა და შპს „სორის“ შორის გაფორმდა ხელშეკრულება #63, გამგეობის ბალანსზე რიცხული შენობის დემონტაჟის შესახებ, რომლის საფუძველზეც შპს „სორის“ გადაეცა 34 მ² საკედლე პანელი და 23,7 მ² ფუნდამენტის ბლოკი, საერთო ღირებულებით 6942 ლარი, ასევე 28 ცალი გადახურვის ღრუნტიანი პანელი.

დმანისის რაიონის შინაგან საქმეთა რაიონული განყოფილების შენობაზე შესრულებულ სამუშაოებზე შპს „სორის“ მიერ წარდგენილ იქნა შესრულებულ სამუშაოთა აქტები 2005 წლის ივლისში 22 723 ლარზე და სექტემბერში 10 275 ლარზე.

აღნიშნულის შემდეგ 2006 წლის 1 მარტს გამგეობასა და შპს „სორის“ შორის გაფორმდა ხელშეკრულება #27, გეგუთის ქვეგანყოფილების შენობის სამშენებლო სარემონტო სამუშაოების შესრულების მეორე ეტაპზე, რაზეც 2006 წლის თებერვლის თვით წარდგენილ იქნა შესრულებულ სამუშაოთა აქტები 19 584 ლარის ოდენობით, რაც გადახდილი იქნა სრულად.

მოსარჩელემ აღნიშნა, რომ როგორც შემდგომ გარკვეია და საქართველოს კონტროლის პალატის 2006 წლის 28 ივნისის #279/47 აქტითაც დადასტურდა, შპს „სორის“ წარდგენილ შესრულებული სამუშაოების აქტებში არასწორად შეტანილი აქვს დმანისის რაიონის მიერ გადაცემული სამშენებლო მასალების ღირებულება, კერძოდ, საძირკვლის მოწყობა 23,7 მ² ფუნდამენტის ბლოკით, მთლიანი ღირებულებით (მასალის ღირებულება, ხელფასი, ტრანსპორტი) 2134 ლარი, სარდაფისა და სართულის გადახურვა 28 ცალი გადახურვის ღრუნტიანი პანელით, მთლიანი ღირებულებით 3724 ლარი, მზიდი კედლების მოწყობა 34მ²საკედლე პანელებით, ღირებულებით 3320 ლარი, სულ 9178 ლარი ღირებულების, მათ შორის, 7352 ლარი არის გამგეობის მიერ გადაცემული მასალების ღირებულება, რაც არასწორად არის შეტანილი და დარიცხული მოპასუხის მიერ წარდგენილ ფორმა #2-ში.

2006 წლის თებერვალში წარდგენილ ფორმა #2-ში შპს „სორის“ ასევე არასწორად აქვს შეტანილი რკინა-ბეტონის პანელების დემონტაჟი 22986 ლარის ოდენობით, რაც წინააღმდეგობაში მოდის დმანისის გამგეობის 2004 წლის 1 ოქტომბრის #743 განკარგულებით შექმნილი კომისიის მიერ 2004 წლის 16 ნოემბერს შედგენილ აქტთან, რომლის მიხედვითაც, შენობის დათვალიერებისას, რომლის დემონტაჟიც შპს „სორიმ“ განახორციელა, აღმოჩნდა მხოლოდ საძირკველი, რომელიც აშენებული იყო ფუნდამენტის ბლოკებით და კედლები გაწყობილი იყო ლითონის კონსტრუქციით, ე.წ. სარტყელებით დულაბის გარეშე.

მოსარჩელემ აღნიშნა, რომ შპს „სორის“ მიერ წარდგენილ შესრულებულ სამუშაოთა აქტებში არასწორად არის დარიცხული 12 164 ლარი, რასაც დაემატა სოცდაზღვევის გადასახადი, ხელფასიდან 20%, შემდგომ ზედნადები ხარჯები 8% და გეგმიური დაგროვება 8%, რითაც საბოლოო ჯამში შესრულებული სამუშაოების ღირებულება უკანონოდ არის გაზრდილი 12995 ლარით და 58 თეთრით, რაც უსაფუძვლოდ იქნა გადახდილი დმანისის რაიონის გამგეობის მიერ.

იმის გათვალისწინებით, რომ 2005 წლის 29 ივნისის დმანისის რაიონის გამგეობას და შპს „სორის“ შორის გაფორმებული მიღება-ჩაბარების აქტის თანახმად მოსარჩელის დავალიანება შეადგენდა 10275 ლარს, მათ მიერ უსაფუძვლოდ გადახდილი იქნა 2720 ლარი და 58 თეთრი.

აღნიშნულიდან გამომდინარე მოსარჩელემ მოითხოვა ურთიერთმოთხოვნათა გაქვითვა 10275 ლარის ოდენობასთან დაკავშირებით და მოპასუხეზე დმანისის რაიონის გამგეობის სასარგებლოდ 2720 ლარის და 58 თეთრის გადახდის დაკისრება.

რუსთავის საქალაქო სასამართლოს 2008 წლის 26 სექტემბრის გადაწყვეტილებით დმანისის მუნიციპალიტეტის გამგეობის სარჩელი არ დააკმაყოფილა.

აღნიშნულ გადაწყვეტილებაზე სააპელაციო საჩივარი წარადგინა დმანისის მუნიციპალიტეტის გამგეობამ, მოითხოვა მისი გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილება.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2009 წლის 30 იანვრის განჩინებით დმანისის მუნიციპალიტეტის გამგეობის სააპელაციო საჩივარი არ დააკმაყოფილა.

სააპელაციო პალატამ ჩათვალა, რომ დმანისის მუნიციპალიტეტის გამგეობის სააპელაციო საჩივარში მითითებული გარემოებები არ ქმნიან სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 393-ე და 394-ე მუხლებით გათვალისწინებულ შემადგენლობას და, შესაბამისად, გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმების პროცესუალურ-სამართლებრივ საფუძვლებს.

სააპელაციო პალატამ დადგენილად მიიჩნია შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები: მხარეებს შორის სხვადასხვა დროს გაფორმდა რამდენიმე ხელშეკრულება:

1. 2005 წლის 29 ივნისი #25 ხელშეკრულება, ღირებულებით -40316 ლარი;
2. 2005 წლის 30 ივნისის #63 ხელშეკრულება;
3. 2006 წლის 10 იანვრის #27-ა ხელშეკრულება, თანხით -19584 ლარი.

#25-ე ხელშეკრულებით განისაზღვრა შს რ/სამსახურის პერიფერიული ქვეგანყოფილებისათვის შენობის მშენებლობის წარმოება.

ხელშეკრულების 3.1 პუნქტით, ხელშეკრულების ღირებულებიდან -4016 ლარიდან 7316 ლარის ღირებულების მასალებს დამკვეთი, ანუ გამგეობა გადასცემდა მენარდეს -შპს „სორის“.

#63-ე ხელშეკრულების 1.1 პუნქტის მიხედვით გამგეობა გადასცემდა შპს „სორის“ 28 ცალ გადახურვის ღრუნტიან პანელს, 34 კვ.მ (22 ცალ) საკედლე პანელს და 23.7. კვ.მ (52 ცალი) ფუნდამენტის ბლოკს.

#63-ე ხელშეკრულების საფუძველს წარმოადგენდა #25-ე ხელშეკრულება და #63-ე ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამშენებლო მასალა განკუთვნილი იყო #25-ე ხელშეკრულებით განსაზღვრული შენობის ასაშენებლად, თანახმად, #63-ე ხელშეკრულებით დაკონკრეტდა #25-ე ხელშეკრულების 3.1 მუხლის პირობები და ამდენად, #63-ე ხელშეკრულება წარმოადგენს #25-ე ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

აპელანტს სადავოდ არ გაუხდია შპს „სორის“ მიერ #25-ე ხელშეკრულების შესაბამისად 40316 ლარის სამუშაოთა შესრულება და ხარისხი, უფრო მეტიც, სააპელაციო პალატის სხდომაზე, მან დაადასტურა კიდევ აღნიშნული გარემოება.

საქმეში წარმოდგენილი საგადასახადო დავალებებით დასტურდება, რომ გამგეობის მიერ #25-ე ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებისათვის გადახდილია 31998 ლარი.

სააპელაციო სასამართლომ არ გაიზიარა აპელანტის პოზიცია, რომ გამგეობის მიერ მოხდა მეტი თანხის -12995 ლარის გადახდა იმის გათვალისწინებით, რომ შპს „სორიმ“ არასწორად გაზარდა შესრულებული სამუშაოების ღირებულება და მასში შეიყვანა გამგეობის მიერ უფასოდ გადაცემული სამშენებლო მასალის ღირებულება. აღნიშნულ გარემოებას აპელანტი აფუძნებს საქართველოს კონსტიტუციის პალატის 2006 წლის 28 ივნისის აქტს.

პალატამ ჩათვალა, რომ დასახელებული მტკიცებულება სწორად იქნა უარყოფილი რუსთავის საქალაქო სასამართლოს მიერ და იგი არ ადასტურებს სარჩელში მითითებულ გარემოებას გამგეობის მიერ თანხის ზედმეტად გადახდასთან დაკავშირებით.

პალატამ დაადგინა, რომ განსახილველ შემთხვევაში ვალდებულებით-სამართლებრივ ურთიერთობაში მხარეები ერთმანეთთან იმყოფებოდნენ ნარდობის ხელშეკრულების საფუძველზე.

სააპელაციო პალატის განმარტებით, შპს „სორიმ“ სრულად და ხარისხიანად შეასრულა #25-ე ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოები 40316 ლარის ღირებულებით.

პალატამ დაადგინა, რომ #25 ხელშეკრულების შესრულებასთან დაკავშირებით 2005 წლის 23 სექტემბრის მიღება-ჩაბარების აქტი გაფორმდა კონტრაგენტი მხარეების უფლებამოსილ პირებს შორის 32998 ლარის ღირებულების სამშენებლო-სარემონტო სამუშაოებზე. ანუ, გამგეობას #25 ხელშეკრულებიდან გამომდინარე გადასახდელი დარჩა 7318 (40316-32998) ლარი, რაც გამგეობის მიერ შესრულებულია ხელშეკრულების 3.1 პუნქტში გათვალისწინებული სამშენებლო მასალების შპს „სორისათვის“ გადაცემით, რაც მოპასუხეს სადავოდ არ გაუხდია. ამდენად, პალატა თვლის, რომ მართოდენ ის ფაქტი, რომ მაკონტროლებელმა ორგანომ მიუთითა შპს „სორის“ მიერ შესრულების აქტებში თანხის გაზრდაზე, რის გამოც გამგეობამ გადაიხადა შესრულებულ სამუშაოებზე მეტი ღირებულება, ვერ გამოდგება უპირობო და პრედიციული მნიშვნელობის მქონე მტკიცებულებად აღნიშნულ ფაქტთან მიმართებით, რადგან საქმეში წარმოდგენილი მტკიცებულებები და მხარის აღიარება აქარწყლებს ზემოაღნიშნულ აქტში მითითებულ გარემოებას. გარდა აღნიშნულისა, კონტროლის პალატის აქტში არ არის დაკონკრეტებული, თუ რომელი ხელშეკრულების შესრულებასთან დაკავშირებით განხორციელდა თანხების ზედმეტად ჩვენება შპს „სორის“ მიერ, მაშინ როდესაც მხარეთა შორის გაფორმდა ორი ხელშეკრულება - #25 და #27^ა (#25 და დ#63 ხელშეკრულებები წარმოადგენენ ერთ კონტრაქტს).

პალატის განმარტებით, აქტები, რასაც დაეფუძნა კონტროლის პალატის დასკვნა, მოსარჩელეს არ წარმოუდგენია.

პალატამ დაასკვნა, რომ არ დასტურდება შპს „სორის“ მხრიდან გამგეობის ხარჯზე უსაფუძვლოდ გამდიდრების ფაქტი, ანუ მოსარჩელის მოთხოვნის საფუძველი.

აღნიშნული გადაწყვეტილება საკასაციო საჩივრით გაასაჩივრა დმანისის მუნიციპალიტეტის გამგეობის წარმომადგენელმა თენგიზ ეკალაძემ.

კასატორის განმარტებით, გადაწყვეტილება არის სრულიად დაუსაბუთებელი და ამავე დროს ადგილი აქვს ასევე საპროცესო სამართლის ნორმების დარღვევას, რამაც საქმეზე უკანონო გადაწყვეტილების გამოტანა გამოიწვია. კერძოდ, სასამართლომ გადაწყვეტილების დასაბუთებისას არასწორად გამოიყენა სსკ-ის 131-ე მუხლი -რადგან მოხდა დავის საგანთან დაკავშირებით აპელანტის აღიარება, რაც კასატორის განმარტებით, არასწორია, ვინაიდან არანაირ აღიარება არ მომხდარა და სასამართლოს მიერ გადაწყვეტილებაში მითითებული „აღიარება“ ეხება არა დავის საგანს შესრულებული სამუშაოების ღირებულების გაზრდას, არამედ სულ სხვა გარემოებას -შესრულებული სამუშაოების ხარისხს.

კასატორის განცხადებით, სასამართლომ საპროცესო ნორმის დარღვევით, საერთოდ არ შეაფასა და ყურადღება არ მიაქცია საქმეში არსებულ მოპასუხის ნამდვილ აღიარებას უშუალოდ დავის საგანთან დაკავშირებით და ასეთი საპროცესო დარღვევების შედეგად მიიღო სრულიად დაუსაბუთებელი გადაწყვეტილება.

კასატორის განმარტებით, შესრულებულ სამუშაოთა ხარისხი საერთოდ არ წარმოადგენდა დავის საგანს. აპელანტს არასოდეს არ გაუხდია სადავოდ ის ფაქტი, რომ მოპასუხემ ხარისხიანად შეასრულა სამუშაო სადავოდ იყო გამხდარი ის გარემოება, რომ მოპასუხემ ანგარიშსწორებისას არასწორად შეიტანა ფორმა 2-ში გამგეობის მიერ უფასოდ გადაცემული სამშენებლო მასალების ღირებულება, რაც არანაირ კავშირშია სამუშაოს ხარისხთან და არ გამორიცხავს სამუშაოს ხარისხიანად შესრულების ფაქტს. აქედან გამომდინარე, სასამართლოს მსჯელობა, რომ ხარისხიანად შესრულებული სამუშაოს შესახებ აპელანტის მიერ დადასტურებული ფაქტი აქარწყლებს კონტროლის პალატის დასკვნაში მითითებულ დარღვევას -არასწორად წარმოდგენილი ანგარიშსწორების დოკუმენტთან დაკავშირებით, სრულიად დაუსაბუთებელია და მოკლებულია ყოველგვარ ლოგიკას.

კასატორის განმარტებით, სასამართლო თავის გადაწყვეტილებას ამყარებს მხოლოდ და მხოლოდ ორ გარემოებაზე: ერთი- ვითომდა აპელანტის აღიარება შესრულებული სამუშაოთა ხარისხის შესახებ და მეორეც -თითქოს საქმიდან არ დასტურდება მოპასუხის მიერ უფასოდ გადაცემული მასალების ღირებულების ფორმა 2-ში შეტანის ფაქტი. კასატორის აზრით, ორივე ეს არგუმენტი არის სრულიად დაუსაბუთებელი და არასწორი, ვინაიდან, ჯერ ერთი, მოპასუხის მიერ უფასოდ გადაცემული მასალის ღირებულების შესრულებული სამუშაოების ღირებულებაში შეტანის ფაქტი აღიარებული და დადასტურებულია თავად მოპასუხის მიერ, რასაც მტკიცებულების ძალა გააჩნია და

მეორეც –ეს გარემოება ასევე დადასტურებულია კონტროლის პალატის ბუღალტრული რევიზიის მიერ ჩატარებული აქტით.

კასატორმა მოითხოვა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და საქმის ხელახლა განსახილველად დაბრუნება.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის შესწავლის, საკასაციო საჩივრის დასაშვებობის შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ დმანისის მუნიციპალიტეტის გამგეობის საკასაციო საჩივარი არ აკმაყოფილებს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 391-ე მუხლის მოთხოვნებს, რის გამოც მიჩნეულ უნდა იქნეს დაუშვებლად შემდეგ გარემოებათა გამო:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 391-ე მუხლის მეხუთე ნაწილის მიხედვით, საკასაციო საჩივარი სხვა ქონებრივ და არაქონებრივ დავებში დასაშვებია, თუ: ა) საქმე მნიშვნელოვანია სამართლის განვითარებისა და ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკის ჩამოყალიბებისათვის; ბ) სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება განსხვავდება ამ კატეგორიის საქმეებზე საქართველოს უზენაესი სასამართლოს მანამდე არსებული პრაქტიკისაგან; გ) სააპელაციო სასამართლოს მიერ საქმე განხილულია მნიშვნელოვანი საპროცესო დარღვევით, რომელსაც შეეძლო არსებითად ემოქმედა საქმის განხილვის შედეგებზე; დ) გასაჩივრებულია სააპელაციო სასამართლოს მეორე დაუსწრებელი გადაწყვეტილება ან განჩინება დაუსწრებელი გადაწყვეტილების უცვლელად დატოვების თაობაზე.

ზემოაღნიშნული ნორმები განსაზღვრავს იმ მოთხოვნებს, რომელთაც საკასაციო საჩივარი უნდა შეიცავდეს და ეფუძნებოდეს.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ წარმოდგენილი საკასაციო საჩივარი არ არის დასაშვები სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 391-ე მუხლით გათვალისწინებული არც ერთი მითითებული საფუძველით.

საკასაციო საჩივარი არ არის დასაშვები არც სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილების საკასაციო სასამართლოს სტაბილური პრაქტიკისაგან განსხვავების არსებობის საფუძველით.

ამასთან, საკასაციო საჩივრის განხილვისა და საკასაციო სასამართლოს ახალი გადაწყვეტილების მიღების საჭიროება არ არსებობს არც სამართლის განვითარებისა და ერთგვაროვანი პრაქტიკის ჩამოყალიბების თვალსაზრისით.

ყოველივე აღნიშნულიდან გამომდინარე, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 391-ე მუხლის საფუძველზე, საკასაციო სასამართლო არ არის უფლებამოსილი დაუშვას დმანისის მუნიციპალიტეტის გამგეობის საკასაციო საჩივარი, რის გამოც კასატორს უარი უნდა ეთქვას საკასაციო საჩივრის განხილვაზე.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 391-ე მუხლით და

და ა ა დ გ ი ნ ა :

დმანისის მუნიციპალიტეტის გამგეობის საკასაციო საჩივარი, როგორც დაუშვებელი დარჩეს განუხილველად.

საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

საკასაციო საჩივრის დასაშვებობა

განჩინება

#ას-531-84-09

20 ივლისი, 2009 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატა

შემადგენლობა: მ. გოგიშვილი (თავმჯდომარე),

ნ. კვანტალიანი (მომხსენებელი),

ლ. ლაზარაშვილი

დავის საგანი: დანაშაულებრივი ქმედებით მიყენებული ზიანის ანაზღაურება

აღწერილობითი ნაწილი:

სს "თბილელექტროაპარატის" აქციონერებმა –მ. ა-ძემ, მ. ს-იამ, ვ. გ-შვილმა, თ. გ-ძემ, ნ. ხ-ძემ, ვ. გ-ძემ, თ. ყ-ანმა, გ. გ-შვილმა, ნ. დ-ძემ, ა. დ-ძემ, ლ. კ-ძემ, ც. ქ-ძემ, ჯ. ც-

მემ, გ. ტ-მემ, გ. ტ-მემ, თ. ლ-მემ, მ. გ-ვამ, თ. ს-მემ, ი. გ-მემ, ს. ხ-ევმა, მ. ქ-შვილ-
მა, ჯ. დ-ანმა, ი. ლ-შვილმა, მ. ხ-ევმა, ვ. ბ-მემ, ლ. ს-მემ, ნ. ო-ვამ, ე. ხ-შვილმა, ლ.
ბ-შვილმა, მ. გ-იამ და ნ. მ-შვილმა სარჩელი აღძრეს სასამართლოში პ. კ-ვას მიმართ დანაშაუ-
ლით მიყენებული მატერიალური ზიანის ანაზღაურების შესახებ შემდეგი საფუძვლებით: 1997
წლის 7 ივლისს ქ. თბილისის ნაძალადევის რაიონის სასამართლოში დარეგისტრირდა სს „თბილე-
ლექტროაპარატი“, რომლის საწესდებო კაპიტალი შეადგენდა 1 190 500 აშშ დოლარს და დაყო-
ფილი იყო 1 190 500 აქციად. პ. კ-ვამ სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით მისაკუთრა
17,119%-ის აქციების შესაბამისი ქონება. სს „თბილელექტროაპარატის“ საბჭოს თავმჯდომარე პ.
კ-ვას მიერ #1-9 აქტებით ჩამოწერილ იქნა სს „თბილელექტროაპარატის“ ქონება და 2005 წლის 8
თებერვალს სს „თბილელექტროაპარატის“ დირექტორმა ზ. ჯ-უამ გააფორმა ხელშეკრულება უძრა-
ვი ქონების შპს „პლასტმასისათვის“ გადაცემის შესახებ, რომლის დირექტორი პ. კ-ვა იყო. ამ
შეთანხმების საფუძველზე შპს „პლასტმასს“ ვალის სანაცვლოდ, 694 772 ლარად გადაეცა სს
„თბილელექტროაპარატის“ კუთვნილი ქონება - მიწა, შენობა-ნაგებობები, მანქანა-დანადგარები,
ჯარით და სხვადასხვა მასალა. ექსპერტიზის დასკვნის თანახმად, მიწის საბაზრო ღირებულება შე-
ადგენს 2594865 ლარს. პ. კ-ვას მიერ მიყენებულმა ზიანმა მიწის ღირებულების ნაწილში შეად-
გინა -349 562 ლარი, შენობა-ნაგებობის ნაწილში -170 330 ლარი, დაზგა-დანადგარების ნაწილ-
ში -1199 ლარი, ხოლო 166,55 ტონა ჯართის მითვისებისას -17 000 ლარი, სულ მოპასუხეს
უნდა დაეკისროს 565 976 ლარის ანაზღაურება.

მოპასუხემ სარჩელი არ ცნო შემდეგი დასაბუთებით: ქ. თბილისის სისხლის სამართლის საქმე-
თა კოლეგიის 2006 წლის 17 ოქტომბრის #1/6412-06 განაჩენის შესაბამისად, პ. კ-ვა მართლსა-
წინააღმდეგოდ დაეუფლა სს „თბილელექტროაპარატის“ 17.119% აქციების შესაბამის ქონებას მიწის
ღირებულების ნაწილში 349 562 ლარის ოდენობით. მიწის ნაკვეთი წარმოადგენდა სს „თბილე-
ლექტროაპარატის“ საკუთრებას და მისი გასხვისებით ზიანი მიადგა თავად საზოგადოებას. ამდე-
ნად, სარჩელის აღძვრის უფლება გააჩნდა სს „თბილელექტროაპარატს“, ხოლო სასარჩელო განცხა-
დებაში მითითებული პირების სათანადო მოსარჩელებად მიჩნევის პირობებშიც, მათი სარჩელი
მანც არ უნდა დაკმაყოფილდეს უსაფუძვლობის გამო. მოსარჩელეთა მიერ წარმოდგენილი სამე-
წარმეო რეესტრის ამონაწერი ადასტურებს მხოლოდ რამოდენიმე თანამოსარჩელის -მ. გ-ვას, გ.
გ-შვილის, ნ. ხ-მის, ვ. გ-შვილის, ვ. გ-მის, თ. ს-მის, მ. ა-მისა და თ. გ-მის აქციონერად
ყოფნის ფაქტს. საქმეში წარმოდგენილი რეესტრის მონაცემებით ირკვევა, რომ მოსარჩელები სს
„თბილელექტროაპარატის“ აქციების 17.119%-ის მფლობელები არ არიან, არამედ ფლობენ 2,35%-
ს, თუმცა სასარჩელო განცხადებაში უთითებენ, რომ დასახელებულ საწარმოში ისინი ფლობენ აქ-
ციათა ზემოხსენებულ ოდენობას.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2008 წლის 18 მარტის გან-
ჩინებით ცალკე წარმოებად გამოიყო ჯ, ც-მისა და გ. ტ-მის მოთხოვნები და ამ ნაწილში საქმის
წარმოება შეჩერდა მოსარჩელეთა უფლებამონაცვლის დადგენამდე. ამავე სასამართლოს 2008 წლის
24 მარტის გადაწყვეტილებით სარჩელი არ დაკმაყოფილდა, რაც სს „თბილელექტროაპარატის“ აქ-
ციონერებმა გაასაჩივრეს სააპელაციო წესით.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 12 თებერვლის
განჩინებით მოცემულ საქმეს გამოეყო და გარდაცვლილ მოსარჩელეთა უფლებამონაცვლის დადგე-
ნამდე შეჩერდა საქმის წარმოება მ. ს-იას, გ. გ-შვილისა და ვ. გ-შვილის სარჩელები მათი გარ-
დაცვალების გამო. ამავე სასამართლოს 27 თებერვლის განჩინებით, მ. ა-მის, თ. გ-მის, ნ. ს-
მის, ვ. გ-მის, თ. ყ-ანის, ნ. დ-მის, ა. ლ-მის, ლ. კ-მის, ც. ქ-მის, ჯ, ც-მის, გ. ტ-მის,
გ. ტ-მის, თ. ლ-მის, მ. გ-ვას, თ. ს-მის, ი. გ-მის, ს. ხ-ევის, ვ. ბ-მის, ლ. ს-მის, ნ.
ო-ვას, ე. ხ-შვილის, ლ. ბ-შვილის, მ. გ-იას, ნ. მ-შვილის სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყო-
ფილდა შემდეგ გარემოებათა გამო: სააპელაციო პალატამ მიიჩნია, რომ სააპელაციო საჩივარში მი-
თითებული ფაქტობრივი და სამართლებრივი საფუძვლები არ ქმნიან სამოქალაქო საპროცესო კო-
დექსის 393-ე და 394-ე მუხლების შემადგენლობას, შესაბამისად, გასაჩივრებული გადაწყვეტილე-
ბის გაუქმების პროცესუალურ-სამართლებრივ საფუძვლებს. სააპელაციო სასამართლომ გაიზიარა
პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები და ასევე ამ გარე-
მოებების მიმართ მის მიერ გაკეთებული დასკვნები და სამართლებრივი შეფასებები, კერძოდ,
პირველი ინსტანციის სასამართლომ სწორად დაადგინა, რომ სისხლის სამართლის საქმეზე მიღებუ-
ლი კანონიერ ძალაში შესული განაჩენით პ. კ-ვას დანაშაულებრივი ქმედება სს „ელექტროაპარა-
ტის“ აქციონერების მიმართ, ისევე, როგორც ამ ქმედებით აქციონერებისათვის ზიანის მიყენების
ფაქტი დადგენილი არ არის. სააპელაციო პალატა დაეთანხმა პირველი ინსტანციის სასამართლოს
დასკვნას, რომ განაჩენით დადგენილია პ. კ-ვას მიერ სამსახურებრივი მდგომარეობის მართლსაწი-
ნააღმდეგოდ სს „ელექტროაპარატის“ 349 562 ლარის ღირებულების ქონების დაუფლების ფაქტი.
ამასთან, სააპელაციო პალატის მოსაზრებით, სასამართლოს განაჩენში მითითებული გარემოება პ.

კ-ვას მიერ საზოგადოების აქციათა 17.119%-ის შესაბამისი ქონების დაუფლების თაობაზე წარმოადგენს საგამომიებო ორგანოების მიერ მხოლოდ უკანონოდ დაუფლებული ქონების მნიშვნელობის შეფასებას და 17.119%-ის მფლობელი აქციონერებისათვის აქციათა მოთხოვნის საფუძველს არ წარმოადგენს. ამდენად, სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ მოსარჩელეთა მოთხოვნა დანაშაულით მიყენებული ზიანის ანაზღაურებაზე უსაფუძვლო და დაუსაბუთებელია. სააპელაციო პალატამ დასაბუთებლად ჩათვალა პირველი ინსტანციის სასამართლოს მსჯელობა, რომ მოცემულ შემთხვევაში განაჩენიდან გამომდინარე ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლება სააქციო საზოგადოებას გააჩნია, ამასთან, „მეწარმეთა შესახებ“ კანონის 53.5 მუხლის საფუძველზე ამავე მოთხოვნის აღძვრის უფლება აქვთ სააქციო საზოგადოების აქციონერებსაც, მაგრამ არა საკუთარი, არამედ საზოგადოების სასარგებლოდ და მისი ინტერესებისათვის, თუმცა განსახილველი დავა მითითებულ მოთხოვნას არ ეფუძნება. სააპელაციო სასამართლომ ჩათვალა, რომ აპელანტებმა თავისი მოთხოვნა „მეწარმეთა შესახებ“ კანონის 53.4 მუხლს არასწორად დააფუძნეს, ვინაიდან მათ არ დაუდასტურებიათ, თუ რა სახისა და ოდენობის ზიანი განიცადეს აქციონერებმა მოპასუხის, როგორც დომინანტი აქციონერის მიერ სააქციო საზოგადოების საწინააღმდეგოდ ჩადენილი ქმედებით, რომლის საკომპენსაციო თანხის გადახდის ვალდებულებაც წარმოიშვა ზემოხსენებული ნორმის საფუძველზე. აღნიშნულთან დაკავშირებით სააპელაციო პალატამ გაიზიარა გასაჩივრებული გადაწყვეტილების დასაბუთება, რომ აქციონერის ქონებრივი უფლება და ინტერესი სააქციო საზოგადოებაში უკავშირდება რა დივიდენდის მიღების უფლებას, მისი მოთხოვნა ზიანის ანაზღაურების შესახებ უნდა ეფუძნებოდეს საზოგადოების დომინანტი აქციონერის მოქმედებით საზოგადოების მოგების, შესაბამისად, დივიდენდის შემცირების ფაქტს, რამაც აქციონერებს ზიანი მიაყენა, აღნიშნული კი აპელანტებს არ დაუსაბუთებიათ. სააპელაციო პალატა არ დაეთანხმა პირველი ინსტანციის სასამართლოს დასკვნას, რომ მოსარჩელეთაგან მხოლოდ რვა პირი წარმოადგენს სს „თბილელექტროაპარატის“ აქციონერს, ვინაიდან საქმეში წარმოდგენილი სამეწარმეო რეესტრის ამონაწერით დანარჩენი მოსარჩელებიც აქციონერებად არიან აღრიცხული.

სააპელაციო სასამართლოს განჩინება სს „თბილელექტროაპარატის“ აქციონერთა წარმომადგენელმა მ. ბ-მემ გაასაჩივრა საკასაციო წესით, მოითხოვა მისი გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილება შემდეგი საფუძველებით: გასაჩივრებული განჩინება დაუსაბუთებელი და წინააღმდეგობრივია. სამოქალაქო კოდექსის 317-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად სასამართლომ მიიჩნია, რომ პ. კ-ვას დელიქტური ვალდებულება წარმოიშვა ამ უკანასკნელის მიერ დანაშაულის ჩადენის საფუძველზე, რაც დადასტურებულია კანონიერ ძალაში შესული სასამართლოს განაჩენით. ამდენად, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 106-ე მუხლის მიხედვით, დამატებით მტკიცებას არ საჭიროებს ის გარემოება, განხორციელდა თუ არა რეალურად სადავო მოქმედება და ჩაიდინა თუ არა იგი კონკრეტულმა პიროვნებამ, როდესაც საქმეს იხილავს სასამართლო ამ პირის მოქმედების სამოქალაქო სამართლებრივი შედეგების შესახებ. აღნიშნულიდან გამომდინარე, სასამართლომ არასწორად შეაფასა მტკიცებულებები თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2006 წლის 17 ოქტომბრის განაჩენის საფუძველზე. პ. კ-ვამ დანაშაულებრივი გზით არა მარტო გაასხვისა სს „თბილელექტროაპარატის“ კუთვნილი ქონება, არამედ მართლსაწინააღმდეგოდ დაეუფლა აქციათა 17.119%-ის აქციების შესაბამის 349 562 ლარის უძრავ ქონებას. პალატა კაჭარვამ, როგორც სს „თბილელექტროაპარატის“ სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარემ და შპს „პლასტმასის“ დირექტორმა დანაშაულერივი გზით 2 594 856 ლარის ღირებულების მიწის ფართობი მიითვისა 694 771 ლარად, შენობა-ნაგებობების, მანქანა-დანადგარების, ჯართისა და სხვადასხვა მასალების ჩათვლით. დაუსაბუთებელია სასამართლოს მტკიცება, რომ თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2006 წლის 17 ოქტომბრის განაჩენიდან ერთმნიშვნელოვნად არ გამომდინარეობს, პ. კ-ვას დანაშაულებრივი ქმედების გამო, საზოგადოების მოსარჩელე აქციონერებისათვის ზიანის მიყენების ფაქტი. სასამართლომ არ გამოიყენა „მეწარმეთა შესახებ“ კანონის 53.4 მუხლი, რომელიც უნდა გამოეყენებინა. განაჩენში გარკვევითაა მითითებული, რომ სს „თბილელექტროაპარატის“ დომინანტმა აქციონერმა პ. კ-ვამ, იმავე სს „თბილელექტროაპარატის“ სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარემ და შპს „პლასტმასის“ დამფუძნებელმა დირექტორმა სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით, პირთა ჯგუფთან წინასწარი შეთანხმებით, განიზრახა მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით სს „თბილელექტროაპარატის“ აქციონერთა 17.119%-ის აქციების შესაბამისი ქონების (აქტივების) დაუფლება. ამ მიზნით, იგი გამოიძიებით დაუდგენელ დროსა და ვითარებაში, დაუკავშირდა სს „თბილელექტროაპარატის“ აღმასრულებელ დირექტორ გუგა გეგენავას, შეუთანხმდა, სს „თბილელექტროაპარატის“ და შპს „პლასტმასის“ შორის გაეფორმებინათ ურთიერთთანამშრომლობის ხელშეკრულება, რომლის საფუძველზეც, შპს „პლასტმასის“ გამოიყენებდა სს „თბილელექტროაპარატის“ საწარმოო სიმძლავრეებს, გამოუშვებდა პროდუქციას, გაუკეთებდა რეალიზაციას და მიიღებდა შემოსავლებს. ისინი ასევე შეთანხმდნენ, რომ სს „თბილელექტროაპარატის“ სხვადასხვა გადასახადე-

ბის გადაუხდელობით დაუგროვებოდა ვალი, რომლის გასასტუმრებლადაც შპს „პლასტმასი“ მას ავანსის სახით ჩაურიცხავდა თანხებს, რის შედეგადაც, მათ შორის წარმოიშობოდა ფინანსური ვალდებულებები, რაც მომავალში გახდებოდა იმის საფუძველი, რომ სს „თბილელექტროაპარატის“ უძრავ-მოდრავი ქონება გადაეცემოდა ვალში. 2005 წლის 8 თებერვალს მან თავისი განზრახვა სისრულეში მოიყვანა. სს „თბილელექტროაპარატის“ დირექტორმა ზ.ჯ-უამ და შპს „პლასტმასის“ დირექტორმა პ. კ-ვამ ნოტარიული წესით გააფორმეს ორი შეთანხმება უძრავი ქონების გადაცემის შესახებ. ამ შეთანხმებების საფუძველზე, შპს „პლასტმასს“, 694 771 ლარის ვალის სანაცვლოდ, გადაეცა სს „თბილელექტროაპარატის“ კუთვნილი გრძელვადიანი და მოკლევადიანი სასაქონლო ღირებულების მქონე აქტივები მთლიანი მოცულობით (მიწა, შენობა-ნაგებობები, მანქანა-დანადგარები, ჯართი, სხვადასხვა მასალები), ხოლო გამოყენებისათვის უვარგისი სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები, დაუტოვა სს „თბილელექტროაპარატს“ და მისგანვე მიღებულ არასაცხოვრებელ ფართზე დაუწესა მათი შენახვისათვის საიჯარო გადასახადი. სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს მიერ გაცემული #3443/15 საკომისიო ექსპერტიზის დასკვნის მიხედვით, გადაცემული ქონებიდან მიწის ღირებულებამ, ს-პრო ფასის გათვალისწინებით, შეადგინა 2 594 856 ლარი (1 კვ.მ -24 ლარი). შესაბამისად, პ. კ-ვა, სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით, ზ.ჯ-უასთან ერთად წინასწარი შეთანხმებით, მ.გუდაძის დახმარებით, მართლსაწინააღმდეგოდ დაეუფლა სს „თბილელექტროაპარატის“ აქციათა 17.119% აქციების შესაბამის ქონებას მიწის ღირებულების ნაწილში 349 562 ლარის ოდენობით, რამაც მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია. აღნიშნული ქმედებით პ. კ-ვამ ჩაიდინა საქართველოს სსკ-ის 180-ე მუხლის მეორე ნაწილის „ა“, „გ“ და „დ“ ქვეპუნქტებით და ამავე მუხლის მესამე ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტის (2006 წლის 31 მაისამდე მოქმედი რედაქციით) გათვალისწინებული დანაშაული. დაუსაბუთებელია სასამართლოს არგუმენტაცია, რომ ზიანის ანაზღაურებას მოითხოვს მხოლოდ რვა თანამოსარჩელე, რომლებიც ფლობენ დაახლოებით 2.35% აქციებს. სასამართლოში სარჩელი აღძრა არა 8 -არამედ 30-მა აქციონერმა, რომლებიც აქციათა 17.119%-ს ფლობენ. სასამართლომ ყურადღება არ გაამახვილა, რომ „მეწარმეთა შესახებ“ კანონი ხმების 5%-ის მფლობელ აქციონერებს გარკვეულ უფლებებს, მათ შორის, მესამე პირების მიმართ საზოგადოების მოთხოვნათა განხორციელების უფლებას ანიჭებს. ამდენად, აქციონერს შეუძლია საზოგადოების ნაცვლად და მის სასარგებლოდ თავისი სახელით შეიტანოს სარჩელი აღნიშნული მოთხოვნის განსახორციელებლად.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2009 წლის 14 ივლისის განჩინებით მ. ა-ძის, თ. გ-ძის, ნ. დ-ძის, ა. დ-ძის, ლ. კ-ძის, ც. ქ-ძის, ჯ. ც-ძის, თ. ლ-ძის, მ. გ-ვას, თ. ს-ძის, ი. გ-ძის, ს. ხ-ვეის, მ. ქ-შვილის, ჯ. დ-ანის, ი. დ-შვილის, მ. ხ-ვეის, ვ. ბ-ძის, ლ. ს-ძის, ნ. ო-ვას, ე. ხ-შვილის, ლ. ბ-შვილისა და ნ. მ-შვილის საკასაციო საჩივარი მიღებულ იქნა წარმომავალში, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 396-ე მუხლით და ამავე კოდექსის 391-ე მუხლის შესაბამისად, დასაშვებობის შესამოწმებლად.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 391-ე მუხლის შესაბამისად, შეამოწმა სს „თბილელექტროაპარატის“ აქციონერთა საკასაციო საჩივრის დასაშვებობის საკითხი და თვლის, რომ იგი დაუშვებლად უნდა იქნეს მიჩნეული შემდეგ გარემოებათა გამო:

სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობა საკასაციო საჩივრის დასაშვებობის საკითხს უკავშირებს გარკვეულ შეზღუდვებს და ადგენს იმ დავათა კატეგორიებს, რომლებზეც შეტანილი საკასაციო საჩივარი საკასაციო სასამართლოს მიერ დასაშვებად უნდა იქნეს ცნობილი. აღნიშნული დანაწესები მოცემულია სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 391-ე მუხლში.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ საკასაციო საჩივარი არ არის დასაშვები მითითებული ნორმით გათვალისწინებული არც ერთი საფუძველით.

მოცემული დავის საგანია დანაშაულით მიყენებული ზიანის ანაზღაურების მართლზომიერება. აღნიშნულ საკითხზე არსებობს სასამართლოს პრაქტიკა, რომელიც ასახულია სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებულ განჩინებაში.

კასატორი ვერ ასაბუთებს და საქმის მასალებითაც არ დასტურდება სააპელაციო სასამართლოს მიერ საქმის განხილვა ისეთი საპროცესო დარღვევით, რაც არსებითად იმოქმედებს საქმის შედეგზე, შესაბამისად, საკასაციო საჩივარი ამ საფუძველითაც დაუშვებელია.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 391-ე, 401-ე მუხლებით და

და ა ა დ გ ი ნ ა:

სს "თბილელექტროაპარატის" აქციონერების -მ. ა-ძის, თ. გ-ძის, ნ. დ-ძის, ა. დ-ძის, ლ. კ-ძის, ც. ქ-ძის, ჯ. ც-ძის, თ. ლ-ძის, მ. გ-ვას, თ. ს-ძის, ი. გ-ძის, ს. ხ-ევის, მ. ქ-შვილის, ჯ. დ-ანის, ი. ლ-შვილის, მ. ხ-ევის, ვ. ბ-ძის, ლ. ს-ძის, ნ. ო-ვას, ე. ხ-შვილის, ლ. ბ-შვილისა და ნ. მ-შვილის წარმომადგენელ მ. ბ-ძის საკასაციო საჩივარი დარჩეს განუხილველად დაუშვებლობის გამო.

საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

საკასაციო საჩივრის დასაშვებობა

განჩინება

#ას-500-811-09

20 ივლისი, 2009 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატა

შემადგენლობა: მ. გოგიშვილი (თავმჯდომარე),

ნ. კვანტალიანი (მომხსენებელი),

ლ. ლაზარაშვილი

დავის საგანი: ძირითად სარჩელში -უკანონო ხელშეშლის აღკვეთა, ზიანის ანაზღაურება, შეგებულ სარჩელში -უკანონო ხელშეშლის აღკვეთა

აღწერილობითი ნაწილი:

ა. ბ-ურმა სარჩელი აღძრა სასამართლოში ც. კ-შვილის მიმართ სამოქალაქო კოდექსის 172-ე და 176-ე მუხლების შესაბამისად, სველი წერტილების მისი სახლის უკანა ყრუ კედლიდან მოშორების, ფანჯრის ორი ღიობის ამოშენების, წვიმის წყლის ეზოში არსებულ ტრაპში გადაყვანისა და აბსოცემენტის მილის თუნუქის დამცავი საფარით იზოლირების მოთხოვნით შემდეგი საფუძვლებით:

მოპასუხის საცხოვრებელი სახლის წინამორბედი მესაკუთრისა და შემდგომ თვით მოპასუხის მიერ 1980-85 წლებში განხორციელდა სამშენებლო სამუშაოები, რითაც მნიშვნელოვნად დაზიანდა ა. ბ-ურის სახლის ყრუ კედელი. კერძოდ, კ-შვილმა აღნიშნულ კედელზე მიაშენა სველი წერტილები, ასევე კაპიტალური რეკონსტრუქციის შემდეგ მისი სახლის წინა კედელზე დატანებულ იქნა ფანჯრის ორი ღიობი, რაც თბილისის მერიის მიერ ცნობილია მიზანშეუწონლად და ამ საფუძვლით კ-შვილს დაევალა მათი ამოშენება. მოპასუხის ეზოს კუთხეში მოწყობილი გაზით გათბობის აგრეგატიდან ამომავალ აბსოცემენტის მილზე ჩამონაწრეტი წვიმის წყალი აზიანებს მისი ბინის კედლებს. სახლის ყრუ კედელზე ასევე დაზიანებული წვიმის ღარი, რაც წყლის ეზოში არსებულ ტრაპამდე გადაადგილებას ვერ უზრუნველყოფს და კედელზე იღვრება. მითითებული ნაგებობა-მოწყობილობები იწვევენ სახლის უკანა კედლის დანესტიანებას. კედელს გაუჩნდა რამდენიმე ბზარი, ჟონავს წყალი და ქმნის სახლში ცხოვრების გაუსაძლის პირობებს. მიუხედავად წლების განმავლობაში ქალაქის მუნიციპალური სამსახურის, ასევე რაიონის გამგეობის არაერთი მოთხოვნისა, კ-შვილი პრობლემის მოხსნის თვალსაზრისით არანაირ ზომებს იღებს და აღნიშნული საკითხი კვლავ მოუწესრიგებელია.

მოსარჩელემ მოგვიანებით გაზარდა მოთხოვნა და დამატებით მოითხოვა მოპასუხის სათავსო ნაგებობების სახლის დაზიანებული კედლისაგან ნახევარი მეტრით დაშორება, რადგანაც 1998 წლის გაზაფხულიდან კედელზე წარმოშობილია ბზარები, რომლებიც იზრდება და ღრმავდება. აღნიშნული შესაძლოა გამოწვეული იყოს ბუნებრივი ვენტილაციის (საჰაერო დერეფნის) უქონლობით, მოსარჩელემ ასევე მოითხოვა მიყენებული ზიანის -2000 აშშ დოლარის დაკისრება.

ც. კ-შვილმა და მისმა წარმომადგენელმა მ. კ-შვილმა შეგებებული სარჩელით მიმართეს სასამართლოს ა. ბ-ურის მიმართ და მოითხოვეს ა. ბ-ურსათვის მისი სახლის სახურავის ფორმის იმგვარად შეცვალის დაკლებულება, რომ წყლის ნაკადი არ ჩამოედინებოდეს სახლის კედელზე, ასევე სხვენის ღია ნაწილის ამოშენება, რეკონსტრუქციასა და საჩივრებზე გაწეული ხარჯებისა და წყალგაყვანილობის სხვა ადგილას გადატანის ხარჯების ანაზღაურება შემდეგი საფუძვლებით:

ა. ბ-ურს სახლის სახურავი აქვს მოწყობილი შეგებული სარჩელის ავტორთა სახლის მიჯნაზე, ისე, რომ საწვიმარი ჩაედინება მათ ეზოში, სახლის კედელზე. არც ერთი სველი წერტილი მოსარჩელის კედელზე დამონტაჟებული არ არის. საინჟინრო-ტექნიკური ექსპერტიზით დადგინდება კომუნიკაციები გაყვანილობით და ადგილმდებარეობით აზიანებს თუ არა მოსარჩელის სახლის კედელს.

ა. ბ-ურის სახლის წინა ფასადი მათი სახლიდან საკმაო მანძილის დაშორებითაა, ამასთან -ჩ-ვას ქუჩა, სადაც ა. ბ-ურის სახლის ფასადია, მთლიანად დაბზარულია, სახლის სხვენთან ეზოში გამოდის ღია ადგილები, საიდანაც, მოუვლელობის გამო, ზაფხულობით რთული ჰიგიენური მდგომარეობაა. სახლების ბუნებრივი განლაგების გამო, გრუნტის წყლების ზემოქმედებით, უბანში არსებული ყველა სახლის კედლები დაბზარულია. გარდა აღნიშნულისა, მხარის მოთხოვნა ხანდაზმულია.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2007 წლის 3 ოქტომბრის განჩინებით სასამართლომ საქმეზე თანამოპასუხეებად ჩააბა მ. და ვ. პ-შვილები, რომლებიც საჯარო რეესტრის ცნობის შესაბამისად არიან მოპასუხე ც. პ-შვილთან ერთად სახლის თანამესაკუთრები და წარმოადგენენ დავაში სავალდებულო თანამონაწილეებს.

2007 წლის 5 ოქტომბერს ა. ბ-ურის რწმუნებულმა ე. ბ-ურმა დაზუსტებული სარჩელით მიმართა სასამართლოს და მოითხოვა მოპასუხეთა მიერ მისი საცხოვრებელი სახლის საზღვართან აშენებული და მხარეთა თანასაკუთრებაში არსებული ნაგებობებიდან საცხოვრებელ სახლზე ზიანის მიყენების აღკვეთა, სველი წერტილებისა და მილგაყვანილობების სახლისგან მოშორებით გადატანა, საწვიმარი მილების შეკეთება, ჰიდროსაიზოლაციო მასალით კედლებს შორის სივარცის შევსება, მეორე სართულის დონეზე მოწყობილი ფანჯარის გაუქმება, ეზოში წყლის შემკრები ტრაპის მოწყობა. სსიპ კირიაკ ზავრიევის სამშენებლო მექანიკის და სეისმომდეგობის ინსტიტუტის 2007 წლის 31 ივლისის #385-02-07 დასკვნის საფუძველზე საცხოვრებელი სახლის დაზიანებული ნაწილის აღდგენისათვის საჭირო თანხის -13543 ლარის, ექსპერტის დასკვნის -870 ლარის, ადვოკატის მომსახურების -900 ლარისა და მტკიცებულებების უზრუნველყოფისათვის გაწეული ხარჯის -1000 ლარის, სულ 16310 ლარის მოპასუხეებისათვის სოლიდარულად დაკისრება.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2008 წლის 10 მარტის სხდომაზე მოსარჩელემ შეამცირა მოთხოვნა და ზიანის ანაზღაურების ნაწილში 16310 ლარის ნაცვლად მოითხოვა 13540 ლარის მოპასუხეთათვის დაკისრება, ხოლო თავდაპირველ სარჩელში მითითებული თანხის დაკისრების მოთხოვნაზე მხარემ უარი განაცხადა და იშუამდგომლა ამ ნაწილში საქმის წარმოების შეწყვეტაზე, რაც თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2009 წლის 10 მარტის განჩინებით დაკმაყოფილდა. ამავე სასამართლოს 2008 წლის 21 მარტის გადაწყვეტილებით ა. ბ-ურის სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, ც., მ. და ვ. პ-შვილებს დავალათ სადავო საცხოვრებელი სახლის პირველ სართულზე არსებული საპირფარეოსა და ამავე სახლის მეორე სართულზე, მიშენებულ ნაწილში არსებული, მილგაყვანილობების ვარგის მდგომარეობაში მოყვანა, მოსარჩელის სახლის ყრუ კედელთან მიშენებული კაპიტალური ნაგებობის სახურავიდან ჩამოსული წვიმის წყლის მილში და ბეტონის ღარში გატარება, ასევე მოპასუხის ეზოსაგან მოშორება, სამეზობლო ორ კედელს შორის სივარცის შესაბამისი მასალით შევსება და მოპასუხეთა საცხოვრებელი სახლის მეორე სართულზე #11 საცხოვრებელი ოთახის ორი ფანჯრის ამოშენება, ასევე სოლიდარულად დაეკისრათ მოპასუხეებს ა. ბ-ურის სასარგებლოდ დაზიანებული სახლის აღდგენისათვის 11000 ლარის გადახდა, ხოლო მოსარჩელის მოთხოვნა მოპასუხეთა საცხოვრებელი სახლის პირველ სართულზე მდებარე საპირფარეოს სხვა ადგილას გადატანის თაობაზე არ დაკმაყოფილდა, ც. პ-შვილის შეგებებული სარჩელი დაკმაყოფილდა იმ ნაწილში, რომლითაც მხარე მოითხოვდა ა. ბ-ურის კუთვნილი სახლის სახურავის იმგვარად მოწყობას, რომ სახურავიდან ჩამოდენილმა წყალმა ც. პ-შვილის ეზოში არ იდინოს.

საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება საპირფარეოსა და მილგაყვანილობის სხვა ადგილას გადატანის მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის ნაწილში სააპელაციო წესით გაასაჩივრა ა. ბ-ურმა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 21 იანვრის განჩინებით გარდაცვლილი ც. პ-შვილის უფლებამონაცვლეებად საქმეში ჩაბმულ იქნენ მ. და ვ. პ-შვილები. ამავე სასამართლოს 2009 წლის 27 თებერვლის გადაწყვეტილებით ა. ბ-ურის სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა, გადაწყვეტილება გაუქმდა გასაჩივრებულ ნაწილში და ახალი გადაწყვეტილებით ა. ბ-ურის სარჩელი საპირფარეოსა და მილგაყვანილობის გადატანის ნაწილში დაკმაყოფილდა, მოწინააღმდეგე მხარეს დაევალა ქ. თბილისში, ჩ-ვას შესახვევ #13-ში მდებარე საცხოვრებელი სახლის ეზოში და მეორე სართულზე განთავსებული საპირფარეოსა და მილგაყვანილობების გადატანა აპელანტის საცხოვრებელი სახლის კედლიდან ორი მეტრის დაშორებით შემდეგ გარემოებათა გამო:

სააპელაციო სასამართლომ დადგინდა, რომ ქ. თბილისში, ... ქ#17-ში მდებარე სახლთმფლობელობა ირიცხება მოსარჩელე ა. ბ-ურის სახელზე.

ქ. თბილისში, ... შესახვევი #13-ში მდებარე უძრავი ქონება წარმოადგენს მოპასუხეების: ც., მ. და ვ. პ-შვილების თანასაკუთრებას.

მხარეთა კუთვნილი საცხოვრებელი სახლები, საეზოვე ნაკვეთებზე იმგვარადაა განთავსებული, რომ მოსარჩელის სახლის უკანა ყრუ კედელი და მოპასუხის სახლის ნაწილი შეწყვილებულია. ... ქ#17-ში მდებარე მოსარჩელის საცხოვრებელი სახლი, უკანა ყრუ კედლით, უშუალოდ ესაზღვრება ა. ჩ-ვას შესახვევის #13-ში არსებულ, მოპასუხეთა საცხოვრებელ სახლს, რომლის ეზო ჰიფსო-მეტრიულად მაღლაა განთავსებული მოსაზღვრე სახლთან შედარებით, რის გამოც ატმოსფერული ნალექები და მასთან ერთად წყალ-კანალიზაციის დაზიანებული მილსადენებიდან გაჟონილი წყლები, წლების განმავლობაში იწვევდა ... ქ#17-ში არსებული მოსარჩელის სახლის მზიდი კონსტრუქციების დაზიანებას.

სადავო საპირფარეოები განთავსებულია მოპასუხის საცხოვრებელი ბინის ეზოსა და მეორე სართულზე და უშუალოდ ესაზღვრება მოსარჩელის საცხოვრებელი სახლის უკანა ყრუ კედელს.

თბილისის მერიის დიდუბე-ჩუღურეთის რაიონის გამგეობის 2004 წლის 21 ივლისის და 2004 წლის 3 სექტემბრის წერილებზე დაყრდნობით პალატამ დადგინდა, რომ გამგეობამ ადგილზე შეამოწმა მოსარჩელის სახლის მდგომარეობა და ვიზუალური დათვალიერებით დაადგინა, რომ მოსარჩელის სახლის კედელზე მოპასუხის მიერ მის საკუთრებაში არსებულ ეზოში მოწყობილი საპირფარეოს და ეზოს წყლის ონკანის ადგილას მოსარჩელის ბინაში შეინიშნებოდა ნესტი.

2005 წლის 31 იანვრის დასკვნის შესაბამისად, ექსპერტის მიერ მოსარჩელის სახლის უკანა ყრუ კედლის საპირკვლის ფუძის გრუნტის ქიმიური ანალიზით დადგინდა იქნა მოსარჩელის კედლის დაზიანება ფეკალური ნარჩენებით, რაც გამოწვეული იყო მოპასუხის ეზოში მდებარე საპირფარეოდან. გრუნტი გადამეტენიანებულია და მისი დასველება დღესაც გრძელდება.

ექსპერტის განმარტებით, მოპასუხის ეზოში არსებულ საპირფარეოსა და მის მიერ მეორე სართულზე მიშენებულ ნაწილში წყალგაყვანილობებში უწყსრიგობა აღარ შეინიშნება, მაგრამ არის ნესტის კვალი. მილგაყვანილობებიდან წყლის გაჟონვას შეეძლო საპირკვლისა და სახლის კედლის დანესტიანება. ასევე დგინდება, რომ საჭიროა მოპასუხის მიერ სამეზობლო ორ კედელს შორის სიცარიელის შესაბამისი მასალით შევსება და ამ კედელში მილგაყვანილობების მოწყობა დაუშვებელია.

სსიპ კირიაკ ზავრიევის სამშენებლო მექანიკის და სეისმომდეგობის ინსტიტუტის 2007 წლის 31 ივლისის #385-02-07 დასკვნაზე დაყრდნობით პალატამ გაიზიარა, რომ მოსარჩელის შენობის გარე კედელი ა. ჩ-ვას შესახვევის მხრიდან იმდენად არის დეფორმირებული, რომ კედლის წყობა თითქმის მთლიანად ჩაშლილია, მზიდი კედლების დეფორმაცია გამოწვეულია მისი საპირკვლის არათანაბარი ჯდენებით, ფუძე გრუნტის ამტანუნარიანობის დაქვეითებით გაწყლოვანების შედეგად. კედლის დეფორმაციის მიზეზად სხვა ფაქტორებთან ერთად მიჩნეულია მის უშუალო სიახლოვეს არსებული ტუალეტის მილსადენებიდან გაჟონილი ფეკალური წყლების მოქმედება. შენობის ნორმალური ექსპლუატაციისათვის საჭიროა მისი გამომწვევი მიზეზის -ტუალეტის გაუქმება ან უკიდურეს შემთხვევაში მოშორებით გადატანა.

ამდენად, სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ მოსარჩელის კედლის ფეკალური ნარჩენებით დაზიანება გამოწვეულია მოპასუხის ეზოში მდებარე საპირფარეოდან. გრუნტის დასველება კვლავ გრძელდება, მზიდი კედლების დეფორმაცია გამოწვეულია მისი საპირკვლის არათანაბარი ჯდენებით, ფუძე გრუნტის ამტანუნარიანობის დაქვეითებით მათი გაწყლოვანების გამო, კედლის დეფორმაციის მიზეზი, სხვა ფაქტორებთან ერთად, არის მის უშუალო სიახლოვე არსებული ტუალეტის მილსადენებიდან გაჟონილ ფეკალურ წყლებთან.

სასამართლომ მიიჩნია, რომ სამოქალაქო კოდექსის 176-ე მუხლის თანახმად, ქ. თბილისში, ... ქ.#17-ში მდებარე მოპასუხეების საკუთრებაში არსებულ ეზოში და მეორე სართულზე მოსარჩელის სახლის უკანა ყრუ კედელზე განთავსებული საპირფარეოების ექსპლუატაცია ხელყოფს ა. ბ-ურის საკუთრებაში არსებული საცხოვრებელი სახლით სარგებლობას, რაც საპირფარეოებისა და მილგაყვანილობების გადატანის შესახებ მოთხოვნის დაკმაყოფილების საფუძველს წარმოადგენს. სარჩელის შეტანის დროისათვის მოქმედი „ნაკვეთების საზღვარზე, საზღვართან საცხოვრებელი სახლების, დამხმარე და სხვა ნაგებობების მშენებლობის წესის“ მეოთხე მუხლის მეოთხე პუნქტის გათვალისწინებით, პალატამ მიზანშეწონილად მიიჩნია მათი გადატანა ა. ბ-ურის საცხოვრებელი სახლის კედლიდან ორი მეტრის მოშორებით.

სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საკასაციო წესით გაასაჩივრა მ. პ-შვილმა და მოითხოვა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება შემდეგი საფუძველებით:

სასამართლოში საქმის განხილვის დროისათვის ც. პ-შვილი გარდაცვლილი იყო. კასატორი არ იმყოფებოდა საქართველოში, ხოლო ვ. პ-შვილს, მისი ფსიქიკური მდგომარეობის გამო, არ შეეძ-

ლო შეეგნო თავისი მოქმედების მნიშვნელობა, რადგანაც ვ. პ-შვილი დაავადებულია ქრონიკული ფსიქიკური დაავადებით –ქრონიკული (ხანგრძლივი) ბოდვითი აშლილობით. ამის გამო იგი 2004 წლიდან პერიოდულად მკურნალობდა ფსიქიატრიულ დაწესებულებაში. 2009 წლის 24 იანვრის სასამართლო-ფსიქიატრიული ექსპერტიზის დასკვნის საფუძველზე იგი ცნობილია ქმედუწაროდ.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 101-ე მუხლის 1-ლი ნაწილის შესაბამისად ვ. პ-შვილის ინტერესები სამოქალაქო კოლეგიაში უნდა დაეცვა წარმომადგენელს, მაგრამ მას ასეთი წარმომადგენელი არ ჰყავდა, რის გამოც ფაქტობრივად სასამართლო პროცესებზე მხარე იყო უმოქმედოდ.

აღნიშნული გარემოებები სააპელაციო სასამართლოსათვის ცნობილი იყო და ნაცვლად იმისა, რომ საქმე ხელახალი განხილვისათვის დაებრუნებინა სამოქალაქო კოლეგიაში, მ. პ-შვილი დანიშნა ვ. პ-შვილის წარმომადგენლად, ხოლო საქმეზე კანონის დარღვევით გამოიტანა გადაწყვეტილება, კერძოდ არ გამოიყენა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 101-ე მუხლის პირველი ნაწილი, 393-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტი, 394-ე მუხლის „ბ“ ქვეპუნქტი.

ვ. პ-შვილმა სასამართლოს ვერ წარუდგინა საქმის არსებითად გადაწყვეტისათვის მნიშვნელობის მქონე ისეთი მტკიცებულება, რომლითაც დასტურდება რომ ა. ბ-ურის საცხოვრებელი სახლის დაზიანებები მიყენებულია 2002 წლის აპრილში მომხდარი მიწისძვრის შედეგად და სახლს მინიჭებული აქვს დაზიანების მეორე კატეგორია.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2009 წლის 29 ივნისის განჩინებით საკასაციო საჩივარი მიღებულ იქნა წარმოებაში, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 396-ე მუხლით ამავე კოდექსის 391-ე მუხლის შესაბამისად, დასაშვებობის შესამოწმებლად.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 391-ე მუხლის შესაბამისად, შეამოწმა საკასაციო საჩივრის დასაშვებობის საკითხი და თვლის, რომ იგი დაუშვებლად უნდა იქნეს მიჩნეული შემდეგ გარემოებათა გამო:

სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობა საკასაციო საჩივრის დასაშვებობის საკითხს უკავშირებს გარკვეულ შეზღუდვებს და ადგენს იმ დავათა კატეგორიებს, რომლებზეც შეტანილი საკასაციო საჩივარი საკასაციო სასამართლოს მიერ დასაშვებად უნდა იქნეს ცნობილი. აღნიშნული დანაწესები მოცემულია სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 391-ე მუხლში.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ საკასაციო საჩივარი არ არის დასაშვები მითითებული ნორმით გათვალისწინებული არც ერთი საფუძველით.

მოცემული დავის საგანია უკანონო ხელშეშლის აღკვეთა და ზიანის ანაზღაურება. აღნიშნულ საკითხზე არსებობს სასამართლოს პრაქტიკა და აღნიშნული პრაქტიკა ასახულია სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებულ განჩინებაში.

კასატორი ვერ ასაბუთებს და საქმის მასალებითაც არ დასტურდება სააპელაციო სასამართლოს მიერ საქმის განხილვა ისეთი საპროცესო დარღვევით, რაც არსებითად იმოქმედებს საქმის შედეგზე, შესაბამისად, საკასაციო საჩივარი ამ საფუძველითაც დაუშვებელია.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 401-ე მუხლის მესამე ნაწილის თანახმად, თუ საკასაციო საჩივარი დაუშვებლად იქნება მიჩნეული, პირს დაუბრუნდება მის მიერ გადახდილი სახელმწიფო ბაჟის 70%. ამდენად, საკასაციო სასამართლო თვლის, რომ კასატორ მ. პ-შვილს უნდა დაუბრუნდეს მის მიერ გადახდილი სახელმწიფო ბაჟი -300 ლარის 70% -210 ლარი.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 391-ე, 401-ე მუხლებით და

და ა ა დ გ ი ნ ა:

მ. პ-შვილის საკასაციო საჩივარი დარჩეს განუხილველად დაუშვებლობის გამო.

კასატორს დაუბრუნდეს სახელმწიფო ბაჟი -210 ლარი.

საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

საკასაციო საჩივრის დასაშვებობა

განჩინება

#ას-505-816-09

20 ივლისი, 2009 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატა

შემადგენლობა: მ. გოგიშვილი (თავმჯდომარე),

ნ. კვანტალიანი (მომხსენებელი),

ლ. ლაზარაშვილი

დავის საგანი: სამუშაოდან გათავისუფლებით გამოწვეული მატერიალური ზიანის ანაზღაურება

აღწერილობითი ნაწილი:

გ. ი-შვილმა სარჩელი აღძრა სასამართლოში სსიპ "საზოგადოებრივი მაუწყებლის" მიმართ საქტელერადიომაუწყებლობის თავმჯდომარის 2004 წლის 15 სექტემბრის #726-კ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის არარად აღიარებისა და მორალური და მატერიალური ზიანის ანაზღაურების მოთხოვნით შემდეგი საფუძვლებით:

2004 წლის 15 სექტემბრის საქტელერადიომაუწყებლობის თავმჯდომარემ „საჯარო სამართლის იურიდიული პირის შესახებ“ საქართველოს კანონის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის და საქართველოს პრეზიდენტის 1999 წლის 9 დეკემბრის #658-ე ბრძანებულების შესაბამისად დამტკიცებული საქტელერადიომაუწყებლობის წესდების 21-ე მუხლის „ა“ პუნქტის დარღვევით გამოსცა #726-კ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი, რის შესაბამისადაც დამტკიცდა საქტელერადიომაუწყებლობის სამტატო განრიგი და შექმნა ახალი განყოფილება - „სხვადასხვა მომსახურე პერსონალის განყოფილება“.

საქტელერადიომაუწყებლობის თავმჯდომარის ზემოხსენებული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-60 მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, გამოცემისთანავე ითვლება არარად, როგორც არაუფლებამოსილი ორგანოს და არაუფლებამოსილი პირის მიერ გამოცემული.

2004 წლის 30 სექტემბერს საქტელერადიომაუწყებლობის თავმჯდომარემ #726-კ აქტის საფუძველზე გამოსცა #727-კ აქტი, რის შესაბამისადაც გადაწყდა მოსარჩელის ფარული გადანაცვლება ახლად შექმნილ - „სხვადასხვა მომსახურე პერსონალის განყოფილებაში“, რადგანაც გ. ი-შვილი 2004 წლის 27 აპრილიდან 2005 წლის 1 იანვრამდე იმყოფებოდა საავადმყოფო ფურცელზე.

2004 წლის 16 სექტემბერს საქტელერადიომაუწყებლობის თავმჯდომარემ „საჯარო სამართლის იურიდიული პირის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-12 მუხლის პირველი ნაწილის „დ“ ქვეპუნქტის, მე-14 მუხლის პირველი პუნქტის და საქართველოს პრეზიდენტის 1999 წლის 9 დეკემბრის #658-ე ბრძანებულებით დამტკიცებული სსიპ "საქტელერადიომაუწყებლობის" წესდების 21-ე მუხლის „ა“ პუნქტის, 27-ე და 28-ე მუხლების შესაბამისად, ეკონომიკური განვითარების სამინისტროს წარუდგინა საქტელერადიომაუწყებლობის სამტატო განრიგი შესათანხმებლად, თუმცა საქართველოს კონტროლის პალატის აქტიდან და ასევე ეკონომიკური განვითარების სამინისტროდან მიღებული ინფორმაციით ირკვევა, სამინისტროსთან სამტატო განრიგის შეთანხმების დოკუმენტი არ არსებობს. იდენტურ ინფორმაციას წარმოადგენს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს მიერ მიწოდებული განმარტებაც, რომ საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროსა და საქტელერადიომაუწყებლობას შორის საქტელერადიომაუწყებლობის სამტატო განრიგი დამტკიცების თაობაზე ადმინისტრაციული აქტი არ გაფორმებულა.

საქართველოს კონტროლის პალატის აქტს ხელს აწერს საქტელერადიომაუწყებლობის თავმჯდომარე, რითაც ეთანხმება აქტში ასახულ ფაქტს. აღნიშნული გარემოება სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 131-ე მუხლის შესაბამისად წარმოადგენს აღიარებას.

2004 წლის 30 სექტემბერს საქტელერადიომაუწყებლობის თავმჯდომარემ გამოსცა #755-კ ბრძანება, რომლის საფუძველზეც ძალაში შევიდა სახელმწიფო მაკონტროლებელ ორგანოსთან შეუთანხმებელი საქტელერადიომაუწყებლობის სამტატო განრიგი. იმავე დღეს #755-კ ბრძანების საფუძველზე გამოიცა #757-კ აქტი, რითაც "სხვადასხვა მომსახურე პერსონალის განყოფილებაში" გადაანაცვლეს მოსარჩელე, ხოლო გადანაცვლებიდან მეორე დღესვე საქტელერადიომაუწყებლობამ მოსარჩელის საავადმყოფო ფურცლების გადაგზავნა ერთიან სადაზღვევო ფონდში შეწყვიტა, რის შედეგადაც უკანონოდ შეუფერხდა სახელმწიფოს მხრიდან გარანტირებული ფინანსური დახმარების მიღება და მიადგა როგორც მატერიალური ისე მორალური ზიანი.

გ. ი-შვილმა დაზუსტებული სარჩელით მიმართა სასამართლოს და აღნიშნა, რომ სსიპ "საქტელერადიომაუწყებლობის" თავმჯდომარემ 2004 წლის 15 სექტემბერს გამოცემული #726-კ აქტის

საფუძველზე ჯერ „საჯარო სამართლის იურიდიული პირის შესახებ“ საქართველოს კანონის 12.1 მუხლის „დ“ ქვეპუნქტისა და 14 მუხლის დარღვევით დაამტკიცა საქტელერადიომაუწყებლობის სამტატო განრიგი, ხოლო იმავე დღესვე #726-კ აქტის საფუძველზე გამოცემული #727-კ აქტით იგი გადაანაცვლა კანონდარღვევით შექმნილი სამტატო განრიგით გათვალისწინებულ „სხვადასხვა მომსახურე პერსონალის განყოფილებაში“. აღნიშნულ აქტში მოსარჩელე მოხსენებულია მუშაკის სტატუსით, როგორც ხელშეკრულებაზე მყოფი პირი, გადანაცვლების საფუძველად კი მითითებულია შრომის ხელშეკრულება, რაც არარეალურია.

გ. ი-შვილის გადანაცვლება განხორციელდა მისგან ფარულად საავადმყოფო ფურცელზე ყოფნის დროს, რითაც უხეშად დაირღვა „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 88-ე მუხლი. ამასთან, 2006 წლის 21 ნოემბერს სსიპ „საქტელერადიომაუწყებლობის“ მიერ მისთვის მიწოდებული ინფორმაციით ირკვევა, რომ მოსარჩელე არ გადასულა საკონტრაქტო ურთიერთობაზე, რაც საფუძველად დაედო სამსახურიდან მის განთავისუფლებას. სსიპ „საქტელერადიომაუწყებლობის“ ადმინისტრაციამ აღნიშნულ განყოფილებაში გადანაცვლების მეორე დღეს -2 ოქტომბრიდან 31 დეკემბრამდე თვითნებურად შეწყვიტა მოსარჩელის საავადმყოფო ფურცლების გადაგზავნა ერთიან სადაზღვევო ფონდში, ხოლო 2005 წლის 23 მარტს გადასცა ფონდს საავადმყოფო ფურცლები, რასაც ადასტურებს ერთიანი სადაზღვევო ფონდის წერილობითი პასუხი.

სსიპ „საქტელერადიომაუწყებლობის“ თავმჯდომარემ სამტატო განრიგი 2004 წლის 16 სექტემბერს დასამტკიცებლად წარუდგინა სახელმწიფო მაკონტროლებელი ორგანოს ხელმძღვანელს „საჯარო სამართლის იურიდიული პირის შესახებ“ საქართველოს კანონის 12.1 მუხლის „დ“ ქვეპუნქტისა და მე-14 მუხლების შესაბამისად, თუმცა სახელმწიფო ორგანოს სამსახურებრივი ზედამხედველობის განმახორციელებელი პირის მიერ თანხმობა სამტატო განრიგის დამტკიცების შესახებ ვერ მიიღო. აღნიშნულის მიუხედავად, სსიპ „საქტელერადიომაუწყებლობის“ თავმჯდომარის 2004 წლის 30 სექტემბრის #755-კ ბრძანებით ძალაში შევიდა სახელმწიფო მაკონტროლებელ ორგანოსთან შეუთანხმებელი სსიპ „საქტელერადიომაუწყებლობის“ სამტატო განრიგი. #755-კ აქტის საფუძველზე გამოიცა #757-კ აქტი და პირველი ოქტომბრიდან ძალაში შევიდა არარსებული სამტატო განრიგის პირადი შემადგენლობის „სხვადასხვა მომსახურე პერსონალის განყოფილების“ სამტატო განრიგი.

მოსარჩელის განმარტებით, 2005 წლის 2 იანვარს იგი გამოცხადდა კადრების სამმართველოში, თუმცა 3 იანვრიდან 25 იანვრამდე სსიპ „საქტელერადიომაუწყებლობის“ ადმინისტრაციამ, მიუხედავად არაერთი მიმართვისა, არ განუმარტა, თუ რომელ განყოფილებაში იყო დასაქმებული. 25 იანვარს კი 5 იანვრიდან 1-ელ თებერვლამდე „სხვადასხვა მომსახურე პერსონალის განყოფილებასთან“ სახელშეკრულებო უითრეთობის გაფორმება შესთავაზა. კონტრაქტის პროექტი მოიცავდა იმ დღეებსაც, რა დროის განმავლობაშიც მოსარჩელე იძულებით დაუსაქმებელი იყო. აღნიშნულ კონტრაქტს მოსარჩელემ ხელი არ მოაწერა. მხარის განმარტებით, მას შესთავაზეს მეორე კონტრაქტი, რომლის მოქმედებაც განსაზღვრული იყო 25 იანვრიდან 25 თებერვლამდე, თუმცა არავის განუმარტავს, რა აუცილებლობით იყო განპირობებული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი ურთიერთობებიდან კერძო სამართლებრივ ურთიერთობებზე გადასვლა. ამასთან, გ. ი-შვილი არ დაეთანხმა 36 ლარით განსაზღვრულ ხელფასს, მაშინ, როდესაც 2005 წლის პირველი იანვრიდან რეესორის მინიმალური თანამდებობრივი სარგო განისაზღვრა 220 ლარით, ხოლო საშუალო თანამდებობრივი სარგო -1000 ლარით.

მოსარჩელემ ასევე მიუთითა, რომ მიუხედავად იმისა, რომ არ დაეთანხმა კერძო სამართლებრივი უითრეთობებზე გადასვლას, იგი გათავისუფლებულ იქნა როგორც კერძო სამართლებრივ ურთიერთობაში მყოფი მუშაკი.

საბოლოოდ, მოსარჩელემ დააზუსტა მოთხოვნა და მოითხოვა სსიპ „საქტელერადიომაუწყებლობის“ თავმჯდომარის მიერ გამოცემული #726-კ ბრძანებიდან გამომდინარე მისთვის მატერიალური ზიანის სახით 35000 ლარის ანაზღაურება.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2007 წლის 6 ნოემბრის გადაწყვეტილებით გ. ი-შვილის სარჩელი მატერიალური ზიანის ანაზღაურების თაობაზე არ დაკმაყოფილდა.

საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა გ. ი-შვილმა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2008 წლის 28 მარტის განჩინებით სააპელაციო საჩივარი, საქმის მასალებთან ერთად, განსახილველად გადაეცა განსჯად თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატას. განსჯადობის თაობაზე მიღებული განჩინება ასევე გაზიარებულ იქნა საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციული და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2009 წლის 29 იანვრის განჩინებით.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 30 მარტის გადაწყვეტილებით საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის გადაწყვეტილება გა-

უქმდა და მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება, რომლითაც გ. ი-შვილის სარჩელი არ დაკმაყოფილდა შემდეგ გარემოებათა გამო:

სააპელაციო სასამართლომ არ გაიზიარა აპელანტის მოსაზრება, რომ სსიპ „საქტელერადიომაუწყებლობის“ თავმჯდომარის 2004 წლის 15 სექტემბრის #726-კ ბრძანების კანონიერების საკითხის მიუხედავად, აღნიშნული ბრძანებით მიყენებულ ზიანზე პასუხისმგებელია მისი გამომცემი ორგანო, საქართველოს შრომის კანონთა კოდექსის 207-ე მუხლის პირველი ნაწილის საფუძველზე.

სსიპ „საქართველოს ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის“ 2004 წლის 15 სექტემბრის #726-კ ბრძანების არარად აღიარების შესახებ გ. ი-შვილის მოთხოვნაზე შეწყდა საქმის წარმოება იმ საფუძველით, რომ მოსარჩელემ ვერ დაადასტურა აღნიშნული აქტის არარად აღიარების კანონიერი ინტერესი და ვერ მიუთითა იმ სამართლებრივ შედეგზე, რომელიც სარჩელზე მიღებული გადაწყვეტილებით შეიძლებოდა დამდგარიყო, ამდენად სსიპ „საქართველოს ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის“ 2004 წლის 15 სექტემბრის #726-კ ბრძანება უკანონოდ არ არის ცნობილი.

სსიპ „საქართველოს ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის“ 2004 წლის 15 სექტემბრის #727-კ ბრძანებით სსიპ „საქართველოს ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის“ 2004 წლის 15 სექტემბრის #726-კ ბრძანების საფუძველზე ორგანიზაციის საშტატო განრიგისა და სტრუქტურის ცვლილებასთან დაკავშირებით რეჟისორი გ. ი-შვილი -თვიური ხელფასით 31 ლარი, გადანაცვლებულ იქნა „სხვადასხვა მომსახურების განყოფილებაში“.

სსიპ „საქართველოს ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის“ 2005 წლის 25 იანვრის #311-კ ბრძანებით „სხვადასხვა მომსახურე პერსონალის განყოფილების“ რეჟისორის თანამდებობიდან გ. ი-შვილი 2005 წლის 25 იანვარს გათავისუფლდა საქართველოს შრომის კანონთა კოდექსის 30-ე მუხლის „ე“ ქვეპუნქტის შესაბამისად, გათავისუფლების საფუძველად მითითებულია 2005 წლის 25 იანვრის ოქმი, რომელიც შედგა იმის თაობაზე, რომ სსიპ „საქტელერადიომაუწყებლობის“ მუშაკს გადაეცა ახალ პირობებში მუშაობის გაგრძელების თაობაზე შრომის ხელშეკრულება (კონტრაქტი) ხელმოსაწერად, რასაც იგი არ დაეთანხმა.

საქმის მასალებზე დაყრდნობით, პალატამ დადგინოდად მიიჩნია, რომ გ. ი-შვილის სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარს თქმის საფუძველად, სსიპ „საქტელერადიომაუწყებლობის“ 2004 წლის 15 სექტემბრის #272-კ ბრძანებისა და 2005 წლის 25 იანვრის #11-კ ბრძანების ბათილად ცნობის შესახებ, მითითა საქართველოს პრეზიდენტის 2004 წლის 22 მარტის #236 განკარგულებით და სსიპ „საქტელერადიომაუწყებლობის“ 2004 წლის 23 მარტის #8-კ ბრძანებით საქართველოს რადიოტელევიზიის რეორგანიზაციის განხორციელების გამო „საქტელერადიომაუწყებლობის“ სტრუქტურული და საკადრო რეორგანიზაცია მოხდა. სტრუქტურული ცვლილებები შეეხო მეორე არხსაც, რამაც გამოიწვია არხის გაუქმება და აღარ არსებობდა ის სამსახური, სადაც მოსარჩელე მუშაობდა რეორგანიზაციამდე, ამდენად მოსარჩელე გადანაცვლებულ იქნა „სხვადასხვა მომსახურე პერსონალის განყოფილებაში“.

პალატამ მიიჩნია, რომ ვერ დასტურდება აპელანტის მიერ მითითებული სსიპ „საქართველოს ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის“ 2004 წლის 15 სექტემბრის #726-კ ბრძანების საფუძველზე ორგანიზაციის საშტატო განრიგისა და სტრუქტურის ცვლილებასთან დაკავშირებით გ. ი-შვილის „სხვადასხვა მომსახურების განყოფილებაში“ გადანაცვლების უკანონობა, ასევე უსაფუძვლოდ იქნა მიჩნეული აპელანტის მოთხოვნა სხვა განყოფილებაში გადაყვანამდე „მეორე არხზე“ მომუშავე რეჟისორებისათვის გაზრდილი ხელფასის შესაბამისად, მისთვის ყოველთვიურად 320 ლარის ანაზღაურების შესახებ.

პალატამ არ გაიზიარა აპელანტის მოსაზრება, რომ 2005 წლის იანვრიდან რეჟისორის ხელფასი შეადგენდა 320 ლარს, ხოლო მისი ხელფასი არ შეცვლილა და დარჩა 31 ლარი, რადგანაც საქმის მასალებით ირკვევა რომ 2005 წლის იანვრისთვის „სხვადასხვა მომსახურე პერსონალის“ განყოფილებაში რეჟისორის ხელფასი არ შეცვლილა და იგი განისაზღვრებოდა 32 ლარით.

ამასთან, აპელანტის 2005 წლის 26 აპრილის განცხადებით, გ. ი-შვილი დაეთანხმა 2004 წლის ოქტომბრიდან „სხვადასხვა მომსახურების განყოფილებაში“ გადაყვანას და შრომის ანაზღაურების სახით დადგენილ ხელფასს, ასევე მიიღო მის სახელზე დეპონირებული ორი თვის თანხა.

სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საკასაციო წესით გაასაჩივრა გ. ი-შვილმა, მოითხოვა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და საქმის დაბრუნება იმავე სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატისათვის შემდეგი საფუძველებით:

სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის“ საჯარო ინფორმაციის გაცემაზე პასუხისმგებელი პირის 2008 წლის 3 აპრილის განმარტებით სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებელი“, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 2.1 „ა“ მუხლის თანახმად, წარმოადგენს ადმინისტრაციულ ორგანოს. საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 2.1 მუხლის „მ“ ქვეპუნქტისა და ამავე კოდექსის III თავში მოცემული ნორმის საფუძველზე, სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებელი“ უფლებამოსილია, გასცეს საჯარო ინფორმაცია.

სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებელი“ თავისი სამართლებრივი სტატუსით წარმოადგენს ადმინისტრაციულ ორგანოს, რასაც ადასტურებს ის გარემოებაც, რომ საჯარო ინფორმაციის გაცემაზე პასუხისმგებელი პირის თანამდებობის არსებობა, მხოლოდ ადმინისტრაციული ორგანოსთვისაა დამახასიათებელი. სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებელი“ ადმინისტრაციულ ორგანოდ მიიჩნევა ასევე 2005 წლის 18 იანვარს ძალაში შესული „მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონის მეორე მუხლის „ა“ ქვეპუნქტი, მე-15, მე-17, 23.1 მუხლის „ა“ ქვეპუნქტი და 37.1 მუხლის „ა“ ქვეპუნქტი. აღნიშნულ ნორმებს უშუალოდ ეფუძნება სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებელი“ და თავის საქმიანობასა და უფლებამოსილებას სწორედ მითითებულ კანონზე დაყრდნობით ახორციელებს. ამდენად, კასატორის მოსაზრებით, დავის განხილვა და გადაწყვეტა უნდა მომხდარიყო ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით, ხოლო სამოქალაქო საქმეთა პალატის მიერ საქმის განხილვით დაირღვა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 394-ე მუხლის „ა“ ქვეპუნქტი, რაც გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმების საფუძველია.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2009 წლის 7 ივლისის განჩინებით გ. ი-შვილის საკასაციო საჩივარი მიღებულ იქნა წარმოებაში, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 396-ე მუხლით ამავე კოდექსის 391-ე მუხლის შესაბამისად, დასაშვებობის შესამოწმებლად.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 391-ე მუხლის შესაბამისად, შეამოწმა საკასაციო საჩივრის დასაშვებობის საკითხი და თვლის, რომ იგი დაუშვებლად უნდა იქნეს მიჩნეული შემდეგ გარემოებათა გამო:

სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობა საკასაციო საჩივრის დასაშვებობის საკითხს უკავშირებს გარკვეულ შეზღუდვებს და ადგენს იმ დავათა კატეგორიებს, რომლებზეც შეტანილი საკასაციო საჩივარი საკასაციო სასამართლოს მიერ დასაშვებად უნდა იქნეს ცნობილი. აღნიშნული დანაწესები მოცემულია სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 391-ე მუხლში.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ საკასაციო საჩივარი არ არის დასაშვები მითითებული ნორმით გათვალისწინებული არც ერთი საფუძველით.

მოცემული დავის საგანი სამუშაოდან გთავისუფლებით გამოწვეული ზიანის ანაზღაურება. აღნიშნულ საკითხზე არსებობს სასამართლოს პრაქტიკა და აღნიშნული პრაქტიკა ასახულია სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებულ განჩინებაში.

კასატორი ვერ ასაბუთებს და საქმის მასალებითაც არ დასტურდება სააპელაციო სასამართლოს მიერ საქმის განხილვა ისეთი საპროცესო დარღვევით, რაც არსებითად იმოქმედებს საქმის შედეგზე, შესაბამისად, საკასაციო საჩივარი ამ საფუძველითაც დაუშვებელია.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 391-ე მუხლით და

და ა ა დ გ ი ნ ა:

გ. ი-შვილის საკასაციო საჩივარი დარჩეს განუხილველად დაუშვებლობის გამო. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

საკასაციო საჩივრის დასაშვებობა

განჩინება

#ას-383-699-09

23 ივლისი, 2009 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკორტრების საქმეთა პალატა

შემადგენლობა: მ. სულხანიშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),

რ. ნადირიანი,

თ. თოდრია

დავის საგანი: სამკვიდრო მოწმობის გაუქმება, მემკვიდრედ აღიარება, სამკვიდროს საკუთრებაში აღრიცხვა

აღწერილობითი ნაწილი:

2008 წლის 2 მაისს ქობულეთის რაიონულ სასამართლოს სარჩელით მიმართა დ. ც-მემ და ნ. ბ-მემ მოპასუ ზ. ც-ძის მიმართ. მოსარჩელებმა ქობულეთის რაიონული სასამართლოს 2000 წლის 15 ივლისის კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების, სამკვიდრო ქონების სამოქალაქო კოდექსით დადგენილ ვადაში მიუღებლობის მოტივით მოითხოვეს ნოტარიუს მ. კ-ძის მიერ 2008 წლის 17 აპრილს ზ. ც-ძის სახელზე გაცემული სამკვიდრო მოწმობის გაუქმება, აწ გარდაცვლილ ე. ც-ძის დანაშთ სამკვიდრო ქონებად ქ. ქობულეთში, ... ქ.#331-ში მდებარე, ე. ც-ძის საკუთრებაში არსებული და თ. ც-ძეზე საკუთრების უფლებით გამოყოფილი 83,7 კვ.მ-ის ნ. ბ-ძე-სა და თ. ც-ძეზე საკუთრების უფლებით გამოყოფილი 83,7 კვ.მ-ის ნ. ბ-ძის საკუთრებაში აღრიცხვა და წინასწარ გადახდილი სახელმწიფო ბაჟის მოპასუხისათვის დაკისრება.

ქობულეთის რაიონული სასამართლოს 2008 წლის 12 აგვისტოს გადაწყვეტილებით დ. ც-ძისა და ნ. ბ-ძის სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ - გაუქმდა ნოტარიუს მ. კ-ძის მიერ 2008 წლის 17 აპრილს გაცემული სამკვიდრო მოწმობა ზ. ც-ძის სახელზე, რომლითაც მას მიეკუთვნა ქ. ქობულეთში, ...ქ. #331-ში მდებარე 300 კვ.მ. მიწის ნაკვეთი და 192,5 კვ.მ საცხოვრებელი სახლის 1/2. ე. ც-ძის დანაშთ სამკვიდრო ქონებად განისაზღვრა ქ. ქობულეთში, ...ქ.#331 მდებარე 108,8 კვ.მ სამკვიდრო ქონების მესაკუთრედ, რომელიც საკუთრების უფლებით ეკუთვნოდა ე. ც-ძეს და რომელიც მისი გარდაცვალების შემდეგ ფაქტობრივი ფლობით მიღებული ჰქონდა თ. ც-ძეს.

ქობულეთის რაიონული სასამართლოს 2000 წლის 15 ივნისის გადაწყვეტილებით ნ. ბ-ძეზე და თ. ც-ძეზე საკუთრების უფლებით გამოყოფილი 83,7 კვ.მ-ის ნ. ბ-ძის საკუთრებაში აღრიცხვის თაობაზე სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

აღნიშნული გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა ზ. ც-მემ, რომლითაც მიღებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილების მიღებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა მოითხოვა.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2009 წლის 4 თებერვლის გადაწყვეტილებით ზ. ც-ძის სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა.

სააპელაციო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები:

ე. ც-ძეს ჰყავდა ორი შვილი: თ. და რ. ც-ძეები.

გარდაცვალების მოწმობის ასლით დგინდება, რომ თ. ც-ძე გარდაიცვალა 2003 წლის 29 აგვისტოს. რ. ც-ძე არის ზ. ც-ძის მამა.

ქორწინების მოწმობის ასლით დგინდება, რომ თ. ც-ძე და ნ. ბ-ძე დაქორწინდნენ 1984 წლის 17 მაისს.

დაბადების მოწმობის ასლით დგინდება, რომ დ. ც-ძე არის თ. ც-ძისა და ნ. ბ-ძის შვილი.

სააპელაციო პალატამ ზემოთ მითითებული ფაქტობრივი გარემოებების გათვალისწინებით, რომ რ. ც-ძის მემკვიდრეა ზ. ც-ძე, ხოლო თ. ც-ძის მემკვიდრეები არიან დ. ც-ძე და ნ. ბ-ძე.

სააპელაციო პალატამ საქმეში არსებული 1998 წლის 29 ივნისის ნოტარიულად დადასტურებული კანონისმიერი სამკვიდრო მოწმობით დაადგინა, რომ 1977 წლის 14 ნოემბერს გარდაცვლილი ზ. ც-ძის სამკვიდრო ქონება შედგებოდა ქობულეთში, ... ქ. #331-ში მდებარე სახლი 4/5, საერთო სარგებლობის-181,0 კვ.მ. საცხოვრებელი -139,4 კვ.მ დამხმარე-41,6 კვ.მ, აშენებული 300 კვ.მ-ზე.

ქობულეთის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს სხდომის 1958 წლის 12 მარტის გადაწყვეტილებისა და ქობულეთის ტექნიკური ინვენტარიზაციის ბიუროს მიერ 1998 წლის 29 ივნისის გაცემული #173 ცნობა-დახასიათების საფუძველზე მემკვიდრედ ცნობილი იქნა ე. ც-ძე.

საცხოვრებელი ბინის პრივატიზაციის შესახებ ხელშეკრულებით დადასტურდა, რომ 1997 წლის 15 ივნისს ე. ც-მეს უსასყიდლოდ საკუთრებაში გადაეცა ქ. ქობულეთში ... ქ.#331-ში მდებარე ორი ოთახისაგან შემდგარი საცხოვრებელი 35 კვ.მ. ბინა.

ამდენად ქ. ქობულეთში ... ქ. #331-ში მდებარე საცხოვრებელი სახლის 4/5-ის საერთო სა-სარგებლო 181,0 კვ.მ და 300 კვ.მ მიწის ნაკვეთის მესაკუთრე გახდა ე. ც-მე.

პირადობის მოწმობის ასლით დადგინდა, რომ პრივატიზაციის ხელშეკრულების გაფორმების დროისათვის ზ. ც-მე რეგისტრირებული იყო სადავო ფართზე.

პალატამ ჩათვალა, რომ სადავო ქონებაზე უფლება მოპოვებული ჰქონდა რ. ც-მესაც და თ. ც-მესაც. ამდენად, მოცემულ შემთხვევაში სამართლებრივად ქონებაზე უფლება მოპოვებული ჰქონდა ზ. ც-მესაც. მიუხედავად იმისა, რომ ნომინალურად ქონება მხოლოდ ვ.ც-ძის სახელზე იყო და-რეგისტრირებული.

საჯარო რეესტრის ამონაწერით დადგინდა, რომ ქ. ქობულეთში ... ქ.#331-ში მდებარე საცხოვრებელი სახლის 4/5 ნაწილის საერთო სასარგებლო 181,0 კვ.მ-ით და 300 კვ.მ. მიწის ნაკვეთის მესაკუთრეა ე. ც-მე.

სააპელაციო პალატის განმარტებით, მართალია საქმეშია ქობულეთის რაიონული სასამართლოს 2000 წლის 15 ივნისის გადაწყვეტილება, რომლითაც დგინდება, რომ ე. ც-ძის საკუთრებას წარ-მოადგენდა სადავო სახლის 108.8 კვ.მ დანარჩენი კი თ. ც-ძის საკუთრებას. თუმცა საჯარო რე-ესტრის ჩანაწერი ითვლება სწორად, ვიდრე არ დადგინდება მისი უტყუარობა.

1998 წლის 30 ივნისის ნოტარიულად დამოწმებული ე. ც-ძის ანდერძით დადგინდა, რომ ქობულეთში, ... ქ.#331-ში მდებარე სახლი თანაბარწილად უანდერძა შვილებს -რ. და თ. ც-ძეს.

ანდერძის კანონშესაბამისობა მხარეებს სადავოდ არ გაუხდიათ.

პალატის განმარტებით, განსახილველ შემთხვევაში რ. და თ. ც-ძეები წარმოადგენენ ანდერძით მემკვიდრეებს. შესაბამისად, ქონება უნდა გაიყოს ორ თანამემკვიდრეზე.

ამდენად, ანდერძის თანახმად, ... ქ.#331-ში მდებარე საერთო სასარგებლო 181,0 კვ.მ და 300 კვ.მ-ის მიწის ნაკვეთის წილის მესაკუთრეა თ. ც-მე, ხოლო დანარჩენი S ნაწილისა -რ. ც-მე.

სასამართლომ არ გაიზიარა მოწინააღმდეგე მხარის განმარტება, რომ ზ.ც-ძეს ფაქტობრივი ფლობით არ მიუღია სამკვიდრო ქონება, რადგან მისი მამა რ. ც-მე 1994 წლიდან საცხოვრებლად გადავიდა სხვა მისამართზე. ის განმარტება, რომ ზ. ც-ძის მამა ჩაწერილი იყო და ცხოვრობდა მეუღლის მიერ შეძენილ ბინაში არ წარმოადგენს დამადასტურებელ მტკიცებულებას, რომ მან უარი განაცხადა სამკვიდროს მიღებაზე ან ფაქტობრივი ფლობით არ მიიღო სამკვიდრო ქონება.

პალატის განმარტებით, სადავო სახლში რ. ც-ძის მეუღლის მოძრავი ნივთების განლაგება, ასევე, ზ. ც-ძის რეგისტრაციის ფაქტი ანდერძის შედგენამდე, ასევე, ვინაიდან მხარეთა მიერ სა-დავო არ არის ფაქტი, რომ მხარეებს შორის არსებობდა დავა სადავო ქონების მესაკუთრის დადგე-ნის და სასამართლოში სარჩელის მიმართვისა უტყუარად ადასტურებს ფაქტობრივ გარემოებას, რომ ზ. ც-მე ფაქტობრივად ფლობდა ე. ც-ძის დანაშთ ქონებას, რომლის განკარგვაში ხელს უშლიდა დ. ც-მე და ნ. ბ-მე.

გარდაცვალების მოწმობის ასლით დადგინდა, რომ ე. ც-მე გარდაიცვალა 2001 წლის 11 თებერვალს. სამკვიდრო ქონების მიღების 6 თვიანი ვადის ათვლა დაიწყო ე. ც-ძის გარდაცვალე-ბის შემდეგ -2001 წლის 11 თებერვალს.

პირადობის მოწმობის ასლით დადგინდა, რომ ზ. ც-მე ცხოვრობს ქობულეთში, ... ქ.#331-ში.

სააპელაციო პალატამ საქმის მასალებით დაადგინა, რომ ნოტარიუსისათვის სამკვიდრო მოწმო-ბის მიღების მოთხოვნით 2008 წლის 17 აპრილამდე არ მიუმართავთ არც ნ. ბ-ძეს, არც დ. ც-ძეს. ნოტარიუსს მიმართა სამკვიდრო მოწმობის გაცემის მოთხოვნით რ. ც-ძემ.

პალატის განმარტებით, შვილიშვილი მხოლოდ მაშინ ვერ გახდება მემკვიდრე, თუ მისმა მშო-ბელმა უარი თქვა სამკვიდრო ქონებიდან თავისი წილის მიღებაზე. განსახილველ შემთხვევაში მხა-რეთა მიერ არ არის წარმოდგენილი რაიმე მტკიცებულება, რომ ზ. ც-ძის მამამ უარი განაცხადა მისი წილი სამკვიდრო ქონების მიღების თაობაზე. უფრო მეტიც, სააპელაციო სასამართლოში ნო-ტარიუსის ახსნა-განმარტებით დგინდება, რომ აწ გარდაცვლილმა რ.ც-ძემ მიმართა მას თავისი წილი სამკვიდროს მიღების თაობაზე, თუმცა, ვინაიდან მას არ ჰქონდა საჭირო თანხა, ვერ შეძ-ლო სამემკვიდრეო მოწმობის აღება.

პალატა თვლის, რომ საქმეში არსებული ანდერძის თანახმად ფაქტობრივად ქონება მიიღო ორმა მემკვიდრემ, შესაბამისად, სახლი გაიყო ორ ნაწილად. აღნიშნულიდან გამომდინარე, იგულისხმე-ბა, რომ დასახელებული ნაწილები მემკვიდრეობით ეკუთვნით რ. ცენტერძისა და თ. ც-ძის მემკვიდრეებს.

აღნიშნული გადაწყვეტილება საკასაციო საჩივრით გაასაჩივრა დ. ც-ძისა და ნ. ბ-ძის წარმომადგენელმა რ. შ-ძემ.

კასატორების განმარტებით, ნოტარიუსთან წარდგენილი მასალებით დასტურდება, რომ ზ. ც-ძის მამა რ. ც-ძე გარდაიცვალა 2007 წლის 17 დეკემბერს დედის -ე. ც-ძის გარდაცვალებიდან დაახლოებით 6 წლის შემდგომ, რისი გათვალისწინებითაც სანოტარო ორგანოში განცხადების წარმდგენი პირი ზ. ც-ძე ვერ ჩაითვლებოდა ბებუის -ე. ც-ძის I რიგის მემკვიდრედ, არამედ ნოტარიუსს უნდა დაედგინა, ე. ც-ძის ქონება მიღებული ჰქონდა თუ არა მის მემკვიდრეს -რ. ც-ძეს და თუ ჩათვლიდა, რომ ე. ც-ძის ქონება რაიმე ფორმით მის შვილს მიღებული ჰქონდა, სწორედ რ. ც-ძის მიერ მიღებულ ქონებაზე უნდა მიჩნეულიყო ზ. ც-ძე მემკვიდრედ და თანაც როგორც მისი მამის I რიგის მემკვიდრე და არა ბებუის I რიგის მემკვიდრედ.

კასატორების განცხადებით, სამკვიდრო მოწმობაში ნოტარიუსის მიერ თითქოსდა დადასტურებულია ფაქტი მის შესახებ, რომ ე. ც-ძის ქონება ფაქტობრივი ფლობით მიიღო შვილმა რ. ც-ძემ და არ გაიფორმა. აღნიშნული ფაქტობრივი გარემოების დადასტურებასა და სარწმუნოდ მიჩნევას ნოტარიუსის მხრიდან საფუძვლად უდევს მასთან წარდგენილი საჯარო რეესტრის ამონაწერი, რომელიც მხოლოდ და მხოლოდ ადასტურებს გარდაცვლილი ე. ც-ძის საკუთრების უფლებას ქონებაზე და აღწერს ქონების დახასიათებას. შესაბამისად, ნოტარიუსის მიერ არასწორად იქნა დადგენილი საქმის ფაქტობრივი გარემოება.

კასატორების აზრით, ვინაიდან ნოტარიუსს არ გააჩნია საკმარისი მტკიცებულება ე. ც-ძის სამკვიდრო ქონების რ. ც-ძის მიერ ფაქტობრივი ფლობით მიღების დასადასტურებლად, ასევე, მასთან განცხადების შეტანის გზით რ. ც-ძეს არ ჰქონდა მიღებული სამკვიდრო, იგი ვალდებული იყო, განმცხადებლის ზ. ც-ძისათვის ამ მოტივით უარი ეთქვა სამკვიდრო მოწმობის გაცემაზე, უკვე ბებუის დანატოვარ ქონებაზე, რომელიც მის მამას არ ჰქონდა მიღებული. სწორედ ასეთი გარემოებების გათვალისწინებით გასაჩივრებული გადაწყვეტილება სამკვიდროს მოწმობის კანონიერად მიჩნევის შესახებ დაუსაბუთებელია.

კასატორის განმარტებით, დედის გარდაცვალების შემდგომ ზ. ც-ძეს მთელი 6 წლის განმავლობაში სამკვიდროს გახსნის დროიდან არ გამოუხატავს თავისი ნება სამკვიდროს მიღებაზე. პირიქით, მის მიერ სამკვიდრო ქონების მიღებასთან დაკავშირებით პასიური დამოკიდებულება უთანაბრდება სამკვიდრო ქონების მიღებაზე უარის თქმას, რაც, თავის მხრივ, ზ. ც-ძეს როგორც შვილიშვილს, უსპობს საერთოდ ჩაითვალოს მემკვიდრედ სადავო სამკვიდროზე.

კასატორის აზრით, არაფრისმოქმელი და მტკიცებულებაზე დაყრდნობის გარეშე დადასტურებული სააპელაციო სასამართლოს მითითება იმის შესახებ, რომ ვინაიდან ქონებაზე არსებობდა ე. ც-ძის მიერ გარდაცვალებამდე მემკვიდრეებზე გაცემული ანდერძი უნდა ჩაითვალოს, რომ რ. ც-ძის მიერ სამკვიდრო მიღებული იქნა.

კასატორის განცხადებით, ფაქტობრივ გარემოებას, რომ რ. ც-ძეს არ მიუღია მამკვიდრებლის დანაშთი სამკვიდრო ქონება დამატებით ისიც ადასტურებს, რომ საქმეში წარმოდგენილია ქობულეთის რაიონული სასამართლოს 2000 წლის 15 ივნისის გადაწყვეტილება სადაც მითითებულია, თუ როგორც ადასტურებს მამკვიდრებელი თვით ე. ც-ძე, რომ მისი შვილი რ. ც-ძე დავის მომენტი-სათვის მათთან აღარ ცხოვრობს და გადასულია საცხოვრებლად სხვა მისამართზე ოჯახთან ერთად. მოცემული ფაქტობრივი გარემოება აძლიერებს იმის ვარაუდსა და დასკვნის გაკეთების შესაძლებლობას, რომ რ. ც-ძეს დედის დანატოვარ სამკვიდრო ქონებასთან არანაირი, არც სამართლებრივი და არც ფაქტობრივი შეხება არ გააჩნდა, რაც თავისთავად მის მემკვიდრეს, შვილს - ზ. ც-ძეს უსპობს უფლებას მიიღოს ბებუის დანატოვარი ის სამკვიდრო ქონების ნაწილი, რომელიც მის მამას არ მიუღია.

კასატორის აზრით, სააპელაციო სასამართლოს მხრიდან არასწორი სამართლებრივი შეფასება მიეცა საქმეში არსებულ ანდერძს, მაშინ, როცა აღნიშნა, რომ ანდერძი დღესაც ძალაშია და იგი სადავო არ გამხდარა. მართალია, ანდერძი ძალაშია, შესაბამისად, იგი სადავო არ გამხდარა, მაგრამ არსებითია ის გარემოება, რომ მასში მითითებულ ანდერძის მემკვიდრეს -რ. ც-ძეს ნაანდერძევი ქონება არ მიუღია, რის გამოც ანდერძზე აპელირება და მისი გათვალისწინებით რ. ც-ძის მიერ ქონების მიღებულად ჩათვლა უსაფუძვლოა, უფრო მეტიც, შექმნილი ვითარებიდან გამომდინარე, ანდერძი დღეისათვის არანაირი საქმისათვის მნიშვნელობის მქონე მტკიცებულებას აღარ წარმოადგენს.

კასატორის განცხადებით, სააპელაციო სასამართლომ გასაჩივრებული განჩინებით უხეშად დაარღვია საპროცესო ნორმები, გასაჩივრებული განჩინება იურიდიულად არ არის საკმარისად დასაბუთებული. ამასთან, მისი დასაბუთება იმდენად არასრულია, რომ მისი სამართლებრივი საფუძვლიანობის შემოწმება შეუძლებელია.

კასატორებმა მოითხოვეს გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და საქმეზე ახალი გადაწყვეტილების მიღება.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის შესწავლის, საკასაციო საჩივრის დასაშვებობის შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ დ. ც-ძის და ნ. ბ-ძის საკასაციო საჩივარი არ აკმაყოფილებს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 391-ე მუხლის მოთხოვნებს, რის გამოც მიჩნეულ უნდა იქნეს დაუშვებლად შემდეგ გარემოებათა გამო:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 391-ე მუხლის მეხუთე ნაწილის მიხედვით, საკასაციო საჩივარი სხვა ქონებრივ და არაქონებრივ დავებში დასაშვებია, თუ: ა) საქმე მნიშვნელოვანია სამართლის განვითარებისა და ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკის ჩამოყალიბებისათვის; ბ) სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება განსხვავდება ამ კატეგორიის საქმეებზე საქართველოს უზენაესი სასამართლოს მანამდე არსებული პრაქტიკისაგან; გ) სააპელაციო სასამართლოს მიერ საქმე განხილულია მნიშვნელოვანი საპროცესო დარღვევით, რომელსაც შეეძლო არსებითად ემოქმედა საქმის განხილვის შედეგებზე; დ) გასაჩივრებულია სააპელაციო სასამართლოს მეორე დაუსწრებელი გადაწყვეტილება ან განჩინება დაუსწრებელი გადაწყვეტილების უცვლელად დატოვების თაობაზე.

ზემოაღნიშნული ნორმები განსაზღვრავს იმ მოთხოვნებს, რომელთაც საკასაციო საჩივარი უნდა შეიცავდეს და ეფუძნებოდეს.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ წარმოდგენილი საკასაციო საჩივარი არ არის დასაშვები სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 391-ე მუხლით გათვალისწინებული არც ერთი მითითებული საფუძვლით.

საკასაციო საჩივარი არ არის დასაშვები არც სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილების საკასაციო სასამართლოს სტაბილური პრაქტიკისაგან განსხვავების არსებობის საფუძველით.

ამასთან, საკასაციო საჩივრის განხილვისა და საკასაციო სასამართლოს ახალი გადაწყვეტილების მიღების საჭიროება არ არსებობს არც სამართლის განვითარებისა და ერთგვაროვანი პრაქტიკის ჩამოყალიბების თვალსაზრისით.

ყოველივე აღნიშნულიდან გამომდინარე, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 391-ე მუხლის საფუძველზე, საკასაციო სასამართლო არ არის უფლებამოსილი, დაუშვას დ. ც-ძის და ნ. ბ-ძის საკასაციო საჩივარი, რის გამოც კასატორებს უარი უნდა ეთქვას საკასაციო საჩივრის განხილვაზე.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 401-ე მუხლის მესამე ნაწილის თანახმად თუ საკასაციო საჩივარი დაუშვებლად იქნება მიჩნეული, პირს დაუბრუნდება მის მიერ გადახდილი სახელმწიფო ბაჟის 70%. ამდენად საკასაციო პალატა თვლის, რომ დ. ც-ძეს და ნ. ბ-ძეს უნდა დაუბრუნდეთ ა. ბ-ძის მიერ გადახდილი სახელმწიფო ბაჟი - 625 ლარის 70%, რაც შეადგენს 437.5 ლარს.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 391-ე მუხლით და

და ა ა დ გ ი ნ ა :

- დ. ც-ძის და ნ. ბ-ძის საკასაციო საჩივარი, როგორც დაუშვებელი დარჩეს განუხილველად.
- დ. ც-ძეს და ნ. ბ-ძეს უნდა დაუბრუნდეთ ა. ბ-ძის მიერ გადახდილი სახელმწიფო ბაჟი - 437.5 ლარი.
- საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

საკასაციო საჩივრის დასაშვებობა

განჩინება

#ას-523-833-09

27 ივლისი, 2009 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატა

შემადგენლობა: მ. გოგიშვილი (თავმჯდომარე),
ლ. ლაზარაშვილი (მომხსენებელი),
ნ. კვანტალიანი

დავის საგანი: ქონების გაყოფა

აღწერილობითი ნაწილი:

2008 წლის 19 თებერვალს ფოთის საქალაქო სასამართლოს სასარჩელო განცხადებით მიმართა ნ. გ-შვილმა მოპასუხე ტ. გ-შვილის მიმართ. მოსარჩელემ მოითხოვა: ა) ტ. გ-შვილთან 1986 წლის 12 დეკემბერს რეგისტრირებული ქორწინების შეწყვეტა; ბ) თანასაკუთრებაში არსებული ქონების ნახევარის კომპენსაციის ანაზღაურება, კერძოდ: ავტომანქანა "მერსედეს ბენც 300 D-ს" ღირებულების ნახევარი -6000 ლარი და ავტოფარების საფასურის ნახევარი -1000 ლარი; გ) პირადი ნივთებისა და თანასაკუთრებაში არსებული ავეჯის ნაწილის დაბრუნება.

სასარჩელო განცხადებაში აღნიშნულია, რომ ნ. გ-შვილი რეგისტრირებულ ქორწინებაში იმყოფება ტ. გ-შვილთან. თანაცხოვრების პერიოდში -1994 წლის 25 ოქტომბერს შეეძინათ შვილი ტ. გ-შვილი. ამავე პერიოდში მეუღლეებმა შეიძინეს ორი ბინა, რომელთაგან ერთი ირიცხება ტ. გ-შვილის, ხოლო მეორე -ნ. გ-შვილის სახელზე. გარდა ამისა, მხარეებმა 2005 წელს შეიძინეს ავტომანქანა "მერსედეს ბენცი", რომლის ღირებულება, აუდიტორული დასკვნის თანახმად, შეადგენს 12 000 ლარს. მათვე გააჩნიათ ავტოფარები, რომლის საბაზრო ღირებულება, აუდიტორული დასკვნის მიხედვით, 2000 ლარია.

ბოლო პერიოდში მხარეებს შორის ურთიერთობა მნიშვნელოვნად დაიძაბა, ხოლო 2007 წლის 12 აპრილს მოპასუხემ მოსარჩელე და შვილი სახლიდან გააძევა. ამის შემდგომ ნ. გ-შვილი შვილთან ერთად ცხოვრობს მშობლების ოჯახში.

სარჩელის დაკმაყოფილების სამართლებრივ საფუძვლად ნ. გ-შვილმა მიუთითა სამოქალაქო კოდექსის 1127-ე მუხლის მე-3 ნაწილზე, 1158-ე მუხლის პირველ ნაწილზე, 1161-ე, 1164-ე მუხლებზე.

2008 წლის 1 აპრილს იმავე სასამართლოს შეგებებული სარჩელით მიმართა ტ. გ-შვილმა, რომელმაც მოითხოვა ნ. გ-შვილისათვის თავის სასარგებლოდ 2034 ლარის დაკისრება. მანვე მიუთითა, რომ მოსარჩელეს თავისი მშობლების სახლში (ფოთი, ... ქ. #17) გახსნილი ჰქონდა სავაჭრო ობიექტი (მაღაზია), რომლის ამუშავებისათვის ფინანსები მთლიანად ტ. გ-შვილმა გაიღო. აუდიტორული დასკვნის თანახმად, მოცემულ სავაჭრო ობიექტზე განთავსებული საქონლის ღირებულება შეადგენდა 4068 ლარს. თავდაპირველად შეგებებული მოსარჩელის მიერ გაწეულ იქნა 11000 ლარის ხარჯი, რასაც ნ. გ-შვილი ვერ უარყოფდა.

მოსარჩელის მოთხოვნებთან დაკავშირებით ტ. გ-შვილმა აღნიშნა, რომ იგი სარჩელს ცნობდა როგორც განქორწინების, ასევე, პირადი და თანასაკუთრებაში არსებული რიგი ნივთების მოსარჩელისათვის დაბრუნების ნაწილში. რაც შეეხებოდა სარჩელის დანარჩენ მოთხოვნებს, მათთან დაკავშირებით შეგებებული სარჩელის ავტორმა მიუთითა შემდეგზე:

ავტომანქანა, რომლის ღირებულების ნახევარსაც მოსარჩელე მოითხოვდა, ჯერ კიდევ სარჩელის აღძვრამდე ტ. გ-შვილის ვალის -4000 აშშ დოლარის სანაცვლოდ გადაცემულ იქნა სხვა პირზე. შეგებებული მოსარჩელის საკუთრებას ასევე არ წარმოადგენდა ავტოფარები, რომელიც მას გადაცემული ჰქონდა დროებით სარგებლობაში. ამდენად, აღნიშნული მოთხოვნების ნაწილში სარჩელი არ ექვემდებარებოდა დაკმაყოფილებას.

ფოთის საქალაქო სასამართლოს 2008 წლის 22 დეკემბრის გადაწყვეტილებით ნ. გ-შვილის სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა -შეწყდა ტ. გ-შვილსა და ნ. გ-შვილს შორის 1986 წლის 12 დეკემბერს ფოთის მოქალაქეობრივი მდგომარეობის აქტების ჩამწერ განყოფილებაში რეგისტრირებული ქორწინება; ტ. გ-შვილის შეგებებული სარჩელი დაკმაყოფილდა -ნ. გ-შვილს მოპასუხის სასარგებლოდ დაეკისრა 2034 ლარის გადახდა, განქორწინების მოწმობის გაცემისას გადასახდელი ბაჟი -50 ლარი მხარეებს სოლიდარულად დაეკისრათ; ტ. გ-შვილს მის მიერ გადახდილი სახელმწიფო ბაჟიდან -150 ლარიდან დაუბრუნდა 75 ლარი.

საქალაქო სასამართლომ საქმეზე დადგინებულ ფაქტობრივად აღარ არსებობდა. ამასთან, მიუხედავად

სასამართლოს მიერ მიღებული ზომებისა, მეუღლეთა შერიგება, მათი შემდგომი ერთად ცხოვრება და ოჯახის შენარჩუნება შეუძლებელი იყო.

საქმეში არსებული ტრანსპორტის სარეგისტრაციო მოწმობით, თ. გოგონიასა და ნ. თ-შვილის ხელწერილებით, ასევე მოწმეების: ნ. თ-შვილისა და თ. ლლონტის ჩვენებებით დგინდებოდა, რომ ავტომანქანა "მერსედეს ბენც D 300" წარმოადგენდა ნ. თ-შვილის საკუთრებას და რეგისტრირებული იყო მასზე. აღნიშნული ავტომანქანა ტ. გ-შვილმა მას გადასცა ვალის სანაცვლოდ.

იმ მიზეზით, რომ სასამართლო სხდომაზე მოსარჩელემ ცნო შეგებებული სარჩელი 2034 ლარის დაკისრების თაობაზე, ხოლო მოპასუხემ ცნო სარჩელი განქორწინების ნაწილში, საქალაქო სასამართლომ მიიჩნია, რომ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-3 მუხლის მე-2 ნაწილიდან გამომდინარე, ორივე დასახელებული მოთხოვნა დაკმაყოფილებას ექვემდებარებოდა.

ამასთან, საქალაქო სასამართლოს მოსაზრებით, ვინაიდან დგინდებოდა, რომ ავტომანქანა "მერსედეს ბენც D 300" იყო სხვა პირის, კერძოდ, ნ. თ-შვილის საკუთრება და არ წარმოადგენდა მეუღლეთა თანასაკუთრებას, არ არსებობდა მისი, როგორც მეუღლეთა თანასაკუთრებაში არსებული ქონების, გაყოფის საფუძველი. რაც შეეხებოდა ავტოფარებს, მოსარჩელემ ვერ წარადგინა მტკიცებულება, კერძოდ, ამონაწერი საჯარო რეესტრიდან, რითაც დადასტურდებოდა ავტოფარებსზე ტ. გ-შვილის საკუთრების უფლება.

სამოქალაქო კოდექსის 183-ე მუხლის თანახმად, უძრავი ნივთის შესაძენად აუცილებელია გარიგების წერილობითი ფორმით დადება და შემდგომში ამ გარიგებით განსაზღვრული საკუთრების უფლების რეგისტრაცია საჯარო რეესტრში. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე მუხლის მე-3 ნაწილის მიხედვით, საქმის გარემოებები, რომლებიც, კანონის თანახმად, უნდა დადასტურდეს გარკვეული სახის მტკიცებულებებით, არ შეიძლება დადასტურდეს სხვა სახის მტკიცებულებებით.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, საქალაქო სასამართლომ მიიჩნია, რომ ნ. გ-შვილის სარჩელი განქორწინების ნაწილში, ხოლო ტ. გ-შვილის სარჩელი სრულად, დაკმაყოფილებას ექვემდებარებოდა. ამასთან, დანარჩენ ნაწილში სარჩელის დაკმაყოფილების საფუძველი არ არსებობდა.

პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება სარჩელის დაუკმაყოფილებელ ნაწილში სააპელაციო წესით გაასაჩივრა ნ. გ-შვილმა, რომელმაც მოითხოვა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით მოპასუხისათვის მის სასარგებლოდ ავტომანქანისა და ავტოფარების ღირებულების ნახევარის, მთლიანობაში 7000 ლარის დაკისრება.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 6 აპრილის გადაწყვეტილებით ნ. გ-შვილის სააპელაციო საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა - გაუქმდა ფოთის საქალაქო სასამართლოს 2008 წლის 22 დეკემბრის გადაწყვეტილება ნ. გ-შვილის სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის ნაწილში, ნ. გ-შვილის სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა - მას მიეკუთვნა ფოთში, ... ქ. #4/9-ში არსებული შემდეგი დასახელების ნივთები: ა) საკერავი მანქანა; ბ) 4 ცალი ბალიში (ორი დიდი, ორი პატარა); გ) წყლის დიდი ავზი; დ) ხისფერი ჩეხური გარნიტური; ტანსაცმლის კარადისა და კომოდის მიკუთვნების ნაწილში დავის საგნის არარსებობის გამო შეწყდა საქმის წარმოება; ჭურჭლეულის მიკუთვნების ნაწილში სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა დაუსაბუთებლობის გამო; დანარჩენ ნაწილში გადაწყვეტილება დარჩა უცვლელი.

საქმეში არსებული მტკიცებულებების ერთობლიობაში შეფასების შედეგად სააპელაციო სასამართლომ დასაუსაბუთებლად მიიჩნია აპელანტის მოთხოვნა 7000 ლარის მოპასუხისათვის დაკისრების შესახებ, რომელთაგან 1000 ლარი არის ქორწინების განმავლობაში შეძენილი ავტოფარების ღირებულების ნახევარი, ხოლო 6000 ლარი ავტომანქანის ღირებულების ნახევარი.

საქმეზე დგინდებოდა, რომ სადავო ავტოფარები, რომლის ღირებულების ნახევარსაც მოსარჩელე ითხოვდა, არ იყო რეგისტრირებული მოსარჩელის ან მოპასუხის საკუთრებად. სამოქალაქო კოდექსის 183-ე მუხლის თანახმად, უძრავი ნივთის შესაძენად აუცილებელია გარიგების წერილობითი ფორმით დადება და შემდგომში რეგისტრაცია საჯარო რეესტრში. უძრავ ნივთზე რაიმე სამართლებრივ უფლებას მხოლოდ რეგისტრირებული უფლება წარმოშობს, სხვა შემთხვევაში უძრავი ნივთი ვერ გახდება სამართლებრივი ბრუნვის ობიექტი.

სააპელაციო სასამართლომ ასევე დაუსაბუთებლად მიიჩნია მოპასუხისათვის ავტომანქანის ღირებულების ნახევარის დაკისრება, რამდენადაც საქმეში არსებული ტრანსპორტის სარეგისტრაციო მოწმობით, მოპასუხესა და ნ. თ-შვილს შორის დადებული ხელშეკრულებითა და მოწმეთა ჩვენებებით დგინდებოდა, რომ ავტომანქანა "მერსედეს ბენც D 300", რომლის ღირებულების ნახევარსაც ითხოვდა მოსარჩელე, აღარ წარმოადგენდა ტ. გ-შვილის საკუთრებას, იგი იყო ნ. თ-შვილის საკუთრება და რეგისტრირებულიც სწორედ მასზე იყო.

ზემოაღნიშნულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით (მოწმის ჩვენება, სესხის ხელწერილი) სააპელაციო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია ის ფაქტობრივი გარემოება, რომ სადავო ავტომანქანის

გადაცემით ნ. თ-შვილზე ტ. გ-შვილმა ოჯახის ინტერესებისათვის აღებული ვალი გაუსტუმრა ნ. თ-შვილს.

რაც შეეხებოდა საკერავ მანქანას, 4 ცალ ბალიშს (ორი დიდი, ორი პატარა), წყლის დიდ ავზს, ამ ნაწილში მოპასუხემ სააპელაციო სასამართლოს სხდომაზე ცნო სარჩელი და თანხმობა განაცხადა მის დაკმაყოფილებაზე. ტანსაცმლის კარადასა და კომოდთან დაკავშირებით კი თავად ნ. გ-შვილის განმარტებით დავა არ არსებობდა, რადგან ეს ნივთები მას მიღებული ჰქონდა. ჩეხური სამზარეულოს გარნიტურთან მიმართებით, სააპელაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ იგი ნ. გ-შვილს უნდა მიკუთვნებოდა, რადგან, როგორც მხარეთა განმარტებებით ირკვეოდა, თავის კუთვნილ ოროთახიან ბინაში ნ. გ-შვილს სამზარეულოს გარნიტური არ გააჩნდა, ხოლო ტ. გ-შვილს გააჩნდა წითელი ფერის მეორე გარნიტური. ამასთან, სასამართლომ მხედველობაში მიიღო ის გარემოება, რომ მოსარჩელესთან ცხოვრობდა არასრულწლოვანი შვილი. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 1168-ე მუხლის თანახმად, სასამართლოს შეუძლია გადაუხვიოს მეუღლეთა წილის თანაბრობის საწყისიდან არასრულწლოვანი შვილის ინტერესების გათვალისწინებით, კერძოდ, ერთ-ერთი მეუღლის წილი შეიძლება გადიდდეს იმის გათვალისწინებით, რომ მასთან ცხოვრობს არასრულწლოვანი შვილი.

რაც შეეხებოდა აპელანტის მოთხოვნას ჭურჭლეულის მიკუთვნების თაობაზე, ამ მიმართებით მისი მოთხოვნა იყო მეტად ზოგადი, არ იყო დასაბუთებული, რომ ჭურჭლეული სწორედ თანასაკუთრებიდან მის წილს, ან მის ინდივიდუალურ საკუთრებას შეადგენდა. ამასთან, აპელანტის განმარტებითვე, ამჟამად ეს ჭურჭელი მოპასუხის სახლში აღარ იყო და მისთვის უცნობი იყო მისი ადგილსამყოფელი.

სააპელაციო სასამართლოს განჩინება სარჩელის დაუკმაყოფილებელ ნაწილში სააპელაციო წესით გაასაჩივრა ნ. გ-შვილმა (წარმომადგენელი ჯ. ბ-ია), რომელმაც მოითხოვა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით მოპასუხისათვის მის სასარგებლოდ ავტომანქანისა და ავტოფარების ღირებულების ნახევარის, მთლიანობაში 7000 ლარის დაკისრება.

კასატორის მოსაზრებით, სააპელაციო სასამართლომ მას დაუსაბუთებლად უთხრა უარი 7000 ლარის მოპასუხისათვის დაკისრების შესახებ მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე. სააპელაციო სასამართლოს აღნიშნულ დასკვნას საფუძვლად დაედო ფაქტობრივი გარემოება იმის შესახებ, რომ ავტომანქანა აღარ წარმოადგენს ტ. გ-შვილის საკუთრებას და იგი ნ. გ-შვილის საკუთრებაა, მაშინ, როდესაც დასტურდება, რომ მოპასუხემ ავტომანქანა ნ. გ-შვილის მიერ სასამართლოში სარჩელის აღძვრის შემდგომ გაასხვისა.

კასატორის მითითებით, გასაჩივრებულ გადაწყვეტილებაში არ არის აღნიშნული, თუ რა მტკიცებულებებით დაადგინა სასამართლომ, რომ ტ. გ-შვილმა ვალი აიღო და იგი გამოიყენა ოჯახის ინტერესებისათვის, მით უფრო, როდესაც მოპასუხეს ამის თაობაზე არანაირი მტკიცებულება გააჩნია.

კასატორი მიიჩნევს, რომ ტ. გ-შვილის მიერ აღებული ვალის ოჯახის ინტერესებისათვის გამოყენების შემთხვევაშიც გასაჩივრებული გადაწყვეტილება არასწორია, რადგან მეუღლეებმა ვალი თანასაკუთრებაში არსებული ქონებიდან თანაბარწილად უნდა გადაიხადონ. სამოქალაქო კოდექსის 1170-ე მუხლის მე-5 ნაწილის თანახმად, ერთ-ერთი მეუღლის ვალის დასაფარავად გადახდევინება შეიძლება მოხდეს მისი ქონებიდან ან/და თანასაკუთრებაში მისი წილიდან, რომელსაც იგი მიიღებდა წილის გაყოფის შემთხვევაში. ამავე მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით, აღნიშნული ვალის გამო მეუღლეთა საერთო ქონებიდან გადახდევინება შეიძლება მაშინ, თუ სასამართლო დაადგენს, რომ რაც ვალდებულებით იყო მიღებული, გამოყენებულია მთელი ოჯახის საერთო ინტერესებისათვის. მართალია, დადგენილია, რომ მოპასუხემ ავტომანქანა გაასხვისა, თუმცა იგი აღნიშნული ავტომანქანით სარგებლობს და ამას თავადაც არ უარყოფს. მოცემულ ფაქტობრივ გარემოებებს სასამართლომ არასწორი შეფასება მისცა.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის შესწავლის, საკასაციო საჩივრის დასაშვებობის შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ ნ. გ-შვილის (წარმომადგენელი ჯ. ბ-ია) საკასაციო საჩივარი არ აკმაყოფილებს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 391-ე მუხლის მე-5 ნაწილის მოთხოვნებს, რის გამოც მიჩნეულ უნდა იქნეს დაუშვებლად, შემდეგ გარემოებათა გამო:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 391-ე მუხლის მე-5 ნაწილი განსაზღვრავს საკასაციო საჩივრის განსახილველად დაშვების ამომწურავ პირობებს, როგორცაა: ა) საქმე მნიშვნელოვანია სამართლის განვითარებისა და ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკის ჩამოყალიბებისათვის; ბ) სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება განსხვავდება ამ კატეგორიის საქმეებზე საქართველოს უზენაესი სასამართლოს მანამდე არსებული პრაქტიკისაგან; გ) სააპელაციო სასამართლოს მიერ საქმე განხილულია მნიშვნელოვანი საპროცესო დარღვევით, რომელსაც შეეძლო არსებითად ემოქმედა

საქმის განხილვის შედეგზე; დ) გასაჩივრებულია სააპელაციო სასამართლოს მეორე დაუსწრებელი გადაწყვეტილება ან განჩინება დაუსწრებელი გადაწყვეტილების უცვლელად დატოვების თაობაზე.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ წარმოდგენილი საკასაციო საჩივარი არ არის დასაშვები სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 391-ე მუხლის მე-5 ნაწილით გათვალისწინებული არც ერთი ზემომითითებული საფუძვლით.

კასატორი ვერ ასაბუთებს სააპელაციო სასამართლოს მიერ საქმის განხილვას მნიშვნელოვანი საპროცესო დარღვევით, რამაც არსებითად იმოქმედა საქმის შედეგზე და განაპირობა არასწორი გადაწყვეტილების გამოტანა.

საკასაციო საჩივარი არ არის დასაშვები არც სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილების საკასაციო სასამართლოს პრაქტიკისაგან განსხვავების არსებობის საფუძვლით.

ამასთან, საკასაციო საჩივრის განხილვისა და საკასაციო სასამართლოს მიერ საქმეზე ახალი გადაწყვეტილების მიღების საჭიროება არ არსებობს არც სამართლის განვითარებისა და ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკის ჩამოყალიბების აუცილებლობის თვალსაზრისით.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 391-ე მუხლის საფუძველზე, ნ. გ-შვილის (წარმომადგენელი ჯ. ბ-ია) საკასაციო საჩივარი არ ექვემდებარება განსახილველად დაშვებას.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2009 წლის 8 ივნისის განჩინებით ნ. გ-შვილის (წარმომადგენელი ჯ. ბ-ია) შუამდგომლობა სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან გათავისუფლების შესახებ არ დაკმაყოფილდა; კასატორს დაევალა აღნიშნული განჩინების ჩაბარებიდან სასამართლოს მიერ განსაზღვრულ ვადაში 350 ლარის სახელმწიფო ბაჟის გადახდის დამადასტურებელი ქვითრის წარმოდგენა. მითითებულ საპროცესო ვადაში ნ. გ-შვილმა (წარმომადგენელი ჯ. ბ-ია) დადგინილი ხარვეზი შეევსო. ხარვეზის შევსების მიზნით წარმოდგენილ განცხადებას სახელმწიფო ბაჟის -350 ლარის გადახდის ქვითართან ერთად თან ერთვის ნ. გ-შვილის ინვალიდობის მოწმობა. რამდენადაც "სახელმწიფო ბაჟის შესახებ" საქართველოს კანონის მე-5 მუხლის 1-ლი პუნქტის "მ" ქვეპუნქტის თანახმად, სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან თავისუფლებიან ინვალიდები, ნ. გ-შვილის საკასაციო საჩივარზე გადახდილი 350 ლარი ექვემდებარება დაბრუნებას.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 391-ე, 401-ე მუხლებით და

და ა ა დ გ ი ნ ა:

1. ნ. გ-შვილის (წარმომადგენელი ჯ. ბ-ია) საკასაციო საჩივარი ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 6 აპრილის გადაწყვეტილებაზე მიჩნეულ იქნეს დაუშვებლად;

2. ნ. გ-შვილს დაუბრუნდეს მის მიერ გადახდილი სახელმწიფო ბაჟი -350 ლარი ანგარიშიდან: ხაზინის ერთიანი ანგარიშის ნომერი -200122900, მიმღები ბანკი -სახელმწიფო ხაზინა 220101222, საბიუჯეტო შემოსულობების სახაზინო კოდი -#300773150, დანიშნულება -სახელმწიფო ბაჟი სასამართლოებში განსახილველ საქმეებზე;

3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

საკასაციო საჩივრის დასაშვებობა

განჩინება

#ას-547-856-09

27 ივლისი, 2009 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკორტრების საქმეთა პალატა

შემადგენლობა: მ. გოგიშვილი (თავმჯდომარე),

ნ. კვანტალიანი (მომხსენებელი),

ლ. ლაზარაშვილი

დავის საგანი: სამუშაოზე აღდგენა, იძულებითი განაცდურის ანაზღაურება

აღწერილობითი ნაწილი:

ბ. ქ-იამ სარჩელი აღძრა სასამართლოში შპს "ჩხოროწყუს ამბულატორიულ-პოლიკლინიკური გაერთიანების" მიმართ სამუშაოზე აღდგენისა და იძულებითი განაცდურის -4040 ლარის ანაზღაურების შესახებ შემდეგი საფუძვლებით: 1975 წელს მოსარჩელე დაინიშნა ჩხოროწყუს რაიონის საავადმყოფოში ფერშალ-მეთოდისტის თანამდებობაზე. იმავე წელს გადაიყვანეს ჩხოროწყუს რაიონის სოფელ ... საავადმყოფოში პატრონაჟის თანამდებობაზე. სამუშაოს დაწყებიდან გათავისუფლებამდე მას ჰქონდა 31 წლის მუშაობის უწყვეტი სტაჟი. 2001 წლის 1 მარტს ბ. ქ-იასა და შპს "ჩხოროწყუს ამბულატორიულ-პოლიკლინიკური გაერთიანების" ადმინისტრაციას შორის გაფორმდა კონტრაქტი, რომლის საფუძველზეც ბ. ქ-ია დაინიშნა სოფელ ... საექიმო ამბულატორიის პედიატრიული უბნის მედდად, ხოლო 2004 წლის 1 მარტის კონტრაქტით -ამბულატორიულ-პოლიკლინიკური გაერთიანება ... საექიმო უბნის მედდად, ყოველთვიურად 70 ლარის ანაზღაურების პირობით. 2001 წლის მარტში პოლიკლინიკის დირექტორმა ი. ვ-უამ ბ. ქ-იასაგან ფარულად, დაკავებული თანამდებობიდან განთავისუფლების გარეშე, უბნის მედდად აიყვანა მ. კ-ია, ხოლო ბ. ქ-ია ბრძანებით გადაიყვანა 3 წლამდე ბავშვების პატრონაჟად, ანუ უბნის მედდად, მაშინ, როდესაც მანამდე მის ფუნქციაში შედიოდა 18 წლამდე ბავშვებიც. ამასთან, ხელფასი შეუმცირა 40 ლარით. მოგვიანებით სამუშაოდან დათხოვნილ იქნა მ. კ-იაც, რომელიც კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით სასამართლომ აღადგინა მ. კ-იას და არა ბ. ქ-იას მიერ დაკავებულ თანამდებობაზე, თუმცა მოპასუხემ სასამართლო გადაწყვეტილება არასწორად განმარტა და მ. კ-ია უკანონოდ აღადგინა მოსარჩელის კუთვნილ თანამდებობაზე.

მოპასუხემ სარჩელი არ ცნო შემდეგი დასაბუთებით: სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 272-ე, 273-ე მუხლების მოთხოვნათა საფუძველზე მოცემული საქმის წარმოება უნდა შეწყდეს, რადგან ბ. ქ-იას სარჩელში მოყვანილ ფაქტებსა და გარემოებებზე სასამართლომ უკვე იმსჯელა და 2005 წლის 12 აპრილს გამოიტანა გადაწყვეტილება, რაც კანონიერ ძალაშია შესული. შრომის კოდექსის 38-ე მუხლი შპს "ჩხოროწყუს ამბულატორიულ-პოლიკლინიკური გაერთიანებას" უფლებას ანიჭებს, დამოუკიდებლად გადაწყვიტოს დაქირავებულთან, ამ შემთხვევაში ბ. ქ-იასთან შრომითი ხელშეკრულების მოშლის საკითხი. გარდა ამისა, მოსარჩელე სამუშაოდან დათხოვნილ იქნა 2006 წლის 25 ივნისს, სასამართლოს კი სამუშაოზე აღდგენისა და იძულებითი განაცდურის ანაზღაურების მოთხოვნით მოსარჩელემ მხოლოდ 2008 წლის 19 მაისს კანონით დადგენილი ერთთვიანი ვადის გასვლის შემდეგ მიმართა.

ჩხოროწყუს რაიონული სასამართლოს 2008 წლის 28 ნოემბრის გადაწყვეტილებით სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა ბ. ქ-იამ.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 8 აპრილის განჩინებით სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა და გასაჩივრებული გადაწყვეტილება დარჩა უცვლელად შემდეგ გარემოებათა გამო: სააპელაციო პალატამ გაიზიარა პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ დადგენილი შემდეგი ფაქტობრივი გარემოებანი: ბ. ქ-ია სამუშაოდან დაითხოვეს 2006 წლის 25 ივნისის #15\კ ბრძანებით. სამუშაოდან დათხოვნის უკანონობის თაობაზე იგი დავობდა ზემდგომ ორგანოებში და სასამართლოს სამუშაოზე აღდგენის მოთხოვნით მხოლოდ ორ წელზე მეტი ვადის გასვლის შემდეგ -2008 წლის 19 მაისს მიმართა. ჩხოროწყუს რაიონული სასამართლოს 2005 წლის 12 აპრილის კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების, 2001 წლის შრომითი კონტრაქტისა და სააპელაციო სასამართლოს მთავარ სხდომაზე მხარეთა განმარტებების თანახმად, 1999 წლიდან ბ. ქ-ია ვადიანი ხელშეკრულების საფუძველზე მუშაობდა სოფელ ... პედიატრიული უბნის მედდად და მისი ხელფასი შეადგენდა 30 ლარს. იმ დროისათვის სოფლის უბნის მედდად (მოზრდილთა მედდა) მუშაობდა მ. კ-ია. საქართველოს ჯანდაცვის სისტემაში მიმდინარე რეფორმებიდან გამომდინარე, კერძოდ, შეწყდა რა ბავშვთა პროგრამის დაფინანსება, შპს „ჩხოროწყუს ამბულატორიულ-პოლიკლინიკური გაერთიანების“ დირექტორის 2003 წლის 1

სექტემბრის ბრძანებით, შემცირდა მედდის ერთი შტატი, რის გამოც 2004 წლის 2 თებერვლის ბრძანებით, მ. კ-ია სამუშაოდან გათავისუფლდა, ხოლო 2004 წლის 1 მარტის კონტრაქტით, მედდის თანამდებობაზე დაინიშნა ხ. ქ-ია და მისი ხელფასი განისაზღვრა თვეში 70 ლარით. ჩხოროწყუს რაიონული სასამართლოს 2005 წლის 12 აპრილის კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით მ. კ-იას სარჩელი დაკმაყოფილდა, გაუქმდა შპს „ჩხოროწყუს ამბულატორიულ-პოლიკლინიკური გაერთიანების“ დირექტორის 2004 წლის 2 თებერვლის #36\კ ბრძანება მ. კ-იას სამუშაოდან გათავისუფლების თაობაზე და იგი აღდგენილ იქნა სამსახურში იმავე თანამდებობაზე. მ. კ-იას სასარჩელო მოთხოვნას ხ. ქ-იას სამუშაოდან გათავისუფლების თაობაზე ეთქვა უარი იმ მოტივით, რომ, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, მუშაკის სამუშაოზე მიღებისა და გათავისუფლების საკითხის გადაწყვეტა იმ საწარმოსა, თუ ორგანიზაციის ხელმძღვანელის ვალდებულებას წარმოადგენდა, სადაც მუშაობს ეს პირი. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სააპელაციო სასამართლომ არ გაიზიარა აპელანტის მოსაზრება, რომ მისი სამუშაოდან გათავისუფლების საკითხი სასამართლომ ერთხელ უკვე გადაწყვიტა. განსახილველ შემთხვევაში დავის საგანს წარმოადგენს 2006 წლის 25 ივნისის ბრძანება, რაც ჩხოროწყუს რაიონული სასამართლოს 2005 წლის 12 აპრილის გადაწყვეტილების გამოტანის დროისათვის არ არსებობდა. სააპელაციო პალატის მოსაზრებით, დავის საგანს წარმოადგენს რა ხ. ქ-იას სამუშაოდან დათხოვნის შესახებ 2006 წლის 25 ივნისის #15\კ ბრძანება, მისი სამუშაოზე აღდგენისა და იძულებითი განაცდურის ანაზღაურების თაობაზე სასარჩელო მოთხოვნის საფუძვლიანობის შემოწმების მიზნით, გამოყენებულ უნდა იქნეს იმ დროს მოქმედი შრომის კანონთა კოდექსის ნორმები. სასამართლომ იხელმძღვანელა შრომის კანონთა კოდექსის 34-ე მუხლის პირველი ნაწილის „ე“ ქვეპუნქტით და მიუთითა, რომ შპს „ჩხოროწყუს ამბულატორიულ-პოლიკლინიკურ გაერთიანებაში“, მათ შორის, სოფელ ... უბანზე თავისუფალი სხვა სამუშაო ადგილი არ არსებობს. სააპელაციო პალატის მოსაზრებით, სადავო არ არის ის ფაქტობრივი გარემოება, რომ ჯანდაცვის სისტემაში მიმდინარე რეფორმებიდან გამომდინარე, შეწყვეტილ იქნა რა ბავშვთა პროგრამის დაფინანსება, შპს „ჩხოროწყუს ამბულატორიულ-პოლიკლინიკურ გაერთიანების“ დირექტორის 2003 წლის 1 სექტემბრის ბრძანებით, ფაქტობრივად შემცირდა პედაგოგის მედდის (ბავშვთა პატრონაჟის) სამშატო ერთეული, სადაც მუშაობდა ხ. ქ-ია, ხოლო უცვლელად დარჩა მოზრდილთა მედდის სამშატო ერთეული, რომელიც მ. კ-იას ეკავა, შესაბამისად, ჩხოროწყუს რაიონული სასამართლოს 2005 წლის 12 აპრილის კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით ეს უკანასკნელი აღდგენილ იქნა კუთვნილ სამუშაო ადგილზე. სააპელაციო სასამართლომ უსაფუძვლოდ ჩათვალა სასარჩელო მოთხოვნა იძულებითი განაცდურის ანაზღაურების თაობაზეც, ვინაიდან, შრომის კანონთა კოდექსის 207-ე მუხლის თანახმად, იძულებით გაცდენილი დროის ხელფასი უნაზღაურდება წინანდელ სამუშაოზე აღდგენილ მოსამსახურეს, რაც განსახილველ შემთხვევაში შეუძლებელია. პალატამ გაიზიარა პირველი ინსტანციის სასამართლოს დასაბუთება სასარჩელო მოთხოვნის ხანდაზმულობასთან დაკავშირებით, კერძოდ, მხარეთა განმარტებითა და გათავისუფლების ბრძანებაზე გაკეთებული მინაწერით დგინდება, რომ ხ. ქ-იამ შპს „ჩხოროწყუს ამბულატორიულ-პოლიკლინიკური გაერთიანების“ დირექტორის 2006 წლის 25 ივნისის ბრძანება სამუშაოდან გათავისუფლების თაობაზე ჩაიბარა 2006 წლის 7 აგვისტოს, ხოლო სარჩელი სამუშაოზე აღდგენის თაობაზე შეიტანა 2008 წლის 19 მაისს. ამდენად, სასამართლომ მიიჩნია, რომ ხ. ქ-იამ შრომის კანონთა კოდექსის 204-ე მუხლის პირველი ნაწილით დადგენილი გასაჩივრების ერთთვიანი ვადა გაუშვა, რაც უსაფუძვლობასთან ერთად მისი მოთხოვნის ხანდაზმულობის დადასტურებაა. მიუხედავად იმისა, რომ პირველი ინსტანციის სასამართლომ სარჩელი მხოლოდ ხანდაზმულობის მოტივით არ დააკმაყოფილა და მოთხოვნის საფუძვლიანობაზე არ იმსჯელა, სააპელაციო პალატამ მიიჩნია, რომ სასამართლომ არსებითად სწორად გადაწყვიტა დავა და აღნიშნული გარემოების გამო გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმების სამართლებრივი საფუძველი არ არსებობს.

სააპელაციო სასამართლოს განჩინება ხ. ქ-იამ გასაჩივრა საკასაციო წესით და მოითხოვა მისი გაუქმება შემდეგი საფუძვლებით: 1975 წელს კასატორი დაინიშნა ჩხოროწყუს რაიონის საავადმყოფოში ფერშალ-მეთოდისტის თანამდებობაზე, იმავე წელს გადაიყვანეს ჩხოროწყუს რაიონის სოფელ ... საავადმყოფოში პატრონაჟის თანამდებობაზე. 2001 წლის 1 მარტს მხარეებს შორის გაფორმდა კონტრაქტი, რომლის საფუძველზეც კასატორი დაინიშნა სოფელ ... საექიმო ამბულატორიის პედაგოგიული უბნის მედდად. 2004 წლის 1 მარტს დაიდო ახალი კონტრაქტი, რის მიხედვითაც იგი დაინიშნა სოფელ ... საექიმო უბნის მედდად, ხოლო 2005 წლის 10 იანვრის კონტრაქტით - შპს „ჩხოროწყუს ამბულატორიულ-პოლიკლინიკური გაერთიანების“ ... საექიმო უბნის მედდად, ყოველთვიურად 70 ლარის ანაზღაურებით. ამავე პერიოდში სოფელ ... საექიმო უბნის მედდად მუშაობდა მ. კ-ია. 2004 წლის 2 თებერვალს შპს ჩხოროწყუს ამბულატორიულ-პოლიკლინიკური გაერთიანების დირექტორის ი. ვ-უას მიერ მიღებულ იქნა ბრძანება მ. კ-იას განთავისუფლების შესახებ შტატების შემცირებასთან დაკავშირებით. აღნიშნული ბრძანება მის მიერ გასაჩივრებულ

იქნა ჩხოროწყუს რაიონულ სასამართლოში, სადაც იგი მოითხოვდა ხ. ქ-ის დაკავებული თანამდებობიდან გათავისუფლებას. სასამართლომ ნაწილობრივ დააკმაყოფილა მ. კ-ის სარჩელი, აღადგინა იგი მის მიერ ადრე დაკავებულ თანამდებობაზე და არა ხ. ქ-ის მიერ დაკავებულ თანამდებობაზე. შპს "ჩხოროწყუს ამბულატორიულ-პოლიკლინიკური გაერთიანების" დირექტორმა გადააჭარბა რა თავის სამსახურებრივ უფლებამოსილებას, არ შეასრულა ჩხოროწყუს რაიონული სასამართლოს 2005 წლის 12 აპრილის გადაწყვეტილება და 2006 წლის 25 ივნისს მიიღო #15\კ ბრძანება, რომლის საფუძველზეც მ. კ-ია აღადგინა ... საექიმო ამბულატორიის მედიის თანამდებობაზე, ხოლო კასატორი გაათავისუფლა დაკავებული თანამდებობიდან, მან ჩაიდინა სამსახურებრივი სიყალბე და თავის უკანონო გადაწყვეტილებას საფუძველად დაუდო ჩხოროწყუს რაიონული სასამართლოს 2005 წლის 12 აპრილის გადაწყვეტილება, მაშინ, როდესაც ასეთი რამ ამ გადაწყვეტილებაში მითითებული არ არის. კასატორს კონტრაქტით გათვალისწინებული ვალდებულება არ დაურღვევია. 2005 წლის 20 ივლისს ი.ვეკუას სამეგრელო-ზემო სვანეთის სააღსრულებო ბიუროდან გაეგზავნა წერილი, რომლის თანახმადაც მ. კ-ია უნდა აღდგენილიყო გათავისუფლების მომენტში მის მიერ დაკავებულ თანამდებობაზე, ამავე დროს მას ეკრძალებოდა კასატორის სამუშაოდან დათხოვნა. მიუხედავად ამისა, ი.ვეკუას სადავო უკანონო ბრძანება არ შეუცვლია. სააპელაციო სასამართლომ არასწორად ჩათვალა ხ. ქ-ის სარჩელი ხანდაზმულად, ვინაიდან მოცემულ შემთხვევაში ი.ვეკუას მიერ ყალბი გადაწყვეტილების გამოყენების გამო აღძრული იყო სისხლის სამართლის საქმე და საჩივრის შეტანაც უნდა მომხდარიყო მისი შედეგების მიხედვით, რაც განხორციელდა კიდევაც. ამასთან, 1995 წლის რეფორმის შედეგად სოფელ ... გაიხსნა სტაციონარი, სადაც 5 უბნის მედიკები დასაქმდნენ, კასატორი კი უკანონოდ გათავისუფლდა სამუშაოდან.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2009 წლის 7 ივლისის განჩინებით ხ. ქ-ის საკასაციო საჩივარი მიღებულ იქნა წარმოებაში, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 396-ე მუხლით და ამავე კოდექსის 391-ე მუხლის შესაბამისად, დასაშვებობის შესამოწმებლად.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 391-ე მუხლის შესაბამისად, შეამოწმა ხ. ქ-ის საკასაციო საჩივრის დასაშვებობის საკითხი და თვლის, რომ იგი დაუშვებლად უნდა იქნეს მიჩნეული შემდეგ გარემოებათა გამო:

სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობა საკასაციო საჩივრის დასაშვებობის საკითხს უკავშირებს გარკვეულ შეზღუდვებს და ადგენს იმ დავათა კატეგორიებს, რომლებზეც შეტანილი საკასაციო საჩივარი საკასაციო სასამართლოს მიერ დასაშვებად უნდა იქნეს ცნობილი. აღნიშნული დანაწესები მოცემულია სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 391-ე მუხლში.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ საკასაციო საჩივარი არ არის დასაშვები მითითებული ნორმით გათვალისწინებული არც ერთი საფუძველით.

მოცემული დავის საგანია მუშაკის სამუშაოდან დათხოვნის შესახებ ბრძანების გაუქმების, მისი სამსახურში აღდგენისა და იძლებითი განაცდურის ანაზღაურების მართლზომიერება. აღნიშნულ საკითხზე არსებობს სასამართლოს პრაქტიკა, რომელიც ეფუძნება შრომის კანონთა კოდექსის 34-ე, 204 და 207-ე მუხლებს. აღნიშნული პრაქტიკა ასახულია სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებულ განჩინებაში.

კასატორი ვერ ასაბუთებს და საქმის მასალებითაც არ დასტურდება სააპელაციო სასამართლოს მიერ საქმის განხილვა ისეთი საპროცესო დარღვევით, რაც არსებითად იმოქმედებს საქმის შედეგზე, შესაბამისად, საკასაციო საჩივარი ამ საფუძველითაც დაუშვებელია.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 391-ე, 401-ე მუხლებით და

და ა ა დ გ ი ნ ა:

ხ. ქ-ის საკასაციო საჩივარი დარჩეს განუხილველად დაუშვებლობის გამო. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

საკასაციო საჩივრის დასაშვებობა

განჩინება

#ას-549-858-09

27 ივლისი, 2009 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატა

შემადგენლობა: მ. გოგიშვილი (თავმჯდომარე),
ლ. ლაზარაშვილი (მომხსენებელი),
ნ. კვანტალიანი

დავის საგანი: თანხის დაკისრება

აღწერილობითი ნაწილი:

2007 წლის 2 მაისს ბათუმის საქალაქო სასამართლოს სასარჩელო განცხადებით მიმართა ო. კ-მემ მოპასუხე თ. (ტ.) გ-ანის მიმართ. მოსარჩელემ მოითხოვა: ა) მოპასუხისათვის კუთვნილი ავტომანქანის პირვანდელ მდგომარეობაში აღდგენის დავალეზა; ბ) ავტომანქანაზე ნაწილების მოხსნითა და გამარცვით მიყენებული ზიანის -3 550 ლარის ანაზღაურება; გ) მიუღებელი შემოსავლის -17 100 ლარის ანაზღაურება.

სასარჩელო განცხადებიდან ირკვევა, რომ ო. კ-მე და თ. გ-ანი ცხოვრობდნენ მეზობლად, ბათუმში, ... ქუჩის #77-ში მდებარე ცხრასართულიან სახლში. მხარეებს ერთმანეთის მიმართ გააჩნდათ ურთიერთნდობა, რის გამოც თ. გ-ანმა მოსარჩელეს სთხოვა, ეთხოვებინა თავისი სატვირთო ავტომანქანა "მერსედეს ბენცი", რომლითაც მისი შვილი -ა. ტ-ანი რამდენიმე გზას განახორციელებდა ახალციხეში და დაუბრუნებდა უკან. მოსარჩელემ მოპასუხეს გადასცა ავტომანქანა. ა. ტ-ანმა ციტრუსი გადაზიდა ახალციხეში, მაგრამ დათქმულ დროს მანქანა მესაკუთრეს აღარ დაუბრუნა და დააზიანა სხვადასხვა ნაწილები.

ო. კ-მის საჩივრის საფუძველზე აღიძრა სისხლის სამართლის საქმე ა. ტ-ანის მიმართ თადლითობის ბრალდებით. გამოძიების დასრულების შემდგომ აღნიშნული სისხლის სამართლის საქმე განსახილველად გადაეგზავნა ბათუმის საქალაქო სასამართლოს, რომელმაც ბრალდებულთან საპროცესო შეთანხმება ამავე სხდომაზე დაზარალებულის დაუსწრებლად დაამტკიცა.

ო. კ-მე კუთვნილი ავტომანქანის გარეშე იმყოფებოდა თითქმის ორი წლის მანძილზე. ამ დროისათვის ავტომანქანიდან ამოღებული იყო სიჩქარეთა კოლოფი, მოხსნილი ჰქონდა ძრავის ამამუშავებელი სტარტერი, ორი დიდი აკუმულატორი, სარკეები, გაბარიტები (წინ და უკან) და ა.შ. ამასთან, ძრავის შეცვლისა და მითითებული ნაწილების უქონლობის გამო ავტომანქანის ამუშავება იყო შეუძლებელი.

მოპასუხე თ. გ-ანმა (წარმომადგენელი გ. გ-მე) სარჩელი უსაფუძვლოდ მიიჩნია. მისი განმარტებით, მოსარჩელის მიერ წარდგენილი განაჩენით, რომელიც სარჩელის ერთ-ერთ ძირითად საფუძველს წარმოადგენდა, მოპასუხის კავშირი მომხდარ შემთხვევასთან გამოირიცხებოდა. ამიტომ თ. გ-ანი არასათანადო მოპასუხედ უნდა მიჩნეულიყო, რაც, თავის მხრივ, სარჩელის დაუკმაყოფილებლობას განაპირობებდა.

ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2007 წლის 3 დეკემბრის საოქმო განჩინებით მოპასუხის შუამდგომლობა თ. გ-ანის, როგორც არასათანადო მოპასუხის სათანადო მოპასუხით შეცვლის შესახებ არ დაკმაყოფილდა.

საქალაქო სასამართლომ მიუთითა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 177-ე მუხლზე, 178-ე მუხლის მე-3 ნაწილზე და განმარტა, რომ სარჩელის აღძვრისა და მოპასუხის დასახელების უფლება აქვს მოსარჩელეს. რამდენადაც მოსარჩელეს მიაჩნდა, რომ მოპასუხე სწორად ჰყავდა დასახელებული და საქმის განხილვას სწორედ მის მიმართ მოითხოვდა, სასამართლოს მოსაზრებით, მოსარჩელის პოზიციიდან გამომდინარე, მოპასუხის წარმომადგენლის შუამდგომლობა არ უნდა დაკმაყოფილებულიყო.

ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2007 წლის 4 დეკემბრის გადაწყვეტილებით ო. კ-მის სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, თ. გ-ანს მოსარჩელის სასარგებლოდ დაეკისრა ფულადი თანხის გადახდა 3 550 ლარის ოდენობით, დანარჩენ ნაწილში სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

საქალაქო სასამართლომ საქმეზე დადგენილად მიიჩნია, რომ ო. კ-მე და თ. გ-ანი ცხოვრობდნენ მეზობლად, ბათუმში, ... ქ. #77-ში მდებარე ცხრასართულიან სახლში. მათ ერთმანეთის მიმართ გააჩნდათ ურთიერთნდობა. ამ ნდობის საფუძველზე თ. გ-ანმა მოსარჩელეს სთხოვა მისი სატვირთო ავტომანქანა "მერსედეს ბენცი" თხოვება, რომლითაც მისი შვილი -ა. ტ-ანი რამდენიმე გზას განახორციელებდა ახალციხეში და დაუბრუნებდა უკან. მოსარჩელემ მოპასუხეს გადასცა ავტომანქანა. ა. ტ-ანმა ციტრუსი გადაზიდა ახალციხეში, მაგრამ დათქმულ დროს მანქანა

მესაკუთრეს აღარ დაუბრუნა და დააზიანა სხვადასხვა ნაწილები, კერძოდ: დააზიანა ძრავა, მწყობრიდან გამოიყვანა სტარტერი, აკუმულატორი, გადამცემი კოლოფი, წინა ბამპერი და სხვა ნაწილები, რომელთა ღირებულებამ შეადგინა 3 550 ლარი.

ზემოთ დასახელებული ფაქტობრივი გარემოებების დადგენისას საქალაქო სასამართლო დაეყრდნო შემდეგ მტკიცებულებებს: ა. ბათუმის საქალაქო სასამართლოს განაჩენს ა. ტ-ანის მიმართ; ბ. მოწმეების -ჩ. კ-ანისა და ს. გ-იას განმარტებებს, რომლებმაც აღნიშნეს, რომ ავტომანქანის თხოვების გარიგება ო. კ-მესთან დადო მოპასუხემ და მანქანა მოსარჩელემ ათხოვა თ. გ-ანს და არა ა. ტ-ანს; გ. საავტომობილო ტრანსპორტის სარეგისტრაციო ბარათს, რომლითაც დადგენილია, რომ ავტომანქანა "მერსედეს ბენცი" წარმოადგენს ო. კ-მის საკუთრებას.

დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების გათვალისწინებით საქალაქო სასამართლომ მიიჩნია, რომ მხარეთა შორის დადებული იყო ავტომანქანის თხოვების ხელშეკრულება.

იმაზე მითითებით, რომ თ. გ-ანს ავტომანქანის ნაკლის გამო მოსარჩელისათვის პრეტენზია არ წაუყენებია და ამის შესახებ სასამართლოზეც არ განუცხადებია, საქალაქო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ მოპასუხისათვის გადაცემის დროს ავტომანქანა იმყოფებოდა გამართულ მდგომარეობაში; სარგებლობის პროცესში მოპასუხის შვილმა მწყობრიდან გამოიყვანა ავტომანქანის ნაწილები, კერძოდ, დააზიანა ძრავა, მწყობრიდან გამოიყვანა "სტარტერი", აკუმულატორი, გადამცემი კოლოფი, წინა ბამპერი და სხვა ნაწილები, რომელთა ღირებულებამაც შეადგინა 3 550 ლარი და მოსარჩელეს დაუბრუნა ნაკლიანი ნივთი.

საქალაქო სასამართლომ მიუთითა სამოქალაქო კოდექსის 361-ე მუხლის მე-2 ნაწილზე, რომლის თანახმად, ვალდებულება უნდა შესრულდეს ჯეროვნად, კეთილსინდისიერად, დათქმულ დროსა და ადგილას და აღნიშნა, რომ მოპასუხე ვალდებული იყო, მოსარჩელისათვის დაუბრუნებინა ისეთივე ნივთი, როგორც მიიღო. მართალია, ნივთი დააზიანა ა. ტ-ანმა, მაგრამ ვინაიდან თხოვების ხელშეკრულების მონაწილეს წარმოადგენდა მოპასუხე, საქალაქო სასამართლომ ზიანის ანაზღაურებაზე ვალდებულ პირად სწორედ ეს უკანასკნელი მიიჩნია.

იმის გათვალისწინებით, რომ მიუღებელი შემოსავლის დასადასტურებლად მოსარჩელემ წარადგინა მხოლოდ განმარტება, საქალაქო სასამართლომ აღნიშნული მტკიცებულება მოთხოვნის საფუძვლიანობის გასაზიარებლად არასაკმარისად მიიჩნია. შესაბამისად, სარჩელი დასახელებულ ნაწილში არ დაკმაყოფილდა.

პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება სარჩელის დაკმაყოფილებულ ნაწილში სააპელაციო წესით გაასაჩივრა თ. (ტ.) გ-ანმა, რომელმაც მოითხოვა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 18 ივნისის განჩინებით თ. გ-ანის სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა, უცვლელად დარჩა ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2007 წლის 4 დეკემბრის გადაწყვეტილება.

სააპელაციო სასამართლომ არ გაიზიარა მოპასუხის მოსაზრება იმის თაობაზე, რომ იგი არ წარმოადგენდა სათანადო მხარეს, ასეთი ა. ტ-ანი იყო და რომ მის მიერ მიყენებული ზიანი 3 500 ლარს არ შეადგენდა.

სააპელაციო სასამართლომ მიუთითა სამოქალაქო კოდექსის 618-ე მუხლზე, რომლის თანახმად, ნათხოვარი ნივთის სარგებლობაში გადაცემა გულისხმობს მის გამოყენებას უშუალოდ მონათხოვრის მიერ და იმ მიზნით, რაც ხელშეკრულებითაა განსაზღვრული და განმარტა, რომ ნათხოვარი ნივთის სხვა პირისათვის გადაცემა ეწინააღმდეგება სარგებლობის ცნებას. მონათხოვრის მიერ ნათხოვარი ნივთის სხვისთვის გადაცემა განკარგავს ნიშნავს. ამ წესიდან შეიძლება გამონაკლისის დაშვება. ეს ისეთი შემთხვევაა, როცა მონათხოვრე გამნათხოვრებლის თანხმობით, სხვა პირს გადასცემს ქონებას სარგებლობაში. ამ დროსაც დაცულ უნდა იქნეს ნათხოვარი ქონების დანიშნულებისამებრ გამოყენების პრინციპი. ძირითადი ხელშეკრულების გამნათხოვრებელი არავითარ სამართლებრივ ურთიერთობაში არ იმყოფება დამატებითი ხელშეკრულების მონათხოვრესთან. მესამე პირისათვის ნივთის გადაცემის ყველა შემთხვევაში, ნივთის მესაკუთრის ან მასზე უფლებამოსილი პირის წინაშე პასუხისმგებლობა ეკისრება მონათხოვრეს, როგორც მის უშუალო კონტრაჰენტს.

ამდენად, სააპელაციო სასამართლომ დაასკვნა, რომ, მართალია, ო. კ-მის კუთვნილი ავტომანქანა დააზიანა ა. ტ-ანმა, მაგრამ თხოვების ხელშეკრულების მხარეს წარმოადგენდა რა თ. გ-ანი, რომელმაც მესაკუთრესთან შეთანხმებით, ნათხოვარი ნივთი უსასყიდლოდ გადასცა მესამე პირს -ა. ტ-ანს, მესამე პირის მიერ ნივთის დაზიანების გამო მიყენებული ზიანის ანაზღაურების ვალდებულება სამოქალაქო კოდექსის 618-ე მუხლის, 394-ე მუხლის პირველი ნაწილის, 396-ე და 992-ე მუხლების თანახმად, ეკისრებოდა თ. (ტ.) გ-ანს. შესაბამისად, ამ ზიანის ანაზღაურების მოთხოვნით წარდგენილ სარჩელში სათანადო მოპასუხეს იგი წარმოადგენდა.

ამასთან, რამდენადაც ავტომანქანის ნაკლის გამო, ხელშეკრულების დადების დროისათვის, მონათხოვრეს (თ. გ-ანს) მოსარჩელისათვის პრეტენზია არ წაუყენებია და ამის შესახებ სასამარ-

თლოზეც არ განუცხადებია, მასვე სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე მუხლის შესაბამისად არ წარუდგენია განაჩენით დადგენილი ზიანისაგან განსხვავებული ოდენობის დამადასტურებელი მტკიცებულებები, სააპელაციო სასამართლომ დადასტურებულად მიიჩნია, რომ მოპასუხეზე გადაცემისას ავტომატურად იმყოფებოდა გამართულ მდგომარეობაში, დაზიანდა სარგებლობის პროცესში და ზიანის ოდენობამ შეადგინა 3 550 ლარი.

სააპელაციო სასამართლოს განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრა თ. გ-ანმა (წარმომადგენელი გ. გ-მე), რომელმაც მოითხოვა გასაჩივრებული განჩინების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაცოტრების საქმეთა პალატის 2009 წლის 26 თებერვლის განჩინებით თ. (ტ.) გ-ანის საკასაციო საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, გაუქმდა ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2008 წლის 18 ივნისის განჩინება და საქმე ხელახალი განხილვისათვის დაუბრუნდა იმავე სასამართლოს.

საკასაციო სასამართლოს მოსაზრებით, სააპელაციო სასამართლოს მიერ გამოტანილი დასკვნები არ გამომდინარეობდა საქმეში არსებული მასალებიდან. ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2006 წლის 14 დეკემბრის განაჩენით დგინდებოდა, რომ ა. ტ-ანმა 2005 წლის ოქტომბერში ყოფილ მეზობელს -ო. კ-მეს დროებითი მოხმარების მიზნით გამოართვა მისი კუთვნილი სატვირთო ავტომანქანა "მერსედეს-ბენცი". აღნიშნული მტკიცებულება გამორიცხავდა სასამართლოს მიერ დადგენილ ფაქტობრივ გარემოებას, რომ თხოვების ხელშეკრულება დადებული იყო თ. გ-ანსა და ო. კ-მეს შორის.

საკასაციო სასამართლოს განმარტებით, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 106-ე მუხლიდან გამომდინარე სისხლის სამართლის საქმეზე გამოტანილი კანონიერ ძალაში შესული განაჩენით დადგენილი ფაქტები აღარ საჭიროებენ მტკიცებას. სასამართლოს მიერ მოწმეთა დაკითხვა, როდესაც საქმეში არსებობს კანონიერ ძალაში შესული განაჩენი, წარმოადგენს ისეთი სახის მტკიცებულებას, რომლითაც არ შეიძლება დადასტურდეს თხოვების ფაქტი. აქედან გამომდინარე, მოცემულ შემთხვევაში სასამართლომ მოიპოვა მტკიცებულებები ისეთი ფაქტობრივი გარემოების დასადგენად, რომელიც დადგენილი იყო და მტკიცებას არ საჭიროებდა. აღნიშნული გარემოება, თავის მხრივ, საქმეში არსებული მტკიცებულებებისა და სამართლებრივი ურთიერთობების ხელახალ შეფასებას საჭიროებდა.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 8 აპრილის გადაწყვეტილებით თ. (ტ.) გ-ანის სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა, გაუქმდა ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2007 წლის 4 დეკემბრის გადაწყვეტილება სარჩელის დაკმაყოფილების ნაწილში და ამ ნაწილში მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება: ო. კ-მის სარჩელი თ. გ-ანისათვის 3550 ლარის ანაზღაურების დაკისრების თაობაზე არ დაკმაყოფილდა.

სააპელაციო სასამართლომ მიუთითა საქმეში არსებულ ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2006 წლის 14 დეკემბრის განაჩენზე, რომლითაც დგინდებოდა, რომ ა. ტ-ანმა, 2005 წლის ოქტომბერში, თავის ყოფილ მეზობელს, ო. კ-მეს, დროებითი მოხმარების მიზნით გამოართვა მისი კუთვნილი ავტომანქანა, "მერსედეს ბენცი", იმ პირობით, რომ 2005 წლის დეკემბერში დაუბრუნებდა უკან. ამავე განაჩენით დგინდებოდა, რომ ა. ტ-ანმა დააზიანა ო. კ-მის კუთვნილი ავტომანქანის სხვადასხვა ნაწილები, კერძოდ: მრავა, მწყობრიდან გამოიყვანა "სტარტერი", აკუმულატორი, გადამცემი კოლოფი, წინა ბამპერი და სხვა ნაწილები.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 106-ე მუხლის თანახმად, მხარეები თავისუფლდებიან მტკიცებულებათა წარმოდგენისაგან ისეთი ფაქტების დასადასტურებლად, რომლებსაც თუმცა ემყარება მათი მოთხოვნები თუ შესაგებელი, მაგრამ დამტკიცებას არ საჭიროებენ. ასეთს განეკუთვნება ფაქტები იმის შესახებ, განხორციელდა თუ არა მოქმედება და ჩაიდინა თუ არა ეს მოქმედება ამ პირმა, რაც დადგენილია საბოლოო შემაჯამებელი გადაწყვეტილებით.

სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებით, სისხლის სამართლის საქმეზე გამოტანილი, კანონიერ ძალაში შესული განაჩენით დადგენილი გარემოება იმის თაობაზე, რომ ო. კ-მის კუთვნილი ავტომანქანა ითხოვა ა. გ-ანმა და არა თ. გ-ანმა და მანვე დააზიანა, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 106-ე მუხლის "გ" ქვეპუნქტის შესაბამისად დამატებით მტკიცებას აღარ საჭიროებდა, ანუ იგი დადასტურებულად უნდა მიჩნეულიყო.

სამოქალაქო კოდექსის 992-ე მუხლის მიხედვით, ზიანის ანაზღაურებაზე ვალდებულს წარმოადგენს ის პირი, რომელიც სხვა პირს მართლსაწინააღმდეგო, განზრახი ან გაუფრთხილებელი მოქმედებით მიაყენებს ზიანს. კანონის აღნიშნული ნორმის დანაწესიდან გამომდინარე, სააპელაციო სასამართლომ გაიზიარა მოპასუხის მოსაზრება იმის თაობაზე, რომ იგი არ წარმოადგენდა ზიანის ანაზღაურებაზე ვალდებულ პირს და ასეთი იყო ა. ტ-ანი.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით სააპელაციო სასამართლომ გასაჩივრებული გადაწყვეტილება, რომლითაც დადგინდა, რომ ო. კ-მისაგან ავტომანქანა ითხოვა თ. გ-ანმა და მოსარჩელის სასარ-

გებლოდ მასვე დაეკისრა ავტომანქანაზე მიყენებული ზიანის -3550 ლარის ოდენობით გადახდა, დაუსაბუთებლად მიიჩნია.

სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საკასაციო წესით გაასაჩივრა ო. კ-მემ, რომელმაც მოითხოვა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით თ. გ-ანისა და ა. ტ-ანისაგან ვალდებულების შეუსრულებლობით მიყენებული ზიანის სოლიდარულად ანაზღაურება.

კასატორის მტკიცებით, თხოვების შესახებ გარიგება მან დადო როგორც თ. გ-ანთან, ისე ა. ტ-ანთან. შესაბამისად, აღნიშნული გარიგებიდან დამდგარი ზიანის ანაზღაურება ორივე მათგანს სოლიდარულად უნდა დაკისრებოდა. დასახელებული სუბიექტების მონაწილეობა თხოვების ხელშეკრულებაში ამგვარად გამოიხატა: ო. კ-მისაგან ავტომანქანა თ. გ-ანმა წაიყვანა, ხოლო რადგან მართვის უფლება ა. ტ-ანს გააჩნდა, ნათხოვარი საგნით (ავტომანქანით) ამ უკანასკნელს უნდა ესარგებლა. ამდენად, არსებული ვალდებულებიდან მიღებული სარგებელი განაწილდა თ. გ-ანსა და ა. ტ-ანს შორის, რაც მათთვის ზიანის სოლიდარულად დაკისრების საფუძველს წარმოადგენს.

კასატორის მითითებით, სააპელაციო სასამართლომ დავის გადაწყვეტისას არ გამოიყენა სამოქალაქო კოდექსის 408-ე მუხლის პირველი ნაწილი, 394-ე მუხლი და მათ შესაბამისად არ იმსჯელა მოსარჩელის მოთხოვნის მართლზომიერებაზე, რაც არასწორია.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის შესწავლის, საკასაციო საჩივრის დასაშვებობის შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ ო. კ-მის საკასაციო საჩივარი არ აკმაყოფილებს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 391-ე მუხლის მე-5 ნაწილის მოთხოვნებს, რის გამოც მიჩნეულ უნდა იქნეს დაუშვებლად, შემდეგ გარემოებათა გამო:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 391-ე მუხლის მე-5 ნაწილი განსაზღვრავს საკასაციო საჩივრის განსახილველად დაშვების ამომწურავ პირობებს, როგორცაა: ა) საქმე მნიშვნელოვანია სამართლის განვითარებისა და ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკის ჩამოყალიბებისათვის; ბ) სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება განსხვავდება ამ კატეგორიის საქმეებზე საქართველოს უზენაესი სასამართლოს მანამდე არსებული პრაქტიკისაგან; გ) სააპელაციო სასამართლოს მიერ საქმე განხილულია მნიშვნელოვანი საპროცესო დარღვევით, რომელსაც შეეძლო არსებითად ემოქმედა საქმის განხილვის შედეგზე; დ) გასაჩივრებულია სააპელაციო სასამართლოს მეორე დაუსწრებელი გადაწყვეტილება ან განჩინება დაუსწრებელი გადაწყვეტილების უცვლელად დატოვების თაობაზე.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ წარმოდგენილი საკასაციო საჩივარი არ არის დასაშვები სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 391-ე მუხლის მე-5 ნაწილით გათვალისწინებული არც ერთი ზემომითითებული საფუძვლით.

კასატორი ვერ ასაბუთებს სააპელაციო სასამართლოს მიერ საქმის განხილვას მნიშვნელოვანი საპროცესო დარღვევით, რამაც არსებითად იმოქმედა საქმის შედეგზე და განაპირობა არასწორი გადაწყვეტილების გამოტანა.

საკასაციო საჩივარი არ არის დასაშვები არც სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილების საკასაციო სასამართლოს პრაქტიკისაგან განსხვავების არსებობის საფუძვლით.

ამასთან, საკასაციო საჩივრის განხილვისა და საკასაციო სასამართლოს მიერ საქმეზე ახალი გადაწყვეტილების მიღების საჭიროება არ არსებობს არც სამართლის განვითარებისა და ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკის ჩამოყალიბების აუცილებლობის თვალსაზრისით.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 391-ე მუხლის საფუძველზე, ო. კ-მის საკასაციო საჩივარი არ ექვემდებარება განსახილველად დაშვებას.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 401-ე მუხლის მე-4 ნაწილის საფუძველზე კასატორს უნდა დაუბრუნდეს საკასაციო საჩივარზე მის მიერ გადახდილი სახელმწიფო ბაჟის (300 ლარის) 70% - 210 ლარი.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 391-ე, 401-ე მუხლებით და

და ა ა დ გ ი ნ ა:

1. ო. კ-ძის საკასაციო საჩივარი ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 8 აპრილის გადაწყვეტილებაზე მიჩნეულ იქნეს დაუშვებლად;
2. ო. კ-ძის დაუბრუნდეს მის მიერ გადახდილი სახელმწიფო ბაჟის (300 ლარის) 70% -210 ლარი ანგარიშიდან: ხაზინის ერთიანი ანგარიშის ნომერი -200122900, მიმღები ბანკი -სახელმწიფო ხაზინა 220101222, საბიუჯეტო შემოსულობების სახაზინო კოდი -#300773150, დანიშნულება -სახელმწიფო ბაჟი სასამართლოებში განსახილველ საქმეებზე;
3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

საკასაციო საჩივრის დასაშვებობა

განჩინება

#ას-591-898-09

27 ივლისი, 2009 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატა
შემადგენლობა: მ. გოგიშვილი (თავმჯდომარე),
ლ. ლაზარაშვილი (მომხსენებელი),
ნ. კვანტალიანი

დავის საგანი: ზიანის ანაზღაურება

აღწერილობითი ნაწილი:

2006 წლის 14 მარტს თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიას სასარჩელო განცხადებით მიმართა რ. თ-შვილმა მოპასუხე ა. ბ-შვილის, მესამე პირის -თბილისის ისანი-სამგორის რაიონის გამგეობის მიმართ. მოსარჩელემ მოითხოვა კუთვნილი ბინის პირვანდელ მდგომარეობაში აღსადგენად მოპასუხისაგან მატერიალური ზიანის -5000 ლარის და ამავე ოდენობით მორალური ზიანის ანაზღაურება, აგრეთვე მოპასუხის მიერ საცხოვრებელი სახლის სადარბაზოს კედლის აღდგენა.

სასარჩელო განცხადებაში აღნიშნულია, რომ, რ. თ-შვილი ცხოვრობს თბილისში, ... ქ. #29-ში, მეოთხე სადარბაზოს მე-3 სართულზე. მე-4 სართულზე მისი ბინის ზემოთ ცხოვრობს მოპასუხე, რომლის ბინაში არსებული სველი წერტილების, საკანალიზაციო კომუნიკაციების მოუწყობლობისა და გაუმართაობის გამო, წლების განმავლობაში (2000 წლის ზაფხულიდან) სისტემატურად ჩამოდის წყალი. შედეგად, დაზიანდა როგორც მისი ბინა, ასევე ქვედა სართულის ბინებიც. კუთვნილ ბინაში შესასვლელის და სამზარეულოს ჭერი და კედლები დანესტიანებულია, შპალერი დამსკდარია, სამზარეულოსა და სააბაზანოში ჭერიდან ბათქაში ჩამოვარდა, ჩამონადენი ბინძური წყალი ჟონავს კედელში და გროვდება იატაკზე, საიდანაც ჩადის ქვედა სართულზე. გარდა ამისა, სადარბაზოში პირველ სართულამდე დანესტიანებულია სახლის მზიდი კედელი, რომელიც დროთა განმავლობაში სერიოზულ საშიშროებას შეუქმნის სახლის უსაფრთხოებას.

მოსარჩელის მითითებით, მიუხედავად არაერთი თხოვნისა, მოპასუხემ არ მიიღო ზომები თავისი ბინის სველი წერტილების მოსაწესრიგებლად. აღნიშნულის გამო, რ. თ-შვილი იძულებული გახდა, მიემართა შპს #92 სერვისული მომსახურების ცენტრისათვის, რომლის წარმომადგენლებმა არაერთხელ შეისწავლეს მის ბინაში არსებული მდგომარეობა და შეადგინეს შესაბამისი აქტები (2000 წლის 5 ივლისის, 2000 წლის 9 სექტემბრის, 2005 წლის 14 სექტემბრის, 2005 წლის 11 ნოემბრის და 2005 წლის 14 დეკემბრის), თუმცა მათ შესაბამისი რეაგირება არ მოჰყოლია.

სარჩელში მოთხოვნის დაკმაყოფილების სამართლებრივ საფუძვლად დასახელებულია სამოქალაქო კოდექსის 408-ე მუხლის პირველი ნაწილი.

2008 წლის 18 ივლისს რ. თ-შვილმა საქმის განმხილველ სასამართლოს წარუდგინა იუსტიციის სამინისტროს ლ. სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს 15.07.2008წ. დასკვნა, რომლის თანახმად, თბილისში, ... ქ. #29-ში მდებარე ბინა #44-ში, მის ზემოთ მდებარე ბინა #47-დან ჩამონადენი წყლის მიერ მიყენებული ზიანის აღმოსაფხვრელად ჩასატარებელი სარემონტო სამუშაოების სახარჯთაღრიცხვო ღირებულება შეადგენს 1843 ლარს.

საქალაქო სასამართლოს მთავარ სხდომაზე მოსარჩელემ სადარბაზოს კედლის ადდგენის მოთხოვნის ნაწილში სარჩელზე უარი განაცხადა, მორალური ზიანის ნაწილში მოთხოვნა უცვლელი დატოვა, ხოლო მატერიალური ზიანის ასანაზღაურებელი თანხა 1843 ლარით განსაზღვრა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2008 წლის 1 დეკემბრის გადაწყვეტილებით რ. თ-შვილის სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა -ა. ბ-შვილს მოსარჩელის სასარგებლოდ დაეკისრა 1843 ლარის ანაზღაურება, მორალური ზიანის ნაწილში სარჩელი არ დაკმაყოფილდა, მოპასუხეს რ. თ-შვილის სასარგებლოდ დაეკისრა მოსარჩელის მიერ ექსპერტიზის ჩატარებისათვის გაწეული ხარჯი 59 ლარის ოდენობით.

საქალაქო სასამართლომ საქმეზე დადგენილად მიიჩნია შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები:

რ. თ-შვილი ცხოვრობს თბილისში, ... ქ. #29-ში, მეოთხე სადარბაზოს მე-3 სართულზე, ბინა #44-ში. ა. ბ-შვილი ცხოვრობს მოსარჩელის ზედა სართულზე ბინა #47-ში;

საქმეში არსებული 2005 წლის 14 სექტემბრის, 2005 წლის 11 ნოემბრის, 2005 წლის 14 დეკემბრის აქტების თანახმად, რომლებიც შედგენილია შპს #92 და #90 სერვისული მომსახურების ცენტრის თანამშრომლების მიერ, ... ქ. #29-ში მდებარე ბინა #44-ში, ზემოაღნიშნული აქტების შედგენის დროს, ბინა #47-დან წყალი ჩავიდა, რამაც გამოიწვია მოსარჩელის ბინის დაზიანება;

საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ლ. სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს 2008 წლის 15 ივლისის დასკვნის მიხედვით, საცხოვრებელი ბინა #44-ში აღნიშნება მის ზემოთ მდებარე საცხოვრებელი ბინა #47-დან ჩამონადენი წყლის მიერ გამოწვეული დაზიანებები ჭერსა და კედელზე (სამზარეულო, საპირფარეშო, დერეფანი). ამავე ექსპერტიზის დასკვნის შესაბამისად, დღეის მდგომარეობით დაზიანებული ადგილები მშრალია, ხოლო მოპასუხის ბინაში არსებული წყალგამტარი და საკანალიზაციო დგარები, აგრეთვე, სველ წერტილებში არსებული კომუნიკაციები (ხილული ნაწილი) ტექნიკურად გამართულია.

ექსპერტიზის დასახელებული დასკვნის თანახმად, თბილისში, ... ქ. #29-ში მდებარე ბინა-#44-ში მის ზემოთ მდებარე ბინა #47-დან ჩამონადენი წყლის მიერ მიყენებული ზიანის აღმოსაფხვრელად ჩასატარებელი სარემონტო სამუშაოების ღირებულება შეადგენს 1843 ლარს.

ზემოაღნიშნული ფაქტობრივი გარემოებების გათვალისწინებით საქალაქო სასამართლომ მიუთითა სამოქალაქო კოდექსის 992-ე მუხლზე და განმარტა, რომ პირი, რომელიც სხვა პირს მართლსაწინააღმდეგო, განზრახი ან გაუფრთხილებელი მოქმედებით მიაყენებს ზიანს, ვალდებულია აუნაზღაუროს მას ეს ზიანი. ამდენად, აღნიშნული ნორმის შინაარსიდან გამომდინარე ზიანი ანაზღაურდებოდა, თუ არსებობდა ზიანის მიყენებისათვის პასუხისმგებლობის დაკისრების შემდეგი პირობები: უნდა არსებულიყო ზიანი, ზიანი გამოწვეული უნდა ყოფილიყო მართლსაწინააღმდეგო ქმედებით, მართლსაწინააღმდეგო ქმედებასა და ზიანს შორის არსებულიყო მიზეზობრივი კავშირი და სახეზე ყოფილიყო მის დადგომაში ზიანის მიმყენებლის ბრალი.

საქალაქო სასამართლომ მიიჩნია, რომ მოცემულ შეთხვევაში სახეზე იყო სამოქალაქო კოდექსის 992-ე მუხლის სადუქველზე დელიქტით გამოწვეული ზიანის ანაზღაურების მოვალეობიდან წარმოშობილი ურთიერთობა.

სასამართლოს მითითებით, მოსარჩელისათვის მიყენებულ ზიანს ადასტურებდა მის საცხოვრებელ ბინაში წყლის ჩადინების შედეგად გამოწვეული დაზიანებები. ასევე დგინდებოდა, რომ წყალი ჩავიდა მოპასუხის ბინიდან. საქმეში არსებული, 2005 წლის 11 ნოემბრისა და 2005 წლის 14 დეკემბრის აქტების თანახმად, წყლის ჩასვლის მიზეზი იყო მოპასუხის ბინაში არსებული კანალიზაციის მილის დაზიანება.

გარდა ამისა, საქალაქო სასამართლომ მიუთითა იუსტიციის სამინისტროს ლ. სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს 2008 წლის 15 ივლისის დასკვნაზე, რომლითაც დგინდებოდა, რომ საცხოვრებელი ბინა #44-ში მის ზემოთ მდებარე საცხოვრებელი ბინა #47-დან ჩამონადენმა წყალმა გამოიწვია დაზიანებები ჭერსა და კედელზე (სამზარეულო, საპირფარეშო, დერეფანი).

საქმეში არსებული მტკიცებულებების საფუძველზე სასამართლომ არ გაიზიარა მოპასუხის წარმომადგენლის პოზიცია ზიანის დადგომაში მისი ბრალის არარსებობისა და ზიანის საცხოვრებელი სახლის ამორტიზაციით გამოწვევის თაობაზე, რამდენადაც მოპასუხეს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე მუხლიდან გამომდინარე, აღნიშნულის დამადასტურებელი მტკიცებულება არ წარუდგენია.

საქალაქო სასამართლოს განმარტებით, სამოქალაქო კოდექსის (2005 წლისათვის მოქმედი რედაქცია) 219-ე მუხლის პირველი ნაწილის "ა" ქვეპუნქტის თანახმად, ბინის მესაკუთრე მოვალეა, ისეთ მდგომარეობაში შეინარჩუნოს და იმგვარად გამოიყენოს ინდივიდუალურ საკუთრებაში არსებული შენობის ნაწილები, აგრეთვე საერთო საკუთრება, რომ ამით არ შეილახოს მესაკუთრეთა ერთად ცხოვრების წესები და არ მიადგეთ მათ ზიანი.

საქმეში არსებული 2005 წლის 11 ნოემბრის, 2005 წლის 14 დეკემბრის აქტებისა და იუსტიციის სამინისტროს ლ. სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს 2005 წლის 15 ივლისის დასკვნის საფუძველზე, საქალაქო სასამართლომ დადგინდად მიიჩნია, რომ მოპასუხე ანჯელა ბაბაჯაშვილმა დაარღვია ბინის მესაკუთრის მოვალეობა სათანადო მდგომარეობაში შეენარჩუნებინა ინდივიდუალურ საკუთრებაში არსებული საცხოვრებელი ფართი და მასში არსებული კომუნიკაციები, რითაც ზიანი მიაყენა მოსარჩელეს.

ზიანის ასანაზღაურებელი თანხის დაკისრებისას საქალაქო სასამართლომ მიუთითა სამოქალაქო კოდექსის 408-ე მუხლზე, რომლის თანახმად, იმ პირმა, რომელიც ვალდებულია აანაზღაუროს ზიანი, უნდა აღადგინოს ის მდგომარეობა, რომელიც იარსებებდა, რომ არ დამდგარიყო ანაზღაურების მავალდებულებელი გარემოება. აქვე, სასამართლომ განმარტა, რომ, მართალია, სამოქალაქო კოდექსის 408-ე მუხლი ითვალისწინებს პირვანდელი მდგომარეობის აღდგენას, მაგრამ აღნიშნული ნორმა არ უნდა ყოფილიყო განმარტებული სიტყვასიტყვითი მნიშვნელობით, რადგან სამოქალაქო დავის გადაწყვეტისას უმთავრესია სამოქალაქო კონფლიქტის აღმოფხვრა. მოცემულ შემთხვევაში, მოსარჩელე წინააღმდეგი იყო მოპასუხის მიერ მისი საცხოვრებელი ბინის გარემონტებაზე, რაც, სასამართლოს აზრით, კიდევ უფრო გაამწვავებდა მხარეთა ურთიერთობას და დავა ამით არ აღმოიფხვრებოდა. ამასთან, სასამართლომ გაითვალისწინა ის გარემოება, რომ შეუძლებელი იყო აბსოლუტური სიზუსტით იმის განსაზღვრა, თუ რა მდგომარეობაში იყო მოსარჩელის ბინა ზიანის მიყენებამდე.

სამოქალაქო კოდექსის 409-ე მუხლის მიხედვით, თუ ზიანის ანაზღაურება პირვანდელი მდგომარეობის აღდგენით შეუძლებელია ან ამისათვის საჭიროა არათანაზომიერად დიდი დანახარჯები, მაშინ კრედიტორს შეიძლება მიეცეს ფულადი ანაზღაურება.

მოცემულ შემთხვევაში იუსტიციის სამინისტროს ლ. სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს 2008 წლის 15 ივლისის დასკვნით დგინდებოდა, რომ თბილისში, ... ქ. #29-ში მდებარე ბინა #44-ში, მის ზემოთ მდებარე ბინა #47-დან ჩამონადენი წყლის მიერ მიყენებული ზიანის აღმოსაფხვრელად ჩასატარებელი სარემონტო სამუშაოების სახარჯთაღრიცხვო ღირებულება შეადგენს 1843 ლარს.

სასამართლომ არ გაიზიარა მოპასუხის წარმომადგენლის პოზიცია იმასთან დაკავშირებით, რომ მოსარჩელის ბინაში არსებული დაზიანებების აღმოსაფხვრელად საკმარისი იყო 570 ლარი. აღნიშნულ გარემოებას მოპასუხე აფუძნებდა შპს "უნივერსალტრეველის" წერილს, თუმცა წერილიდან ირკვეოდა, რომ ორგანიზაციის წარმომადგენლებს ადგილზე არ შეუმოწმებიათ თბილისში, ... ქ. #29-ში მდებარე ბინა #44-ში არსებული დაზიანებები და არ მოუხდენიათ ხარჯთაღრიცხვა.

მორალური ზიანის ანაზღაურების შესახებ მოსარჩელის მოთხოვნასთან დაკავშირებით საქალაქო სასამართლომ განმარტა, რომ სამოქალაქო კოდექსის 413-ე მუხლის პირველი ნაწილიდან გამომდინარე არაქონებრივი (მორალური) ზიანი ანაზღაურდება მხოლოდ კანონით განსაზღვრულ შემთხვევაში. კანონი კი მორალური ზიანის ანაზღაურებას ქონების დაზიანების შემთხვევაში არ ითვალისწინებს.

პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება ზიანის ასანაზღაურებლად 1843 ლარისა და ექსპერტიზისათვის გაწეული ხარჯების მოპასუხისათვის დაკისრების ნაწილში სააპელაციო წესით გაასაჩივრა ა. ბ-შვილმა, რომელმაც მოითხოვა მითითებულ ნაწილში გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 29 აპრილის განჩინებით ა. ბ-შვილის სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა, უცვლელად დარჩა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2008 წლის 1 დეკემბრის გადაწყვეტილება.

სააპელაციო სასამართლომ არ გაიზიარა აპელანტის მსჯელობა იმის შესახებ, რომ მოპასუხეს ბრალი არ მიუძღოდა მოსარჩელისათვის ზიანის მიყენებაში და ამ საკითხზე სრულად დაეთანხმა გასაჩივრებული გადაწყვეტილების მოსაზრებებს. სააპელაციო სასამართლომ დამატებით მიუთითა საქმეში არსებულ სხვა მტკიცებულებებზეც, რომლებითაც დასტურდებოდა ის გარემოება, რომ რ. თ-შვილის საცხოვრებელი ბინა დაზიანდა სწორედ ა. ბ-შვილის ბინიდან ჩამოსული წყლით. კერძოდ, ა. ბ-შვილი მიუთითებდა, რომ, თუ თ-შვილებს მართლაც მისგან ჩასდიოდა წყალი, ეს იყო არა მისი პირადი ბრალი, არამედ ხელოსნის ბრალი, რომელმაც სათანადოდ ვერ შეაკეთა მისი ბინის კომუნიკაციები. საქმეში არსებული უბნის ინსპექტორის მიერ 2006 წლის 15 სექტემბერს შედგენილ ოქმში მოპასუხე ა. ბ-შვილი ადასტურებდა ფაქტს იმის შესახებ, რომ მან შეცვალა წყლისა და კანალიზაციის მილების შეცვლა თავის ბინაში, რა დროსაც აღმოჩნდა გარკვეული დაზიანებები, რასაც შეეძლო გამოეწვია წყლის ქვემოთ ჩაჟონვა. ამდენად, უდავოდ დგინდებოდა, რომ რ. თ-შვილის ბინის დაზიანება გამოწვეულ იქნა ა. ბ-შვილის ბინიდან ჩამონადენი წყლით. შესაბამისად, არსებობდა გაუფრთხილებელი ბრალი, რაც იმაში გამოიხატა, რომ ა. ბ-შვილმა არ მიიღო ზომები თავისი ბინის ისეთ მდგომარეობაში შესანარჩუნებლად და იმგვარად გამოყენებისათ-

ვის, რომ ამით ზიანი არ მისდგომოდა სხვა მესაკუთრეს (სამოქალაქო კოდექსის სადავო პერიოდში მოქმედი 219-ე მუხლის პირველი ნაწილის "ა" ქვეპუნქტი).

სააპელაციო სასამართლომ ასევე სრულად გაიზიარა გასაჩივრებული გადაწყვეტილების დასკვნები ზიანის ოდენობასთან დაკავშირებით, რაც ეფუძნებოდა საქმეში არსებულ ექსპერტიზის დასკვნას.

სააპელაციო სასამართლო არ დაეთანხმა აპელანტის მსჯელობას სამოქალაქო კოდექსის 409-ე მუხლის არასწორად გამოყენებასთან დაკავშირებით და მიიჩნია, რომ საქალაქო სასამართლომ სათანადოდ დაასაბუთა ამ ნორმის გამოყენების აუცილებლობა, ისევე, როგორც ამავე კოდექსის 408-ე და 992-ე მუხლებით განსაზღვრული გარემოებების არსებობა სადავო სამართალურთიერთობასთან მიმართებით.

სააპელაციო სასამართლოს განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრა ა. ბ-შვილმა, რომელმაც მოითხოვა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და საქმის ხელახლა განსახილველად სააპელაციო სასამართლოს სხვა შემადგენლობისათვის დაბრუნება, შემდეგი საფუძვლებით:

სააპელაციო სასამართლომ არასწორად განმარტა მოპასუხის მიერ პოლიციაში მიცემული ჩვენება, რა დროსაც მან განაცხადა, რომ გამორიცხული არ იყო რ. თ-შვილის ბინაში წყალი მისი ბინიდანაც ჩასულიყო. ამ შემთხვევაში არსებითია ის, რომ ა. ბ-შვილმა 2006 წლის შემოდგომაზე მთლიანად შეცვალა წყლის სისტემა, მილები გაიყვანა კედლის ზემოთ, თუმცა მოსარჩელე ისევ გამოთქვამდა პრეტენზიას ბინაში წყლის ჩადინებაზე. კასატორის აზრით, აღნიშნული გამოწვეულია საცხოვრებელ სახლში ცენტრალური მილების სიძველით.

საქმეში არსებული ექსპერტიზის დასკვნა კანონსაწინააღმდეგოა, რასაც ცხადყოფს მასზე დართული ხარჯთაღრიცხვაც, რომლის მონაცემები არც ერთი სამშენებლო ფირმის მონაცემებს არ შეესაბამება.

კასატორის მითითებით, სააპელაციო სასამართლომ არ იმსჯელა მის მიერ წარდგენილ მტკიცებულებებზე, კერძოდ, მეზობლების მიერ შედგენილ აქტებზე, მათი ბინების ფოტოსურათებზე და სამშენებლო-სარემონტო ფირმის დასკვნაზე, რითაც დაარღვია სამოქალაქო საპროცესო კოდექსით გათვალისწინებული მოთხოვნა მტკიცებულებების ყოველმხრივ, სრულად და ობიექტურად შეფასების თაობაზე.

სასამართლომ გამოიყენა სამოქალაქო კოდექსის 409-ე მუხლი, რომელიც არ უნდა გამოეყენებინა. კანონის დასახელებული ნორმის მიხედვით, კრედიტორს შეიძლება მიეცეს ფულადი ანაზღაურება, თუ ზიანის ანაზღაურება პირვანდელი მდგომარეობის აღდგენით შეუძლებელია ან ამისათვის საჭიროა არათანაზომიერად დიდი დანახარჯები. სადავო შემთხვევაში არც ერთი და არც მეორე არ არსებობს, არც ერთი მტკიცებულება არ მიუთითებს იმაზე, რომ სადავო ბინის დაზიანებული ადგილების აღდგენა შეუძლებელია ან იგი დიდ ხარჯებთანაა დაკავშირებული.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის შესწავლის, საკასაციო საჩივრის დასაშვებობის შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ ა. ბ-შვილის საკასაციო საჩივარი არ აკმაყოფილებს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 391-ე მუხლის მე-5 ნაწილის მოთხოვნებს, რის გამოც მიჩნეულ უნდა იქნეს დაუმკველად, შემდეგ გარემოებათა გამო:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 391-ე მუხლის მე-5 ნაწილი განსაზღვრავს საკასაციო საჩივრის განსახილველად დაშვების ამომწურავ პირობებს, როგორცაა: ა) საქმე მნიშვნელოვანია სამართლის განვითარებისა და ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკის ჩამოყალიბებისათვის; ბ) სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება განსხვავდება ამ კატეგორიის საქმეებზე საქართველოს უზენაესი სასამართლოს მანამდე არსებული პრაქტიკისაგან; გ) სააპელაციო სასამართლოს მიერ საქმე განხილულია მნიშვნელოვანი საპროცესო დარღვევით, რომელსაც შეეძლო არსებითად ემოქმედა საქმის განხილვის შედეგზე; დ) გასაჩივრებულია სააპელაციო სასამართლოს მეორე დაუსწრებელი გადაწყვეტილება ან განჩინება დაუსწრებელი გადაწყვეტილების უცვლელად დატოვების თაობაზე.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ წარმოდგენილი საკასაციო საჩივარი არ არის დასაშვები სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 391-ე მუხლის მე-5 ნაწილით გათვალისწინებული არც ერთი ზემომითითებული საფუძვლით.

კასატორი ვერ ასაბუთებს სააპელაციო სასამართლოს მიერ საქმის განხილვას მნიშვნელოვანი საპროცესო დარღვევით, რამაც არსებითად იმოქმედა საქმის შედეგზე და განაპირობა არასწორი განჩინების გამოტანა.

საკასაციო საჩივარი არ არის დასაშვები არც სააპელაციო სასამართლოს განჩინების საკასაციო სასამართლოს პრაქტიკისაგან განსხვავების არსებობის საფუძვლით.

ამასთან, საკასაციო საჩივრის განხილვისა და საკასაციო სასამართლოს მიერ საქმეზე ახალი განჩინების მიღების საჭიროება არ არსებობს არც სამართლის განვითარებისა და ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკის ჩამოყალიბების აუცილებლობის თვალსაზრისით.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 391-ე მუხლის საფუძველზე, ა. ბ-შვილის საკასაციო საჩივარი არ ექვემდებარება განსახილველად დაშვებას.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 391-ე, 401-ე მუხლებით და

და ა ა დ გ ი ნ ა :

1. ა. ბ-შვილის საკასაციო საჩივარი თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 29 აპრილის განჩინებაზე მიჩნეულ იქნეს დაუშვებლად;
2. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

საკასაციო საჩივრის დასაშვებობა

განჩინება

#ას-612-921-09

27 ივლისი, 2009 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატა
შემადგენლობა: მ. გოგიშვილი (თავმჯდომარე),
ლ. ლაზარაშვილი (მომხსენებელი),
ნ. კვანტალიანი

დავის საგანი: სამუშაოზე აღდგენა, იძულებითი განაცდურის ანაზღაურება

აღწერილობითი ნაწილი:

2009 წლის 5 თებერვალს ზესტაფონის რაიონულ სასამართლოს სამუშაოზე აღდგენისა და იძულებითი განაცდურის ანაზღაურების მოთხოვნით ორგანიზაციის წარმომადგენელმა მ. გ-მემ მოპასუხე შპს "ზესტაფონის მუნიციპალური ავტოსატრანსპორტო საწარმოს" მიმართ.

მოსარჩელე მიუთითებდა, რომ 2007 წლის 3 აპრილიდან მუშაობდა მოპასუხე ორგანიზაციაში მთავარ ბუღალტრად და მისი ხელფასი შეადგენდა თვეში 150 ლარს. მუშაობის პერიოდში დირექტორმა -რ. ჩ-მემ თანხები მითვისა. რამდენადაც ნ. გ-მე, როგორც ბუღალტერი, პასუხისმგებელი იყო საწარმოს ფინანსურად გამართულ მუშაობაზე, იგი არსებული დარღვევების შესახებ დირექტორს პერიოდულად ახსენებდა. მიუხედავად ამისა, ეს უკანასკნელი მოსარჩელის კანონიერ მოთხოვნაზე რეაგირებას არ ახდენდა. პირიქით, იგი ნ. გ-მეს ფიზიკური ანგარიშსწორებით ემუქრებოდა. აღნიშნულის გამო მოსარჩელემ მიმართა პოლიციას, რა დროსაც რ. ჩ-მეს ხელწერილი ჩამოერთვა. დირექტორის მეორე თანხების მითვისების კვლავ გაგრძელების შემდგომ, ნ. გ-მემ საჩივრით მიმართა ფინანსურ პოლიციას.

2008 წლის 26 აგვისტოს #1 ბრძანებით მოსარჩელესთან შრომითი ურთიერთობა შეწყდა. ბრძანების საფუძველად მიეთითა ერთი თვის განმავლობაში ნ. გ-მის სამსახურში გამოუცხადებლობა.

მოსარჩელის მითითებით, ზემოაღნიშნული ფაქტობრივი გარემოებები ცხადყოფდა სამუშაოდან მისი გათავისუფლების ნამდვილ მოტივს -შურისძიებას. სწორედ ნ. გ-მის განცხადების საფუძველზე შემოსავლების სამსახურის საგამოძიებო დეპარტამენტის იმერეთი რაჭა-ლეჩხუმისა და გურიის სამმართველოს მიერ ჩატარდა წინასწარი გამოძიება ზესტაფონის მუნიციპალური ავტოსატრანსპორტო საწარმოს 2007-2008 წლებში მიღებული თანხების არაერთგზის მართლსაწინააღმდეგო მითვისების ფაქტზე, რამაც მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია, სისხლის სამართლის კოდექსის 182-ე მუხლის მე-2 ნაწილის "ა" და "გ" ქვეპუნქტებით გათვალისწინებული ნიშნებით. 2009 წლის 29 დეკემბერს რ. ჩ-მე გათავისუფლდა თანამდებობიდან ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2008 წლის 23 დეკემბრის განაჩენის საფუძველზე.

ბრძანებაში ასახულ პერიოდში შრომითი მოვალეობების შესრულების ფაქტების დასადასტურებლად მოსარჩელემ მიუთითა 2008 წლის 15 აგვისტოს მის მიერ საწარმოს დეკლარაციის საგადასახადო ინსპექციაში წარდგენაზე, ასევე გამოძიების პროცესში რიგი დოკუმენტების ამოღებაში მონაწილეობის მიღებაზე.

მოთხოვნის დაკმაყოფილების სამართლებრივ საფუძველად სარჩელში დასახელდა შრომის კანონთა კოდექსის 37-ე მუხლი.

მოპასუხე შპს "ზესტაფონის მუნიციპალური ავტოსატრანსპორტო საწარმო" სარჩელი არ ცნო და მისი უარყოფა შემდეგი არგუმენტებით დაასაბუთა:

მოსარჩელე არ ცხადდებოდა სამსახურში და არღვევდა შრომის შინაგანაწესს;

2008 წლის 14 აგვისტოს ფინანსური პოლიციის მიერ საწარმოდან ვერ იქნა ამოღებული საბუღალტრო დოკუმენტაცია, რადგან იგი მოსარჩელეს ოთახში ჰქონდა ჩაკეტილი, თავად სამსახურში არ იმყოფებოდა და პოლიცია იძულებული გახდა, სხვა დროისათვის გადაედო საპროცესო მოქმედების შესრულება;

საწარმოში მოშლილია საბუღალტრო აღრიცხვა-ანგარიშგება, რის გამოც 2007-2008 წლების საბუღალტრო დოკუმენტებზე დაყრდნობით ვერ მოხერხდა აუდიტორული შემოწმება და დასკვნის გაცემა;

შპს "ზესტაფონის მუნიციპალური ავტოსატრანსპორტო საწარმოს" დირექტორის 2008 წლის 21 ივლისის #40 ბრძანებით ნ. გ-მეს გამოეცხადა სასტიკი საყვედური, რასაც საფუძვლად დაედო მის მიერ სალაროს გვერდის ავლით თანხების გაცემა.

ზესტაფონის რაიონული სასამართლოს 2009 წლის 10 მარტის გადაწყვეტილებით ნ. გ-მის სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

რაიონულმა სასამართლომ არ გაიზიარა მოსარჩელის არგუმენტი, რომ მისი გათავისუფლება დირექტორმა გადაწყვიტა პირადი დაინტერესებით, სისხლის სამართლის წესით მისი მხილების გამო, რამდენადაც განაჩენი, რომლითაც რ. ჩ-მე ცნობილ იქნა დამნაშავედ, გამოტანილია 2008 წლის 23 დეკემბერს, ხოლო მოსარჩელე სამსახურიდან გათავისუფლდა განაჩენის მიღებამდე სამი თვით ადრე. აქედან გამომდინარე, რაიონულმა სასამართლომ მიიჩნია, რომ გამამტყუნებელი განაჩენის დადგენამდე მსჯავრდებულს ვერ გაუჩნდებოდა პირადი დაინტერესება მოსარჩელის მიმართ.

სასამართლომ არსებითი მნიშვნელობა არ მიანიჭა 2008 წლის 21 ივლისის #40 განკარგულებას და მასში აღნიშნულ გარემოებებს მოსარჩელისათვის სასტიკი საყვედურის გამოცხადების თაობაზე, რადგან ასეთი დისციპლინური სახდელი დავის გადაწყვეტის დროს მოქმედი შრომის კოდექსით არ იყო გათვალისწინებული და მის გარეშე სათანადო დარღვევის შემთხვევაში სამუშაოდან გათავისუფლება დასაშვები იყო.

რაიონული სასამართლოს მოსაზრებით, მოსარჩელემ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე მუხლის შესაბამისად ვერ დაასაბუთა ბრძანებაში მითითებული ფაქტობრივი გარემოების -სამსახურში გამოუცხადებლობის მცდარობა. ასეთ დასაბუთებად ვერ მიიჩნეოდა მოსარჩელის წინასწარ გამოძიებასთან თანამშრომლობა, ვინაიდან დასახელებულ საპროცესო მოქმედებებს არ დასჭირვებია მთელი კალენდარული თვის ყოველი დღე ნ. გ-მის გამოძიების ადგილზე ყოფნა. გარდა ამისა, სამუშაოზე გამოცხადებასთან ასევე ვერ გაიგივებოდა საგადასახადო დოკუმენტების წარდგენა, როგორც ერთჯერადი, პერმანენტული მოქმედება.

ამდენად, რაიონულმა სასამართლომ დაასკვნა, რომ მოსარჩელის სამუშაოდან გათავისუფლების შესახებ ბრძანების ფაქტობრივი საფუძველი სწორი იყო, რომლის ნამდვილობა ბრძანებას ანიჭებდა კანონიერ ხასიათს, ხოლო სადავო ურთიერთობის განხილვის შედეგად ბრძანების ფაქტობრივი საფუძველი შესაბამებოდა შრომის კოდექსის 37-ე მუხლის პირველი ნაწილის "გ" ქვეპუნქტს. ამასთან, სასამართლოს მოსაზრებით, სამუშაოზე აღდგენის მოთხოვნის დაუკმაყოფილებლობა ბრძანების არსებითი სისწორის გამო, ნიშნავდა, რომ ადგილი არ ჰქონდა იძულებით განაცდურ დროს.

პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა ნ. გ-მემ, რომელმაც მოითხოვა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილება.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 7 მაისის გადაწყვეტილებით ნ. გ-მის სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა, გაუქმდა ზესტაფონის რაიონული სასამართლოს 2009 წლის 10 მარტის გადაწყვეტილება და მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება: ნ. გ-მე აღიარებულ იქნა შპს "ზესტაფონის მუნიციპალიტეტის ავტოსატრანსპორტო საწარმოს" მუშაკად ბუღალტერის თანამდებობაზე, შპს "ზესტაფონის მუნიციპალიტეტის ავტოსატრანსპორტო საწარმოს" ნ. გ-მის სასარგებლოდ დაეკისრა ორი თვის იძულებით მოცდენის დროისათვის ანაზღაურება 300 ლარის ოდენობით.

სააპელაციო სასამართლომ საქმეზე დადგენილად მიიჩნია, რომ ნ. გ-მე შპს "ზესტაფონის მუნიციპალიტეტის ავტოსატრანსპორტო საწარმოში" 2007 წლის 3 აპრილიდან მუშაობდა მთავარ ბუღალტრად და ხელფასი ჰქონდა 150 ლარი;

2008 წლის 26 აგვისტოს #1 ბრძანებით აპელანტთან შრომითი ურთიერთობები შეწყდა ერთი თვის მანძილზე სამსახურში გამოუცხადებლობის გამო.

სააპელაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ აპელანტის მიერ შრომითი ხელშეკრულების პირობების დარღვევა, რის გამოც იგი სამუშაოდან გათავისუფლდა, საქმის მასალებით არ დასტურდებოდა.

შინაგან საქმეთა სამინისტროს იმერეთის, რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის სამხარეო მთავარი სამმართველოს ზესტაფონის რაიონული სამმართველოს 2008 წლის 1 აგვისტოს წერილით ირკვეოდა, რომ 2008 წლის ივლისის თვეში აპელანტი სამუშაოზე იმყოფებოდა. იგივე დგინდებოდა ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2008 წლის 23 დეკემბრის განაჩენითაც, რომელშიც მითითებულია, რომ საწარმოს დირექტორმა 2008 წლის აგვისტოში გ-ძეს შესთავაზა საგზურების შეცვლა, რასაც გ-ძე არ დაეთანხმა.

სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებით, ზემოაღნიშნული ფაქტობრივი გარემოებები ცხადყოფდა, რომ 2008 წლის აგვისტოში აპელანტი შრომით მოვალეობებს ასრულებდა. საწინააღმდეგოს დამადასტურებელი მტკიცებულებები საქმეში არ არსებობდა.

სააპელაციო სასამართლომ მიუთითა, რომ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე მუხლის პირველი ნაწილით დადგენილი მტკიცების ტვირთის გათვალისწინებით მოწინააღმდეგე მხარეს თავისი პოზიციის დამადასტურებელი მტკიცებულებები არ წარუდგენია. უის გარემოება, რომ ნ. გ-ძე არაჯეროვნად ასრულებდა დაკისრებულ მოვალეობას არ გამომდინარეობდა შპს "ზესტაფონის მუნიციპალური ავტოსატრანსპორტო საწარმოს" დირექტორის 2008 წლის 21 ივლისის ბრძანებიდან. ამ ბრძანების მიხედვით, აპელანტის უკანონო მოქმედებების გამო მოლარე ვერ ახერხებდა სალაროს დახურვას. თუმცა საწინააღმდეგო დგინდებოდა ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2008 წლის 23 დეკემბრის განაჩენიდან. ამ განაჩენის თანახმად, სწორედ აპელანტი სთხოვდა საწარმოს დირექტორს სალაროში თანხის შეტანას, ე.ი. მოქმედებდა მართლზომიერად.

სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებით, აპელანტის მიერ შრომითი მოვალეობების არაჯეროვნად შესრულებას არ ადასტურებდა არც საქმეში არსებული სხვა მტკიცებულებები, კერძოდ: ა) საწარმოს დირექტორის 2006 წლის 11 სექტემბრის მიმართვა ზესტაფონის რაიონული სამმართველოს პოლიციის უფროსის სახელზე. ეს მიმართვა ასახავდა იმ ფაქტებს, რომლებსაც ადგილი ჰქონდა ნ. გ-ძესთან შრომითი ურთიერთობების შეწყვეტის თაობაზე ბრძანების მიღების შემდეგ; ბ) შპს "ლუსა-აუდიტის" დასკვნა. მასში მითითებული იყო, რომ სახეზე არსებული დოკუმენტების საშუალებით ვერ მოხერხდა 2007-2008 წლების აუდიტორული შემოწმების ჩატარება. თუმცა, მხოლოდ ეს, თავისთავად, არ ნიშნავდა, რომ აპელანტი არაჯეროვნად ასრულებდა დაკისრებულ მოვალეობებს.

სააპელაციო სასამართლომ ყურადღება მიაქცია იმ გარემოებას, რომ საწარმოს ფინანსური დოკუმენტაცია ამოღებულ იქნა ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის საგამომიებო დეპარტამენტის იმერეთი, რაჭა-ლეჩხუმი გურიის სამმართველოს მიერ 2008 წლის 14 აგვისტოს. საქმეზე წარდგენილი არ იყო მტკიცებულება, რომლითაც დადასტურდებოდა, რომ ამოღებული დოკუმენტაცია შპს "ზესტაფონის მუნიციპალიტეტის ავტოსატრანსპორტო საწარმოს" დაუბრუნდა. შესაბამისად, აუდიტორული შემოწმებისათვის შეეძლო ხელი შეეშალა სწორედ იმას, რომ საგამომიებო დეპარტამენტის მიერ ამოღებული დოკუმენტები შემოწმების დროისათვის საწარმოში დაბრუნებული არ იყო.

ამდენად, არ დასტურდებოდა, რომ ნ. გ-ძემ დაარღვია შრომითი ხელშეკრულების პირობები. შესაბამისად, სააპელაციო სასამართლომ დაადგინა, რომ არ არსებობდა აპელანტთან შრომითი ურთიერთობების შეწყვეტის შრომის კოდექსით გათვალისწინებული საფუძველი.

იმაზე მითითებით, რომ დამსაქმებლის ერთპიროვნული გადაწყვეტილება შრომითი ურთიერთობების შეწყვეტის შესახებ მიმართული იყო არსებული სამართლებრივი ურთიერთობების შეწყვეტისაკენ, სააპელაციო სასამართლომ სადავო ბრძანების, როგორც გარიგების მიმართ გამოიყენა სამოქალაქო კოდექსის 54-ე მუხლით დადგენილი დანაწესი. კანონის აღნიშნული ნორმის თანახმად, გარიგება, რომელიც არღვევს კანონით ან ხელშეკრულებით დადგენილ წესს და აკრძალვებს ბათილია, ე.ი. სამართლებრივ შედეგს არ წარმოშობს. აქედან გამომდინარე, სადავო ბრძანება შრომითი ურთიერთობების უკანონოდ შეწყვეტის გამო ბათილად ცნობას ექვემდებარებოდა. აღნიშნული ფაქტობრივი გარემოება, თავის მხრივ, განაპირობებდა ნ. გ-ძისათვის დამსაქმებლის მიზეზით მოცდენის პერიოდში მისაღები ხელფასის ანაზღაურებას, რაც მოცემულ შემთხვევაში მოიცავდა 2 თვის შრომის გასამრჯელოს -300 ლარს.

სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საკასაციო წესით გაასაჩივრა შპს "ზესტაფონის მუნიციპალური ავტოსატრანსპორტო საწარმომ", რომელმაც მოითხოვა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა, შემდეგი საფუძველებით:

სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება იურიდიულად დაუსაბუთებელია, არ გამომდინარეობს საქმის ფაქტობრივი გარემოებებიდან;

ნ. გ-ძესთან შრომითი ხელშეკრულება შეწყდა შრომის კანონთა კოდექსის 37-ე მუხლის "გ" ქვეპუნქტის შესაბამისად, კერძოდ, დაკისრებული მოვალეობის არაჯეროვნად შესრულების გამო. მოსარჩელის მხრიდან სამსახურებრივი მოვალეობების არაჯეროვნად შესრულებას ადასტურებდა საა-

პელაციო სასამართლოში მოპასუხის მიერ წარდგენილი შედარების აქტი საგადასახადო ინსპექციიდან, რომლის მიხედვითაც, 2009 წლის 1 იანვრის მდგომარეობით მოპასუხე საწარმოს დავალიანება შეადგენდა 1363.02 ლარს. აღნიშნული განპირობებული იყო იმით, რომ ბუღალტერი ნ. გ-ძე ხელფასებზე არ არიცხავდა საშემოსავლო გადასახადს, რაც მის მიერ სამსახურებრივი მოვალეობის შეუსრულებლობად უნდა შეფასდეს.

კასატორის აზრით, აღსანიშნავია ის გარემოება, რომ ბუღალტერი ნ. გ-ძე შემოსავლების სამსახურის საგადასახადო ინსპექციაში სისტემატურად არ წარადგენდა საშემოსავლო და სოციალური გადასახადების ყოველთვიურ დეკლარაციებს. მაგალითად, მას არ წარუდგენია 2005 წლის სექტემბრის, ოქტომბრის, ნოემბრის, 2006 წლის იანვრის, თებერვლის, მარტის, აპრილის, აგვისტოს, სექტემბრის, 2007 წლის დეკემბრის საშემოსავლო და სოციალური გადასახადების ყოველთვიური დეკლარაციები, რის გამოც საგადასახადო ინსპექციამ მოპასუხეს შეუდგინა საგადასახადო სამართალდარღვევის ოქმი და საგადასახადო კოდექსის 131-ე მუხლის შესაბამისად მის მიმართ განახორციელა საჯარიმო სანქცია 1055 ლარის ოდენობით.

კასატორის მოსაზრებით, ყოველივე ზემოაღნიშნული ნ. გ-ძის მიერ შრომითი ხელშეკრულების პირობების დარღვევას ნათლად ადასტურებს, რაც შრომის კანონთა კოდექსის 37-ე მუხლის პირველი ნაწილის "გ" ქვეპუნქტიდან გამომდინარე მოსარჩელესთან შრომითი ურთიერთობის შეწყვეტის საფუძველია.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის შესწავლის, საკასაციო საჩივრის დასაშვებობის შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ შპს "ზესტაფონის მუნიციპალური ავტოსატრანსპორტო საწარმოს" საკასაციო საჩივარი არ აკმაყოფილებს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 391-ე მუხლის მე-5 ნაწილის მოთხოვნებს, რის გამოც მიჩნეულ უნდა იქნეს დაუშვებლად, შემდეგ გარემოებათა გამო:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 391-ე მუხლის მე-5 ნაწილი განსაზღვრავს საკასაციო საჩივრის განსახილველად დაშვების ამომწურავ პირობებს, როგორცაა: ა) საქმე მნიშვნელოვანია სამართლის განვითარებისა და ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკის ჩამოყალიბებისათვის; ბ) სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება განსხვავდება ამ კატეგორიის საქმეებზე საქართველოს უზენაესი სასამართლოს მანამდე არსებული პრაქტიკისაგან; გ) სააპელაციო სასამართლოს მიერ საქმე განხილულია მნიშვნელოვანი საპროცესო დარღვევით, რომელსაც შეეძლო არსებითად ემოქმედა საქმის განხილვის შედეგზე; დ) გასაჩივრებულია სააპელაციო სასამართლოს მეორე დაუსწრებელი გადაწყვეტილება ან განჩინება დაუსწრებელი გადაწყვეტილების უცვლელად დატოვების თაობაზე.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ წარმოდგენილი საკასაციო საჩივარი არ არის დასაშვები სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 391-ე მუხლის მე-5 ნაწილით გათვალისწინებული არც ერთი ზემომითითებული საფუძველით.

კასატორი ვერ ასაბუთებს სააპელაციო სასამართლოს მიერ საქმის განხილვას მნიშვნელოვანი საპროცესო დარღვევით, რამაც არსებითად ემოქმედა საქმის შედეგზე და განაპირობა არასწორი გადაწყვეტილების გამოტანა.

საკასაციო საჩივარი არ არის დასაშვები არც სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილების საკასაციო სასამართლოს პრაქტიკისაგან განსხვავების არსებობის საფუძველით.

ამასთან, საკასაციო საჩივრის განხილვისა და საკასაციო სასამართლოს მიერ საქმეზე ახალი გადაწყვეტილების მიღების საჭიროება არ არსებობს არც სამართლის განვითარებისა და ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკის ჩამოყალიბების აუცილებლობის თვალსაზრისით.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 391-ე მუხლის საფუძველზე, შპს "ზესტაფონის მუნიციპალური ავტოსატრანსპორტო საწარმოს" საკასაციო საჩივარი არ ექვემდებარება განსახილველად დაშვებას.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 401-ე მუხლის მე-4 ნაწილის საფუძველზე კასატორს უნდა დაუბრუნდეს ვალიკო თავხელიძის მიერ გადახდილი სახელმწიფო ბაჟის (300 ლარის) 70% -210 ლარი.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 391-ე, 401-ე მუხლებით და

და ა ა დ გ ი ნ ა:

1. შპს "ზეესტაფონის მუნიციპალური ავტოსატრანსპორტო საწარმოს" საკასაციო საჩივარი ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 7 მაისის გადაწყვეტილებაზე მიჩნეულ იქნეს დაუშვებლად;
2. შპს "ზეესტაფონის მუნიციპალური ავტოსატრანსპორტო საწარმოს" დაუბრუნდეს ვალიკო თავხელიძის მიერ გადახდილი სახელმწიფო ბაჟის (300 ლარი) 70% -210 ლარი;
3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

საკასაციო საჩივრის დასაშვებობა

განჩინება

#ას-494-806-09

31 ივლისი, 2009 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატა

**შემადგენლობა: მ. გოგიშვილი (თავმჯდომარე),
რ. ნადირიანი (მომხსენებელი),
მ. სულხანიშვილი**

დავის საგანი: გარიგებათა ბათილად ცნობა, სამართალურთიერთობის არსებობისა და უფლების არქონის დადგენა

აღწერილობითი ნაწილი:

სს „სელედ აგ-მა“ სარჩელით მიმართა რუსთავის საქალაქო სასამართლოს მოპასუხეების -სს „აზოტის“, საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს, სს „ენერჯი ინვესტის“, შპს „ჯი-ეი-ერ კონსალტინგის“ მიმართ, რომლითაც მოითხოვა საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროსა და ს/ს „ენერჯი-ინვესტის“ შორის 2005 წლის 30 მაისს დადებული ხელშეკრულების, ს/ს „აზოტის“ კრედიტორთა კრების 2005 წლის 24 ივნისის კრების გადაწყვეტილების, აუდიტორული ფირმა შპს „ჯი-ეი-ერ კონსალტინგის“ 2005 წლის 11 ივლისის 07/001 დასკვნის, ს/ს „აზოტის“ კრედიტორთა კომიტეტის გადაწყვეტილების (2005 წლის 21 ივლისის ს/ს „აზოტის“ აქტივების გასხვისებაზე თანხმობის), ს/ს „აზოტის“ და ს/ს „ენერჯი-ინვესტის“ შორის 2005 წლის 22 ივლისს დადებული უძრავი და მოძრავი ქონების ნასყიდობის ხელშეკრულების ბათილად ცნობა და ს/ს „ენერჯი-ინვესტის“ მიერ ქონების ს/ს „აზოტისათვის“ დაბრუნება. ასევე, ს/ს „აზოტის“ 2005 წლის 25 ივლისის კრედიტორთა კრებაზე გაკოტრების მმართველის და მოვალის მიერ სახელმწიფოს წინაშე 52 383 740 ლარის დავალიანების აღიარებისა და გაკოტრების მმართველის მიერ საგადასახადო ვალდებულებების დასაფარავად 17 862 188 74 ლარის გადახდის ბათილად ცნობა.

რუსთავის საქალაქო სასამართლოს 2008 წლის 31 ივლისის გადაწყვეტილებით სს „სელედ აგ-ის“ სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ დადგენილი იქნა შემდეგი გარემოებები:

რუსთავის საქალაქო სასამართლოს 2005 წლის 6 ივნისის განჩინებით დაკმაყოფილდა საქართველოს ფინანსთა მინისტრის ვ. ჩ-შვილის განცხადება სს „აზოტის“ მიმართ რეაბილიტაციის შეწყვეტისა და გაკოტრების საქმის წარმოების გახსნის შესახებ, შეწყვეტილი იქნა რეაბილიტაცია ს/ს „აზოტის“ მიმართ და ა. შ-ვი გათავისუფლდა ს/ს „აზოტის“ რეაბილიტაციის მმართველის თანამდებობიდან. გაიხსნა გაკოტრების საქმის წარმოება ს/ს „აზოტის“ მიმართ. დაინიშნა გაკოტრების მმართველად ზ. ი-შვილი კრედიტორთა პირველი კრების დამთავრებამდე გაკოტრების მმართველის არჩევით დანიშნულად. 2005 წლის 25-26 ივლისის განჩინებით მოსარჩელე ფირმა „სელედი“ შეყვანილ იქნა სადავო კრედიტორთა სიაში. (მოთხოვნის ოდენობა 16 726 877 00 აშშ დოლარი; 30 326 550 53 ლარი). აღნიშნული მოსარჩელეთა მხრიდან სარჩელის წარდგენის გზით სადავოდ არ გამხდარა. ამავე განჩინებით ფინანსთა მინისტრო შეყვანილ იქნა სს „აზოტის“ აღიარებულ კრედიტორთა სიაში (მოთხოვნის ოდენობა 43 581 733 00 ლარი). საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტრომ 2005 წლის 15 მარტს გამოაქვეყნა მოთხოვნა საინვესტიციო წინადადებათა მოზიდვასთან დაკავშირებით. კერძოდ, 2005 წლის 15 მარტიდან 2 მაი-

სამდე ყველა კომპანიას ეძლეოდა საშუალება, მიეღო მონაწილეობა ს/ს „აზოტის“ სახელმწიფო საკუთრებაში არსებული აქციებისა და წილის პრივატიზაციაში. ყოველ მსურველ კომპანიას წარმოედგინა პოზიცია საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროში. საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს მიენიჭა უფლებამოსილება ს/ს „აზოტის“ რეაბილიტაციისა და გაკოტრების საქმეთა წარმოების პროცესში წარმოედგინა სახელმწიფო, როგორც კრედიტორს. 2005 წლის 30 მაისის ხელშეკრულებით საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტრომ აიღო ვალდებულება ხელშეკრულების გაფორმებიდან არაუგვიანეს 4 დღისა, კანონმდებლობით განსაზღვრული კომპეტენციის ფარგლებში მიემართა სასამართლოსათვის ს/ს „აზოტის“ გაკოტრების საქმის წარმოების გახსნისა და გაკოტრების მმართველის დანიშვნის მოთხოვნით; ხელშეკრულების გაფორმებიდან არაუგვიანეს 90 დღისა სამინისტრო კანონმდებლობით განსაზღვრული კომპეტენციის ფარგლებში ყველა შესაძლო ღონეს იხმარს და ითანამშრომლებს შესაბამის სუბიექტებთან იმისათვის, რომ საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნათა სრული დაცვით ს/ს „აზოტის“ გაკოტრების მმართველმა ინვესტორთან გააფორმოს ხელშეკრულება „აზოტის აქტივების“ ნასყიდობის შესახებ; რუსთავის საქალაქო სასამართლოს 2005 წლის 24 ივნისის განჩინებით შეიქმნა ს/ს „აზოტის“ კრედიტორთა კომიტეტი 24 ივნისის კრედიტორთა კრების მიერ არჩეულ შემდეგ კრედიტორთა შემადგენლობით: საქართველოს ფინანსთა სამინისტრო -წარმომადგენელი გ. კ-ია; რეგისტრირებული კავშირი -ასოციაცია საქართველოს საბითუმო ბაზარი, გენერალური დირექტორი -ა. ს-ისი და დახურული ტიპის ს/ს კონცერნი „დვინი“ -ჯ. მ-შვილი.

პირველი ინსტანციის სასამართლომ მიიჩნია, რომ მოსარჩელე ს/ს „სელედი“ არ წარმოადგენდა ს/ს „აზოტის“ აღიარებულ კრედიტორს იმ საფუძველით, რომ ამ უკანასკნელს სადავოდ არ გაუხდია რუსთავის საქალაქო სასამართლოს 2005 წლის 25-26 ივლისის განჩინება მისი სადავო კრედიტორთა სიაში შეყვანის თაობაზე „გაკოტრების საქმეთა წარმოების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-18 მუხლის მე-4 ნაწილის მოთხოვნებიდან გამომდინარე. სასამართლომ არ გაიზიარა 2005 წლის 24 აგვისტოს #12/281 ცნობა ს/ს „აზოტის“ ფირმა „სელედის“ მიმართ კრედიტორული დავალიანების 16 726 877,00 ლარის არსებობის თაობაზე იმ საფუძველით, რომ „გაკოტრების საქმეთა წარმოების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-18 მუხლის შესაბამისად, აღნიშნული ოდენობის შესახებ სასამართლომ იმსჯელა მოთხოვნების შესამოწმებელ კრებაზე, ხოლო ცნობა გაცემულია ამ კრების შემდგომ, შედეგი არ ასახულა სასამართლოს განჩინებაში. სასამართლომ არ გაიზიარა მოსარჩელის წარმომადგენლის პოზიცია იმ ფაქტთან დაკავშირებით, რომ გაკოტრების მმართველს უნდა წარედგინა საჩივარი „სელედის“ მოთხოვნების სადავობასთან დაკავშირებით იმ საფუძველით, რომ სასამართლოს მიერ მიღებული განჩინება ფირმა „სელედის“ სადავო კრედიტორთა სიაში შეყვანის თაობაზე წარმოადგენდა ფირმისთვის საზიანო გადაწყვეტილებას და სარჩელიც ამ უკანასკნელს უნდა აღედრა თავისი დარღვეული უფლებების დასაცავად. სასამართლომ განმარტა, რომ „გაკოტრების საქმეთა წარმოების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-18 მუხლის მე-4 ნაწილის შინაარსიდან გამომდინარე, გაკოტრების მმართველს იმ შემთხვევაში უნდა აღედრა სარჩელი, თუ სასამართლო არ გაიზიარებდა მის მოსაზრებას ფირმა „სელედის“ სადავო კრედიტორად მიჩნევის თაობაზე და ამ უკანასკნელს შეიყვანდა აღიარებულ კრედიტორთა სიაში. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 180-ე მუხლის მოთხოვნებიდან გამომდინარე, სასამართლომ მიიჩნია, რომ მოცემული სარჩელი წარმოადგენდა აღიარებით სარჩელს, რომლითაც მოსარჩელე ითხოვდა გარიგების და ნასყიდობის ხელშეკრულებების ბათილად ცნობას ისე, რომ არ იყო გამოკვეთილი მისი იურიდიული ინტერესი. კერძოდ, სასამართლომ აღნიშნა, რომ გაურკვეველია, სარჩელის დაკმაყოფილების შემთხვევაში მოსარჩელის რა უფლება იქნება დაცული და რა დადებითი იურიდიული შედეგი მოჰყვება. სასამართლომ აღნიშნა, რომ „სელედი“ არ წარმოადგენდა პირს, რომლის უფლებასაც ეხებოდა მის მიერ გასაჩივრებული დოკუმენტები. რაც შეეხება მოსარჩელის წარმომადგენლის პოზიციას ნასყიდობის ხელშეკრულების ბათილად ცნობისა და ქონების აზოტისათვის დაბრუნების შედეგად მისი კრედიტორული დავალიანების თაობაზე, სასამართლომ მიიჩნია, რომ დადებით შემთხვევაშიც მოსარჩელე ვერ მიიღებს მისთვის სასურველ შედეგს იმ მიზეზით, რომ იგი სადავო კრედიტორადაა მიჩნეული და აღნიშნული მოსარჩელის მიერ სადავოდ არ გამხდარა. გარდა ამისა „გაკოტრების საქმეთა წარმოების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-18 მუხლის პირველი და მე-2 ნაწილის მოთხოვნებიდან გამომდინარე ს/ს „სელედის“ მოთხოვნამდე დასაკმაყოფილებელი იქნება წინა რიგის მოთხოვნები.

სასამართლომ მიიჩნია, რომ საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროსა და ს/ს „ენერჯი-ინვესტს“ შორის 2005 წლის 30 მაისის დადებული ხელშეკრულება არ წარმოადგენდა ს/ს „აზოტის“ უძრავ-მომრავი ქონების ნასყიდობის ხელშეკრულების წინარე ხელშეკრულებას, როგორც ამას მოსარჩელე მიუთითებდა, ვინაიდან აღნიშნული ხელშეკრულებით არ წარმოშობილა მომავალი ხელშეკრულების დადების ვალდებულება, საქართველოს სკ 327-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად.

სასამართლომ განმარტა, რომ წინარე ხელშეკრულების შინაარსი, როგორც წესი, გამომდინარეობდა ძირითადი ხელშეკრულების საგნიდან, მაგრამ ყველა შემთხვევაში იგი უნდა შეიცავდეს ძირითადი ხელშეკრულების დადების ვალდებულებას. ამასთან წინარე ხელშეკრულება უნდა განსაზღვრავდეს იმ წინაპირობებს, რომლებიც აუცილებელია ძირითადი ხელშეკრულების დასადავად. სასამართლომ აღნიშნა, რომ 2005 წლის 30 მაისის ხელშეკრულების მხარეები და ნასყიდობის ხელშეკრულების მხარეები სხვადასხვა პირები არიან, ამასთან, 30 მაისის ხელშეკრულება არ შეიცავს ძირითადი ხელშეკრულების დადების ვალდებულებას და არც განსაზღვრავს იმ წინაპირობებს, რომლებიც აუცილებელია ძირითადი ხელშეკრულების დასადავად. სასამართლომ არ გაიზიარა მოსარჩელის წარმომადგენლის პოზიცია ს/ს „აზოტის“ აქციათა მფლობელის „იტერას“ არსებობის შესახებ და აღნიშნულის გამო მოსარჩელის მიერ კონკურსში საბანკო გარანტიის წარუდგენლობის თაობაზე, ვინაიდან საქართველოს პრეზიდენტის 2002 წლის 31 დეკემბრის # 568 ბრძანებულება ს/ს „აზოტის“ სახელმწიფო საკუთებაში არსებული აქციათა პაკეტის (90%) კომპანია „იტერა ინტერნეშნლ ენერჯი ლლს-თვის“ პირდაპირი მიყიდვის ფორმით, სიმბოლური ფასით პრივატიზების შესახებ და საქართველოს სახელმწიფო მინისტრის 2003 წლის 27 იანვრის #5 ბრძანება კომპანია „იტერა ინტერნეშნლ ენერჯი ლლს-თან“ ხელშეკრულების გაფორმების შესახებ არ განხორციელებულა თვით მოსარჩელის წარმომადგენლის ახსნა-განმარტებით და საქმეში არსებული მასალებით.

სასამართლო ასევე არ დაეთანხმა მოსარჩელის პოზიციას 2005 წლის 30 მაისის ხელშეკრულების უკანონობასთან დაკავშირებით იმ საფუძველით, რომ იგი თავისი არსით სრულად გამორიცხავს „გაკოტრების საქმეთა წარმოების შესახებ“ კანონს, რის გამოც სახეზეა საქართველოს სკ 54-ე მუხლით გათვალისწინებული ბათილი გარიგება. სასამართლომ მიიჩნია, რომ გასაჩივრებული ხელშეკრულება არ გამომდინარეობდა „გაკოტრების საქმეთა წარმოების შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნებიდან იმ მიზეზით, რომ აღნიშნულ კანონს საერთო არაფერი აქვს ხელშეკრულების დადებასთან და მისი მიზანია მოვალის ფინანსური სიძნელების დაძლევა და მოვალის საწარმოს ლიკვიდაციით ან რეაბილიტაციით კრედიტორთა მოთხოვნების დაკმაყოფილება.

რაც შეეხება მოსარჩელის მოთხოვნას 2005 წლის 24 ივნისის კრების გადაწყვეტილების უკანონობასთან დაკავშირებით, რომელიც შეეხება ს/ს „აზოტის“ კრედიტორთა კომიტეტის და გაკოტრების მმართველის არჩევას სასამართლომ მიიჩნია, რომ აღნიშნული გადაწყვეტილება მოწონებული და დამტკიცებულია სასამართლოს განჩინებით და დღევანდელი სასამართლო უფლებამოსილი არ იყო ჩაეტარებინა 2005 წლის 24 ივნისის განჩინების რევიზია. აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ მითითებული განჩინებები მოსარჩელის მიერ გასაჩივრებული არ ყოფილა. რაც შეეხება საქართველოს პრემიერ-მინისტრის #211 განკარგულებას, რომლითაც საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს მიენიჭა უფლებამოსილება როგორც კრედიტორს, სახელმწიფოს სახელით მონაწილეობა მიეღო ს/ს „აზოტის“ რეაბილიტაციისა და გაკოტრების საქმეთა წარმოების პროცესში, აღნიშნული არ ართმევდა უფლებას საქართველოს ფინანსთა სამინისტროს, რომელიც ს/ს „აზოტის“ კრედიტორი გახლდათ, არჩეული ყოფილიყო კრედიტორთა კომიტეტში.

სასამართლომ მიიჩნია, რომ არ არსებობდა შპს „ჯი-ეი-ერ კონსალტინგის“ 2005 წლის 11 ივლისის #07/001 აუდიტორული დასკვნის ბათილად ცნობის სამართლებრივი საფუძველი, ვინაიდან აღნიშნული დასკვნა არ წარმოადგენდა არც გარიგებას და არც ხელშეკრულებას.

სასამართლომ მიიჩნია, რომ არ არსებობდა 2005 წლის 21 ივლისის ს/ს „აზოტის“ კრედიტორთა კომიტეტის თანხმობის (ს/ს „აზოტის“ გაკოტრების მმართველის ს/ს „ენერჯი-ინვესტისათვის“ 19 მილიონ აშშ დოლარად მიყიდვის თაობაზე) ბათილად ცნობის სამართლებრივი საფუძველი, ვინაიდან კრედიტორთა კომიტეტის არჩეულია და დამტკიცებული საქართველოს 2005 წლის 24 ივნისის განჩინებით, რომელიც კანონიერ ძალაშია შესული და მოსარჩელის მიერ არ გასაჩივრებულა.

სასამართლომ აღნიშნა, რომ ს/ს „აზოტის“ და ს/ს „ენერჯი-ინვესტის“ შორის 2005 წლის 22 ივლისის დადებული უძრავი და მოძრავი ქონების ნასყიდობის ხელშეკრულებები არ შეიძლება ბათილად ცნობილიყო, ვინაიდან მოსარჩელეს არ გააჩნდა იურიდიული ინტერესი დავის საგნისადმი. სასამართლო არ დაეთანხმა მოსარჩელის წარმომადგენლის პოზიციას ნასყიდობის ხელშეკრულების ბათილად ცნობის და ქონების „აზოტისათვის“ დაბრუნების შედეგად მისი კრედიტორული დავალიანების ანაზღაურების თაობაზე, ვინაიდან ასეთ შემთხვევაშიც მოსარჩელე ვერ მიიღებდა მისთვის სასურველ შედეგს იმ მიზეზით, რომ იგი სადავო კრედიტორადაა მიჩნეული და აღნიშნული მოსარჩელის მიერ სადავოდ არ გამხდარა.

რაც შეეხება გაკოტრების მმართველის მიერ საგადასახადო ვალდებულებების დასაფარავად 17.862.188.74 ლარის გადახდის უკანონოდ აღიარებას, სასამართლომ მიიჩნია, რომ არ არსებობდა აღნიშნული მოთხოვნის დაკმაყოფილების სამართლებრივი საფუძველი, ვინაიდან სოციალური ფონდის გადასახადი არ არსებობს.

სასამართლომ მიუთითა, რომ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 54-ე მუხლის თანახმად, ბათილია გარიგება, რომელიც არღვევს კანონით დადგენილ წესსა და აკრძალვებს, ეწინააღმდეგება საჯარო წესრიგს ან ზნეობრივ ნორმებს, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე მუხლის მოთხოვნებიდან გამომდინარე, თითოეულმა მხარემ უნდა დაამტკიცოს გარემოებები, რომლებზედაც იგი ამყარებს თავის მოთხოვნებსა და შესაგებელს.

სასამართლომ აღნიშნა, რომ მოსარჩელეს სასამართლოსთვის არ წარმოუდგენია მტკიცებულებები, რომლებიც დაამტკიცებდა გარემოებას, რომელზედაც იგი ამყარებს თავის მოთხოვნებს. კერძოდ, მოსარჩელეს არ წარმოუდგენია მტკიცებულება, რაც საფუძველი გახდებოდა 2005 წლის 30 მაისის ხელშეკრულების ბათილობისა. აღნიშნულთან დაკავშირებით სასამართლომ განმარტა, რომ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 319-ე მუხლის მოთხოვნებიდან გამომდინარე, ხელშეკრულება უნდა უზრუნველყოფდეს მასში მონაწილეთა ინტერესების დაცვას, მათთვის უპირატესობის მიცემას. კერძოდ საკუთრების პრინციპთან ერთად ხელშეკრულების თავისუფლება ს-ძრო ეკონომიკის სასამართლოებრივ საფუძველს წარმოადგენს. ხელშეკრულების თავისუფლება მოიცავს როგორც ხელშეკრულების დადების თავისუფლებას, ასევე ხელშეკრულების შინაარსის განსაზღვრის შესაძლებლობას. ხელშეკრულების მხარეებს თვითონ შეუძლიათ დამოუკიდებლად შეთანხმდნენ ხელშეკრულების ყველა საკითხზე. ამასთან, მხარეებს შეუძლიათ დადონ ნებისმიერი ხელშეკრულება, მათ შორის ისეთიც რომელიც არ არის კანონით გათვალისწინებული, მაგრამ არ ეწინააღმდეგება მას. სასამართლომ აღნიშნა, რომ მოცემულ შემთხვევაში სადავო ხელშეკრულება გაფორმდა მხარეების სურვილით და ნების გამოვლენით, რომლის შინაარსიც თვითონვე განსაზღვრეს, არ არის კონკრეტული კანონით გათვალისწინებული, მაგრამ არ ეწინააღმდეგება მას.

სასამართლომ მიუთითა, რომ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 106-ე მუხლის „ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად: „მხარეები თავისუფლდებიან მტკიცებულებათა წარმოდგენისაგან ისეთი ფაქტების დასადასტურებლად, რომლებსაც თუმცა ემყარება მათი მოთხოვნები, თუ შესახებელი, მაგრამ დამტკიცებას არ საჭიროებენ. ესენია: ფაქტები, რომლებიც დადგენილია ერთ სამოქალაქო საქმეზე სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით, თუ სხვა სამოქალაქო საქმეების განხილვისას იგივე მხარეები მონაწილეობდნენ“.

განსახილველ შემთხვევაში სასამართლომ ასეთად მიიჩნია 2005 წლის 24 ივნისის განჩინება, რომლითაც გაუქმდა ს/ს „აზოტის“ არსებული კრედიტორთა კომიტეტი და შეიქმნა კრედიტორთა კომიტეტი 2005 წლის 24 ივნისის კრედიტორთა კრების მიერ არჩეულ შემდეგ კრედიტორთა შემადგენლობით: საქართველოს ფინანსთა სამინისტრო -წარმომადგენელი გ. კ-ია; რეგისტრირებული კავშირი ასოციაცია საქართველოს საბითუმო ბაზარი გენერალური დირექტორი ა. ს-ისი და დახურული ტიპის ს/ს კონცერნი „დვინი“ -ჯ. მ-შვილი. სასამართლომ აღნიშნა რომ აღნიშნული, განჩინება არ გასაჩივრებულა და კანონიერ ძალაშია შესული. 2005 წლის 6 ივნისის განჩინება ზ. ი-შვილის გაკოტრების მმართველად დანიშვნის თაობაზე, ასევე არ გასაჩივრებულა მოსარჩელის მიერ. მოსარჩელის მიერ სადავოდ არ გამხდარა 2005 წლის 25-26 ივლისის განჩინება ფინანსთა სამინისტროს (ბიუჯეტი) 43 581 733 00 ლარის მოცულობით აღიარებულ კრედიტორად მიჩნევის საკითხში, (სესხი 8 822 007 00 ლარი). მოსარჩელის მიერ ასევე სადავოდ არ გამხდარა სასამართლოს მიერ მისი სადავო კრედიტორად მიჩნევის საკითხი. აღნიშნულის უფლებამოსილება მას გააჩნდა „გაკოტრების საქმეთა წარმოების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-18 მუხლის მე-4 ნაწილის მოთხოვნებიდან გამომდინარე. სასამართლომ მიიჩნია, რომ არ შეიძლება სარჩელის დაკმაყოფილების საფუძველი გახდეს მოსარჩელის მითითება გაკოტრების მმართველის მიერ საგადასახადო დავალიანების ხელოვნურად გაზრდის შესახებ ვინაიდან, საქმეში არსებული საქართველოს ფინანსთა მინისტრის მოადგილის 2005 წლის 3 ივნისის და საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგადასახადო დეპარტამენტის მსხვილ გადამხდელთა საგადასახადო ინსპექციის 2005 წლის 13 ივნისის ცნობებით აღიარებული საბიუჯეტო დავალიანება მითითებულია სწორად.

სასარჩელო მოთხოვნა სასამართლოს წინასწარი თანხმობის გარეშე გაკოტრების მმართველის მიერ საგადასახადო ვალდებულების დაფარვის ბათილად ცნობის თაობაზე აღნიშნულ ნაწილში საქმის წარმოება შეწყდა მოსარჩელის მიერ სარჩელზე უარის დთქმის გამო საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 272-ე მუხლის „გ“ ქვეპუნქტის თანახმად.

გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა სს „სელედ აგ-მა“, რომლითაც მოითხოვა გადაწყვეტილების გაუქმება და სარჩელის დაკმაყოფილება.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 27 თებერვლის განჩინებით სს „სელედ აგ-ის“ სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა.

სასამართლომ გაიზიარა საქმეზე დადგენილი შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები:

1. საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტრომ 2005 წლის 15 მარტს გამოაქვეყნა განცხადება საინვესტიციო წინადადებებათა მოზიდვასთან დაკავშირებით, კერძოდ, 2005 წლის 15 მარტიდან 2 მაისამდე ს/ს „აზოტის“ სახელმწიფო საკუთრებაში არსებული აქციებისა და წილის

პრივატიზაციის მონაწილეობის მსურველ ყოველ კომპანიას ეძლეოდა საშუალება, გამოეხატა ინტერესი და წარედგინა პოზიცია საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროში.

2. საქართველოს მთავრობის 2005 წლის 28 მაისის #211 განკარგულებით „საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ“ კანონის 27-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, ეკონომიკური განვითარების სამინისტროს მიენიჭა უფლებამოსილება სახელმწიფოს სახელით მიეღო მონაწილეობა სს „აზოტის“ რეაბილიტაციისა და გაკოტრების საქმეთა წარმოების პროცესში, როგორც კრედიტორს.

3. 2005 წლის 30 მაისს საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროსა და ს/ს „ენერჯი-ინვესტს“ შორის გაფორმდა ხელშეკრულება, რომლითაც საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტრომ აიღო ვალდებულება, რომ ხელშეკრულების გაფორმებიდან არაუგვიანეს 4 დღისა კანონმდებლობით განსაზღვრული კომპეტენციის ფარგლებში მიმართავდა სასამართლოს ს/ს „აზოტის“ გაკოტრების საქმის წარმოების გახსნისა და გაკოტრების მმართველის დანიშვნის მოთხოვნით. ყველა შესაძლო ღონეს მიიღებდა იმისათვის, რომ გონივრულად უმოკლეს ვადაში განხორციელებულიყო ს/ს „აზოტის“ გაკოტრების საქმის წარმოების გახსნა; ხელშეკრულების გაფორმებიდან არაუგვიანეს 90 დღის ვადაში სამინისტრო კანონმდებლობით განსაზღვრული კომპეტენციის ფარგლებში ყველა შესაძლო ღონეს მიიღებდა და ითანამშრომლებდა შესაბამის სუბიექტებთან იმისათვის, რომ საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნათა სრული დაცვით ს/ს „აზოტის“ გაკოტრების მმართველს ინვესტორთან გაეფორმებინა ხელშეკრულება „აზოტის აქტივების“ ნასყიდობის შესახებ.

4. რუსთავის საქალაქო სასამართლოს 2005 წლის 6 ივნისის განჩინებით დაკმაყოფილდა საქართველოს ფინანსთა მინისტრის -ვ. ჩ-შვილის განცხადება ს/ს „აზოტის“ მიმართ რეაბილიტაციის შეწყვეტისა და გაკოტრების საქმის წარმოების გახსნის შესახებ. შეწყვეტილი იქნა რეაბილიტაცია ს/ს „აზოტის“ მიმართ და ა. შ-ვი გათავისუფლდა ს/ს „აზოტის“ რეაბილიტაციის მმართველის თანამდებობიდან, გაიხსნა გაკოტრების საქმის წარმოება ს/ს „აზოტის“ მიმართ. დაინიშნა გაკოტრების მმართველად ზ. ი-შვილი კრედიტორთა პირველი კრების დამთავრებამდე გაკოტრების მმართველის არჩევით დანიშვნამდე.

5. 2005 წლის 24 ივნისს გაიმართა ს/ს „აზოტის“ კრედიტორთა კრება, კრებამ ზ. ი-შვილი აირჩია გაკოტრების მმართველად, ასევე გადაირჩია კრედიტორთა არსებული კომიტეტი და აირჩია კრედიტორთა კომიტეტი შემდეგი სამი წევრის შემადგენლობით: გ. კ-ია -საქართველოს ფინანსთა სამინისტროს წარმომდგენელი, ა. ს-ისი -რეგისტრირებული კავშირი ასოციაცია საქართველოს ელექტროენერჯის საბითუმო ბაზრის გენერალური დირექტორი და ჯ. მ-შვილი -ს/ს კონცერნ „დვინის“ წარმომადგენელი. გაკოტრების მმართველისა და კრედიტორთა კომიტეტის არჩევა დამტკიცებულ იქნა რუსთავის საქალაქო სასამართლოს 2005 წლის 24 ივნისის განჩინებებით.

6. 2005 წლის 11 ივლისს აუდიტორულმა ფირმამ „ჯი-ეი-ერ კონსალტინგმა“ სს „აზოტთან“ გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე შეადგინა აუდიტორიული დასკვნა, რომლითაც ს/ს „აზოტის“ ძირითადი საშუალებების, მიწის და არამატერიალური აქტივების ნარჩენი ღირებულება 2005 წლის 07 ივნისის მდგომარეობით განისაზღვრა 35 140 856 48 ლარით.

7. 2005 წლის 21 ივლისს ს/ს „აზოტის“ კრედიტორთა კომიტეტმა თანხმობა მისცა ს/ს „აზოტის“ გაკოტრების მმართველს გაკოტრების მასის აქტივების ს/ს „ენერჯი ინვესტისათვის“ 19 მილიონ აშშ დოლარად მიყდვის თაობაზე.

8. 2005 წლის 22 ივლისს ს/ს „აზოტსა“ და ს/ს „ენერჯი-ინვესტს“ შორის გაფორმდა ორი ხელშეკრულება: უძრავი ქონების ნასყიდობის ხელშეკრულება და მოძრავი ქონების ნასყიდობის ხელშეკრულება, რომელთა მიხედვითაც ს/ს „აზოტის“ აქტივები სულ გაყიდული იქნა 19 მილიონ აშშ ლარად, საიდანაც უძრავი ქონება გაყიდული იქნა 11,603,426,47 აშშ დოლარის ეკვივალენტ ლარად, ხოლო მოძრავი ქონება გაყიდული იქნა 7 396 573 53 აშშ დოლარის ეკვივალენტ ლარად, რამაც საერთო ჯამში შეადგინა 34 295 000 ლარი.

9. 2005 წლის 25 ივლისს ჩატარდა ს/ს „აზოტის“ კრედიტორთა კრება კრედიტორის მოთხოვნის შესამოწმებლად, სადაც დაფიქსირდა ს/ს „აზოტის“ დავალიანება სახელმწიფოს მიმართ 52 561 733 ლარი და 8 822 007 ლარი (სესხი). ეს დავალიანება აღიარებული იქნა გაკოტრების მმართველისა და მოვალის მიერ.

სარჩელში დავის საგანს წარმოადგენდა 2005 წლის 30 მაისს საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროსა და ს/ს „ენერჯი-ინვესტს“ შორის გაფორმებული ხელშეკრულება. აღნიშნული მოთხოვნის სამართლებრივ საფუძველად აპელანტი მიუთითებდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 54-ე, ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-5 მუხლის მე-3 პუნქტზე და „გაკოტრების საქმეთა წარმოების შესახებ“ კანონის მე-12, მე-15, მე-17 და მე-18 მუხლებზე.

აპელანტის განმარტება, რომ სადავო ხელშეკრულება არ შეესაბამება „გაკოტრების საქმეთა წარმოების შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნებს, პალატამ არ გაიზიარა, ვინაიდან ხელშეკრუ-

ლება არ გამომდინარეობდა აღნიშნული კანონიდან და, შესაბამისად, მისი კანონიერება ვერ იქნებოდა შემოწმებული ამ კანონის მოთხოვნებთან მიმართებაში. სასამართლომ ასევე უსაფუძვლოდ ჩათვალა აპელანტის მითითება ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-5 მუხლის მე-3 პუნქტზე, ვინაიდან 2005 წლის 30 მაისის ხელშეკრულება წარმოადგენდა კერძოსამართლებრივი ხასიათის ხელშეკრულებას.

პალატამ აღნიშნა, რომ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 54-ე მუხლის შესაბამისად, ბათილია გარიგება, რომელიც არღვევს კანონით დადგენილ წესსა და აკრძალავს, ეწინააღმდეგება საჯარო წესრიგს ან ზნეობრივ ნორმებს. მოცემულ შემთხვევაში, სასამართლომ ჩათვალა, რომ მხარეთა შორის გაფორმებული იყო კანონით გაუთვალისწინებელი ხელშეკრულება, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 319-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, მხარეები არ იყვნენ შეზღუდულნი თავისუფლად განესაზღვრათ ხელშეკრულების შინაარსი. სადავო ხელშეკრულებით დგინდება, რომ ეკონომიკური განვითარების სამინისტრომ კანონმდებლობით განსაზღვრული კომპეტენციის ფარგლებში იკისრა გარკვეული ვალდებულებები. სააპელაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ აღნიშნული ხელშეკრულება არ შეიცავდა კანონსაწინააღმდეგო დებულებებს, არ არღვევდა საჯარო წესრიგსა და ზნეობრივ ნორმებს, ასეთის არსებობის შემთხვევაშიც კი მოსარჩელე არ წარმოადგენდა მისი ბათილად აღიარებით დაინტერესებულ პირს, ვინაიდან სადავო ხელშეკრულებით არ დარღვეულა მოსარჩელის, როგორც სს „აზოტის“ კრედიტორის, კანონით დაცული ინტერესი. გარდა აღნიშნულისა, პალატამ ყურადღება გაამახვილა მოსარჩელის იურიდიულ ინტერესზე, რომელიც მდგომარეობს სს „აზოტისათვის“ ქონების დაბრუნებაში და აღნიშნა, რომ ხელშეკრულების ბათილად ცნობის შემთხვევაში, მოსარჩელის იურიდიული ინტერესი ვერ იქნებოდა მიღწეული, ვინაიდან იგი ვერ შეცვლიდა იმ სამართლებრივ შედეგს, რაც მოჰყვა გაკოტრების მასის რეალიზაციას.

სააპელაციო სასამართლომ მიაჩნია, რომ აპელანტის მოთხოვნა სს „აზოტის“ კრედიტორთა კრების 2005 წლის 24 ივნისის კრების გადაწყვეტილებების ბათილად ცნობის შესახებ უსაფუძვლო იყო, ვინაიდან დადგენილია, რომ 2005 წლის 24 ივნისის კრედიტორთა კრებამ ზ. ი-შვილი აირჩია გაკოტრების მმართველად, ასევე გადაირჩია კრედიტორთა არსებული კომიტეტი და აირჩია ახალი კრედიტორთა კომიტეტი შემდეგ კრედიტორთა შემდაგენლობით: საქართველოს ფინანსთა სამინისტრო –წარმომადგენელი გ. კ-ია, რეგისტრირებული კავშირი –ასოციაცია საქართველოს საბითუმო ბაზარი, გენერალური დირექტორი -ა. ს-ისი და დახურული ტიპის სააქციო საზოგადოება კონცერნი „დვინი“ -ჯ. მ-შვილი. კრედიტორთა გადაწყვეტილებები დამტკიცებული იქნა სასამართლოს 2005 წლის 24 ივნისის განჩინებებით.

სააპელაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ კრედიტორთა კრების მიერ მიღებული გადაწყვეტილება იურიდიულ ძალას იძენს სასამართლოს მიერ მისი დამტკიცების შემდგომ („გაკოტრების საქმეთა წარმოების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლი). დამოუკიდებლად კრედიტორთა კრების გადაწყვეტილება არ წარმოშობს სამართლებრივ შედეგებს.

ამდენად, აღნიშნული მოთხოვნა მოკლებულია სამართლებრივ საფუძველს. პალატამ განმარტა, რომ გაკოტრების საქმის წარმოების პროცესში სასამართლოს მიერ მიღებული მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებები, რომელთაც შეუძლიათ არსებითი გავლენა მოახდინონ გაკოტრების პროცესზე, ექვემდებარება გასაჩივრებას, შესაბამისად, კრედიტორთა კომიტეტის გადაწყვეტილებების დამტკიცების შესახებ რუსთავის საქალაქო სასამართლოს 2005 წლის 24 ივნისის განჩინებების სადავოდ გახდომამდე, ითვლება, რომ კრედიტორთა კრების გადაწყვეტილება კანონიერია.

აპელანტის მოსაზრება სადავო გადაწყვეტილებების უკანონობის შესახებ იმ მოტივით, რომ ფინანსთა სამინისტროს წარმომადგენელს უფლებამოსილება არ გააჩნდა სახელმწიფოს სახელით განეხორციელებინა წარმომადგენლობა გაკოტრების საქმის წარმოების პროცესში სასამართლომ არ გაიზიარა, ვინაიდან დადგენილია, რომ გაკოტრების საქმის წარმოების გახსნის შესახებ განცხადებით სასამართლოს მიმართა ფინანსთა მინისტრმა, გაკოტრების საქმის წარმოებაში სახელმწიფოს სახელით მონაწილეობას ღებულობდა ფინანსთა სამინისტროს წარმომადგენელი და მისი უფლებამოსილების საკითხი სადავოდ არ გაუხდია სს „სელედ აგ-ის“ წარმომადგენელს, გარდა აღნიშნულისა, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს დებულების პირველი მუხლის პირველი და მესამე პუნქტების შესაბამისად, საქართველოს ფინანსთა სამინისტრო ახორციელებს სახელმწიფო მმართველობას საფინანსო-საბიუჯეტო, საგადასახადო და საბაჟო სფეროში; უზრუნველყოფს საქართველოს ტერიტორიაზე საბიუჯეტო, საგადასახადო და საბაჟო სფეროში; უზრუნველყოფს საქართველოს ტერიტორიაზე საბიუჯეტო, საგადასახადო და საბაჟო კანონმდებლობის დაცვასა და შესრულების კონტროლს. თავისი ფუნქციების განხორციელებისას სამინისტრო წარმოადგენს სახელმწიფოს, აღნიშნულიდან გამომდინარე, ფინანსთა სამინისტრო უფლებამოსილი იყო, სპეციალური წარმომადგენლობითი უფლებამოსილების გარეშე მონაწილეობა მიეღო გაკოტრების საქმის წარმოების პროცესში კრედიტორის სახელით, როგორც კანონით უფლებამოსილ კრედიტორს.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, აპელანტის მოთხოვნა 2005 წლის 21 ივლისის სს „აზოტის“ კრედიტორთა კომიტეტის გადაწყვეტილების ბათილად ცნობის შესახებ, იმ მოტივით, რომ კრედიტორთა კომიტეტი და გაკოტრების მმართველი უკანონოდ იქნენ არჩეულნი და კრედიტორთა კომიტეტში მონაწილეობდა არაუფლებამოსილი პირი, სასამართლომ უსაფუძვლოდ ჩათვალა აპელანტის განმარტება, რომ კრედიტორთა კომიტეტის აღნიშნული გადაწყვეტილება არ შეესაბამებოდა „გაკოტრების საქმეთა წარმოების შესახებ“ კანონის მოთხოვნებს ქონების მაქსიმალურად მაღალ ფასში რეალიზაციის შესახებ, არ უნდა გაზიარებულიყო, ვინაიდან დადგენილია, რომ სს „აზოტის“ გაკოტრების მასაში შეტანილი აქტივების შესყიდვის დაინტერესებული იყო მხოლოდ სს „ენერჯი ინვესტი“, რომელმაც სს „აზოტს“ შესთავაზა 19 მილიონი აშშ დოლარი. სხვა წინადადება ქონების უფრო მაღალ ფასში შესყიდვის შესახებ წარდგენილი არ ყოფილა.

სასამართლომ სამართლებრივად ასევე უსაფუძვლოდ მიიჩნია აპელანტის მოთხოვნა აუდიტორული ფორმა შპს „ჯი-ეი-ერ კონსალტინგის“ 2005 წლის 11 ივლისის აუდიტორული დასკვნის ბათილად ცნობის შესახებ, ვინაიდან დადგენილია, რომ სს „აზოტის“ გაკოტრების მმართველსა და შპს „ჯი-ეი-ერ კონსალტინგს“ შორის გაფორმებულ იქნა ნარდობის ხელშეკრულება, რომლის საგანი იყო სს „აზოტის“ ძირითადი საშუალებების და არამატერიალური აქტივების შესახებ აუდიტორული დასკვნის მომზადება. ბათილად ცნობას ექვემდებარება გარიგება (ნების გამოვლენა), რომელიც მიმართულია სამართლებრივი ურთიერთობის წარმოშობის, შეცვლის ან შეწყვეტისაკენ. აუდიტორული დასკვნა წარმოადგენდა ნარდობის ხელშეკრულების საფუძველზე მენარდის მიერ შემკვეთისათვის ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოს შესრულების შედეგს და მისი გაიგივება გარიგებასთან უსაფუძვლოა.

სააპელაციო პალატამ არ გაიზიარა 2005 წლის 22 ივლისის სს „აზოტს“ და სს „ენერჯი ინვესტს“ შორის გაფორმებული უძრავ-მოძრავი ქონების ნასყიდობის ხელშეკრულებების ბათილად ცნობის ნაწილში მოსარჩელის მიერ მითითებული არგუმენტები და ჩათვალა, რომ არ არსებობდა სადავო ხელშეკრულებების ბათილად ცნობის კანონით გათვალისწინებული საფუძველი, კერძოდ: პალატამ მიიჩნია, რომ სადავო ნასყიდობის ხელშეკრულებების კანონიერებაზე გავლენას ვერ იქონიებდა 2005 წლის 30 მაისის ხელშეკრულება იმ შემთხვევაშიც, თუ ის აღიარებული იქნება უკანონოდ, ვინაიდან ხელშეკრულებების გაფორმების დროს გაკოტრების მმართველი მოქმედებდა „გაკოტრების საქმეთა წარმოების შესახებ“ კანონის მიზნებიდან გამომდინარე და მისი უფლებამოსილების ფარგლებში. ასევე არ გაიზიარა აპელანტის არგუმენტი, რომ ნასყიდობის ხელშეკრულებას ხელს აწერდა უკანონოდ არჩეული გაკოტრების მმართველი და მას იწონებდა უკანონოდ არჩეული კრედიტორთა კომიტეტი, ვინაიდან 2005 წლის 24 ივნისის კრების გადაწყვეტილებები მიჩნეული იქნა კანონიერად.

სააპელაციო სასამართლომ ჩათვალა, რომ მოთხოვნა სს „აზოტის“ 2005 წლის 25 ივლისის კრედიტორთა კრებაზე გაკოტრების მმართველისა და მოვალის მიერ სახელმწიფოს წინაშე 52.383.740 ლარის დავალიანების (საბიუჯეტო დავალიანება 43.561.733 ლარი და 8.822.007 ლარი) უკანონოდ აღიარების შესახებ არ უნდა დაკმაყოფილდეს, ვინაიდან საქართველოს ფინანსთა მინისტრის მოადგილის 2005 წლის 3 ივნისის და საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგადასახადო დეპარტამენტის მსხვილ გადამხდელთა საგადასახადო ინსპექციის 2005 წლის 12 ივლისის ცნობებით დადგენილია საბიუჯეტო დავალიანება 52.383.740 ლარის ოდენობით. ცნობებში მითითებულია ვალდებულების წარმოშობის საფუძველი, ვალდებულებისა და მასზე დარიცხული საურავების ოდენობა. პალატამ აღნიშნა, რომ აპელანტის მითითება დავალიანების ხელოვნურად გაზრდის შესახებ არ იყო საკმარისი საფუძველი ამ მოსაზრების გასაზიარებლად. საქართველოს სა მოქალაქე საპროცესო კოდექსის 102-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, თითოეულმა მხარემ უნდა დამტკიცოს გარემოებანი, რომლებზედაც იგი ამყარებს თავის მოთხოვნებსა და დმესაგებელს.

სააპელაციო პალატამ არ გაიზიარა აპელანტის განმარტება, რომ სახელმწიფოს მიერ მიღებული 34.295.000 ლარიდან 17.862.188 ლარი არის სოციალური დაზღვევის ორგანოსა და დასაქმების ფონდის მოთხოვნები, რომლებიც უკანონოდ იქნა გადარიცხული სახელმწიფოსათვის, ვინაიდან საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგადასახადო დეპარტამენტის მსხვილ გადამხდელთა საგადასახადო ინსპექციის 2005 წლის 12 ივლისის და 2006 წლის 9 აგვისტოს ცნობებით დგინდება, რომ ბიუჯეტის წინაშე დავალიანება შეადგენდა 43.561.733 ლარს, მათ შორის მითითებულია სოციალური გადასახადი (ძირითადი ნარჩენი -7.423.827 ლარი და საურავი -19.125.393 ლარი). სოციალური გადასახადი საქართველოს საგადასახადო კოდექსის მე-9 მუხლის მე-4 ნაწილის „ე“ ქვეპუნქტის შესაბამისად მიეკუთვნებოდა საერთო-სახელმწიფოებრივ გადასახადს (2006 წელს მოქმედი რედაქციით).

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სააპელაციო პალატამ ჩათვალა, რომ არ არსებობდა სააპელაციო საჩივრის დაკმაყოფილებისა და გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმების სამართლებრივი საფუძველი.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრა სს "სელედ აგ"-მა, მოითხოვა მისი გაუქმება და საქმის ხელახლა განსახილველად დაბრუნება იმავე სასამართლოსათვის იმ საფუძველით, რომ სააპელაციო სასამართლოს განჩინება იმდენად დაუსაბუთებელია, რომ შეუძლებელია მისი საფუძვლიანობის შემოწმება.

კასატორის განმარტებით, სააპელაციო სასამართლოს განჩინების გამოტანისას უნდა დაედგინა მიზეზ-შედეგობრივი კავშირი 30 მაისის და 22 ივლისის ხელშეკრულებებს შორის, ასევე უნდა დაედგინა ის ფაქტი, რომ, რომ არა 30 მაისის ხელშეკრულებით განსაზღვრული წინაპირობა გაკოტრების მმართველის მიერ აზოტის ქონების ენერჯი ინვესტისათვის 20 მილიონ აშშ დოლარზე ნაკლებად მიყიდვისა, 22 ივლისის ხელშეკრულებით აზოტის გაკოტრების მმართველი აზოტის ქონებას ენერჯი ინვესტს 19 მილიონ აშშ დოლარად არ მიჰყიდებდა. მას შემდეგ რაც ამ ხელშეკრულებათა შორის მიზეზობრივი კავშირი დადგინდებოდა, სასამართლოს სამივე ხელშეკრულება "გაკოტრების საქმეთა წარმოების შესახებ" კანონთან მიმართებაში ბათილად უნდა ეცნო. შესაბამისად, კასატორის აზრით, ვინაიდან სააპელაციო სასამართლომ აღნიშნული არ გაარკვია, მცდარია მისი დასკვნა.

კასატორის აზრით, სააპელაციო სასამართლომ ვერ მიუთითა ვერცერთი კანონის ნორმა, რომელზედაც მან დაამყარა თავისი მოსაზრება იმასთან დაკავშირებით, რომ ვერ იმსჯელებდა 2005 წლის 24 ივნისის კრების უკანონობაზე იმ საფუძველით, რომ ისინი დამტკიცებული იყო რუსთავის სასამართლოს 2005 წლის 24 ივნისის განჩინებით და ამავდროულად იგი მოსარჩელის მიერ არ გასაჩივრებულა.

კასატორმა ასევე მცდარად მიიჩნია სააპელაციო სასამართლოს დასკვნა 2005 წლის 21 ივლისის სს "აზოტის" კრედიტორთა კომიტეტის გადაწყვეტილების კანონიერად მიჩნევასთან დაკავშირებით.

რაც შეეხება სააპელაციო სასამართლოს განმარტებას აუდიტორული ფირმა შპს "ჯი-ეი-ერ კონსალტინგის" 2005 წლის 11 ივლისის აუდიტორულ დასკვნასთან დაკავშირებით, რომ იგი არ ექვემდებარებოდა ბათილად ცნობას, კასატორმა ასევე არასწორად მიიჩნია, ვინაიდან მისი განმარტებით, აღნიშნული აუდიტი ქონების შეფასებას კი არ ახორციელებს, არამედ მხოლოდ ჩამოთვლის ქონებას და აფიქსირებს მის საბალანსო ღირებულებას.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, კასატორმა მოითხოვა საქმის ხელახლა განსახილველად იმავე სასამართლოსათვის დაბრუნება.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2009 წლის 8 ივნისის განჩინებით სს "სელედ აგის" წარმომადგენელ ა. კ-შვილის საკასაციო საჩივარი მიღებულ იქნა წარმოებაში სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 391-ე მუხლით გათვალისწინებული დასაშვებობის შესამოწმებლად. მოწინააღმდეგე მხარეს განესაზღვრა 5 დღის ვადა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 391-ე მუხლით გათვალისწინებული საკასაციო საჩივრის დასაშვებობის წინაპირობებთან დაკავშირებით მოსაზრებების წარმოსადგენად.

სს "სელედ აგის" წარმომადგენელ ა. კ-შვილის საკასაციო საჩივრის დასაშვებობის საკითხზე, საკასაციო სასამართლოში მოწინააღმდეგე მხარე სს "ენერჯი ინვესტმა" წარმოადგინა მოსაზრება იმასთან დაკავშირებით, რომ საკასაციო საჩივარი დაუშვებელია, რადგან იგი არ აკმაყოფილებს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 391-ე მუხლის მოთხოვნებს.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის შესწავლის, საკასაციო საჩივრის დასაშვებობის შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ სს "სელედ აგის" წარმომადგენელ ა. კ-შვილის საკასაციო საჩივარი არ აკმაყოფილებს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 391-ე მუხლის მოთხოვნებს, რის გამოც მიჩნეულ უნდა იქნეს დაუშვებლად, შემდეგ გარემოებათა გამო:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 391-ე მუხლის მეხუთე ნაწილის შესაბამისად, საკასაციო საჩივარი ქონებრივ და სხვა არაქონებრივ დავებში დასაშვებია, თუ ა) საქმე მნიშვნელოვანია სამართლის განვითარებისა და ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკის ჩამოყალიბებისათვის; ბ) სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება განსხვავდება ამ კატეგორიის საქმეებზე საქართველოს უზენაესი სასამართლოს მანამდე არსებული პრაქტიკისაგან; გ) სააპელაციო სასამართლოს მიერ საქმე განხილულია მნიშვნელოვანი საპროცესო დარღვევით, რომელსაც შეეძლო არსებითად ემოქმედა საქმის განხილვის შედეგზე; დ) გასაჩივრებულია სააპელაციო სასამართლოს მეორე დაუსწრებელი გადაწყვეტილება ან განჩინება დაუსწრებელი გადაწყვეტილების უცვლელად დატოვების თაობაზე. ზემოაღნიშნული ნორმები განსაზღვრავს იმ მოთხოვნებს, რომელთაც საკასაციო საჩივარი უნდა შეიცავდეს და ეფუძნებოდეს.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ წარმოდგენილი საკასაციო საჩივარი არ არის დასაშვები სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 391-ე მუხლით გათვალისწინებული არცერთი ზემომითითებული საფუძვლით.

სააპელაციო სასამართლოს მიერ საქმე არ არის განხილული მნიშვნელოვანი საპროცესო დარღვევებით, ვერც კასატორი მიუთითებს რაიმე ისეთ საპროცესო დარღვევაზე, რომელსაც შეეძლო არსებითად ემოქმედა საქმის განხილვის შედეგზე, რის გამოც საკასაციო საჩივარს არა აქვს წარმატების პერსპექტივა.

საკასაციო საჩივარი არ არის დასაშვები არც სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილების საკასაციო სასამართლოს სტაბილური პრაქტიკისაგან განსხვავების არსებობის საფუძვლით. სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული განჩინება არ განსხვავდება საქართველოს უზენაესი სასამართლოს მანამდე არსებული პრაქტიკისაგან.

ამასთან, საკასაციო საჩივრის განხილვისა და საკასაციო სასამართლოს ახალი გადაწყვეტილების მიღების საჭიროება არ არსებობს არც სამართლის განვითარებისა და ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკის ჩამოყალიბების აუცილებლობის თვალსაზრისით.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 391-ე მუხლის საფუძველზე, საკასაციო სასამართლო არ არის უფლებამოსილი დაუშვას სს "სელედ აგის" წარმომადგენელ ა. კ-შვილის საკასაციო საჩივარი, რის გამოც საკასაციო საჩივარს უარი უნდა ეთქვას განხილვაზე.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 391-ე, 401-ე მუხლებით და

და ა დ გ ი ნ ა :

1. სს "სელედ აგის" წარმომადგენელ ა. კ-შვილის საკასაციო საჩივარი, როგორც დაუშვებელი დარჩეს განუხილველად.
2. კასატორს დაუბრუნდეს გადახდილი სახელმწიფო ბაჟის 8000 ლარის 70% -5600 ლარი.
3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

2. საკასაციო საჩივრის შეტანის ვადა

განჩინება

#ას-284-541-08

28 მაისი, 2008 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატა

შემადგენლობა: მ. სულხანიშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),

რ. ნადირიანი,

თ. თოდრია

დავის საგანი: ბინიდან გამოსახლება

აღწერილობითი ნაწილი:

ბათუმის სასამართლოს 1996 წლის 2 დეკემბერს სარჩელით მიმართა ქ. ბათუმის მერიამ, მოპასუხეებად მიუთითა ბათუმის პირველ სანოტარო კანტორასა და ლ. ბ-შვილზე. მოსარჩელემ მოითხოვა ქ. ბათუმში, ... და ... ქუჩათა #10/18-ში მდებარე სახლთმფლობელობაზე სანოტარო მოქმედების გაუქმება და მისი კომუნალურ ფონდში ჩარიცხვა.

ბათუმის საქალაქო სასამართლოს 1998 წლის 9 მარტის გადაწყვეტილებით სარჩელი დაკმაყოფილდა.

აღნიშნული გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა ფ. კ-მემ. მოითხოვა გადაწყვეტილების გაუქმება სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა იმ მოტივით, რომ მას სადავო სახლი კანონის დაცვით ჰქონდა მიღებული და იყო მისი კეთილსინდისიერი მფლობელი. ამასთან, მოთხოვნა ხანდაზმული იყო.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2006 წლის 28 დეკემბრის გადაწყვეტილებით სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ -მიღებული იქნა ახალი გადაწყვეტილება, რომლითაც ქ. ბათუმის მერიის სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

დასახელებული გადაწყვეტილება საკასაციო საჩივრით გაასაჩივრა ბათუმის მერიამ.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2007 წლის 08 ივნისის განჩინებით საკასაციო საჩივარი, როგორც დაუშვებელი, დარჩა განუხილველი. გასაჩივრებული გადაწყვეტილება შევიდა კანონიერ ძალაში.

მ. კ-ძემ, ნ. შ-შვილმა მ. ლ-ძე-ზ-ძემ, ო. თ-ძის უფლებამონაცვლე გ. ქ-ძემ 2007 წლის 2 ივლისის განცხადებით მიმართეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2006 წლის 28 დეკემბრის გადაწყვეტილების ბათილად ცნობა და ფ. კ-ძის სააპელაციო საჩივრის დასაშვებობის სტადიიდან განხილვა მოითხოვეს.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2007 წლის 23 ოქტომბრის განჩინებით მ. კ-ძის, ნ. შ-შვილის, მ. ლ-ძე-ზ-ძის, ო. თ-ძის უფლებამონაცვლის გ. ქ-ძის განცხადება საქმის წარმოების განახლების შესახებ დაკმაყოფილდა და ბათილად იქნა ცნობილი ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2006 წლის 28 დეკემბრის გადაწყვეტილება; განახლდა საქმის წარმოება ფ. კ-ძის სააპელაციო საჩივრით ქალაქ ბათუმის მერიის მიმართ ბათუმის საქალაქო სასამართლოს 1998 წლის 9 მარტის გადაწყვეტილებაზე.

სააპელაციო საჩივრის არსებით განხილვის დაწყებამდე მოწინააღმდეგე მხარეთა წარმომადგენელმა თ. შ-იამ სასამართლოს მიმართა სააპელაციო საჩივრის განუხილველად დატოვების მოთხოვნით მისი დაუშვებლობის გამო.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 22 იანვრის განჩინებით ფ. კ-ძის სააპელაციო საჩივარი ბათუმის საქალაქო სასამართლოს 1998 წლის 9 მარტის გადაწყვეტილებაზე მიჩნეული იქნა დაუშვებლად.

პალატამ მიიჩნია, რომ სააპელაციო საჩივრით გასაჩივრებული გადაწყვეტილება მიღებულია 1998 წლის 9 მარტს. იმ დროს მოქმედებდა 1964 წლის რედაქციის საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის საპროცესო კოდექსი.

პალატამ მიიჩნია, რომ ფ. კ-ძის სააპელაციო საჩივრის დასაშვებობა უნდა შემოწმდეს აღნიშნული კოდექსის დანაწესთა თანახმად.

პალატამ ასევე მიიჩნია, რომ მოცემულ შემთხვევაში ბათუმის საქალაქო სასამართლოს 1998 წლის 9 მარტის გადაწყვეტილება კანონიერ ძალაში შევიდა 1998 წლის 26 მარტს, რის გამოც 2004 წელს შეტანილი სააპელაციო საჩივარი დაუშვებელია.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 22 იანვრის განჩინება კერძო საჩივრით გასაჩივრა ფ. კ-ძემ და მისმა წარმომადგენელმა ვ. ხ-შვილმა

კერძო საჩივრის ავტორის წარმომადგენლის განმარტებით, სასამართლომ განჩინების მიღების დროს არ გამოიყენა კანონი, რომელიც უნდა გამოიყენებინა, გამოიყენა კანონი, რომელიც არ უნდა გამოიყენებინა და არასწორად განმარტა კანონი. გაუგებარია სააპელაციო პალატამ რატომ გამოიყენა დღეს მოქმედი საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-7, 187-ე, 272-ე, 275-ე და 372-ე მუხლების ნორმები, მაშინ, როცა ხსენებული ნორმებით რეგულირდება სარჩელის წარმოებაში მიღების საკითხი და არა სააპელაციო საჩივრის დასაშვებობის საკითხი. ამასთან, არასწორია კანონის და სამართლის ანალოგიის გამოყენება, რადგანაც აჭარის ა/რ უმაღლესი სასამართლოს 2006 წლის 11 თებერვლის განჩინებით დადგენილი იქნა დასაშვებობის საკითხი. ამასთან დადგენილი იქნა, რომ ფ. კ-ძის მიერ გასაჩივრების ვადა გაშვებული არ არის, აღნიშნული განჩინება დღესაც ძალაშია; გასაჩივრებული განჩინებით გაუგებარია, იგი პალატამ გააუქმა თუ არა ან ჰქონდა თუ არა უფლება პალატას იმავე დონის პალატას განჩინების გაუქმების უფლება, როცა ასეთზე საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2008 წლის 28 ივნისის განჩინებაცაა წარმოდგენილი.

ასეთ შემთხვევაში დასახელებული განჩინების გაუქმება შეუძლებელია ან ახალ გამოვლენილ და ახლად აღმოჩენილ გარემოებათა წესით, რადგანაც სსკ-ის 374-ე მუხლი სააპელაციო საჩივრის მიღების თაობაზე მიღებული განჩინების გასაჩივრებას და გაუქმებას არ ითვალისწინებს.

სააპელაციო პალატა არ დაინტერესებულა, თუ რატომ ხდებოდა ამ საქმეზე ასეთი დაინტერესება, თუ რატომ ან როგორ მოხდა, რომ ყოველგვარი კანონიერი საფუძვლის გარეშე საკუთრებაში არსებული სახლმფლობელობა წართვეს ფ. კ-ძეს ან რომ სცოდნოდა ფ. კ-ძეს სადავო გადაწყვეტილების შესახებ უსაფუძვლოდ უკანონო გადაწყვეტილებით ჩამორთმეულ სახლმფლობელობაზე, იგი არ გააგრძელებდა დავას და მას ყოველგვარი დავის გარეშე დაუთმოდა, მდგომარეობს ან ქალაქის მერიას, მაგრამ ამ საქმეში ძალიან ბევრი სიყალბეა.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, კერძო საჩივრის ავტორი ითხოვს, გაუქმდეს გასაჩივრებული განჩინება და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატას.

სამოტივაციო ნაწილი:

პალატამ განიხილა კერძო საჩივარი გაეცნო საქმის მასალებს და თვლის, რომ კერძო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

როგორც საქმის მასალებით ირკვევა, ფ. კ-ძის მიერ გასაჩივრებული გადაწყვეტილება სასამართლოს მიერ მიღებულია 1998 წლის 9 მარტს. სააპელაციო საჩივარი კი სასამართლოში შეტანილია 2005 წლის 6 იანვარს, ანუ შვიდი წლის გასვლის შემდეგ. უნდა აღინიშნოს ის გარემოება, რომ გასაჩივრების ვადასთან დაკავშირებით ზემდგომ სასამართლოს არ უმსჯელია, რადგან აღნიშნული საკითხი გასაჩივრებული არ ყოფილა კანონმდებლობით დადგენილი წესით. გადაწყვეტილების გამოტანისას მოქმედი საპროცესო კანონმდებლობით საკასაციო საჩივრის შეტანა შესაძლებელი იყო 14 დღის განმავლობაში სასამართლოს მიერ გადაწყვეტილების საბოლოო ფორმით მიღების დღიდან. აღნიშნული ვადის გასვლის შემდეგ საკასაციო საჩივარი რჩებოდა განუხილველი (293-ე მუხლი). ამასთან კანონმდებლობით გათვალისწინებული იყო საპროცესო ვადის აღდგენაც (12-ე მუხლი). უნდა აღინიშნოს, რომ ფ. კ-ძეს შვიდი წლის განმავლობაში სასამართლოსათვის არ მიუმართავს ასეთი სახის მოთხოვნით. მიმართვის შემთხვევაშიც კი მხარე ვალდებული იყო მიეთითებინა ისეთ მიზეზზე, რომელიც საშუალებს მისცემდა სასამართლოს, მხარის მიერ გაშვებული ვადა მიეჩნია საპატიოდ. ის გარემოება, რომ ამდენი ხნის განმავლობაში მხარეს არ მიუმართავს სასამართლოსათვის, შეუძლებელია რაიმე მიზეზით მიჩნეული ყოფილიყო საპატიოდ.

სასამართლო აღნიშნავს, რომ მართლმსაჯულების განხორციელება დამოკიდებულია არა მხოლოდ სასამართლოს მიერ კანონის განუხრელად დაცვაზე, არამედ თვით სასამართლოსათვის მიმართავ პირთა ვალდებულებაზეც, მოახდინონ მათ მიერ კანონით მინიჭებული უფლებათა მართლზომიერი რეალიზაცია. იმ პირობებში, როდესაც კანონი ადგენს გასაჩივრების 14-დღიან ან ერთთვიან ვადას, მხარე ვალდებულია, სწორედ ამ ვადაში გასაჩივროს მისთვის მიუღებელი სასამართლო გადაწყვეტილება, რადგან ასეთი ვადის გასვლის შემდეგ ზემდგომი სასამართლო აღარაა უფლებამოსილი, გადასინჯოს სასამართლოს მიერ მიღებული თუნდაც უკანონო გადაწყვეტილება, სასამართლოში მიმდინარე დავის გარშემო ზემდგომი სასამართლო უფლებამოსილია, იმსჯელოს მხოლოდ მხარის მიერ გადაწყვეტილების კანონით დადგენილ ვადაში გასაჩივრების შემთხვევაში.

ის გარემოება, რომ ფ.კ-ძემ არ იცოდა მის მიმართ სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების თაობაზე, სასამართლოს მიერ ვერ იქნება გაზიარებული, ვინაიდან თვითონ ფ.კ-ძე საჩივრებში უთითებს, რომ ის გამოაგდეს სახლიდან და შეკედლებულია სხვა პირებთან, თუნდაც ასეთ პირობებში მას შეეძლო გაერკვია თუ რა იყო მისი სახლიდან გამოძევების საფუძველი.

მართლმსაჯულების განხორციელება, თავის მხრივ, ემსახურება საზოგადოებაში გარკვეულ სატაბილურობის შექმნას, რაც თავისთავად გამორიცხავს სასამართლოს მიერ მიღებულ გადაწყვეტილებათა დაუსრულებლად გადასინჯვის შესაძლებლობებს. სწორედ ამ პრინციპზე ითქვა უარი ახალი სამოქალაქო საპროცესო კოდექსის შემუშავებისას და დღეისათვის, როდესაც მოქმედი საპროცესო კოდექსით აღარ არსებობს 5-წლიანი ვადის გასვლის შემდეგ გადაწყვეტილებათა არანაირი გადასინჯვის შესაძლებლობა (426-ე), მითუფრო დაუშვებელია გადაწყვეტილების მიღებიდან შვიდი წლის გასვლის შემდეგ საქმის ხელახლა განხილვის დაშვება, თუნდაც სააპელაციო წესით განხილვის გზით.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ კერძო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს და უცვლელი უნდა დარჩეს სააპელაციო სასამართლოს განჩინება.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 414-ე, 419-ე მუხლებით და

და ა ა დ გ ი ნ ა :

ფ. კ-ძის კერძო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს, უცვლელად დარჩეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 22 იანვრის განჩინება.

განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

საკასაციო საჩივრის შეტანის ვადა

განჩინება

#ას-490-729-08

6 ივნისი, 2008 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატა
მოსამართლე ნ. კვანტალიანი

დავის საგანი: დავალიანების გადახდევინება

აღწერილობითი ნაწილი:

თბილისის კრწანისი-მთაწმინდის რაიონული სასამართლოს 2002 წლის 23 ივლისის გადახდის ბრძანებით დაკმაყოფილდა თ. ზ-ძის განცხადება დავალიანების გადახდევინების შესახებ და ბ. გ-შვილს დაეკისრა მის სასარგებლოდ 6360 აშშ დოლარის ეკვივალენტი ლარის გადახდა. ბ. გ-შვილმა არ ცნო გადახდის ბრძანება.

მოსარჩელე თ. ზ-ძემ მოითხოვა მოპასუხე ბაბუღია გურგენაშვილისათვის სესხის დაბრუნების დაკისრება 6360 აშშ დოლარის ეკვივალენტი ლარის ოდენობით.

თბილისის კრწანისი-მთაწმინდის რაიონული სასამართლოს 2002 წლის 7 ოქტომბრის განჩინებით თ. ზ-ძის სარჩელი არ დაკმაყოფილდა, რაც სააპელაციო წესით გაასაჩივრა თ. ზ-ძემ.

თბილისის საოლქო სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2002 წლის 23 დეკემბრის გადაწყვეტილებით თ. ზ-ძის სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა - გაუქმდა კრწანისი-მთაწმინდის რაიონული სასამართლოს 2002 წლის 7 ოქტომბრის გადაწყვეტილება და მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება, დაკმაყოფილდა თ. ზ-ძის სარჩელი, ბ. გ-შვილს -თ. ზ-ძის სასარგებლოდ დაეკისრა 6360 აშშ დოლარის ეკვივალენტი ლარის გადახდა, რაც საკასაციო წესით გაასაჩივრა ბ. გ-შვილმა.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2003 წლის 21 მაისის განჩინებით ბ. გ-შვილის საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა, უცვლელი დარჩა თბილისის საოლქო სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2002 წლის 23 დეკემბრის გადაწყვეტილება.

ბ. გ-შვილის წარმომადგენელმა ვ. ნ-იამ განცხადებით მიმართა საოლქო სასამართლოს და მოითხოვა გადაწყვეტილების გაუქმება და საქმის წარმოების განახლება.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2007 წლის 18 მაისის განჩინებით ბ. გ-შვილის წარმომადგენელ ვ. ნ-იას განცხადება თბილისის საოლქო სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2002 წლის 23 დეკემბრის გადაწყვეტილების გაუქმებისა და საქმის წარმოების განახლების შესახებ არ დაკმაყოფილდა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ბ. გ-შვილმა და მისმა წარმომადგენელმა ვ. ნ-იამ განცხადებით მიმართეს და მოითხოვეს თბილისის საოლქო სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2002 წლის 23 დეკემბრის გადაწყვეტილების ბათილად ცნობა და ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო, საქმის წარმოების განახლება.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2007 წლის 21 დეკემბრის განჩინებით ბ. გ-შვილის განცხადება, თბილისის საოლქო სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2002 წლის 23 დეკემბრის გადაწყვეტილების ბათილად ცნობისა და საქმის წარმოების განახლების შესახებ არ დაკმაყოფილდა, რაც გაასაჩივრა ბ. გ-შვილმა და მისმა წარმომადგენელმა რ. რ-ძემ.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების შესწავლის შედეგად მიიჩნევს, რომ ბ. გ-შვილისა და მის წარმომადგენელ რ. რ-ძის საკასაციო საჩივარი დაუშვებელია და უნდა დარჩეს განუხილველი შემდეგ გარემოებათა გამო:

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2007 წლის 21 დეკემბრის განჩინებით ბ. გ-შვილის განცხადება, თბილისის საოლქო სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2002 წლის 23 დეკემბრის გადაწყვეტილების ბათილად ცნობისა და საქმის წარმოების განახლების შესახებ არ დაკმაყოფილდა, ასევე, ამავე განჩინებით მხარეებს განემარტათ, რომ დასაბუთებული განჩინების ჩაბარებიდან ერთი თვის ვადაში მათ შეეძლოთ მისი გასაჩივრება საკასაციო სასამართლოში.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 401-ე მუხლის პირველი ნაწილის პირველი წინადადების თანახმად, საკასაციო საჩივრის შემოსვლიდან 10 დღის ვადაში მომხსენებელმა მოსამართლემ უნდა

შეამოწმოს, შეტანილია თუ არა საკასაციო საჩივარი ამ კოდექსის 396-ე მუხლის მოთხოვნათა დაცვით. მითითებული ნორმის შინაარსიდან გამომდინარეობს, რომ საკასაციო სასამართლო საკასაციო საჩივრის შემოტანიდან 10 დღეში იხილავს მისი დასაშვებობის საკითხს, რა დროსაც სხვა გარემოებებთან ერთად ამოწმებს, საკასაციო საჩივარი შეტანილია თუ არა ერთი თვის ვადაში.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 397-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, საკასაციო საჩივრის შეტანის ვადაა 1 თვე. ამ ვადის გაგრძელება არ შეიძლება და იგი იწყება მხარისათვის გადაწყვეტილების გადაცემის მომენტიდან. ამავე კოდექსის 70-ე მუხლის პირველი ნაწილის მეორე და მესამე წინადადებების შესაბამისად, სასამართლო უწყება მხარისათვის და მისი წარმომადგენლისათვის ჩაბარებულად ჩაითვლება, თუ იგი ჩაბარდება ერთ-ერთ მათგანს ან ამ კოდექსის 74-ე მუხლით გათვალისწინებულ სუბიექტებს. საფოსტო შეტყობინების თანახმად, კასატორ ბაბულია გურგენაშვილს გასაჩივრებული განჩინების ასლი ჩაჰბარდა 2008 წლის 23 იანვარს. ბაბულია გურგენაშვილის მიერ მოცემული განჩინება გასაჩივრებულია 2008 წლის 3 ივნისს. მოცემულ შემთხვევაში დარღვეულია საკასაციო საჩივრის შეტანის ერთთვიანი ვადა, ვინაიდან საკასაციო საჩივრის შეტანის ვადა უნდა აითვალოს 2008 წლის 23 იანვრიდან იმ დროიდან, როდესაც უწყება ჩაჰბარდა კასატორს, ამდენად ბ. გ-შვილის საკასაციო საჩივრის შეტანის ვადა ჰქონდა 2008 წლის 25 თებერვლის ჩათვლით.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ბ. გ-შვილისა და მის წარმომადგენელ რ. რ-ძის საკასაციო საჩივარი დაუშვებელია და უნდა დარჩეს განუხილველი.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 401-ე, 397-ე მუხლებით

და ა ა დ გ ი ნ ა:

ბ. გ-შვილისა და მის წარმომადგენელ რ. რ-ძის საკასაციო საჩივარი თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2007 წლის 21 დეკემბრის განჩინებაზე დარჩეს განუხილველი.

საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

საკასაციო საჩივრის შეტანის ვადა

განჩინება

#ას-120-398-08

27 ივნისი, 2008 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატა

შემადგენლობა: მ. სულხანიშვილი (თავმჯდომარე),

თ. თოდრია (მომხსენებელი),

რ. ნადირიანი

დავის საგანი: თანხის დაკისრება

აღწერილობითი ნაწილი:

გ. გ-მემ სარჩელით მიმართა ბათუმის საქალაქო სასამართლოს ლ. ა-ოლის მიმართ და მოითხოვა მიყენებული ზიანის - 1600 აშშ დოლარის დაკისრება.

მოსარჩელის განმარტებით, 2005 წლის 21 იანვარს გ. გ-მესა და ლ. ა-ოლს შორის დაიდო იურიდიული მიმსახურების შესახებ ხელშეკრულება, რომლის თანახმადაც გ. გ-მე იღებდა ვალდებულებას, ეწარმოებინა სამოქალაქო საქმე სისხლის სამართლის საქმეზე, მსჯავრდებულ ვ. ა-ოვსა და ს. ბ-ძის მიმართ საქართველოს უზენაეს სასამართლოს და აღსრულებაში ყველა იმ უფლებით, რასაც ითვალისწინებდა მოქმედი კანონმდებლობა.

მოსარჩელის განმარტებით, მიუხედავად იმისა, რომ იგი გულწრფელად ასრულებდა დაკისრებულ ვალდებულებებს თავისი ხარჯით, ლ. ა-ოლმა 2005 წლის 14 ივნისს გააუქმა 2005 წლის 5 მაისის მის სახელზე გაცემული მინდობილობა გააუქმა და დადებული ხელშეკრულება შეწყვიტა. ხელშეკრულების მე-5 ნაწილის თანახმად, ხელშეკრულება ვადამდე უნდა შეწყვეტილიყო მხარეთა შეთანხმებით. თუ ხელშეკრულება შეწყდებოდა ლ. ა-ოლის ინიციატივით, მაშინ მას უნდა გადაეხადა მოგებული თანხის 4%, რაც შეადგენდა 1600 აშშ დოლარს.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მოსარჩელემ მოითხოვა მოპასუხეს მის სასარგებლოდ 1 600 აშშ დოლარის გადახდის დაკისრება.

ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2007 წლის 17 თებერვლის გადაწყვეტილებით სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ -ლ. ა-ოლს გ. გ-მის სასარგებლოდ დაეკისრა 1000 აშშ დოლარის ეროვნული ვალუტის შესაბამისი კურსით გადახდა. სხვა თანხის დაკისრებაზე უარი ეთქვა უსაფუძვლობის გამო.

საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება სარჩელის დაკმაყოფილების ნაწილში სააპელაციო წესით გაასაჩივრა ლ. ა-ოლმა, მოითხოვა მისი გაუქმება და გ. გ-მის სარჩელზე მთლიანად უარის თქმა.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2007 წლის 26 დეკემბრის განჩინებით ლ. ა-ოლის სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა, უცვლელად დარჩა ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2007 წლის 17 თებერვლის გადაწყვეტილება.

სააპელაციო სასამართლომ გაიზიარა პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ დადგენილი ფაქტობრივი გარემოება იმის თაობაზე, რომ 2005 წლის 21 იანვარს გ. გ-მესა და ლ. ა-ოლს შორის დადებულ იქნა იურიდიული მომსახურების შესახებ ხელშეკრულება, რომლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, გ. გ-მე იღებდა ვალდებულებას, ეწარმოებინა სამოქალაქო საქმე სისხლის სამართლის საქმეზე.

სანაცვლოდ ლ. ა-ოლი იღებდა ვალდებულებას, საქმის მოგების შემთხვევაში ადვოკატისათვის გადაეხადა მოგებული თანხის 4%. ხელშეკრულების ვადამდე შეწყვეტა შესაძლებელი იყო ურთიერთშეთანხმებით, შესაბამისი კომპენსაციის გადახდით.

სააპელაციო სასამართლომ მიუთითა, რომ საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2005 წლის 27 აპრილის განჩინების საფუძველზე დადგენილ იქნა, რომ გ. გ-მე იღებდა მონაწილეობას მსჯავრდებულ ვ. ა-ოვსა და ს. ბ-მის მიმართ საქართველოს უზენაეს სასამართლოში წარმოებულ სისხლის სამართლის საქმეზე, რაც ადასტურებდა იმას, რომ მან ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულება ნაწილობრივ შეასრულა.

სააპელაციო სასამართლომ დადგენილად ცნო, რომ ლ. ა-ოლმა 2007 წლის 14 ივნისს გააუქმა გ. გ-მის სახელზე გაცემული მინდობილობა, რის გამოც გ. გ-მემ ვერ შეძლო, მონაწილეობა მიეღო აღსრულებასთან დაკავშირებულ წარმოებაში.

სააპელაციო სასამართლომ არ გაიზიარა ლ. ა-ოლის მითითება იმის თაობაზე, რომ საკასაციო სასამართლოში სისხლის სამართლის საქმის განხილვის დროს არ არსებობდა მისი წარმომადგენლის მონაწილეობის აუცილებლობა.

სააპელაციო სასამართლომ მიუთითა, რომ ლ. ა-ოლმა სააპელაციო სასამართლოს ვერ წარმოუდგინა იმ გარემოების დამადასტურებელი მტკიცებულება, რომ აჭარის ა/რ უმაღლესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სააპელაციო პალატის 2004 წლის 26 ნოემბრის განაჩენზე წარდგენილი საჩივრების საქართველოს უზენაეს სასამართლოში განხილვისას გ. გ-მე არ იცავდა მის ინტერესებს.

სააპელაციო სასამართლოს განჩინებაზე საკასაციო საჩივარი შეიტანა ლ. ა-ოლმა და მოითხოვა გასაჩივრებული განჩინების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილების მიღებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა.

კასატორმა მიუთითა, რომ სააპელაციო სასამართლომ არ გაითვალისწინა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 105-ე მუხლის მე-2 ნაწილის მოთხოვნა ყველა მტკიცებულების ერთობლიობაში განხილვის აუცილებლობის შესახებ.

კასატორმა მიუთითა, რომ სააპელაციო სასამართლომ გაიზიარა პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ დადგენილი ფაქტობრივი გარემოება იმის შესახებ, რომ გ. გ-მე წარმოადგენდა მის ინტერესებს საქართველოს უზენაეს სასამართლოში, 2005 წლის 27 აპრილს გამართულ სხდომაზე სისხლის სამართლის საქმეზე ა-ვასა და სხვათა მიმართ, რაც დადგენილ იქნა საქართველოს უზენაეს სასამართლოში გ. გ-მის მიერ მინდობილობის წარდგენით. კასატორის მოსაზრებით, სააპელაციო სასამართლომ არ შეაფასა და არ გააბათილა ის გარემოება, რომ უზენაეს სასამართლოს სხდომის ოქმი არ შეიცავდა გ. გ-მის, როგორც მოსარჩელის წარმომადგენლის, განმარტებას, რომლითაც შეეცადა რწმუნებული, დაეცვა მოსარჩელის ინტერესები და მოთხოვნები.

კასატორის მოსაზრებით, დაუსაბუთებელია სააპელაციო სასამართლოს არგუმენტები იმის თაობაზე, რომ გ. გ-მის მოთხოვნა სამოქალაქო სარჩელის გადაწყვეტის ნაწილში აჭარის ა/რ უმაღლესი სასამართლოს 2004 წლის 26 ნოემბრის განაჩენის უცვლელად დატოვების შესახებ თავისთავად ორიენტირებული იყო მოსარჩელის სასურველ შედეგზე.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2008 წლის 4 მარტის განჩინებით საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს საკასაციო საჩივარი მიღებულ იქნა წარმოებაში სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 391-ე მუხლით

გათვალისწინებული დასაშვებობის შესამოწმებლად. მოწინააღმდეგე მხარეს განესაზღვრა 7-დღიანი ვადა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 391-ე მუხლით გათვალისწინებული საკასაციო საჩივრის დასაშვებობის წინაპირობებთან დაკავშირებით მოსაზრებების წარმოსადგენად.

კასატორის მოწინააღმდეგე მხარემ -გ. გ-მემ საკასაციო საჩივრის დასაშვებობის საკითხზე საკასაციო სასამართლოში წარმოადგინა მოსაზრება იმის თაობაზე, რომ საკასაციო საჩივარი დაუშვებელია, რადგან იგი არ აკმაყოფილებს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 391-ე მუხლის მოთხოვნებს.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის შესწავლის, საკასაციო საჩივრის დასაშვებობის შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ ლ. ა-ოლის საკასაციო საჩივარი არ აკმაყოფილებს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 391-ე მუხლის მოთხოვნებს, რის გამოც მიჩნეულ უნდა იქნეს დაუშვებლად შემდეგ გარემოებათა გამო:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 391-ე მუხლის მეხუთე ნაწილის მიხედვით, საკასაციო საჩივარი ქონებრივ და სხვა არაქონებრივ დავებში დასაშვებია, თუ ა) საქმე მნიშვნელოვანია სამართლის განვითარებისა და ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკის ჩამოყალიბებისათვის; ბ) სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება განსხვავდება ამ კატეგორიის საქმეებზე საქართველოს უზენაესი სასამართლოს მანამდე არსებული პრაქტიკისაგან; გ) სააპელაციო სასამართლოს მიერ საქმე განხილულია მნიშვნელოვანი საპროცესო დარღვევით, რომელსაც შეეძლო არსებითად ემოქმედა საქმის განხილვის შედეგზე; დ) გასაჩივრებულია სააპელაციო სასამართლოს მეორე დაუსწრებელი გადაწყვეტილება ან განჩინება დაუსწრებელი გადაწყვეტილების უცვლელად დატოვების თაობაზე. ზემოაღნიშნული ნორმები განსაზღვრავს იმ მოთხოვნებს, რომელთაც საკასაციო საჩივარი უნდა შეიცავდეს და ეფუძნებოდეს.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ წარმოდგენილი საკასაციო საჩივარი არ არის დასაშვები სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 391-ე მუხლით გათვალისწინებული არც ერთი ზემომითითებული საფუძვლით.

კასატორი ვერ ასაბუთებს სააპელაციო სასამართლოს მიერ საქმის განხილვას მნიშვნელოვანი საპროცესო დარღვევით, რამაც არსებითად ემოქმედა საქმის შედეგზე, რის გამოც საკასაციო საჩივარს არა აქვს წარმატების პერსპექტივა.

საკასაციო საჩივარი არ არის დასაშვები არც სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილების საკასაციო სასამართლოს სტაბილური პრაქტიკისაგან განსხვავების არსებობის საფუძვლით.

ამასთან, საკასაციო საჩივრის განხილვისა და საკასაციო სასამართლოს ახალი გადაწყვეტილების მიღების საჭიროება არც სამართლის განვითარებისა და ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკის ჩამოყალიბების აუცილებლობის თვალსაზრისით არსებობს.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 391-ე მუხლის საფუძველზე, საკასაციო სასამართლო არ არის უფლებამოსილი, რომ დაუშვას ლ. ა-ოლის საკასაციო საჩივარი, რის გამოც საკასაციო საჩივარს უარი უნდა ეთქვას განხილვაზე.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 391-ე, 401-ე მუხლებით და

და ა ა დ გ ი ნ ა :

1. ლ. ა-ოლის საკასაციო საჩივარი, როგორც დაუშვებელი, დარჩეს განუხილველად;
2. კასატორს დაუბრუნდეს გადახდილი სახელმწიფო ბაჟის - (300 ლარის) 70% -210 ლარი;
3. საკასაციო პალატის განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

საკასაციო საჩივრის შეტანის ვადა

განჩინება

#ას-322-642-09

16 აპრილი, 2009 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატა მოსამართლე რ. ნადირიანი

საკასაციო სასამართლომ საქმის ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა მ. მ-შვილის საკასაციო საჩივრის დასაშვებობის საკითხი თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 21 იანვრის განჩინებაზე.

პალატამ გამოარკვია:

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2008 წლის 10 ოქტომბრის გადაწყვეტილებით ნ. ჯ-იას სარჩელი მოპასუხე მ. მ-შვილის მიმართ სესხის დაბრუნების თაობაზე დაკმაყოფილდა -მ. მ-შვილს ნ. ჯ-იას სასარგებლოდ დაეკისრა 6840 ლარის გადახდა.

აღნიშნული გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა მ. მ-შვილმა, მოითხოვა მისი გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 21 იანვრის განჩინებით მ. მ-შვილის სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა, უცვლელად დარჩა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2008 წლის 10 ოქტომბრის გადაწყვეტილება.

სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საკასაციო წესით გაასაჩივრა მ. მ-შვილმა და მოითხოვა მისი გაუქმება.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატამ, საქმის ზეპირი განხილვის გარეშე, შეისწავლა საკასაციო საჩივრის დასაშვებობის საკითხი და თვლის, რომ იგი დაუშვებლად უნდა იქნეს ცნობილი შემდეგ გარემოებათა გამო:

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 397-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, საკასაციო საჩივრის შეტანის ვადა არის ერთი თვე, ამ ვადის გაგრძელება (აღდგენა) არ შეიძლება და იგი იწყება ორივე მხარისათვის გადაწყვეტილების გადაცემის მომენტიდან. გადაწყვეტილების გადაცემის მომენტად ითვლება ამ გადაწყვეტილების ასლის მხარისათვის ჩაბარება უშუალოდ სასამართლოში ან მისი მხარისათვის, ამ კოდექსით 70-ე-78-ე მუხლების შესაბამისად, გაგზავნის დრო.

მოცემულ შემთხვევაში, საქმის მასალებით დასტურდება, რომ მ. მ-შვილს სააპელაციო სასამართლოს განჩინების ასლი გაეგზავნა და ჩაჰბარდა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 70-ე-78-ე მუხლების შესაბამისად, კერძოდ, საქმის მასალებით დადგენილია, რომ სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილების ასლი მ. მ-შვილს ჩაჰბარდა 2009 წლის 27 თებერვალს. კასატორმა კი საკასაციო საჩივარი შეიტანა 2009 წლის 31 მარტს, ე.ი. ერთთვიანი საპროცესო ვადის დარღვევით, ვინაიდან სააპელაციო სასამართლოს განჩინების გასაჩივრების ბოლო ვადა, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-60 და 61-ე მუხლების თანახმად, იყო 2009 წლის 27 მარტი.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 401-ე მუხლის მიხედვით, საკასაციო საჩივრის შემოსვლიდან 10 დღის განმავლობაში საკასაციო სასამართლომ უნდა შეამოწმოს, დასაშვებია თუ არა საკასაციო საჩივარი ამ კოდექსის 396-ე მუხლის მოთხოვნათა დაცვით. თუ საკასაციო საჩივრის დასაშვებობის ესა თუ ის პირობა არ არსებობს სასამართლოს გამოაქვს განჩინება საკასაციო საჩივრის განუხილველად დატოვების შესახებ.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა თვლის, რომ მ. მ-შვილის საკასაციო საჩივარი დაუშვებელია და უნდა დარჩეს განუხილველად გასაჩივრების ვადის გაშვების გამო.

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 401-ე, 397-ე მუხლის პირველი ნაწილით და

დ ა ა დ გ ი ნ ა :

მ. მ-შვილის საკასაციო საჩივარი განუხილველად დარჩეს;
საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება;

საკასაციო საჩივრის შეტანის ვადა

განჩინება

#ას-481-792-09

28 მაისი, 2009 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატამ მოსამართლე: მ. სულხანიშვილი

საქმის ზეპირი განხილვის გარეშე განიხილა ტ. დ-იას წარმომადგენლის ნ. შ-იას საკასაციო საჩივრის დასაშვებობის საკითხი ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 19 მარტის გადაწყვეტილებაზე, საქმეზე -ხ., ლ. და ნ. კ-იების სარჩელის გამო მოპასუხეები ლ. და ი. კ-იების მიმართ, ანდერძის ბათილად ცნობის თაობაზე.

პალატამ გამოარკვია:

საკასაციო სასამართლო საქმის ზეპირი განხილვის გარეშე გაეცნო საქმის მასალებს და მიაჩნია, რომ ტ. დ-იას წარმომადგენლის ნ. შ-იას საკასაციო საჩივარი განუხილველად უნდა დარჩეს შემდეგ გარემოებათა გამო:

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 397-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, საკასაციო საჩივრის შეტანის ვადაა 1 თვე. ამ ვადის გაგრძელება (აღდგენა) არ შეიძლება და იგი იწყება მხარისათვის გადაწყვეტილების გადაცემის მომენტიდან.

საკასაციო პალატა თვლის, რომ მოცემულ შემთხვევაში, კასატორის წარმომადგენლის მიერ გაშვებული საკასაციო საჩივრის შეტანის 1 თვიანი ვადა.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 19 მარტის გადაწყვეტილება კასატორის წარმომადგენელს ჩაბარდა ამავე წლის 2 აპრილს. ხოლო საკასაციო საჩივარი მის მიერ შეტანილ იქნა 2009 წლის 5 მაისს, ანუ 1 თვიანი ვადის დარღვევით.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ საკასაციო საჩივარი დაუშვებელია და განუხილველად უნდა დარჩეს.

პალატამ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 284-ე მუხლით, 397-ე მუხლის პირველი ნაწილით და

და ა ა დ გ ი ნ ა :

ტ. დ-იას წარმომადგენლის ნ. შ-იას საკასაციო საჩივარი, როგორც დაუშვებელი, დარჩეს განუხილველად.

განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

საკასაციო საჩივრის შეტანის ვადა

განჩინება

#ას-519-829-09

8 ივნისი, 2009 წ. ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატა მოსამართლე თ. თოდრია

დავის საგანი: იპოთეკით დატვირთული ქონების რეალიზაცია

აღწერილობითი ნაწილი:

ი. მ-მემ სარჩელით მიმართა ქუთაისის საქალაქო სასამართლოს ვ. მ-ძის მიმართ იპოთეკით დატვირთული ქონების რეალიზაციის მოთხოვნით. მოსარჩელემ მიუთითა, რომ 2006 წლის 15 ნოემბერს ნოტარიულად დადასტურებული ხელშეკრულებით ვ. მ-ძეს ასესხა 10 000 აშშ დოლარი, რის სანაცვლოდაც იპოთეკით დაიტვირთა მსესხებლის - ვ. მ-ძის სახლი. 2007 წლის 19 აგვისტოს გარდაიცვალა ვ. მ-ძე, რის გამოც საქმეში მოპასუხეებად, როგორც უფლებამონაცვლეები, ჩაერთვნენ ბ. და თ. მ-ძეები.

ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2008 წლის 30 დეკემბრის გადაწყვეტილებით სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ. დადგინდა, ქ. ქუთაისში, ... ქ. #63-ში მდებარე ბინის იძულებითი აუქციონის გზით რეალიზაცია იპოთეკის ხელშეკრულებით გათვალისწინებული დაუბრუნებელი

სესხის -5240 აშშ დოლარის ეკვივალენტი ლარის სანაცვლოდ. მოპასუხეებს დაეკისრათ გადახდილი სახელმწიფო ბაჟის -472 ლარისა და საადვოკატო მომსახურების -200 აშშ დოლარის ეკვივალენტი ლარის გადახდა.

ქუთაისის საქალაქო სასამართლოს აღნიშნული გადაწყვეტილება თანხის დაკისრების ნაწილში სააპელაციო წესით გაასაჩივრეს ბ. და თ. მ-ძეებმა.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2009 წლის 24 მარტის გადაწყვეტილებით ნაწილობრივ დაკმაყოფილდა ბ. და თ. მ-ძეების სააპელაციო საჩივარი, გაუქმდა ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2008 წლის 30 დეკემბრის გადაწყვეტილება ბ. და თ. მ-ძეებისათვის საადვოკატო მომსახურების -200 აშშ დოლარის გადახდის ნაწილში, დანარჩენ ნაწილში კი უცვლელად იქნა დატოვებული გასაჩივრებული გადაწყვეტილება.

აღნიშნული გადაწყვეტილება საკასაციო წესით გაასაჩივრეს ბ. და თ. მ-ძეებმა და მოითხოვეს გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და საქმეზე ახალი გადაწყვეტილებით სარჩელზე უარი თქმა.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო ბ. და თ. მ-ძეების საკასაციო საჩივრის დასაშვებობის შემოწმების შედეგად თვლის, რომ მათი საკასაციო საჩივარი უნდა დარჩეს განუხილველად შემდეგ გარემოებათა გამო:

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 401-ე მუხლის საფუძველზე საკასაციო სასამართლომ ზეპირი მოსმენის გარეშე შეამოწმა ბ. და თ. მ-ძეების საკასაციო საჩივრის დასაშვებობა. ამ მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, საკასაციო საჩივრის შემოსვლიდან 10 დღის ვადაში მომხსენებელმა მოსამართლემ უნდა შეამოწმოს, შემოტანილია თუ არა საკასაციო საჩივარი ამ კოდექსის 396-ე მუხლის მოთხოვნათა დაცვით. თუ საკასაციო საჩივარი აკმაყოფილებს აღნიშნული მუხლის მოთხოვნებს, იგი წარმოებაში მიიღება ამ კოდექსის 391-ე მუხლის საფუძველზე დასაშვებობის შესამოწმებლად.

საკასაციო საჩივრის დასაშვებობის ერთ-ერთი პირობის შესახებ მითითებულია საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 397-ე მუხლის პირველ ნაწილში. ამ ნორმის თანახმად, საკასაციო საჩივრის შეტანის ვადაა 1 თვე. ამ ვადის გაგრძელება (აღდგენა) არ შეიძლება და იგი იწყება მხარისათვის გადაწყვეტილების გადაცემის მომენტიდან. ამ ნორმიდან გამომდინარე, განჩინების გადაცემის მომენტად, საიდანაც იწყება მისი გასაჩივრების ვადის ათვლა, ითვლება როგორც განჩინების ჩაბარება უშუალოდ სასამართლოში, ასევე ამ განჩინების ასლის მხარისათვის კანონით დადგენილი წესით გაგზავნის დრო, რაც უნდა დადასტურდეს სათანადო ხელწერილით, ან სხვა ოფიციალური დოკუმენტით ადრესატისათვის გადაწყვეტილების ასლის ჩაბარების შესახებ.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 74-ე მუხლის I ნაწილის პირველი წინადადების თანახმად, თუ სასამართლო უწყების ჩამბარებელმა სასამართლოში გამოსამახებელი პირი ვერ ნახა მის მიერ მითითებულ მისამართზე, იგი უწყებას აბარებს მასთან მცხოვრებ ოჯახის რომელიმე სრულწლოვან წევრს. საქმის მასალებით დადგენილია, რომ ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2009 წლის 24 მარტის დასაბუთებული გადაწყვეტილების ასლი 2009 წლის 13 აპრილს ჩაჰბარდა კასატორების დედას -ლ. ტ-შვილს. აღნიშნულიდან გამომდინარე, კასატორებს საკასაციო საჩივრის შეტანის ვადა ჰქონდათ 14 აპრილიდან ერთი თვის განმავლობაში ანუ 14 მაისის ჩათვლით, საკასაციო საჩივარი კი შეტანილ იქნა 2009 წლის 21 მაისს, საკასაციო საჩივრის შეტანის ერთთვიანი ვადის დარღვევით. ამდენად, საკასაციო პალატა, თვლის, რომ ბ. და თ. მ-ძეებმა დაარღვიეს საკასაციო საჩივრის შეტანის კანონით განსაზღვრული ერთთვიანი ვადა, რის გამოც საკასაციო საჩივარი განუხილველად უნდა დარჩეს.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 284-ე, 397-ე, 401-ე მუხლებით და

და ა ა დ გ ი ნ ა :

ბ. და თ. მ-ძეების საკასაციო საჩივარი, ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 24 მარტის გადაწყვეტილებაზე, დარჩეს განუხილველი; განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

საკასაციო საჩივრის შეტანის ვადა

განჩინება

#ას-718-1017-09

22 ივლისი, 2009 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატამ მოსამართლე: მ. სულხანიშვილი

საქმის ზეპირი განხილვის გარეშე განიხილა ნ. ნ-ოვას საკასაციო საჩივრის დასაშვებობის საკითხი თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 17 დეკემბრის განჩინებაზე, საქმეზე -ნ. ნ-ოვის სარჩელის გამო მოპასუხეები საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მარნეულის სარეგისტრაციო სამსახურის და ზ. ზ-ოვის მიმართ, სამკვიდრო ქონებიდან წილის გამოყოფის თაობაზე.

პალატამ გამოარკვია:

საკასაციო სასამართლო საქმის ზეპირი განხილვის გარეშე გაეცნო საქმის მასალებს და მიაჩნია, რომ ნ. ნ-ოვას საკასაციო საჩივარი განუხილველად უნდა დარჩეს შემდეგ გარემოებათა გამო:

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 397-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, საკასაციო საჩივრის შეტანის ვადაა 1 თვე. ამ ვადის გაგრძელება (აღდგენა) არ შეიძლება და იგი იწყება მხარისათვის გადაწყვეტილების გადაცემის მომენტიდან.

საკასაციო პალატა თვლის, რომ მოცემულ შემთხვევაში, კასატორის მიერ გაშვებულია საკასაციო საჩივრის შეტანის 1-თვიანი ვადა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 17 დეკემბრის განჩინება კასატორს ჩაჰბარდა 2009 წლის 22 მაისს, ხოლო საკასაციო საჩივარი მის მიერ შეტანილ იქნა ამავე წლის 29 ივნისს, ანუ 1-თვიანი ვადის დარღვევით.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ საკასაციო საჩივარი დაუშვებელია და განუხილველად უნდა დარჩეს.

პალატამ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 284-ე მუხლით, 397-ე მუხლის პირველი ნაწილით და

და ა ა დ გ ი ნ ა :

ნ. ნ-ოვას საკასაციო საჩივარი, როგორც დაუშვებელი, დარჩეს განუხილველად. განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

3. შემოწმების ფაქტობრივი საფუძველი

განჩინება

#ას-853-1166-07

17 მაისი, 2008 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატა

შემადგენლობა: მ. გოგიშვილი (თავმჯდომარე),
ნ. კვანტალიანი (მომხსენებელი),
ლ. ლაზარაშვილი

დავის საგანი: საზოგადოების წესდებისა და საჯარო რეესტრის ჩანაწერის გაუქმება

აღწერილობითი ნაწილი:

ქ. ბათუმის მერიამ სარჩელი აღძრა სასამართლოში შპს "ორაგულის მარიკულტურის ცენტრის" მიმართ საზოგადოების წესდების იმ ნაწილის გაუქმების მოთხოვნით, რომლითაც მოპასუხე ცნობილ იქნა საიჯარო საწარმო "ორაგულის მარიკულტურის ცენტრის" უფლებამონაცვლედ და ქ. ბათუმში, ... ქ.#51-ში მდებარე უძრავი ქონების საჯარო რეესტრში მოპასუხის სახელზე აღრიცხვის ჩანაწერის ბათილად ცნობის შესახებ შემდეგი საფუძვლებით: ბათუმის საქალაქო სასამართლომ 1997 წლის 26 სექტემბერს კანონდარღვევით დაარეგისტრირა მოპასუხის წესდება, რომლის 1.5 პუნქტის თანახმად, შპს "ორაგულის მარიკულტურის ცენტრი" წარმოადგენს საიჯარო საწარმო "ორაგულის მარიკულტურის ცენტრის" უფლებამონაცვლეს. სასამართლომ ზემოხსენებულ უძრავ ნივთზე საკუთრების უფლება მიანიჭა სუბიექტს, რომელიც, კანონის მიხედვით, იმ დროისათვის

გაუქმებული იყო, კერძოდ, საიჯარო საწარმო შეიქმნა საქართველოს პარლამენტის 1994 წლის 28 ოქტომბრის დადგენილების მიღებამდე, რომლითაც "მეწარმეთა შესახებ" კანონის ამოქმედებამდე შექმნილ საწარმოებს დაავალა 1996 წლის 1 სექტემბრამდე ხელახალი რეგისტრაციის გავლა. საიჯარო საწარმო "ორაგულის მარიკულტურის ცენტრს" კანონით დადგენილ ვადაში ხელახალი რეგისტრაცია არ გაუვლია, რის გამოც აღნიშნულს უკავშირდება "მეწარმეთა შესახებ" კანონის 5.8 მუხლით გათვალისწინებული სამართლებრივი შედეგები და საწარმო ითვლება გაუქმებულად.

მოპასუხემ სარჩელი არ ცნო და განმარტა, რომ რეგისტრაციაში გატარდა კანონის მოთხოვნათა სრული დაცვით და სასარჩელო განცხადება სამართლებრივ საფუძველს მოკლებულია.

ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2007 წლის 16 თებერვლის გადაწყვეტილებით სარჩელი დაკმაყოფილდა, გაუქმდა ამავე სასამართლოს 1997 წლის 26 სექტემბრის დადგენილება შპს "ორაგულის მარიკულტურის ცენტრის" წესდების 1.5 პუნქტის რეგისტრაციის შესახებ, ასევე, გაუქმდა საჯარო რეესტრის ჩანაწერი, რომლითაც ქ. ბათუმში, ... ქ.#51-ში მდებარე უძრავი ქონება აღირიცხა მოპასუხის სახელზე.

საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება შპს "ორაგულის მარიკულტურის ცენტრმა" გაასაჩივრა სააპელაციო წესით.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2007 წლის 12 სექტემბრის გადაწყვეტილებით სააპელაციო საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, გასაჩივრებული გადაწყვეტილება გაუქმდა იმ ნაწილში, რომლითაც გაუქმებულ იქნა საჯარო რეესტრის ჩანაწერი ქ. ბათუმში, ... ქ.#51-ში მდებარე უძრავი ქონების შპს "ორაგულის მარიკულტურის ცენტრის" სახელზე აღრიცხვის შესახებ და ახალი გადაწყვეტილებით ამ ნაწილში სარჩელი არ დაკმაყოფილდა, დანარჩენ ნაწილში გადაწყვეტილება დარჩა უცვლელი შემდეგ გარემოებათა გამო: სააპელაციო სასამართლომ დაადგინა, რომ აჭარის ა/რ სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტროს მიერ გაცემული საკუთრების დამადასტურებელი #0027 მოწმობის, უძრავი ქონების ტექნიკური პასპორტისა და აჭარის ა/რ საარბიტრაჟო სასამართლოს 1996 წლის 4 ოქტომბრის გადაწყვეტილების თანახმად, ქ. ბათუმში, ... ქ.#51-ში მდებარე 1200,65 კვ.მ უძრავი ქონება წარმოადგენდა საიჯარო საწარმო "ორაგულის მარიკულტურის ცენტრის" საკუთრებას. "მეწარმეთა შესახებ" კანონის მე-4 მუხლის შესაბამისად, საიჯარო საწარმო "ორაგულის მარიკულტურის ცენტრის" დამფუძნებელმა პარტნიორებმა ქ. ბათუმში, ... ქ.#51-ში დააფუძნეს შპს "ორაგულის მარიკულტურის ცენტრი", რომლის საწესდებო კაპიტალი განისაზღვრა ამ მისამართზე მდებარე უძრავი ქონებით და სამეწარმეო რეესტრში საწარმოს რეგისტრაციის შემდეგ ქონება საჯარო რეესტრში აღირიცხა შპს "ორაგულის მარიკულტურის ცენტრის" სახელზე. სააპელაციო პალატამ გაიზიარა გასაჩივრებული გადაწყვეტილებით დადგენილი ფაქტობრივი გარემოება, რომ საიჯარო საწარმო "ორაგულის მარიკულტურის ცენტრს", საქართველოს პარლამენტის 1994 წლის 28 ოქტომბრის დადგენილების მეორე ნაწილისა და 1995 წლის 21 დეკემბრის ცვლილების შესაბამისად, 1996 წლის 1 იანვრამდე "მეწარმეთა შესახებ" კანონით დადგენილი ფორმით ხელახალი რეგისტრაცია არ გაუვლია და, ამავე კანონის 5.8 მუხლის შესაბამისად, იგი გაუქმებულია. სასამართლოს მოსაზრებით, საწარმოს ხელახალი რეგისტრაცია არ უთანაბრდება სამართლებრივი ურთიერთობის ახალი სუბიექტის შექმნას, არამედ უკვე არსებული სუბიექტის მიერ მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად საქმიანობის გაგრძელებას წარმოადგენს. ამასთან, ხელახლა რეგისტრირებული საწარმო არის რეგისტრაციამდე არსებული სუბიექტის უფლებამონაცვლე. პალატამ მიიჩნია, რომ გაუქმებული საწარმოს დამფუძნებელს არ ეკრძალება საწარმოს ქონებასა და ადგილსამყოფელზე ახალი საწარმოს დაფუძნება, თუმცა ასეთი შემთხვევა არ შეიძლება განხილულ იქნეს არსებული საწარმოს ხელახალ რეგისტრაციად და წარმოადგენს ახალი საწარმოს დაფუძნებას. სააპელაციო პალატამ ჩათვალა, რომ საიჯარო საწარმო "ორაგულის მარიკულტურის ცენტრის" მიერ კანონით დადგენილ ვადაში ხელახალი რეგისტრაციის გაუვლელობის გამო, საწარმოს სამართლებრივი მდგომარეობა უთანაბრდება რეგისტრაცია გაუქმებული საწარმოს სტატუსს და 1997 წლის 27 სექტემბერს სასამართლო დადგენილებით სამეწარმეო რეესტრში შპს "ორაგულის მარიკულტურის ცენტრის" რეგისტრაცია წარმოადგენდა ახალი საწარმოს დაფუძნებას. კანონსაწინააღმდეგოა და, სამოქალაქო კოდექსის 54-ე მუხლის თანახმად, ბათილია საზოგადოების წესდების 1.5 პუნქტი, რომლითაც შპს "ორაგულის მარიკულტურის ცენტრი" ცნობილ იქნა საიჯარო საწარმოს სამართალმემკვიდრედ. სააპელაციო პალატამ არ გაიზიარა აპელანტის მოსაზრება, რომ ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის კანონიერ ძალაში შესული 2006 წლის 13 ივნისის გადაწყვეტილებით დადგინდა რა ფაქტობრივი გარემოება, რომ შპს "ორაგულის მარიკულტურის ცენტრი" საიჯარო საწარმო "ორაგულის მარიკულტურის ცენტრის" უფლებამონაცვლეა, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 106-ე მუხლის "ბ" პუნქტის შესაბამისად, აღნიშნული გარემოება მოცემული დავისთვისაც დადგენილად უნდა ჩაითვალოს, ვინაიდან აღნიშნული გარემოება იმავე მხარეებს შორის სამოქალაქო საქმის განხილვისას არ დადგენილა. სასამართლომ ასევე არ გაიზიარა აპელანტის მითითება წესდების სადავო პუნქტის

ბათილად ცნობის შესახებ სასარჩელო მოთხოვნის ხანდაზმულობასთან დაკავშირებით და მიიჩნია, რომ საქმის მასალების თანახმად, მოსარჩელემ შპს "ორაგულის მარიკულტურის ცენტრის" წესდების 1.5 პუნქტის შესახებ შეიტყო 2003 წელს ამავე მხარეებს შორის მიმდინარე ადმინისტრაციული დავის განხილვისას. ამდენად, მოსარჩელეს "მეწარმეთა შესახებ" კანონის მე-15 მუხლით გათვალისწინებული ხანდაზმულობის 5-წლიანი ვადა არ დაურღვევია. სასამართლომ მიიჩნია, რომ საიჯარო საწარმო "ორაგულის მარიკულტურის ცენტრის" გაუქმების შემდეგ მისი ქონება გადავიდა დამფუძნებელთა პირად საკუთრებაში და მათ მიერ დასახელებული ქონების საფუძველზე 1997 წლის 26 სექტემბრის დადგენილებით შპს "ორაგულის მარიკულტურის ცენტრი" კანონშესაბამისად დაფუძნდა. პალატამ უსაფუძვლოდ ჩათვალა აპელანტის მოსაზრება საჯარო რეესტრის ჩანაწერთან დაკავშირებით მოთხოვნის ხანდაზმულობის თაობაზე და მიუთითა, რომ მოცემული დავა უძრავ ნივთზე სახელშეკრულებო ურთიერთობიდან წარმოშობილი არ არის, ამდენად, მოცემულ შემთხვევაში სამოქალაქო კოდექსის 129-ე მუხლით განსაზღვრული 6-წლიანი ხანდაზმულობის ვადა ვერ იმოქმედებს და სადავო ურთიერთობაზე უნდა გავრცელდეს ამავე კოდექსის 128-ე მუხლის მესამე ნაწილით დადგენილი 10-წლიანი ვადა, რაც 1997 წელს შესრულებული ჩანაწერის გაუქმებასთან დაკავშირებით 2006 წლის 25 მაისს წარდგენილ მოთხოვნაზე გასული არ არის. სააპელაციო პალატამ დაუსაბუთებლად ჩათვალა აპელანტის მოთხოვნა ქ. ბათუმის მერიის არასათანადო მოსარჩელედ მიჩნევის შესახებ, ვინაიდან შპს "ორაგულის მარიკულტურის ცენტრის" წესდების სადავო პუნქტის ბათილობის ნაწილში მოსარჩელის იურიდიულ ინტერესს წარმოადგენს ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით მიღებული და კანონიერ ძალაში შესული იმ გადაწყვეტილების გადასინჯვის საფუძვლის მოპოვება, რომლითაც მოსარჩელეს მოპასუხის სასარგებლოდ დაეკისრა ზიანის ანაზღაურება, ხოლო საჯარო რეესტრის ჩანაწერის გაუქმების ნაწილში კი მოსარჩელის იურიდიული ინტერესია, "თვითმმართველობის შესახებ" კანონის 47-ე-48-ე მუხლების შესაბამისად, სადავო ქონების თვითმმართველობის ორგანოს საკუთრებაში მოქცევა. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 180-ე მუხლიდან გამომდინარე, ამგვარი სარჩელი დაუშვებელია, მაგრამ პირველი ინსტანციის სასამართლომ სარჩელი დასაშვებად ცნო და აღნიშნული სადავოდ არ გამხდარა.

სააპელაციო სასამართლომ გადაწყვეტილება საკასაციო წესით გაასაჩივრა შპს "ორაგულის მარიკულტურის ცენტრმა". საქართველოს უზენაესი სასამართლო სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2007 წლის 13 დეკემბრის განჩინებით შპს "ორაგულის მარიკულტურის ცენტრის" საკასაციო საჩივარი დარჩა განუხილველი.

სააპელაციო სასამართლომ გადაწყვეტილება სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის ნაწილში ქ. ბათუმის მერიამ გაასაჩივრა საკასაციო წესით, მოითხოვა ამ ნაწილში მისი გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის სრულად დაკმაყოფილება შემდეგი საფუძველებით: გასაჩივრებული გადაწყვეტილება წინააღმდეგობრივია, რადგან, ერთი მხრივ, სასამართლომ უკანონოდ მიიჩნია შპს "ორაგულის მარიკულტურის ცენტრის" წესდების 1.5 პუნქტი და, მეორე მხრივ კი, ქ. ბათუმში, ... ქ.#51-ში მდებარე უძრავი ქონების საჯარო რეესტრში შპს "ორაგულის მარიკულტურის ცენტრის" სახელზე რეგისტრაცია კანონიერად ჩაითვალა. დაუსაბუთებელია სააპელაციო სასამართლოს მსჯელობა, რომ საიჯარო საწარმო "ორაგულის მარიკულტურის ცენტრის" მიერ 1996 წლის 1 სექტემბრამდე ხელახალი რეგისტრაციის გაუვლელობის გამო ლიკვიდაციის შემდეგ მისი ქონება გადავიდა დამფუძნებელთა პირად საკუთრებაში, რომლებმაც აღნიშნული ქონება საზოგადოების საწესდებო კაპიტალში შეიტანეს. სასამართლომ აღნიშნული გარემოებები ისე ცნო დადგენილად, რომ არ გამოურკვევია, ვინ იყვნენ საიჯარო საწარმოსა და შპს "ორაგულის მარიკულტურის ცენტრის" დამფუძნებლები, როგორი იყო თითოეული დამფუძნებლის შენატანი საზოგადოებაში. მოცემული ფაქტობრივი გარემოებანი უნდა დადასტურებულიყო კანონით დადგენილი მტკიცებულებებით. ასეთი მტკიცებულებები საქმეში არ მოიპოვება და სადავო ნივთის შპს-ს კუთვნილების საფუძველად მითითებულია საიჯარო საწარმოს სამართალმემკვიდრეობა, რომელიც სასამართლომ თავად ცნო უკანონოდ. კასატორი სადავოდ არ თვლის საწარმოს ლიკვიდაციის შემდეგ მისი ქონების დამფუძნებლებზე გადასვლისა და შემდგომ ამ ქონებით ახალი საწარმოს დაფუძნების შესაძლებლობას, არამედ მნიშვნელოვანია, რომ მითითებული უფლების განხორციელება მხარეს სათანადოდ არ დაუდასტურებია. რაც შეეხება საიჯარო საწარმო "ორაგულის მარიკულტურის ცენტრის" დამფუძნებლების მიერ საწარმოს გაუქმების შემდეგ სადავო ქონების შპს "ორაგულის მარიკულტურის ცენტრის" სახელზე საკუთრების უფლების რეგისტრაციის შესაძლებლობას, აღნიშნული სასამართლოს განხილვის საგანი ვერ იქნება, რადგან სასამართლო საიჯარო საწარმოს დამფუძნებლებს მითითებული უფლების განხორციელებას ვერ დაავალებს, რეგისტრაცია შესაძლოა არც განხორციელდეს, რის შედეგად სადავო ქონება თვითმმართველობის საკუთრება გახდება.

სააპელაციო სასამართლომ დადგენილად ცნო და საკასაციო პრეტენზია არ არის წარმოდგენილი შემდეგ ფაქტობრივ გარემოებებზე: აჭარის ა/რ სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტროს მიერ გაცემული საკუთრების დამადასტურებელი #0027 მოწმობის, უძრავი ქონების ტექნიკური პას-

პორტისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საარბიტრაჟო სასამართლოს 1996 წლის 4 ოქტომბრის გადაწყვეტილების თანახმად, ქ. ბათუმში, ... ქ.51-ში მდებარე 1200,65 კვ.მ უძრავი ქონება წარმოადგენდა საიჯარო საწარმო "ორაგულის მარიკულტურის ცენტრის" საკუთრებას. ბათუმის საქალაქო სასამართლოს 1997 წლის 26 სექტემბრის დადგენილებითა და მხარეთა განმარტებებით, სააპელაციო სასამართლომ გამოარკვია, რომ "მეწარმეთა შესახებ" კანონის მე-4 მუხლის შესაბამისად, საიჯარო საწარმო "ორაგულის მარიკულტურის ცენტრის" დამფუძნებელმა პარტნიორებმა ქ. ბათუმში, ... ქ.#51-ში დააფუძნეს შპს "ორაგულის მარიკულტურის ცენტრი", რომლის საწესდებო კაპიტალი განისაზღვრა ზემოხსენებულ მისამართზე მდებარე 46440 ლარის ღირებულების უძრავი ქონებით და სამეწარმეო რეესტრში საწარმოს რეგისტრაციის შემდეგ ქონება საჯარო რეესტრში აღირიცხა შპს "ორაგულის მარიკულტურის ცენტრის" სახელზე.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საკასაციო საჩივრის საფუძვლების შესწავლისა და გასაჩივრებული გადაწყვეტილების იურიდიული დასაბუთების შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ ქ. ბათუმის მერიის საკასაციო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს და სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული გადაწყვეტილება დარჩეს უცვლელი შემდეგ გარემოებათა გამო:

ქ. ბათუმის მერია საკასაციო საჩივრით სადავოდ ხდის ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილ ფაქტობრივ გარემოებებს, რომ ქ. ბათუმში, ... ქ.#51-ში მდებარე უძრავი ქონება შპს "ორაგულის მარიკულტურის ცენტრის" საკუთრება გახდა მისი დამფუძნებლების მიერ საზოგადოების საწესდებო კაპიტალში შეტანით. ასევე იმ გარემოებას, რომ შპს "ორაგულის მარიკულტურის ცენტრის" დამფუძნებლები და საიჯარო საწარმო "ორაგულის მარიკულტურის ცენტრის" დამფუძნებლები ერთი და იგივე პირები არიან.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 404-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, საკასაციო სასამართლო ამოწმებს გადაწყვეტილებას საკასაციო საჩივრის ფარგლებში. საკასაციო სასამართლო თვლის, რომ კასატორის მიერ წარმოდგენილი პრეტენზია არ წარმოადგენს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 407-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებულ დასაშვებ და დასაბუთებულ საკასაციო პრეტენზიას. სააპელაციო სასამართლომ გასაჩივრებული გადაწყვეტილებით დაადგინა, რომ საქართველოს პარლამენტის 1994 წლის 28 ოქტომბრის დადგენილების მეორე ნაწილისა და 1995 წლის 21 დეკემბრის ცვლილების შესაბამისად, ვინაიდან საიჯარო საწარმოს ხელახალი რეგისტრაცია არ გაუვლია და იგი გაუქმებულად უნდა ჩაითვალოს, საიჯარო საწარმო ორაგულის მარიკულტურის ცენტრის ქონება, კერძოდ, ქ. ბათუმში, ... ქ.#51-ში მდებარე უძრავი ქონება გადავიდა დამფუძნებლების პირად საკუთრებაში. ამ საფუძვლით სააპელაციო სასამართლომ საჯარო რეესტრში სადავო რეგისტრაცია კანონიერად მიიჩნია. კასატორი სადავოდ მიიჩნევს საიჯარო საწარმოს და შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების დამფუძნებელთა იგივეობას.

საკასაციო პალატა განმარტავს, რომ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 407-ე მუხლის პირველი ნაწილის შინაარსიდან გამომდინარე, საკასაციო ინსტანციაში საქმის განხილვისას საკასაციო სასამართლო არ ადგენს ახალ ფაქტებსა და გარემოებებს და სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილ ფაქტობრივ გარემოებებს ამოწმებს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ წარმოდგენილია დასაშვები და დასაბუთებული საკასაციო პრეტენზია. ამ სახის პრეტენზიად მიიჩნევა კასატორის მითითება საქმეში არსებულ ისეთ მტკიცებულებებზე, რომლებიც ადგენენ სასამართლოს მიერ გასაჩივრებული გადაწყვეტილებით დადგენილი ფაქტობრივი გარემოების საწინააღმდეგო ვითარებას. კასატორი საეჭვოდ მიიჩნევს რა მოპასუხე შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებისა და ადრე არსებული საიჯარო საწარმოს დამფუძნებელთა იგივეობას, მისი ეს მოსაზრება ემყარება მხოლოდ ვარაუდს და არ უთითებს აღნიშნული გარემოების დამადასტურებელ მტკიცებულებაზე.

უსაფუძვლოა კასატორის მოსაზრება, გასაჩივრებული გადაწყვეტილების წინააღმდეგობრიობის შესახებ, რადგან, ერთი მხრივ, სასამართლომ უკანონოდ მიიჩნია შპს "ორაგულის მარიკულტურის ცენტრის" წესდების 1.5 პუნქტი და, მეორე მხრივ კი, ქ. ბათუმში, ... ქ.#51-ში მდებარე უძრავი ქონების საჯარო რეესტრში შპს "ორაგულის მარიკულტურის ცენტრის" სახელზე რეგისტრაცია კანონიერად ჩაითვალა. როგორც ზემოთ აღინიშნა, უძრავი ქონების საჯარო რეესტრში სადავო რეგისტრაციის კანონიერების საფუძვლად სასამართლომ საიჯარო საწარმოს დამფუძნებელთა მიერ ქონების საკუთრებაში მიღება და მათივე ნებით მისი განკარგვა მიიჩნია, შესაბამისად, ეს გარემოება წინააღმდეგობაში არ არის სასამართლოს დასკვნებთან საზოგადოების წესდების პირობების კანონიერებასთან მიმართებით.

ამდენად, არ არსებობს საკასაციო საჩივრის დაკმაყოფილებისა და გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმების სამართლებრივი საფუძვლები.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 410-ე მუხლით და

და ა ა დ გ ი ნ ა :

ქ. ბათუმის მერიის საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2007 წლის 12 სექტემბრის გადაწყვეტილება დარჩეს უცვლელი.

საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

4. გადაწყვეტილების გაუქმების აბსოლუტური საფუძვლები

განჩინება

ას-235-496-08

2 ივლისი, 2008 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკორტების საქმეთა პალატა

შემადგენლობა: მ. სულხანიშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),

რ. ნადირიანი,

თ. თოდრია

დავის საგანი: ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების შესრულება

აღწერილობითი ნაწილი:

“ჯანმრთელობის დაცვის მართვის ნაციონალური ცენტრის” სალიკვიდაციო კომისიამ 2005 წლის 22 აგვისტოს სარჩელით მიმართა სასამართლოს საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს წინააღმდეგ და მოითხოვა 423,717 ლარის გადახდის დაკისრება მოპასუხეზე.

მოსარჩელემ აღნიშნა, რომ სამედიცინო მეცნიერებისა და განათლების ხელშეწყობის 1999 წლის სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში 1999 წელს 1 აპრილს, 10 ივნისს და 15 სექტემბერს მოპასუხესთან გაფორმდა ხელშეკრულებები, რომელთა საფუძველზე შესრულდა 483,995 ლარის ღირებულების სამუშაო, საიდანაც მოპასუხეს გადაუხდელი ჰქონდა 423,717 ლარი. 2002 წლის 26 მარტს მხარეებს შორის შედგა ურთიერთშეადარების აქტი, რომლითაც დადასტურებულია დავალიანების არსებობა, მაგრამ სამინისტრომ 2003 წელს 423,717 ლარის დავალიანება ჩამოწერა სამოქალაქო კოდექსით გათვალისწინებულ სახელშეკრულებო ხანდაზმულობის ვადაზე მითითებით. მოსარჩელის განმარტებით, დავალიანება წარმოადგენდა მომუშავე თანამშრომელთა ხელფასს და მასზე არ ვრცელდებოდა სამოქალაქო კოდექსის აღნიშნული ნორმა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს 2006 წლის 24 ივლისის გადაწყვეტილებით მოსარჩელის მოთხოვნა დაკმაყოფილდა.

დასახელებული გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრომ და მოითხოვა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და საქმის განსახილველად განსჯადობის შესაბამისად, თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიისათვის გადაცემა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2007 წლის 23 ოქტომბრის განჩინებით უცვლელი დარჩა თბილისის საქალაქო სასამართლოს 2006 წლის 24 ივლისის გადაწყვეტილება.

სააპელაციო პალატამ სრულად გაიზიარა პირველი ინსტანციის მიერ დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები და სამართლებრივი შეფასებები.

მოცემულ საქმეზე დადგენილად იქნა ცნობილი შემდეგი გარემოებები

შპს “საქართველოს ჯანმრთელობის დაცვის მართვის ნაციონალური ცენტრი” არსებობდა სახაზინო საწარმოს ფორმით, რომლის ბაზაზეც სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტროს 2000 წლის 1 ივნისის #1-3/351 ბრძანებით დაფუძნდა შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება “საქართველოს ჯანმრთელობის დაცვის მართვის ნაციონალური ცენტრი” სახელმწიფოს 100% წილობრივი მონაწილეობით.

საქართველოს სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტროს 2003 წლის 24 აპრილის ბრძანებით გაიხსნა შპს “ჯანმრთელობის დაცვის მართვის ნაციონალური ცენტრის” სალიკვიდაციო პროცესი და დაინიშნა სალიკვიდაციო კომისიის თავმჯდომარე, რაც სასამართლოში რეგისტრირებულია 2003 წლის 22 მაისს.

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს და სახაზინო საწარმოს – “საქართველოს ჯანმრთელობის დაცვის მართვის ნაციონალური ცენტრის” შორის 1999 წლის 1 აპრილს-ამავე წლის 31 დეკემბრამდე ვადით, 10 ივნისს -ამავე წლის 1 სექტემბრამდე ვადით და 15 სექტემბერს-ამავე წლის 31 დეკემბრამდე ვადით, დაიდო ხელშეკრულებები სხვა-

დასხვა სამუშაოთა შესრულებაზე. სამუშაოთა ღირებულება ხელშეკრულების მიხედვით შეადგენდა 608.200 20.000 და 4.800 ლარს, რაც განსაზღვრული იყო მხარეთა მიერ ხელმოწერილი და ხელშეკრულებაზე დართული ხარჯთაღრიცხვით.

სასამართლომ ასევე დადგენილად მიიჩნია ის გარემოება რომ, რომ მოპასუხემ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრომ, 2004 წლის 4 მაისის წერილით აღიარა მოსარჩელისადმი არსებული დავალიანება რის გამოც სასარჩელო ხანდაზმულობის ათვისების წერტილად პალატამ განსაზღვრა 2004 წლის 4 მაისი.

აღნიშნული გადაწყვეტილება საკასაციო წესით გაასაჩივრა საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს წარმომადგენელმა ირაკლი კოპალიანმა.

კასატორის განმარტებით, სოციალური დაცვის სამინისტრო საფინანსო დეპარტამენტის უფროსის 2004 წლის 4 მაისის წერილი არ წარმოადგენდა ვალის აღიარების აქტს, ვინაიდან მისი აზრით მხოლოდ მინისტრი იყო უფლებამოსილი, ეღიარებინა საქმეში წარმოდგენილი ხელშეკრულებიდან წარმოშობილი დავალიანებები.

კასატორის აზრით, თუ სასამართლომ მხედველობაში მიიღო აღნიშნული წერილიდან გამომდინარე ვალის აღიარების ფაქტი მაშინ მას ასევე უნდა გაეთვალისწინებინა ამავე წერილში მოყვანილი ის გარემოებაც, რომ კასატორს გადახდილი ჰქონდა 151 070 ლარი, ხოლო დავალიანება შეადგენდა 120 901 ლარს და არა 439000 ლარს.

გარდა ამისა კასატორი მიიჩნევს, რომ სასარჩელო მოთხოვნა იყო ხანდაზმული, ვინაიდან აღნიშნული ხელშეკრულებიდან გამომდინარე ანგარისსწორება უნდა მომხდარიყო მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე. მიღება-ჩაბარების აქტები შედგენილ იქნა 1999 წლის 3 სექტემბერსა და 30 დეკემბერს, ხოლო სარჩელი სასამართლოში შეტანილია 2005 წლის 22 აგვისტოს, ანუ ხუთი წლის გასვლის შემდეგ, რაც, კასატორის აზრით, მეტყველებს მის ხანდაზმულობაზე.

გარდა ამისა კასატორის აზრით სააპელაციო სასამართლოს საერთოდ არ უმსჯელია მის განჩინებაში განსჯადობის საკითხზე. კასატორი მიიჩნევს, რომ სასამართლო ვალდებული იყო ემსჯელა სააპელაციო საჩივარში დასმულ განსჯადობის საკითხზე და მოეხდინა სათანადო რეაგირება.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე კასატორმა მოითხოვა გასაჩივრებული განჩინების გაუქმება და საქმის დაბრუნება ხელახლა განსახილველად.

სამოტივაციო ნაწილი:

პალატამ განიხილა საქმის მასალები, გაეცნო საკასაციო საჩივრის საფუძველებს და თვლის რომ საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 394-ე მუხლის თანახმად გადაწყვეტილება ყოველთვის ჩაითვლება კანონის დარღვევით მიღებულად თუ გადაწყვეტილების დასაბუთება იმდენად არასრულია, რომ მისი სამართლებრივი საფუძვლიანობის შემოწმება შეუძლებელია. საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ გასაჩივრებული განჩინება დასაბუთებული არ არის, რაც გამოიხატება იმაში, რომ სასამართლოს დავის საგანზე საერთოდ არ უმსჯელია, არ დაუდგენია და არც სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 390-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად მიუთითებია იმ ფაქტობრივ ან/და სამართლებრივ საკითხებზე, რომელსაც დაეთანხმა სასამართლო, იმ შემთხვევაში კი, თუ სააპელაციო სასამართლო არ მიუთითებს დადგენილ ფაქტობრივ გარემოებებზე, შეუძლებელია საკასაციო სასამართლომ შეამოწმოს გასაჩივრებული გადაწყვეტილება. საკასაციო სასამართლო სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 407-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად ხელმძღვანელობს სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილ ფაქტობრივი გარემოებებით, ხოლო ამ გარემოებათა დადგენის გარეშე შეუძლებელია სასამართლომ იმსჯელოს გადაწყვეტილების (განჩინების) კანონიერებაზე. სააპელაციო სასამართლო მთლიანად დაეთანხმა პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილებას ისე, რომ არ იმსჯელა, რამდენად წარმოადგენდა 2007 წლის 4 მაისის წერილი ვალდებულების აღიარებას და შესაძლო იყო თუ არა აღნიშნულ დოკუმენტზე დაყრდნობით ხანდაზმულობის ვადის შეწყვეტა.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 377-ე მუხლის თანახმად სააპელაციო სასამართლო ამოწმებს გადაწყვეტილებას სააპელაციო საჩივრის ფარგლებში ფაქტობრივი და სამართლებრივი თვალსაზრისით, ხოლო შემოწმების შედეგები აისახება სასამართლოს მიერ მიღებულ გადაწყვეტილებაში. აღნიშნულიდან გამომდინარე სასამართლო ვალდებული იყო ემსჯელა სააპელაციო საჩივარში მითითებულ არგუმენტებზე და გაეზიარებინა ან უარეყო პირველი ინსტანციის სასამართლოს დასკვნები.

პალატა მიიჩნევს, რომ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 394-ე მუხლის „ე“ ქვეპუნქტის შესაბამისად არსებობს გადაწყვეტილების გაუქმების აბსოლუტური საფუძველი, რის გამოც სასამართლოს გადაწყვეტილება უნდა გაუქმდეს და ხელახლა იქნეს განხილული იმავე სასამართლოს მიერ.

სარეზოლუციო ნაწილი:

პალატამ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 412-ე მუხლით და

და ა ა დ გ ი ნ ა :

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის სამინისტროს საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ.

გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2007 წლის 23 ოქტომბრის განჩინება და საქმე ხელახალი განხილვისათვის დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს.

საკასაციო პალატის განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება

გადაწყვეტილების გაუქმების აბსოლუტური საფუძვლები

განჩინება

#ას-79-360-08

16 ივლისი, 2008 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატა

შემადგენლობა: მ. სულხანიშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),

რ. ნადირიანი,

თ. თოდრია

დავის საგანი: მიშენების დემონტაჟი და მიწის ნაკვეთის გამოთავისუფლება

აღწერილობითი ნაწილი:

ნ. მ-შვილმა სარჩელი აღძრა თიანეთის რაიონულ სასამართლოში თ. ი-ულის მიმართ და მოითხოვა: დ. თიანეთში, ... ქ. #8-ში ორმოცბინიანი საცხოვრებელი სახლის მეორე სადარბაზოში პირველ სართულზე ბინა #11-ში მცხოვრები მოქალაქე თ. ი-ულის მიერ ბინის მესაკუთრეთა საერთო საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე უნებართვოდ განხორციელებული მიშენების და ავტოსადგომზე უნებართვოდ, უკანონოდ დაშენებული ღია ფარდულის დემონტაჟი, თ. ი-ულის მიერ ორმოცბინიანი საცხოვრებელი სახლის დასავლეთით, ქუჩის მხარეს, ბინის მესაკუთრეთა საერთო საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე დაწყობილი დიდი რაოდენობის სამშენებლო მასალის გატანა და უძრავი ნივთის (მიწის ნაკვეთის) გამოთხოვა ორმოცბინიან საცხოვრებელ სახლში მცხოვრები ყველა მესაკუთრის სასარგებლოდ.

თიანეთის რაიონული სასამართლოს 2005 წლის 4 ნოემბრის გადაწყვეტილებით ნ. მ-შვილის სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ - ორმოცბინიანი საცხოვრებელი სახლის ბინის მესაკუთრეთა საერთო საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთი გამოთხოვილი იქნა ყველა მესაკუთრის სასარგებლოდ და დაევალა თ. ი-ულს ამ ნაკვეთზე თავის ბინისათვის მიშენებული ოთახის დემონტაჟი.

აღნიშნული გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა თ. ი-ულმა და მოითხოვა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2007 წლის 7 ნოემბრის გადაწყვეტილებით თ. ი-ულის სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა.

პალატამ დადგენილად მიიჩნია, რომ ნ. მ-შვილი ცხოვრობდა დ. თიანეთში, ... ქ. #8-ში მდებარე ბინის მეორე სადარბაზოში, მეორე სართულზე. ხოლო მოპასუხე თ. ი-ული ცხოვრობდა მოსარჩელის მეზობლად, იმავე მისამართზე, აღნიშნული ბინის პირველ სართულზე.

პალატამ ასევე დადგენილად მიიჩნია, რომ თიანეთის ქალაქმშენებლობის არქიტექტურის და მშენებლობის სამსახურის მიერ 2002 წლის 12 დეკემბერს გაიცა მშენებლობის ნებართვა, რომლითაც თ. ი-ულს ნება მიეცა ლოჯიის მიშენების საწარმოებლად.

დადგენილი იქნა ის ფაქტიც, რომ პროექტი შეთანხმებული იქნა თიანეთის ქალაქმშენებლობის არქიტექტურისა და მშენებლობის სამსახურთან.

სააპელაციო პალატამ არ გაიზიარა პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ დადგენილი გარემოება, რომ მიწის ნაკვეთი, რომელზედაც მოპასუხემ აწარმოა ლოჯიის მშენებლობა წარმოადგენდა ორმოცბინიანი საცხოვრებელი სახლის ბინის მესაკუთრეთა საერთო საკუთრებას, ვინაიდან საქმეში წარმოდგენილი იყო ამონაწერი საჯარო რეესტრიდან, საიდანაც დგინდებოდა, რომ დ. თიანეთში, ... ქ. #8-ში მეორე სართულზე მდებარე ბინა #14 წილობრივი მონაცემებით 39\1831, წარმო-

ადგენდა ნ. მ-შვილის საკუთრებას. აღნიშნული ამონაწერით არ დგინდებოდა, რომ სადავო მიწის ნაკვეთი წარმოადგენდა მოზინდრეთა საერთო საკუთრებას.

პალატამ განმარტა, რომ სარჩელის მოთხოვნა მიშენებული ლოჯიისა და ავტოსადგომზე მოწყობილი ღია ფარდულის დემონტაჟის შესახებ იმ მოტივით, რომ ისინი აგებული იყო უნებართვოდ, ვერ გახდებოდა სარჩელის დაკმაყოფილების საფუძველი, ვინაიდან ამ საფუძველით მოთხოვნის სუბიექტი შეიძლება ყოფილიყო შესაბამისი კომპეტენტური ორგანო. გარდა ამისა, საქმეში წარმოდგენილი მასალებით დასტურდებოდა, რომ ლოჯიის მიშენებაზე შესაბამისი ორგანოს მიერ გაცემული იყო მშენებლობის ნებართვა.

სააპელაციო პალატამ გაიზიარა პირველი ინსტანციის სასამართლოს დასკვნები საცხოვრებელი სახლის დასავლეთით არსებულ მიწის ნაკვეთზე დაწყობილი დიდი რაოდენობის სამშენებლო მასალის გატანაზე სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის ნაწილში. პალატამ მიუთითა, რომ მოსარჩელის ვარაუდი, რომ აღნიშნული სამშენებლო მასალით მოპასუხეს განზრახული ჰქონდა მიშენების განხორციელება, არ წარმოადგენდა სარჩელის დაკმაყოფილების საფუძველს.

აღნიშნული გადაწყვეტილება საკასაციო წესით გაასაჩივრა ნ. მ-შვილმა.

კასატორის აზრით, სააპელაციო სასამართლოს არ უმსჯელია ექსპერტის მიერ წარმოდგენილი დასკვნის საფუძველზე, ანუ იგნორირება გაუკეთა მას. შეგნებულად გვერდი აუარა იმ ფაქტს, რომ არქმშენისპექციას უფლება არ ჰქონდა მიტაცებულ მიწის ნაკვეთზე გაეცა მშენებლობის ნებართვა.

კასატორის განმარტავს, რომ დარღვეულია „არქიტექტურულ-სამშენებლო საქმიანობაზე სახელმწიფო ზედამხედველობის შესახებ“ საქართველოს კანონი. მისი აზრით თ. ი-ულს უფლება არ ჰქონდა, მიტაცებულ მიწის ნაკვეთზე ეწარმოებინა უკანონო მშენებლობა, რომელიც წარმოადგენდა ბინის მესაკუთრეთა საერთო სარგებლობის ფართს

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, კასატორმა მოითხოვა თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2007 წლის 7 ნოემბრის გადაწყვეტილების გაუქმება და საქმეზე ახალი გადაწყვეტილების მიღება.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ განიხილა საქმის მასალები, გაეცნო საკასაციო საჩივარს და თვლის, რომ საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

სააპელაციო სასამართლოს მითითებით საჯარო რეესტრის მონაცემებით დასტურდება ის გარემოება, რომ ნ. მ-შვილის საკუთრებაშია საცხოვრებელი სახლის 39\1831, აღნიშნულით კი არ დგინდება ის ფაქტი, რომ სადავო მიწის ნაკვეთი წარმოადგენს მოზინდრეთა საერთო საკუთრებას. აღნიშნული ვერ იქნება გაზიარებული პალატის მიერ, ვინაიდან „ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის მე-4 ნაწილის თანახმად ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის წევრთა საერთო ქონებას წარმოადგენს მიწის ნაკვეთი. საჯარო რეესტრის ამონაწერით ირკვევა, რომ საცხოვრებელი სახლი, სადაც მოდავე მხარეები ცხოვრობენ, განლაგებულია 760 კვ.მ მიწის ნაკვეთზე და აღნიშნული მიწის ნაკვეთი წარმოადგენს საერთო საკუთრებას. ზემოთ მითითებული ნორმისა და საჯარო რეესტრის ამ მონაცემების საფუძველზე აღნიშნული მიწის ნაკვეთი ბინის მესაკუთრეთა საერთო საკუთრებაა და მასზე წარმოებული ლოჯის მშენებლობა განხორციელებულია მოზინდრეთა საერთო საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე.

სასამართლო ვერ გაიზიარებს სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებას იმის თაობაზეც, რომ უნებართვო ლოჯის მიშენებით არ ილახება ლოჯის ზემოთ მდებარე ბინის მესაკუთრის უფლებები. აღნიშნული მშენებლობით იზრდება იარაჯულის ინდივიდუალური საკუთრება მოზინდრეთა საერთო საკუთრებაში არსებული მიწის ხარჯზე, რაც თავისთავად შეუძლებელია მოხდეს სხვა მესაკუთრეთა თანხმობის გარეშე. ამასთან, თუ მშენებლობა წარმოებულია სამშენებლო ნორმების დარღვევით, მან შესაძლოა ხელი შეუშალოს სხვა მოზინდრეებს ინდივიდუალურ საკუთრებაში არსებული ფართის საყოფაცხოვრებო წესით გამოყენებაში (სარეცხის გაფენის შეუძლებლობა, ანტისანიტარიის წარმოშობა) და ა.შ. ამასთან, სასამართლოს უნდა დაედგინა სადავო ავტოსადგომის განლაგება საერთო საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთთან მიმართებაში.

პალატა მიიჩნევს, რომ ზემოთ მითითებული თვალსაზრისით სააპელაციო სასამართლოს მიერ გადაწყვეტილების დასაბუთება იმდენად არასრულია, რომ შეუძლებელია მისი სამართლებრივი საფუძველების შემოწმება. აღნიშნული კი გადაწყვეტილების გაუქმების და სააპელაციო სასამართლოს მიერ საქმის ხელახლა განხილვის საფუძველია სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 412-ე მუხლის თანახმად.

საქმის ხელახლა განხილვისას სასამართლომ უნდა დაადგინოს განლაგებულია თუ არა ავტოსადგომი მოზინდრეთა საერთო საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე და ილახება თუ არა ნ. მ-შვილის უფლებები უნებართვო მშენებლობის წარმოებით.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 412-ე მუხლით და

და ა ა დ გ ი ნ ა :

ნ. მ-შვილის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს;
გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2007 წლის 7 ნოემბრის გადაწყვეტილება და საქმე ხელახალი განხილვისათვის დაუბრუნდეს იმავე პალატას საკასაციო პალატის განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

გადაწყვეტილების გაუქმების აბსოლუტური საფუძვლები

განჩინება

#ას-250-509-08 26 ნოემბერი, 2008 წ., ქ. თბილისი
საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატა
შემადგენლობა: მ. სულხანიშვილი (თავმჯდომარე),
თ. თოდრია (მომხსენებელი),
რ. ნადირიანი

დავის საგანი: თანამესაკუთრედ ცნობა

აღწერილობითი ნაწილი:

2006 წლის 3 თებერვალს რ. ც-მემ სასარჩელო განცხადებით მიმართა ოზურგეთის რაიონულ სასამართლოს მოპასუხეების: გ. მ-იასა და საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ოზურგეთის სარეგისტრაციო სამსახურის მიმართ ოზურგეთის რაიონის დ. ურეკში, ... ქუჩაზე მდებარე 46 კვ.მ კაფე-ბარის თანამესაკუთრედ ცნობის თაობაზე.

მოსარჩელემ მიუთითა, რომ 2005 წლის 5 იანვრიდან რეგისტრირებულ ქორწინებაში იმყოფებოდა მოპასუხე გ. მ-იასთან. 2005 წლის ივლისში, ერთობლივი ფინანსური მონაწილეობით, დაბა ურეკში, თაყაიშვილის ქუჩაზე კუთვნილ 46 კვ.მ ნაკვეთზე ააშენეს კაფე-ბარი. მითითებული ქონების სარეგისტრაციო დოკუმენტაციაში ცვლილებების განსახორციელებლად, კაფე-ბარის თანამესაკუთრედ აღრიცხვის თაობაზე განცხადებით მიმართა საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ოზურგეთის სარეგისტრაციო სამსახურს, რომელმაც უარი უთხრა მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე იმ საფუძველით, რომ რეგისტრაციისათვის საჭირო იყო გ. მ-იას სანოტარო წესით დადასტურებული განცხადება ან სასამართლოს გადაწყვეტილება.

მოსარჩელის მითითებით, გ. მ-იას ოზურგეთის რაიონულ სასამართლოში დღეისათვის შეტანილი აქვს სარჩელი განქორწინების თაობაზე.

მოსარჩელე სასარჩელო განცხადებაში ასევე აღნიშნავდა, რომ კაფე-ბარის ასაშენებელი თანხა მეუღლესთან ერთად დაფარა 2005 წლის ზაფხულში, დაბა ურეკში არსებული, მათივე მაღაზიიდან მიღებული შემოსავლით.

მოსარჩელის განმარტებით, ზემოაღნიშნული კაფე-ბარი რომ ერთობლივი ძალეობით არის აშენებული და შექმნილი, დაადასტურებენ ის პირები, რომლებიც ეხმარებოდნენ მაღაზიისა და კაფე-ბარის მშენებლობაში.

აღნიშნულიდან გამომდინარე, მოსარჩელემ მოითხოვა ოზურგეთის რაიონის დ. ურეკში, თაყაიშვილის ქუჩაზე მდებარე კაფე-ბარზე თანამესაკუთრედ ცნობა და გადაწყვეტილების მიღებამდე აღნიშნულ ქონებაზე ყადაღის დადება.

2006 წლის 16 თებერვალს კი მოსარჩელემ დაზუსტებული სასარჩელო განცხადებით მიმართა ოზურგეთის რაიონულ სასამართლოს, რომლითაც საქმის მომზადების ეტაპზე გაზარდა სასარჩელო მოთხოვნა და აღნიშნული კაფე-ბარის თანამესაკუთრედ ცნობასთან ერთად მოითხოვა საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ოზურგეთის სამსახურის მიერ 2006 წლის 13 იანვარს გაცემული პასუხის, როგორც ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის, ბათილად ცნობა და მითითებული სამსახურის დავალდებულება იმის თაობაზე, რომ რეგისტრირებულ იქნეს რ. ც-მე სადავო კაფე-ბარის თანამესაკუთრედ.

ოზურგეთის რაიონული სასამართლოს 2006 წლის 17 თებერვლის განჩინებით რ. ც-მის განცხადება დაკმაყოფილდა -ყადაღა დაედო ოზურგეთის რაიონის დ. ურეკში, ... ქუჩაზე მდებარე, გ. მ-იას საკუთრებაში არსებულ კაფე-ბარსა და 46 კვ. მ მიწის ნაკვეთს, რომელზედაც აღნიშნული კაფე-ბარი მდებარეობს.

ოზურგეთის რაიონული სასამართლოს 2006 წლის 13 ივლისის გადაწყვეტილებით რ. ც-მის სასარჩელო განცხადება ოზურგეთის სარეგისტრაციო სამსახურის 2006 წლის 13 იანვრის ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობაზე არ დაკმაყოფილდა; გ. მ-იას დაევალა, დაასრულოს ოზურგეთის რაიონის დ. ურეკში, ... ქუჩაზე მის საკუთრებაში არსებულ 46 კვ.მ მიწის ნაკვეთზე აშენებული კაფე-ბარის რეგისტრაცია საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ოზურგეთის სარეგისტრაციო სამსახურში; რ. ც-მე ცნობილ იქნა ოზურგეთის რაიონის დ. ურეკში, ... ქუჩაზე, გ. მ-იას საკუთრებაში არსებულ 46 კვ.მ მიწის ნაკვეთზე აშენებული ნაგებობის თანამესაკუთრედ.

საქმე არაერთხელ იქნა განხილული სხვადასხვა სასამართლო ინსტანციების მიერ და ბოლოს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2008 წლის 9 იანვრის გადაწყვეტილებით გ. მ-იას სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა.

აღნიშნულ გადაწყვეტილებაზე საკასაციო საჩივარი შეიტანა რ. ც-მემ. მან მიუთითა, რომ სააპელაციო სასამართლომ ისე გამოიტანა გადაწყვეტილება მოცემულ საქმეზე, რომ არც ერთი მისი მტკიცებულება არ შეამოწმა და შეაფასა. სააპელაციო სასამართლომ ოზურგეთის რაიონული სასამართლოს მიერ გამოკვლეული ფაქტობრივი გარემოებები არასათანადოდ მიიჩნია, რაც, მისი აზრით, არასწორია. სააპელაციო სასამართლომ მართებულად ჩათვალა მოწინააღმდეგე მხარის მიერ ზეპირი განმარტებები საჯარო რეესტრის ამონაწერის ნამდვილობის შესახებ. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, კასატორმა მოითხოვა გასაჩივრებული განჩინების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილება.

სამოტივაციო ნაწილი:

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 394-ე მუხლის "ე" ქვეპუნქტის თანახმად გადაწყვეტილება ყოველთვის ჩაითვლება კანონის დარღვევით მიღებულად, თუ გადაწყვეტილების დასაბუთება იმდენად არასრულია, რომ მისი სამართლებრივი საფუძვლიანობის შემოწმება შეუძლებელია.

სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილია, რომ რ. ც-მე მოპასუხე გ. მ-იასთან რეგისტრირებულ ქორწინებაში იმყოფება 2005 წლის 5 იანვრიდან ასევე, დადგენილია, რომ ოზურგეთის რაიონის დ. ურეკში, ... ქუჩაზე, გ. მ-იას საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე, კერძოდ, 46 კვ.მ-ზე კაფე-ბარი აშენებულია მეუღლეთა რეგისტრირებული ქორწინების პერიოდში, რასაც მოწმობს შენობა-ნაგებობის ტექნიკური პასპორტი.

სააპელაციო სასამართლოს მიერ ასევე დადგენილია, რომ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ოზურგეთის სარეგისტრაციო სამსახურის 2006 წლის 9 ივნისის უძრავი ქონების სააღრიცხვო ბარათისა და საკადასტრო რუკის დამოწმებული ასლებით დგინდება, რომ ოზურგეთის რაიონში, დ. ურეკში მდებარე 0,080 ჰა მიწის ნაკვეთი, რომელზედაც განთავსებულია სადავო ნაგებობა, სასოფლო-სამეურნეო დანიშნულებისაა და მიწის ნაკვეთის მიღება-ჩაბარების აქტის #27/27 საფუძველზე 2001 წლის 18 დეკემბრიდან გ. მიქიას ოჯახის საკუთრებაა.

სააპელაციო სასამართლოს მიერ ასევე დადგენილია, რომ სადავო კაფე-ბარის ასაშენებლად არ არის გაცემული ნებართვა, ასევე, ამ შენობის დასარეგისტრირებლად გ. მიქიას არ მიუმართავს სარეგისტრაციო სამსახურისათვის.

ამდენად, სააპელაციო სასამართლოს მიიჩნევს, რომ სადავო ნაგებობა აშენებულია მხარეთა ქორწინების პერიოდში, მაგრამ არ არსებობს სარჩელის დაკმაყოფილების საფუძველი, რადგან აღნიშნული ნაგებობა არავის სახელზე არ არის რეგისტრირებული საჯარო რეესტრში.

ამასთან, სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ პირველი ინსტანციის სასამართლო გასცდა სასარჩელო მოთხოვნას და მიაკუთვნა მოსარჩელეს ის, რაც მას არ უთხოვია, კერძოდ, პირველი ინსტანციის გადაწყვეტილების თანახმად, გ. მ-იას დაევალა საჯარო რეესტრის სამსახურში კაფე-ბარზე საკუთრების უფლების რეგისტრაციის დასრულება, მაშინ, როცა ასეთი მოთხოვნა მოსარჩელეს წარდგენილი არ ჰქონია.

საკასაციო პალატა იზიარებს კასატორის მოსაზრებას იმის შესახებ, რომ სააპელაციო სასამართლოს არასწორად გამოიყენა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 248-ე მუხლი.

საკასაციო პალატა განმარტავს, რომ მოსარჩელე რ. ცეცხლაძე სასამართლოში ითხოვდა გ. მ-იას დავალებოდა საჯარო რეესტრის სამსახურში კაფე-ბარზე საკუთრების უფლების რეგისტრაციის დასრულება. სააპელაციო სასამართლო არ მსჯელობს აღნიშნულ მოთხოვნაზე, რადგან მიაჩნია, რომ აღნიშნული მოთხოვნა მოსარჩელეს არ ჰქონია, რაც არ არის სწორი.

საკასაციო პალატა თვლის, რომ სააპელაციო სასამართლომ უნდა იმსჯელოს მოსარჩელის მოთხოვნების შესახებ, ერთობლივად განიხილოს ისინი სამართლებრივი და ფაქტობრივი თვალსაზრისით და მხოლოდ ამის შემდეგ მიიღოს შესაბამისი გადაწყვეტილება.

კასატორი არ უთითებს სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გაუქმების კანონიერებაზე, ამდენად, საკასაციო პალატა ვერ იმსჯელებს აღნიშნულ საკითხზე.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 412-ე მუხლით და

და ა ა დ ი ნ ა :

რ. ც-ძის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს;

გაუქმდეს მოცემულ საქმეზე ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2008 წლის 9 იანვრის გადაწყვეტილება სარჩელის არ დაკმაყოფილების ნაწილში და ამ ნაწილში საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდეს სააპელაციო სასამართლოს შესაბამის პალატას; დანარჩენ ნაწილში გადაწყვეტილება დარჩეს უცვლელად;

საკასაციო პალატის განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

გადაწყვეტილების გაუქმების აბსოლუტური საფუძვლები

განჩინება

#ას-564-794-08

2 დეკემბერი, 2008 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატა

შემადგენლობა: მ. გოგიშვილი (თავმჯდომარე),

ნ. კვანტალიანი (მომხსენებელი),

ლ. ლაზარაშვილი

დავის საგანი: საავტორო უფლებების დაცვა

აღწერილობითი ნაწილი:

საქართველოს ავტორთა საზოგადოებამ სარჩელი აღძრა სასამართლოში შპს "თV XXI-ის" მიმართ საავტორო უფლებების დაცვის, ჰონორარის შეგროვებისა და განაწილებისათვის საჭირო დოკუმენტაციის წარმოდგენის კანონისმიერი ვალდებულების შესრულების, სალიცენზიო შეთანხმების გაფორმების, სალიცენზიო შეთანხმებების გარეშე მუსიკალური ნაწარმოების კაბელით გადაცემის (კაბელით ხელახალი გადაცემის) აკრძალვისა და ნებართვის გარეშე მუსიკალური ნაწარმოებების კაბელით გადაცემისათვის ავტორთა საზოგადოების სასარგებლოდ ფულადი კომპენსაციის -73422 ლარის, ასევე, სასამართლო ხარჯის -424 ლარის გადახდის შესახებ შემდეგი საფუძვლებით: მოსარჩელე გასცემს ლიცენზიებს მუსიკალური (ტექსტით ან უტექსტოდ) ნაწარმოებების საჯარო შესრულებასა და რეპროდუქცირებაზე, საჯარო გადაცემაზე, კაბელით გადაცემაზე (კაბელით ხელახალ გადაცემაზე), აგროვებს და ანაწილებს საავტორო ჰონორარებს შესაბამისი უფლების მფლობელებზე. "საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ კანონის" მე-18 მუხლის მეშვიდე პუნქტის, 65-ე მუხლის მესამე პუნქტისა და 64-ე მუხლის მეოთხე პუნქტის საფუძველზე საკაბელო მაუწყებლობის ორგანიზაცია შპს "თV XXI-ს" ევალუბოდა, მმართველი ორგანიზაციისათვის -მოსარჩელისათვის მოთხოვნისთანავე წარედგინა ყველა დოკუმენტი, რომელიც შეიცავდა საავტორო ან მომიჯნავე უფლების ობიექტის გამოყენების შესახებ ზუსტ ცნობებს, რაც აუცილებელია ჰონორარის შეგროვებისა და განაწილებისათვის. მოსარჩელემ ამ მიზნით ორჯერ მიმართა მოპასუხეს, რასაც ადასტურებს 2007 წლის 19 თებერვლის #01/306 წერილი, მაგრამ დღემდე პასუხი არ მიუღია. დოკუმენტაციის წარმოდგენლობა და საავტორო ჰონორარების გადაუხდელობა იწვევს საავტორო უფლების დარღვევას და ზიანი ადგებათ როგორც ადგილობრივ, ისე მუსიკალური ნაწარმოებების (ტექსტით თუ უტექსტოდ) უცხოელ ავტორებს, მემკვიდრეებს, მუსიკალურ გამომცემლობებს. ამდენად, მოპასუხეს უნდა დაევალოს შემდეგი დოკუმენტების წარმოდგენა: კაბელით ხელახლა გადაცემული ტელეარხების ჩამონათვალი და ამ ტელეარხების რეტრანსლაციის ნებართვების დამადასტურებელი დოკუმენტაცია; მუსიკალური ნაწარმოებების ტრანსლირების თაობაზე უშუალოდ ავტორებთან და სხვა საავტორო უფლებების მფლობელებთან წერილობითი ფორმით დადებული სალიცენზიო ხელშეკრულებები, აგრეთვე, პროდიუსერებისაგან მიღებული წერილობითი ნებართვები ფილმების ჩვენებაზე; საავტორო ჰონორარების უშუალოდ უფლების მფლობელებისათვის გადახდის დამამტკიცებელი დოკუმენტაცია; ცნობა კომპანიის აბონენტების რაოდენობისა და მათ მიერ გადახდილი სააბონენტო გადასახადებით მიღებული შემოსავლების შესახებ თვეების მიხედვით 2005 წლის 1 ივლისიდან დღემდე.

მოპასუხემ სარჩელი არ ცნო შემდეგი დასაბუთებით: მოსარჩელის მოთხოვნა ემყარება "საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ კანონს", რომლის მე-3 მუხლის შესაბამისად, ამ კანონის მოქმედება შეიძლება გავრცელდეს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით მაუწყებლობის ლიცენზიის მქონე მაუწყებლობის ორგანიზაციებზე. მოპასუხე არ არის ზემოაღნიშნული ლიცენზიის მქონე ორგანიზაცია, არამედ გააჩნია საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის მიერ გაცემული ავტორიზაციის მოწმობა და არის ავტორიზებული პირი, რომელიც უფლებამოსილია, აწარმოოს საკაბელო სატრანზიტო ტელემაუწყებლობა. თავისი საქმიანობის ფარგლებში მოპასუხე ხელშეკრულებას აფორმებს მაუწყებლობის ორგანიზაციებთან და ურიცხავს შესაბამის თანხას მათი პროგრამის პაკეტის ტრანზიტისათვის, რა დროსაც ქსელით უზრუნველყოფისა და მომსახურებისას არ იყენებს საავტორო უფლების ობიექტს და სარგებლობს მომიჯნავე ობიექტით და მას ტრანზიტის მეშვეობით აწვდის აბონენტს. საქართველოს იუსტიციის სამინისტროდან გამოთხოვილი დოკუმენტებით ირკვევა, რომ მოსარჩელე რეესტრში შეტანილია როგორც ორგანიზაცია, რომლის საქმიანობის მიზანია "საავტორო უფლებათა რეალიზაცია (განხორციელება)", დაცვა, ავტორების ან მათი მემკვიდრეებისა და საავტორო უფლებების სხვა მფლობელების ქონებრივი უფლებების კოლექტიურ საფუძველზე მართვა კანონით დადგენილი წესით. ამდენად, მისი საქმიანობა არ მოიცავს მომიჯნავე უფლებების დაცვას".

ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2007 წლის 31 აგვისტოს გადაწყვეტილებით სარჩელი არ დაკმაყოფილდა, რაც მოსარჩელემ გაასაჩივრა სააპელაციო წესით.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 29 აპრილის განჩინებით საქართველოს ავტორთა საზოგადოების სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა და გასაჩივრებული გადაწყვეტილება დარჩა უცვლელი შემდეგ გარემოებათა გამო: სააპელაციო სასამართლომ დაადგინა, რომ 2007 წლის 19 თებერვალს მოსარჩელემ შპს "თV XXI-ს" გაუგზავნა წერილი, რომლითაც მისგან მოითხოვა საავტორო უფლებების დაცვის, ჰონორარების შეგროვებისა და განაწილებისათვის საჭირო დოკუმენტების წარმოადგენა და მასთან სალიცენზიო შეთანხმების გაფორმება. ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2002 წლის 4 თებერვლის დადგენილებით სამეწარმეო რეესტრში დარეგისტრირდა შპს "თV XXI", რომელიც წარმოადგენს საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის ავტორიზაციის მოწმობით ავტორიზებულ პირს. სასამართლომ "ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ კანონის" მე-2 მუხლის „ვ“ პუნქტის დაყრდნობით მიუთითა, რომ 2006 წლის 22 თებერვლის დოკუმენტში ავტორთა საზოგადოების მიერ გაფორმებული ხელშეკრულების შესახებ აღნიშნულია, რომ მოსარჩელე შეტანილია რეესტრში, როგორც ორგანიზაცია, რომლის საქმიანობის მიზანია საავტორო უფლებათა რეალიზაცია (განხორციელება) და დაცვა, ავტორების ან მათი მემკვიდრეებისა და საავტორო უფლებების სხვა მფლობელების ქონებრივი უფლებების კოლექტიურ საფუძველზე მართვა კანონით დადგენილი წესით. სააპელაციო პალატამ ასევე დაადგინა, რომ შპს "თV XXI-ს" გაფორმებული აქვს ხელშეკრულებები სხვადასხვა მაუწყებლობის ორგანიზაციებთან. ამ ხელშეკრულებებში შპს "თV XXI" მოხსენიებულია, როგორც ოპერატორი, რეგისტრაციის მოწმობითა და საქართველოს იუსტიციის სამინისტროს 2006 წლის 22 თებერვლის წერილიდან ირკვევა, რომ საქართველოს ავტორთა საზოგადოების -ქონებრივი უფლებების კოლექტიურ საფუძველზე მმართველი ორგანიზაციის საქმიანობის მიზანია საავტორო უფლებათა რეალიზაცია (განხორციელება) და დაცვა, ავტორების ან მათი მემკვიდრეებისა და საავტორო უფლებების სხვა მფლობელების კოლექტიურ საფუძველზე მართვა კანონით დადგენილი წესით. "საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ" კანონის 46-ე მუხლის პირველი და მეორე პუნქტების, 45-ე მუხლის, 50-ე მუხლის პირველი პუნქტის, ამავე მუხლის მე-2 პუნქტის „გ“ და „დ“ ქვეპუნქტების მიხედვით სასამართლომ დაასკვნა, რომ მოპასუხე შპს "თV XXI" ახდენს გადაცემებს კაბელით, მას ნებართვები აღებული აქვს მაუწყებლობის ორგანიზაციებისაგან. შპს "თV XXI-ის" საქმიანობა არის სატრანზიტო ტელემაუწყებლობა, რაც მოიცავს ქსელით უზრუნველყოფასა და მომსახურების მიწოდებას. სასამართლომ მიიჩნია, რომ აღნიშნული საქმიანობის დანიშნულებიდან გამომდინარე, ხორციელდება მხოლოდ იმ გადაცემების ტრანზიტი, რომლებიც ამ გადაცემათა შემქმნელი ორგანიზაციის მიერ უკვე დაცული და ანაზღაურებული უნდა იყოს საავტორო უფლების მქონე პირებთან. პალატის მითითებით, შპს "თV XXI" აბონენტებს ტრანზიტით აწვდის არა საავტორო უფლების ობიექტს, არამედ "საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ" კანონის 50-ე მუხლის მეორე პუნქტის „გ“ და „დ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებულ მომიჯნავე უფლების ობიექტს -მაუწყებლობის ორგანიზაციის გადაცემას, მოსარჩელე კი რეგისტრაციის მოწმობით ახორციელებს მხოლოდ საავტორო უფლებათა დაცვა-რეალიზაციას და არა მომიჯნავე უფლებათა დაცვა-რეალიზაციას. სასამართლოს მოსაზრებით, აღნიშნული უფლების მიზანს წარმოადგენს ეთერში და კაბელით ადრე გადაცემული გადაცემის განმეორებით ჩვენებაზე კონტროლის დაწესების შესაძლებლობა, რადგან გადაცემა მისი ჩანაწერის გამოყენებით შეიძლება გავრცელდეს სხვა სამაუწყებლო ორგანიზაციების მიერ ეთერისა და კაბელის მეშვეობით. სასამართლომ ჩათვალა, რომ მინიჭებული უფ-

ლებების განხორციელება არ უნდა ლახავდეს საავტორო უფლებებს, რადგან მომიჯნავე უფლება ნაწარმოებია საავტორო უფლებისაგან, ამდენად, "საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ" კანონის 46-ე მუხლის მეორე პუნქტის თანახმად, მაუწყებლობის ორგანიზაცია თავის უფლებებს ახორციელებს ეთერში ან კაბელით გადაცემული ნაწარმოების ავტორსა და შემსრულებელთან დადებული ხელშეკრულებით მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში. სააპელაციო პალატამ მიიჩნია, რომ დავის საგანს არ წარმოადგენს ის გარემოება, სამაუწყებლო კომპანიებს (რომლებმაც ნება დართეს შპს "თV XXI-ის" გადაცემებზე), თავის მხრივ, აქვთ თუ არა დადებული ხელშეკრულებები კაბელით გადაცემული ნაწარმოებების ავტორებთან კაბელით მათი ნაწარმოებების გადაცემის უფლების შესახებ. საქმის მასალებზე დაყრდნობით სასამართლომ მიიჩნია, რომ მოპასუხე შპს "თV XXI-ს" შესაბამისი ხელშეკრულებები დადებული აქვს და გააჩნია ნებართვა კაბელის მეშვეობით სხვადასხვა სამაუწყებლო ორგანიზაციებისაგან ამა თუ იმ გადაცემაზე. სასამართლომ ჩათვალა, რომ ზემოხსენებული კანონის ნორმებიდან გამომდინარე, საკაბელო ტელევიზიის შპს "თV XXI-ის" მიერ განხორციელებული სატელევიზიო ჩვენებები წარმოადგენს შესაბამისი სამაუწყებლო ორგანიზაციების გადაცემებს. სააპელაციო პალატის მოსაზრებით, ავტორს აქვს უფლება, სალიცენზიო ხელშეკრულებით ამ ხელშეკრულების მეორე მხარეს გადასცეს საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ კანონის მე-18 მუხლით გათვალისწინებული უფლებები, მათ შორის ამ მუხლის მეორე პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული ნაწარმოების საჯარო გადაცემა, პირველი, ანდა ხელახალი გადაცემის ჩათვლით, აგრეთვე, ნაწარმოების გადაცემა სადენით, ანდა უშუალოდ კავშირგაბმულობის მეშვეობით ისე, რომ ის ხელმისაწვდომი იყოს ნებისმიერი პირისათვის მის მიერ არჩეულ დროსა და ადგილიდან (საჯარო გადაცემის უფლება). სასამართლომ დაადგინა, რომ საქმის მასალების მიხედვით, შპს "თV XXI-ს" სხვადასხვა სამაუწყებლო ორგანიზაციებისაგან აქვს ნებართვა აღებული მათი გადაცემების რეტრანსლაციის თაობაზე. სააპელაციო პალატამ მიიჩნია, რომ მოპასუხეს "საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ" კანონის 64-ე მუხლის მეხუთე პუნქტი არ დაურღვევია, ვინაიდან პირველი ინსტანციის სასამართლოში მან წარადგინა სათანადოდ გაფორმებული ხელშეკრულებები, თუმცა ჩათვალა, რომ, როგორც ზემოთ აღინიშნა, მოსარჩელეს მომიჯნავე უფლებები არა აქვს გადაცემული კოლექტიური მართვის საფუძველზე, მომიჯნავე უფლებების სუბიექტებს –სამაუწყებლო ორგანიზაციებს თავიანთი გადაცემების კაბელით რეტრანსლაციის უფლება მინიჭებული აქვთ მოპასუხისათვის. სააპელაციო პალატის მითითებით, მომიჯნავე უფლების სუბიექტს –მაუწყებლობის ორგანიზაციას უფლება აქვს, ნება დართოს სხვა პირს, მოახდინოს გადაცემის კაბელით მოსახლეობამდე რეტრანსლაცია, ოღონდ, რამდენადაც მომიჯნავე უფლება ნაწარმოებია საავტორო უფლებებისაგან, "საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ" კანონის 50-ე მუხლის მეორე პუნქტის „გ" და „დ" ქვეპუნქტებით მინიჭებული კაბელით გადაცემის უფლება სამაუწყებლო ორგანიზაციას შეუძლია გადასცეს სხვა პირებს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ აღნიშნული მას მიღებული აქვს ავტორისაგან. სასამართლომ აღნიშნა, რომ მოპასუხის მიერ მოსარჩელის მიმართ რაიმე ვალდებულების დარღვევა საქმის მასალებით არ დასტურდება, შპს "თV XXI-ის" მიღებული აქვს ნებართვები სხვადასხვა სამაუწყებლო ორგანიზაციებისაგან, მოახდინოს მათი გადაცემების ჩვენება, იგი წარმოადგენს საკაბელო ტელევიზიას, რომელიც ახორციელებს მხოლოდ რეტრანსლაციას და საავტორო უფლების დარღვევის სუბიექტი ვერ იქნება. სააპელაციო სასამართლომ იხელმძღვანელა სამოქალაქო კოდექსის 411-ე-412-ე მუხლებით, 394-ე მუხლის პირველი ნაწილის პირველი წინადადებით, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე მუხლის პირველი ნაწილით და ჩათვალა, რომ სასარჩელო მოთხოვნა ზიანის ანაზღაურების სახით მოპასუხისათვის თანხის დაკისრების ნაწილში უსაფუძვლოა.

სააპელაციო სასამართლოს განჩინება საქართველოს ავტორთა საზოგადოებამ გაასაჩივრა საკასაციო წესით და მოითხოვა მისი გაუქმება შემდეგი საფუძველებით: კასატორი უფლებამოსილია, განახორციელოს "საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ" კანონის 65-ე მუხლის პირველი ნაწილის "ა", "ბ", "ვ" და "დ" ქვეპუნქტებით გათვალისწინებული უფლებები. მხარეთა შორის არსებობდა მცდელობა, შეეთანხმებინათ ზემოხსენებული ნორმით დადგენილი პირობები, რასაც ადასტურებს კასატორის 2007 წლის 19 თებერვლის მიმართვა და შპს "თV XXI-ის" პასუხი, რომლითაც დირექტორი გ. შ-უა შპს "თV XXI-ის" სახელით თანხმობას აცხადებს, გადაიხადოს საავტორო ჰონორარი საერთო შემოსავლიდან 1%-ის ოდენობით. აღნიშნულით მოპასუხემ აღიარა, რომ იგი ზემოთ მითითებული კანონით განსაზღვრულ მოსარგებლეს წარმოადგენს. სააპელაციო სასამართლომ არ გამოიყენა "საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ" კანონის 65-ე მუხლის პირველი ნაწილის "ვ" ქვეპუნქტი, 64-ე მუხლის მესამე ნაწილი და მე-18 მუხლის მეშვიდე ნაწილი და არ გაითვალისწინა, რომ დასახელებულ ნორმათა შესაბამისად, ნაწარმოების გამოყენება (კაბელით გადაცემა, კაბელით ხელახლა გადაცემა) ქონებრივი უფლებების კოლექტიურ საფუძველზე მმართველი ორგანიზაციის –საქართველოს ავტორთა საზოგადოების ლიცენზიის გარეშე დაუშვებელია და წარმოადგენს ზემოხსენებული კანონის უხეშ დარღვევას. ავტორებს არა აქვთ შესაძლებლობა, თავად

განსაზღვრონ ჰონორარის ოდენობა, დაადგინონ ლიცენზიის პირობები და მიიღონ ჰონორარი, ხოლო კასატორი ვერ ახორციელებს თავის უფლებამოსილებას. „საქპატენტის“ დასკვნაში აღნიშნულია, რომ საქართველოს ავტორთა საზოგადოება უფლებამოსილია, საქართველოს ტერიტორიაზე ნება დართოს ან აკრძალოს მუსიკალური ნაწარმოებების აუდიოვიზუალური და მუსიკალური ნაწარმოებების საჯარო შესრულება, მექანიკური უფლებების გამოყენება აუდიოვიზუალურ და მუსიკალურ ნაწარმოებებზე, მათ შორის, ასეთი ნაწარმოებების კაბელით ან სატელევიზიო მაუწყებლობის გზით ჩვენება. სასამართლომ არასწორად განმარტა „საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ“ კანონის 65-ე მუხლის მესამე ნაწილი, რადგან ამ ნორმით გათვალისწინებულ შემთხვევაში მტკიცების ტვირთი ეკისრება მოსარგებლეს და არა მოსარჩელეს, როგორც ეს სააპელაციო პალატამ მიუთითა. მოპასუხემ სასამართლოს წარუდგინა ინფორმაცია სააბონენტო შემოსავლის შესახებ. კასატორთან სალიცენზიო ხელშეკრულების გაფორმების შემთხვევაში შპს „თV XXI“ გადაიხდიდა აღნიშნულ ინფორმაციაში მითითებული თანხის 5%-ს და კასატორი მიიღებდა 4894,80 ლარის ოდენობის მოგებას, მაგრამ მოპასუხემ თავისი კანონისმიერი ვალდებულება არ შეასრულა, რითაც კასატორს მიაყენა მატერიალური ზიანი. სასამართლომ არ გამოიყენა „საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ“ კანონის 59-ე მუხლის პირველი ნაწილის „ე“ ქვეპუნქტი და შპს „თV XXI-ისათვის“ უნდა დაეკისრებინა საქართველოს საავტორო საზოგადოების მიერ მოთხოვნილი საავტორო ჰონორარის თხუთმეტმაგი ოდენობის -73422 ლარის გადახდა.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საკასაციო საჩივრის საფუძვლების შესწავლისა და გასაჩივრებული განჩინების იურიდიული დასაბუთების შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ საქართველოს ავტორთა საზოგადოების საკასაციო საჩივარი ნაწილობრივ უნდა დაკმაყოფილდეს, სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული განჩინება გაუქმდეს და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს შემდეგ გარემოებათა გამო:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 412-ე მუხლის პირველი ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტის თანახმად, საკასაციო სასამართლო აუქმებს გადაწყვეტილებას და საქმეს ხელახლა განსახილველად დააბრუნებს სააპელაციო სასამართლოში, თუ გადაწყვეტილების დასაბუთება იმდენად არასრულია, რომ მისი სამართლებრივი საფუძვლიანობის შემოწმება შეუძლებელია. კანონის ეს დანაწესი საქმის ხელახლა განსახილველად დაბრუნების საფუძვლად მიუთითებს ისეთ გარემოებას, როდესაც ქვემდგომი ინსტანციის სასამართლოს გასაჩივრებული გადაწყვეტილების სამართლებრივი დასაბუთება არ ეფუძნება სწორ ფაქტობრივ დასაბუთებას.

მოცემული გადაწყვეტილების დაუსაბუთებლობა მდგომარეობს ფაქტობრივი გარემოებების არასრულად გამოკვლევაში, კერძოდ:

სააპელაციო პალატამ დადგენილად ცნო, რომ მოპასუხე შპს „თV XXI“ ახორციელებს რა გადაცემებს კაბელით, ნებართვები აღებული აქვს მაუწყებლობის ორგანიზაციებისაგან და, შესაბამისად, მისი საქმიანობა არის სატრანზიტო ტელემაუწყებლობა. აღნიშნული დასაბუთებით სასამართლომ შპს „თV XXI“, როგორც რეტრანსლაციის განმხორციელებელი საკაბელო ტელევიზია, საავტორო უფლების დარღვევის სუბიექტად არ მიიჩნია.

ნაწარმოების ნებისმიერი ფორმით გამოყენება ან ამ უფლების სხვა პირისათვის გადაცემა ავტორის განსაკუთრებული, ექსკლუზიური უფლებაა და საავტორო სამართალში იგი პრეზუმირებულ ფაქტს წარმოადგენს. ავტორს, ან საავტორო უფლების მფლობელს შეუძლია მთელი სისრულით გამოიყენოს საავტორო უფლება ან გარკვეული შეზღუდვებით გადასცეს სხვა პირს („საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ“ საქართველოს კანონის 37-ე მუხლი). აღნიშნული უზრუნველყოფს ავტორის ქონებრივი და არაქონებრივი უფლებების დაცვას, თუმცა ტექნიკური პროგრესი და, შესაბამისად, ნაწარმოების გამოყენებისა და გავრცელების სწრაფი განვითარება შეუძლებელს ხდის ამ უფლებათა სათანადო დაცვას მხოლოდ ავტორის ან უფლების მფლობელის მიერ. სწორედ ეს გარემოება განაპირობებს საავტორო უფლების დამცველი ქონებრივი უფლებების კოლექტიურ საფუძველზე მმართველი ორგანიზაციების შექმნას, რომლებიც აწესრიგებენ ურთიერთობას ავტორსა და მომხმარებელს შორის. მეცნიერების, ლიტერატურისა და ხელოვნების ნაწარმოებთა ავტორების, შემსრულებლების, ფონოგრამის, ვიდეოგრამისა და მონაცემთა ბაზის დამამზადებლების, აგრეთვე, საავტორო და მომიჯნავე უფლებების სხვა მფლობელების ქონებრივი უფლებების მართვას საქართველოში ახორციელებენ ქონებრივი უფლებების კოლექტიურ საფუძველზე მმართველი ორგანიზაციები, რომლებმაც ურთიერთწარმომადგენლობის თაობაზე დადეს ხელშეკრულებები უმრავლესი ქვეყნების ანალოგიურ ორგანიზაციებთან. („საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ“ საქართველოს კანონის 63-ე მუხლის პირველი ნაწილი).

დასახელებული ნორმა ამავე კანონის სხვა ნორმებთან ერთად ღიად ადგენს ამ ორგანიზაციების ფართო უფლებებს საავტორო უფლებათა დაცვის სფეროში -დადონ ხელშეკრულებები, მიიღონ სა-

თანადო ანაზღაურება, იმოქმედონ ისევე, როგორც ავტორებმა, მათ შორის, დაიცვან მათი დარღვეული უფლებები სასამართლოში სარჩელის შეტანის გზით. ამ უფლებას ადასტურებს "საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ" საქართველოს კანონის 65-ე მუხლით განსაზღვრული ქონებრივი უფლებების კოლექტიურ საფუძველზე მმართველი ორგანიზაციის უფლებები. ამასთან, აღსანიშნავია ამავე მუხლის მესამე ნაწილით დადგენილი პრეზუმფცია –საწინააღმდეგოს დამტკიცებამდე ივარაუდება, რომ ყველა ნაწარმოები ან მომიჯნავე უფლების ობიექტი, რომელიც საჯაროდ სრულდება, გადაიცემა ეთერით, კაბელით, ან საზოგადოებისათვის სხვაგვარად ხელმისაწვდომი ხდება, აგრეთვე, ჩართულია გადაცემაში, ფონოგრამასა და ვიდეოგრამაში, შედის შესაბამისი კოლექტიური მართვის ორგანიზაციის რეპერტუარში. ამ შემთხვევაში მტკიცების ტვირთი ეკისრება მოსარგებლეს.

რაც შეეხება იმ საკითხს, წარმოადგენს თუ არა ნაწარმოების კაბელით გადაცემა საავტორო სამართლით დაცულ სფეროს, ტექნიკურად იკვეთება მაუწყებლობის ორგანიზაციათა გადაცემების კაბელით გადაცემის ორი სახე: 1. საეთერო პროგრამის კაბელის ოპერატორთა მიერ შეცვლილი სახით გადაცემა და 2. საეთერო პროგრამების ერთდროული, უცვლელი ფორმით გადაცემა. მოცემულ შემთხვევაში მხარეთა მტკიცებით ადგილი აქვს პროგრამების ერთდროული, უცვლელი ფორმით გადაცემას, რომელზედაც საავტორო უფლებები ვრცელდება საერთაშორისო და ეროვნული სამართლებრივი აქტებით, კერძოდ, ლიტერატურული და მხატვრული ნაწარმოებების დაცვის ბერნის კონვენციის მე-11^{ბის} ი მუხლით ლიტერატურული და მხატვრული ნაწარმოებების ავტორებს განსაკუთრებული უფლება აქვთ გასცენ ნებართვა, რომ სადენებით და უსადენოდ კავშირგაბმულობის საშუალებებით, ეთერში განმეორებით გადაიცეს ყოველგვარი საჯარო გადაცემა, თუ ამას აკეთებს სხვა, და არა თავდაპირველი ორგანიზაცია. შესაბამისად, კონვენცია იცავს რა ავტორის უფლებას ნაწარმოებთან დაკავშირებით, ამ ნორმის გამოყენებისათვის მნიშვნელოვანია ნაწარმოების საჯარო გადაცემა და არა ნაწარმოების გავრცელების საშუალებები და ხერხები.

ბერნის კონვენციის ზემოაღნიშნულ დანაწესთან სრულ თანხმობაშია "საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ" საქართველოს კანონი. აღნიშნული კანონის მე-18 მუხლის მეორე ნაწილის "ვ" ქვეპუნქტით ავტორს ან საავტორო უფლების სხვა მფლობელს აქვს ნაწარმოების გამოყენების განსაკუთრებული უფლება, რაც ნიშნავს უფლებას, განახორციელოს, ნება დართოს ან აკრძალოს: ნაწარმოების საჯარო გადაცემა, პირველი ან/და ხელახალი გადაცემის ჩათვლით, აგრეთვე, ნაწარმოების გადაცემა სადენით ანდა უმათიულო კავშირგაბმულობის მეშვეობით ისე, რომ ის ხელმისაწვდომი იყოს ნებისმიერი პირისათვის მის მიერ არჩეულ დროს და ადგილიდან (საჯარო გადაცემის უფლება);

საკასაციო სასამართლო მხარეთა ყურადღებას მიაქცევს "საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ" საქართველოს კანონის მე-4 მუხლის "ი¹" და "ქ" პუნქტებზე, რომლებითაც განმარტებულია რა კანონის ტერმინები, კაბელით ხელახალი გადაცემა არის სადენით ან საჰაერო გზით, სატელიტური კავშირის ჩათვლით, საზოგადოებისთვის განკუთვნილი ტელე და რადიოპროგრამების საწყისი გადაცემის ერთდროულად, შეუწყვეტლად და შეუკვეცავად ხელახალი გადაცემა კაბელით ან მიკროტალღური სისტემის მეშვეობით. საჯარო გადაცემა არის ნაწარმოების, შესრულების, ფონოგრამის, ვიდეოგრამის, მონაცემთა ბაზის, მაუწყებლობის ორგანიზაციის გადაცემის გამოსახულების ან/და ხმის გადაცემა ეთერში, კაბელით ან სხვა საშუალებით (გარდა ნაწარმოების ან ფონოგრამის ასლების გავრცელებისა) ისე, რომ გადაცემის გამოსახულება ან/და ხმა შესაძლებელია აღიქვან პირებმა, რომლებიც არ მიეკუთვნებიან ოჯახის ან ოჯახის ახლობელთა წრეს, იმ ადგილზე (ადგილებზე), რომელიც იმდენადაა დაშორებული გადაცემის ადგილიდან, რომ ასეთი გადაცემის გარეშე გამოსახულება ან/და ხმა არ შეიძლება აღქმულ იქნეს მიღების ადგილზე (ადგილებზე), მათ შორის, გადაიცეს ისე, რომ საავტორო ან მომიჯნავე უფლების ობიექტები, მონაცემთა ბაზები ხელმისაწვდომი იყოს ნებისმიერი პირისათვის მის მიერ არჩეულ დროს და ადგილიდან.

ამავე კანონის მე-18 მუხლის მეშვიდე პუნქტით, საავტორო ჰონორარის ოდენობა, მისი გამოანგარიშებისა და გადახდის წესი ნაწარმოების ნებისმიერი ფორმით გამოყენებისათვის დგინდება, ერთი მხრივ, ავტორს, საავტორო უფლების სხვა მფლობელს ან ქონებრივი უფლებების კოლექტიურ საფუძველზე მმართველ ორგანიზაციასა და, მეორე მხრივ, მოსარგებლეს შორის დადებული ხელშეკრულებით. ნაწარმოების კაბელით ხელახალი გადაცემის შემთხვევაში საავტორო ჰონორარის ოდენობა, მისი გამოანგარიშებისა და გადახდის წესი დგინდება მხოლოდ ამ ორგანიზაციასა და მოსარგებლეს შორის დადებული ხელშეკრულებით.

აღნიშნული დანაწესები მიუთითებენ იმ გარემოებაზე, რომ საავტორო უფლებები ვრცელდება ნაწარმოების ნებისმიერი სახით, მათ შორის, კაბელით გავრცელების შემთხვევაზეც, თუკი ამგვარი გავრცელება დაკავშირებულია სამეწარმეო საქმიანობასთან და, შესაბამისად, მოგებასთან.

საკასაციო სასამართლო თვლის, რომ სააპელაციო პალატას საკმარისად არ გამოუკვლევია შპს "თV XXI-ის" საქმიანობა, ვინაიდან ამ მიმართებით სასამართლო ეყრდნობა მხოლოდ საქმეში წარ-

მოდგენილ რამდენიმე ხელშეკრულებას, რომლითაც ცალსახად არ დგინდება მეწარმე სუბიექტის საქმიანობის შინაარსი. ხელშეკრულებაში მხარეთა მიერ მითითებული პირის სტატუსი (ოპერატორის) არ გამორიცხავს რეალურად ამავე პირის მიერ თავისი საქმიანობის განხორციელებას უფრო ფართო ფარგლებში. შესაბამისად, სასამართლომ საქმის ფაქტობრივი გარემოებების კანონის ზემოაღნიშნული დანაწესებთან შეჯერებით უნდა დაადგინოს, არის თუ არა ვალდებული შპს "თV XXI-ი", შეასრულოს სარჩელით მოთხოვნილი მოქმედება.

მოპასუხის შესაგებლის ფარგლებში სასამართლომ უნდა დაადგინოს მოპასუხესა და სამაუწყებლო ორგანიზაციებს შორის დადებული ხელშეკრულების საფუძველზე მოპასუხის უფლებამოსილების საზღვრები, კერძოდ, მაუწყებლობის ორგანიზაციებმა, როგორც მის მიერ შექმნილ გადაცემებზე საავტორო უფლებამოსილების მქონე პირებმა მოპასუხეს ხელშეკრულებით გადასცეს თუ არა ეს უფლებამოსილება.

ლიტერატურული და მხატვრული ნაწარმოებების დაცვის ბერნის კონვენციის მე-11^{ბის} იი მუხლიდან გამომდინარე, სასამართლომ ასევე უნდა გამოარკვიოს, საავტორო უფლების მქონე პირს (ავტორს ან უფლებამოსილ პირს) სადავო ნაწარმოებებთან დაკავშირებით მოპასუხის კონტრაქტსა სამაუწყებლო ორგანიზაციებისათვის გადაცემული აქვს თუ არა ნაწარმოების გამოყენების უფლებამოსილება და ამ უფლებამოსილების ფარგლები, ანუ რა უფლებამოსილება გადასცა ავტორმა მაუწყებლობას და რა უფლებამოსილება მიიღო მოპასუხემ მაუწყებლობისაგან.

სასამართლომ მხოლოდ ზემოხსენებულ გარემოებათა უტყუარად გამორკვევის შემდეგ უნდა მისცეს სამართლებრივი შეფასება სადავო გარემოებებს.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 412-ე მუხლით და

და ა ა დ გ ი ნ ა:

საქართველოს ავტორთა საზოგადოების საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს.

გაუქმდეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 29 აპრილის განჩინება და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს.

საკასაციო პალატის განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

გადაწყვეტილების გაუქმების აბსოლუტური საფუძვლები

განჩინება

#ას-807-1022-08

19 მარტი, 2009 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკორტების საქმეთა პალატა

შემადგენლობა: მ. სულხანიშვილი (თავმჯდომარე),

თ. თოდრია (მომხსენებელი),

რ. ნადირიანი

დავის საგანი: ჩუქების ხელშეკრულების ბათილად ცნობა, ხარჯების ანაზღაურება და თანხის დაბრუნება

აღწერილობითი ნაწილი:

2007 წლის 16 აპრილს, რ. გ-მემ ბათუმის საქალაქო სასამართლოს სარჩელით მიმართა ი. და ი. ბ-შვილების მიმართ და მოითხოვა 20000 მანეთის ეკვივალენტი ლარის, საცხოვრებელი სახლის სარემონტო სამუშაოების ღირებულების -35792 ლარის მოპასუხეთათვის დაკისრება, ასევე მოპასუხეთა შორის 2005 წლის 29 დეკემბერს დადებული ჩუქების ხელშეკრულების ბათილად ცნობა.

მოსარჩელემ მიუთითა, რომ 1989 წელს ი. ბ-შვილსა და რ. გ-მეს შორის ზეპირი ფორმით დაიდო შეთანხმება, ქ. ბათუმში, ... ქ. #49-ში მდებარე საცხოვრებელი სახლის ნასყიდობის თაობაზე. შეთანხმების საფუძველზე ი. ბ-შვილმა რ. გ-მეს მიჰყიდა საცხოვრებელი ბინა, სანაცვლოდ რ. გ-მემ გადასცა 20000 მანეთი. დარჩენილი თანხა კი უნდა გადაეხადა შემდგომში.

მოსარჩელემ მიუთითა, რომ ფულის გადახდის შემდეგ მისთვის ცნობილი გახდა, რომ, შექმნილი უძრავი ქონება იყო არა ბ-შვილის საკუთრება, არამედ მისი დედის თ. ბ-შვილის საკუთრება, რის გამოც გართულდა სახლის გადაფორმება. მოპასუხემ უძრავი ქონება მის სახელზე დაა-

რეგისტრირა 1996 წლის 28 ივნისს, რის შემდეგაც მოითხოვა უფრო მაღალი ფასის გადახდა. მოსარჩელემ აღნიშნა, რომ ი. ბ-შვილმა 2005 წლის 25 დეკემბერს სადავო სახლი აჩუქა ი. ბ-შვილს, რომელმაც მოითხოვა მისი და მისი ოჯახის წევრების გამოსახლება სადავო ბინიდან. ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2006 წლის 14 აგვისტოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით დაკმაყოფილდა სარჩელი და მოსარჩელე მისი ოჯახის წევრებთან ერთად გამოსახლდა სადავო ბინიდან.

მოსარჩელემ განმარტა, რომ ზეპირი გარიგების შემდეგ სახლს ჩაუტარდა კაპიტალური რემონტი, რაზედაც დაიხარჯა 35 792 ლარი, რის შედეგადაც სახლის ღირებულებამ შეადგინა 70000 ლარი.

ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2007 წლის 27 ივლისის გადაწყვეტილებით სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ, ი. და ი. ბ-შვილებს რ. გ-მის სასარგებლოდ დაეკისრათ საცხოვრებელი სახლის ნასყიდობის თანხის -31746 დოლარის ეკვივალენტი ლარის გადახდა. სასარჩელო მოთხოვნას ჩუქების ხელშეკრულების ბათილობასა და საცხოვრებელი სახლის სარემონტო სამუშაოების ღირებულების -35792 ლარის ანაზღაურებაზე ეთქვა უარი.

საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა რ. გ-მემ.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 28 მაისის გადაწყვეტილებით ი. ბ-შვილის სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა. რ. გ-მის სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ, გაუქმდა ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2007 წლის 27 ივლისის გადაწყვეტილება სარემონტო სამუშაოებზე გაწეული ხარჯების ანაზღაურებაზე უარის თქმის ნაწილში და ამ ნაწილში მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება; რ. გ-მის სარჩელი დაკმაყოფილდა -ი. ბ-შვილს, რ. გ-მის სასარგებლოდ დაეკისრა 35792 ლარის გადახდა, სხვა ნაწილში გადაწყვეტილება დარჩა უცვლელად.

სააპელაციო პალატამ გაიზიარა პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები იმის თაობაზე, რომ 1989 წელს ი. ბ-შვილსა და რ. გ-მეს შორის ზეპირი ფორმით დაიდო შეთანხმება, ქ. ბათუმში, ... ქ. #49-ში მდებარე საცხოვრებელი სახლის ნასყიდობის თაობაზე. შეთანხმების საფუძველზე ი. ბ-შვილმა რ. გ-მეს მიჰყიდა საცხოვრებელი ბინა, ხოლო რ. გ-მემ გადასცა 20000 მანეთი, დარჩენილი თანხა კი უნდა გადაეხადა შემდგომში. ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2006 წლის 14 აგვისტოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით დაკმაყოფილდა რა ი. ბ-შვილის, როგორც მესაკუთრის მოთხოვნა, რ. გ-მე, მისი ოჯახის წევრებთან ერთად გამოსახლდა სადავო ბინიდან.

სააპელაციო პალატამ მიუთითა, ვინაიდან ი. ბ-შვილი წარმოადგენდა სადავო უძრავი ქონების მესაკუთრეს, სამოქალაქო კოდექსის 170-ე მუხლის თანახმად, უფლება ჰქონდა, თავისუფლად განეკარგა ქონება, შესაბამისად, არ არსებობდა ჩუქების დამაბრკოლებელი გარემოებები და ი. და ი. ბ-შვილებს შორის ჩუქება კანონშესაბამისი იყო, ხოლო მოთხოვნა ამ ხელშეკრულების ბათილობის თაობაზე კი უსაფუძვლო.

პალატამ განმარტა, რომ ი. ბ-შვილმა, როგორც მესაკუთრემ დასაჩუქრებულს, მისი თანხმობით უსასყიდლოდ გადასცა საკუთრებად ქონება. ქონების გადაცემის თაობაზე ნება გამოვლენილ იქნა, იგი მიიღო ი. ბ-შვილმა და კანონით მისთვის, როგორც მესაკუთრისათვის, მინიჭებული უფლების გამოყენებით ამ ქონებიდან გამოასახლა რ. გ-მე. სამართლებრივ საფუძველად სააპელაციო პალატამ მიუთითა სამოქალაქო კოდექსის 524-ე მუხლზე და 525-ე მუხლის პირველსა და მეორე ნაწილებზე.

სააპელაციო პალატა მიუთითებს, რომ ი. ბ-შვილის ინტერესი, მისი ქონება გადაეცა შვილი-სათვის, რომელიც ზრუნავდა მასზე და ცხოვრობდა მასთან, არ შეიძლება იყოს გაუმართლებელი.

პალატამ არ გაიზიარა ი. ბ-შვილის მითითება რ. გ-მის მიერ 1990 წელს ნასყიდობის -10000 მანეთის ოდენობით გადახდის შესახებ, ვინაიდან დადგენილად მიიჩნია, რომ რ. გ-მემ, ი. ბ-შვილს, სადავო საცხოვრებელი სახლის ნასყიდობისათვის, 1989 წელს გადაუხადა 20000 რუსული მანეთი, რაც გამოორიცხავს ი. ბ-შვილის მიერ დასახელებული გარემოებების ნამდვილობა.

სააპელაციო პალატამ დადგენილად ცნო, რომ ქ. ბათუმში, ... ქ. #49-ში მდებარე სადავო საცხოვრებელი სახლის საბაზრო ღირებულებაა 70000 ლარი, ხოლო 1989 წლიდან სახლისათვის ჩატარებული სამშენებლო-სარემონტო სამუშაოების ღირებულებაა 35792 ლარი.

სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებაზე სკასაციო საჩივარი შეიტანეს ი. და ი. ბ-შვილებმა.

კასატორების მოსაზრებით, სააპელაციო პალატამ დაარღვია სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 105-ე, და 244-ე მუხლების მოთხოვნები. სააპელაციო პალატის მიერ არასწორად იქნა დადგენილი ნასყიდობის მიზნით გადაცემული თანხის ოდენობა და აღიარებულ იქნა მხოლოდ 10000 მანეთის მიღება. კასატორები მიუთითებენ, რომ სააპელაციო პალატამ დაარღვია სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 248-ე მუხლის მოთხოვნა, კერძოდ, სააპელაციო პალატამ მხარეს მიაკუთვნა ის,

რაც მას არ მოუთხოვია, ი. ბ-შვილს ასევე დააკისრა თანხის გადახდა, რომელიც არ წარმოადგენდა იმ სამართალურთიერთობის მონაწილეს, რის საფუძველზეც რ. გ-მე ითხოვდა თანხის ანაზღაურებას.

კასატორების მოსაზრებით, სააპელაციო პალატის მიერ ასევე დარღვეულია სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 105-ე მუხლის მოთხოვნა.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ განიხილა საქმის მასალები, გაეცნო საკასაციო საჩივარს და თვლის, რომ ი. ბ-შვილების საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილებით, რომ 1989 წელს ი. ბ-შვილსა და რ. გ-მეს შორის, ზეპირი ფორმით დაიდო შეთანხმება ქ. ბათუმში, ... ქ#49-ში მდებარე საცხოვრებელი სახლის ნასყიდობის თაობაზე, რომლის თანახმად ი. ბ-შვილმა რ. გ-მეს გადასცა საცხოვრებელი ბინა, ხოლო რ. გ-მემ - 20000 მანეთი. დარჩენილი თანხა კი უნდა გადაეხადა შემდგომში.

სააპელაციო სასამართლოს მიერ ასევე დადგენი., რომ ი. ბ-შვილმა ჩუქების ხელშეკრულებით აღნიშნული საცხოვრებელი სახლი გადასცა თავის შვილს - ი. ბ-შვილს.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 407-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, სააპელაციო სასამართლოს მიერ დამტკიცებულად ცნობილი ფაქტობრივი გარემოებები სავალდებულოა სასამართლოსათვის, თუ წამოყენებული არ არის დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზია (შედავება).

საკასაციო პალატა თვლის, რომ კასატორის მიერ წარმოდგენი. დასაბუთებული პრეტენზია. კონკრეტულ შემთხვევაში დასაშვებ და დასაბუთებულ პრეტენზიაში იგულისხმება მითითება იმ პროცესუალურ დარღვევებზე, რომლებიც დაშვებული იყო სააპელაციო სასამართლოს მიერ საქმის განხილვის დროს, რამაც განაპირობა ფაქტობრივი გარემოებების არასწორად შეფასება და სამართლებრივ-მატერიალური ნორმის არასწორად გამოყენება ან განმარტება.

საკასაციო პალატა ყურადღებას ამახვილებს იმაზე, რომ სააპელაციო სასამართლომ სადავო ურთიერთობის განხილვის დროს არ გაარკვია, მოსარჩელის მოთხოვნები ერთდროულად ორივე მოპასუხის წინააღმდეგ იყო მიმართული თუ არა, კერძოდ, თანხების დაკისრებას მოსარჩელე ითხოვს ორივე მოპასუხისაგან, თუ მხოლოდ ი. ბ-შვილისაგან. (მაგალითად, მოსარჩელე თანხების დაკისრებას ითხოვს მხოლოდ ი. ბ-შვილისაგან და არა ი. ბ-შვილისაგან. მიუხედავად ამისა, სააპელაციო სასამართლო სარემონტო ხარჯებს აკისრებს ი. ბ-შვილს).

ამდენად, აღნიშნული საკითხის დაცვა საბოლოოდ უზრუნველყოფს პროცესუალური თანასწორობის პრინციპის დაცვას, რადგან მოსარჩელეს აქვს უფლება, სასამართლო წესით მოთხოვნა წაუყენოს მოპასუხეს, ხოლო მოპასუხეს უფლება აქვს, თავი დაიცვას მის მიმართ წაყენებული მოთხოვნისაგან.

ბ-შვილი აღნიშნავს, რომ ექსპერტიზის დასკვნა არ უნდა იქნეს გაზიარებული, რადგან ექსპერტისთვის არ არის ცნობილი სახლის თავდაპირველი მდგომარეობა და ფასი.

საკასაციო პალატა თვლის, რომ დაუსაბუთებელია სააპელაციო გადაწყვეტილება სარემონტო სამუშაოების ანაზღაურების შესახებ. სააპელაციო სასამართლო უთითებს გადაწყვეტილებაში ამ დასკვნაზე, მაგრამ არ იკვლევს. მით უმეტეს, გასათვალისწინებელია, რომ სააპელაციო სასამართლომ საქმის განხილვის დროს აღნიშნული დასკვნა თავად მიიჩნია დაუსაბუთებლად. კერძოდ, სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ საქმეზე წარმოდგენილი ექსპერტის დასკვნა ბუნდოვანია, კერძოდ, გამოკვლევითი ნაწილი არ შეიცავს მითითებას, თუ რაზე დაყრდნობით იქნა დასკვნა შედგენილი ან როგორ იქნა შეკრებილი ჩატარებული სამუშაოები. აქედან გამომდინარე, სააპელაციო სასამართლომ დაადგინა, რომ მოწვეულიყო სხდომაზე ეროვნული ბიუროს აჭარის რეგიონალური სამსახურის 2007 წლის 16 მარტს შედგენილი ექსპერტიზის დასკვნის ექსპერტი -კ-ია. მიუხედავად ამისა, სასამართლო გადაწყვეტილების გამოტანისას დაეყრდნო აღნიშნულ ექსპერტიზის დასკვნას.

აღნიშნული გათვალისწინებით საკასაციო პალატა თვლის, რომ, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 394-ე მუხლის "ე" ქვეპუნქტის თანახმად, სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება უნდა გაუქმდეს, რადგან მისი დასაბუთება იმდენად არასრულია, რომ მისი სამართლებრივი საფუძვლიანობის შემოწმება შეუძლებელია.

საკასაციო პალატა განმარტავს, რომ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 105-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, სასამართლო აფასებს მტკიცებულებებს თავისი შინაგანი რწმენით, რომელიც უნდა ემყარებოდეს მათ ყოველმხრივ, სრულ და ობიექტურ განხილვას, რის შედეგადაც მას გამოაქვს დასკვნა საქმისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებების არსებობის ან არარსებობის შესახებ. კანონის აღნიშნული დანაწესი მიუთითებს იმაზე, რომ მტკიცებულებების შეფასება უნდა მოხდეს ერთობლიობაში, მხოლოდ მათი ყოველმხრივი, სრული და ობიექტური

განხილვა წარმოადგენს მათი სწორი შეფასების ერთ-ერთ აუცილებელ წინაპირობას, რა დროსაც უნდა იქნეს გათვალისწინებული მხარეთა პროცესუალური უფლება-ვალდებულებები.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 412-ე მუხლით და

და ა ა დ გ ი ნ ა:

ი. და ი. ბ-შვილების საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს;
გაუქმდეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 28 მაისის გადაწყვეტილება და საქმე ხელახალი განხილვისათვის დაუბრუნდეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატას;
საკასაციო პალატის განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

გადაწყვეტილების გაუქმების აბსოლუტური საფუძვლები

განჩინება

#ას-635-859-08

26 მარტი, 2009 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატა
შემადგენლობა: მ. სულხანიშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
რ. ნადირიანი,
თ. თოდრია

დავის საგანი: საზიარო უფლების გაუქმება

აღწერილობითი ნაწილი:

2007 წლის 25 იანვარს ბათუმის საქალაქო სასამართლოში სარჩელი აღძრა ვ. ი-იანმა მოპასუხე ს. ვ-ძის წინააღმდეგ და მოითხოვა საზიარო უფლების გაუქმება და 525 კვ.მ. მიწის ნაკვეთის მიკუთვნება.

ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2007 წლის 22 ნოემბრის გადაწყვეტილებით სარჩელი დაკმაყოფილდა.

აღნიშნული გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა ს. ვ-ძემ.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 16 ივნისის გადაწყვეტილებით ს. ვ-ძის სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა -გაუქმდა ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2007 წლის 22 ნოემბრის გადაწყვეტილება და მიღებული იქნა ახალი გადაწყვეტილება. ვ. ი-იანის სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

პალატამ დადგენილად მიიჩნია, რომ ბათუმში, ... 83-ში მდებარე მიწის ნაკვეთი არის ვ. ი-იანისა და ს. ვ-ძის საერთო საკუთრება. მიწის ნაკვეთზე განლაგებულია შენობები, რომელთაგან, საჯარო რეესტრის მონაცემებით, 73,78 კვ.მ. ფართის შენობა ეკუთვნოდა ვ. ი-იანს, ხოლო ლიტერი „კ“ და „უ“, ანუ მიწის ნაკვეთზე არებული შენობების საერთო ფართის 7/15 -ს. ვ-ძეს.

საქართველოს პრეზიდენტის 2007 წლის 24 ნოემბრის #660 ბრძანებულების საფუძველზე 2008 წლის 28 აპრილს ქ. ბათუმის მერიის არქიტექტურისა და ურბანული დაგეგმარების სამსახურის ბრძანებით მოხდა ს. ვ-ძის კუთვნილ შენობაზე უნებართვოდ მიშენებული ობიექტის ლეგალიზება, რის შემდეგაც შევიდა ცვლილებები საჯარო რეესტრის მონაცემებში, ამჟამად ს. ვ-ძის საკუთრებაში არის შენობა, საერთო 179, 4 კვ.მ-ით.

ასევე დადგენილია, რომ საჯარო რეესტრის მონაცემებით, სადავო მიწის ნაკვეთზე არსებული შენობები მოდავე მხარეთა ინდივიდუალურ საკუთრებაშია, ანუ არ არის თანასაკუთრება.

საცხოვრებელი სახლის ტექნიკური პასპორტისა და ექსპერტა დასკვნების თანახმად, მხარეთა ინდივიდუალურ საკუთრებაში არსებული სახლები ერთმანეთთან ფიზიკურადაც არ არის დაკავშირებული, მათ შორის მდებარეობს მიწის ნაკვეთი, რომელიც, ასევე გამიჯნულია ღობით და მხარეები ამ ნაკვეთებით ცალ-ცალკე სარგებლობენ. თითოეულ ნაკვეთსა და მასზე განთავსებულ სახლს გააჩნია დამოუკიდებელი მისამართი.

პალატამ მიიჩნია, რომ საჯარო რეესტრის მონაცემებით მხარეებს თანასაკუთრებაში აქვთ მხოლოდ სადავო მიწის ნაკვეთი, თუმცა მათი წილები საზიარო საგანზე განსაზღვრული არ არის.

შესაბამისად, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 954-ე მუხლის თანახმად, თითოეულ მხარეს საზიარო მიწის ნაკვეთზე ეკუთვნის თანაბარი წილი.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 16 ივნისის გადაწყვეტილება საკასაციო წესით გაასაჩივრა ვ. ი-იანმა.

კასატორის აზრით, ბათუმში, ... 83-ში მდებარე მიწის ნაკვეთი არის მისი და ს. ვ-ძის საერთო საკუთრება.

ამ მიწის ნაკვეთზე განლაგებულია შენობები, რომელთაგან, საჯარო რეესტრის მონაცემებით, 73.78 კვ.მ შენობა ანუ 8/15 ეკუთვნის ვ. ი-იანს, ხოლო ს. ვ-ძეს 7/15.

საჯარო რეესტრის მონაცემებით, სადავო მიწის ნაკვეთზე არსებული შენობები წარმოადგენენ მხარეთა ინდივიდუალურ საკუთრებას.

ექსპერტთა დასკვნების თანახმად, მხარეების სახლებს შორის მდებარეობს მიწის ნაკვეთი, რომელიც ასევე გამოიჯნულია ღობით და მხარეები ამ ნაკვეთებით ცალ-ცალკე სარგებლობენ.

საჯარო რეესტრის მონაცემებით მხარეებს თანასაკუთრებაში აქვთ სადავო მიწის ნაკვეთი და მათი წილები საზიარო საგანზე არის განსაზღვრული: ვ. ი-იანის წილი შეადგენს 8/15-ს და მიწის ნაკვეთი 525.8 კვ.მ, ხოლო ს. ვ-ძის სახელზე 7/15 და მიწის ნაკვეთი -470.2 კვ.მ ამდენად, სააპელაციო სასამართლოს მითითება, რომ თითქოს მხარეების წილები საზიარო საგანზე არ არის განსაზღვრული საჯარო რეესტრის მონაცემებით არ შეესაბამება საქმის მასალებში არსებულ მტკიცებულებებს. სააპელაციო სასამართლომ არასწორად გამოიყენა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 954-ე მუხლი, რომ თითოეულ მხარეს საზიარო მიწის ნაკვეთზე ეკუთვნის თანაბარი წილი. მოცემულ შემთხვევაში საჯარო რეესტრის მონაცემებით ვ. ი-იანის სახელზე ირიცხება 8/15, ანუ 525.8 კვ.მ, ხოლო ს. ვ-ძეს -7/15 ნაწილი ანუ 470.2 კვ.მ, ამიტომ რეალური მიწის ნაკვეთი უნდა გამოიყიფლიყო კუთვნილი ნაწილების მიხედვით და არა თანაბრად.

ასევე კასატორის აზრით, ვ. ი-იანმა თავისი მოთხოვნის საფუძვლიანობის დამადასტურებელ მტკიცებულებად სასამართლოსათვის წარმოადგინა ამონაწერი საჯარო რეესტრიდან და ასევე დაასახელა ფაქტობრივი გარემოებები, რომელიც მხარეებისათვის არ გახდა სადავო, რომ მათ შორის მდებარე მიწის ნაკვეთი გამოიჯნულია ღობით და მხარეები ამ ნაკვეთებით ცალ-ცალკე სარგებლობენ.

აღნიშნულიდან გამომდინარე, კასატორმა მოითხოვა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილების მიღება.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ განიხილა საქმის მასალები, გაეცნო საკასაციო საჩივრის საფუძვლებს და თვლის, რომ საკასაციო საჩივარი ნაწილობრივ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

სასამართლოს მიერ დადგენილია, რომ ქ. ბათუმში ... ქ.83-ში მდებარე 986კვ.მ მიწის ნაკვეთი წარმოადგენს ვ. ი-იანს და ს. ვ-ძის საერთო საკუთრებას. სადავო ტერიტორია რეალურად მოიცავს 991 კვ.მ-ს. ასევე პალატამ დაადგინა, რომ საჯარო რეესტრის მონაცემებით მიწის ნაკვეთზე არსებული შენობები მოდავე მხარის ინდივიდუალურ საკუთრებაშია, ანუ არ წარმოადგენს თანასაკუთრებას. მათი სახლები ერთმანეთთან ფიზიკურადაც კი არ არის დაკავშირებული, ასევე მათ შორის მდებარე მიწის ნაკვეთიც გამოიჯნულია ღობით და მხარეები სარგებლობენ ცალ-ცალკე.

საკასაციო პალატა თვლის, რომ დადგენილი ფაქტობრივი გარემოებებიდან გამომდინარე, სააპელაციო სასამართლოს უნდა გამოერკვია როდიდან სარგებლობდნენ მხარეები მიწის ნაკვეთით ინდივიდუალურად. იმ შემთხვევაში, თუ მხარეები ასეთი სახით მიწის ნაკვეთით სარგებლობდნენ სამოქალაქო კოდექსის ამოქმედების დროისათვის, ამ ნორმატიული აქტის საფუძველზე გამოცხადდნენ მათ სარგებლობაში არსებული მიწის ნაკვეთის მესაკუთრეებად.

სამოქალაქო კოდექსის 1513-ე მუხლის თანახმად ფიზიკურ პირთა კანონიერ სარგებლობაში არსებული მიწის ნაკვეთები, რომლებზეც ინდივიდუალური სახლებია განლაგებული სამოქალაქო კოდექსის ამოქმედებიდან ითვლება ამ პირთა საკუთრებად და მათზე ვრცელდება სამოქალაქო კოდექსის უძრავი ნივთებისათვის გათვალისწინებული წესები. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, თუ მოდავე მხარეები სამოქალაქო კოდექსის ამოქმედებისას სარგებლობდნენ მათ მიერ გამოყოფილი მიწის ნაკვეთით, ისინი ითვლებიან მესაკუთრეებად და მათი გაყოფა აღნიშნული უფლების გათვალისწინების გარეშე დაუშვებელია. აღნიშნული საკითხი სასამართლოს მიერ გამოკვეული არ არის, რის გამოც შეუძლებელია დავის გადაწყვეტა მითითებული საკითხის გამორკვევის გარეშე.

ამასთან, პალატა თვლის, რომ სააპელაციო პალატამ არასწორად გადაანაწილა მხარეთა შორის მტკიცების ტვირთი. სასამართლოს მითითებით ვ. ი-იანს ეკუთვნოდა მტკიცების ტვირთი იმის თაობაზე, რომ შესაძლებელი იყო საზიარო საგნის თანაბარწილად გაყოფა მისი ღირებულების შემცირების გარეშე. მიწის ნაკვეთი პირველი ინსტანციის სასამართლომ გაყო ექსპერტის დასკვნის საფუძველზე. აღნიშნულს ეთანხმებოდა ვ. ი-იანიც ასეთ შემთხვევაში საწინააღმდეგო უნდა დაესა-

ბუთებინა ს. ვ-ძეს. ამასთან, სასამართლოს მსჯელობა წინააღმდეგობრივია წილების გაყოფის თაობაზე, რომ ექსპერტიზის დასკვნის შესაბამისად მიწის გაყოფის შემთხვევაში ერთ-ერთ მოდავე მხარეს გამოეყოფოდა მეორე მხარის კუთვნილი ბინების ნაწილი, მათ შორის - მიწაც. როდესაც სასამართლო მიწას არ მიიჩნევს რომელიმე მხარის ინდივიდუალურ საკუთრებად, შეუძლებელია იმაზე საუბარი რომ რომელიმე მხარეს მიეკუთვნა მეორე მხარის კუთვნილი მიწის ნაკვეთი. სასამართლოს ასეთ შემთხვევაში უნდა მიეთითებინა თუ რა ქონება მიეკუთვნა მეორე მხარეს.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე პალატა თვლის, რომ სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილების დასაბუთება იმდენად არასრულია, რომ მისი სამართლებრივი საფუძვლიანობის შემოწმება შეუძლებელია, აღნიშნულის გამო პალატა მიიჩნევს, რომ, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 394-ე მუხლის „ე¹“ ქვეპუნქტის თანახმად, გადაწყვეტილება უნდა გაუქმდეს და ხელახლა იქნეს განხილული სასამართლოს მიერ.

საქმის ხელახალი განხილვისას სასამართლომ უნდა დაადგინოს მხარეთა მიერ მიწის ნაკვეთის ნაწილებზე ინდივიდუალურად სარგებლობის ხანგრძლივობა, აგრეთვე სასამართლოს მიერ დადგენილი ფაქტობრივ გარემოებებზე დაყრდნობით უნდა განისაზღვროს მიწის ნაკვეთის გაყოფის ან გაყოფის მიზეზი.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 412-ე მუხლით და

და ა ა დ გ ი ნ ა:

ვ. ი-იანის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ;
გაუქმდეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 16 ივნისის გადაწყვეტილება და საქმე ხელახალი განხილვისათვის დაუბრუნდეს იმავე პალატას;
საკასაციო პალატის განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

5. საქმის წარმოების განახლება

განჩინება

#ვ-68-ა-9-09

23 თებერვალი, 2009 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის მოსამართლე ნ. კვანტალიანი

დავის საგანი: უძრავი ქონების საკუთრებაში გადაცემა

აღწერილობითი ნაწილი:

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2008 წლის 10 ოქტომბრის განჩინებით ქ. თბილისში, ... ქ.#26-ში მდებარე #1 კორპუსის ბინის მესაკუთრეთა ამხანაგობის საკასაციო საჩივარი დარჩა განუხილველი დაუშვებლობის გამო.

2008 წლის 26 ნოემბერს ქ. თბილისში, ... ქ.#26-ში მდებარე #1 კორპუსის ბინის მესაკუთრეთა ამხანაგობის წარმომადგენელმა ი. ღ-შვილმა განცხადებით მიმართა საკასაციო სასამართლოს, მოითხოვა ამავე წლის 10 ოქტომბრის განჩინების ბათილად ცნობა და საქმის წარმოების განახლება.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2008 წლის 22 დეკემბრის განჩინებით ზემოხსენებული განცხადება დარჩა განუხილველი იმ საფუძვლით, რომ გასაჩივრებული განჩინება განმცხადებელს ჩაჰბარდა 2008 წლის 20 ნოემბერს, საკასაციო სასამართლოს 2008 წლის 10 ოქტომბრის განჩინების ბათილად ცნობის შესახებ განცხადებით კი მხარემ საკასაციო პალატას მიმართა 2008 წლის 26 დეკემბერს, რა დროსაც დაადგინა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 426-ე მუხლით გათვალისწინებული განცხადების შეტანის ერთგვარი ვადა.

ქ. თბილისში, ... ქ.#26-ში მდებარე #1 კორპუსის ბინის მესაკუთრეთა ამხანაგობის წარმომადგენელმა ი. ღ-შვილმა 2009 წლის 22 იანვრის განცხადებით მოითხოვა საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2008 წლის 22 დეკემბრის განჩინების გაუქმება და მისივე 2008 წლის 26 ნოემბრის განცხადების განხილვა შემდეგი დასაბუთებით: საკასაციო სასამართლომ არასწორად მიიჩნია, რომ განცხადებელმა დაარღვია სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 426-ე მუხლით გათვალისწინებული საქმის წარმოების განახლების

შესახებ განცხადების შეტანის ერთთვიანი ვადა, ვინაიდან გასაჩივრებული საკასაციო სასამართლოს 2008 წლის 10 ოქტომბრის განჩინება მან ჩაიბარა 2008 წლის 20 ნოემბერს და მისი ბათილად ცნობის თაობაზე განცხადებით საკასაციო სასამართლოს მიმართა ამავე წლის 26 ნოემბერს, ზემოხსენებული ვადის დაცვით. ამდენად, უსაფუძვლოა საკასაციო სასამართლოს მითითება, რომ მხარემ საკასაციო სასამართლოს 2008 წლის 10 ოქტომბრის განჩინების ბათილად ცნობის შესახებ განცხადება სასამართლოში შეიტანა 2008 წლის 26 დეკემბერს.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გავლერების საქმეთა პალატის 2009 წლის 10 თებერვლის განჩინებით ქ. თბილისში, ... ქ.#26-ში მდებარე #1 კორპუსის ბინის მესაკუთრეთა ამხანაგობის წარმომადგენელ ი. ღ-შვილის განცხადება მიჩნეულ იქნა ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლების შესახებ განცხადებად და მიღებულ იქნა წარმოებაში.

მოცემული საქმის მასალებიდან ირკვევა, რომ საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გავლერების საქმეთა პალატის 2008 წლის 10 ოქტომბრის განჩინებით ქ. თბილისში, ... ქ.#26-ში მდებარე #1 კორპუსის ბინის მესაკუთრეთა ამხანაგობის საკასაციო საჩივარი დარჩა განუხილველი დაუშვებლობის გამო.

აღნიშნული განჩინების ასლი მხარეებს გაეგზავნათ.

2008 წლის 26 ნოემბერს ქ. თბილისში, ... ქ.#26-ში მდებარე #1 კორპუსის ბინის მესაკუთრეთა ამხანაგობის წარმომადგენელმა ი. ღ-შვილმა განცხადებით მიმართა საკასაციო სასამართლოს, მოითხოვა ამავე წლის 10 ოქტომბრის განჩინების ბათილად ცნობა და საქმის წარმოების განახლება.

სამოტივაციო ნაწილი :

საკასაციო სასამართლო წარმოდგენილი განცხადების საფუძვლების შესწავლის შედეგად მიიჩნევს, რომ ქ. თბილისში, ... ქ.#26-ში მდებარე #1 კორპუსის ბინის მესაკუთრეთა ამხანაგობის წარმომადგენელ ი. ღ-შვილის განცხადება ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გავლერების საქმეთა პალატის 2008 წლის 22 დეკემბრის განჩინების გაუქმებისა და საქმის წარმოების განახლების შესახებ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

დასაბუთებულია განმცხადებლის მოსაზრება, რომ გასაჩივრებული 2008 წლის 22 დეკემბრის განჩინებით საკასაციო სასამართლომ არასწორად აითვალა ამავე სასამართლოს 2008 წლის 10 ოქტომბრის განჩინების ბათილად ცნობის შესახებ ქ. თბილისში, ... ქ.#26-ში მდებარე #1 კორპუსის ბინის მესაკუთრეთა ამხანაგობის წარმომადგენელ ი. ღ-შვილის განცხადების შეტანის ვადა.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 426-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, გადაწყვეტილების ბათილად ცნობისა და საქმის წარმოების განახლების შესახებ განცხადების შეტანის ვადაა ერთი თვე და ამ ვადის გაგრძელებას კანონი არ ითვალისწინებს. დასახელებული ვადის დენა იწყება იმ დღიდან, როდესაც მხარისათვის ცნობილი გახდა გადაწყვეტილების ბათილად ცნობისა და ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლების საფუძვლების არსებობა. მითითებული ნორმის მიხედვით კანონიერ ძალაში შესულ გადაწყვეტილებაზე საქმის წარმოების განახლების შესახებ განცხადების შეტანა მხარეს შეუძლება მისი გაუქმების ან ბათილად ცნობის საფუძვლის შეტყობიდან ერთი თვის ვადაში.

მოცემულ შემთხვევაში საქმეში წარმოდგენილი არ არის იმის დამადასტურებელი დოკუმენტი, თუ როდის ჩაჰბარდა ქ. თბილისში, ... ქ.#26-ში მდებარე #1 კორპუსის ბინის მესაკუთრეთა ამხანაგობის წარმომადგენელ ი. ღ-შვილს საკასაციო სასამართლოს 2008 წლის 10 ოქტომბრის განჩინების ასლი, თუმცა თავად მხარის განმარტებით მან აღნიშნული განჩინების ასლი ჩაიბარა 2008 წლის 20 ნოემბერს და განცხადება საქმის წარმოების განახლების თაობაზე შეიტანა 2008 წლის 26 ნოემბერს, კანონით დადგენილი ერთთვიანი ვადის დაცვით.

ამდენად, ქ. თბილისში, ... ქ.#26-ში მდებარე #1 კორპუსის ბინის მესაკუთრეთა ამხანაგობის წარმომადგენელ ი. ღ-შვილის ზემოხსენებული განცხადება არასწორად დარჩა განუხილველი.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 421-ე მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით, კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით ან განჩინებით დამთავრებული საქმის წარმოების განახლება დასაშვებია მხოლოდ მაშინ, როდესაც არსებობს გადაწყვეტილების ბათილად ცნობის (422-ე მუხლი) ან ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლების შესახებ (423-ე მუხლი) განცხადების წანამდღვრები.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ განსახილველ შემთხვევაში არსებობს ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გავლერების საქმეთა პალატის 2008 წლის 22 დეკემბრის განჩინების გაუქმებისა და საქმის წარმოების განახლების საფუძველი.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 429-ე, 426-ე მუხლებით და

და ა ა დ გ ი ნ ა:

ქ. თბილისში, ... ქ.#26-ში მდებარე #1 კორპუსის ბინის მესაკუთრეთა ამხანაგობის წარმომადგენელ ი. ლ-შვილის განცხადება ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2008 წლის 22 დეკემბრის განჩინების გაუქმებისა და საქმის წარმოების განახლების შესახებ დაკმაყოფილდეს.

გაუქმდეს საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2008 წლის 22 დეკემბრის განჩინება.

განახლდეს საქმის წარმოება საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2008 წლის 10 ოქტომბრის განჩინების ბათილად ცნობისა და საქმის წარმოების განახლების თაობაზე ქ. თბილისში, ... ქ.#26-ში მდებარე #1 კორპუსის ბინის მესაკუთრეთა ამხანაგობის წარმომადგენელ ი. ლ-შვილის განცხადების გამო.

საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

საქმის წარმოების განახლება

განჩინება

#ა-2-ა-7-09

4 მარტი, 2009 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატა
მოსამართლე ლ. ლაზარაშვილი**

განიხილა მ. გ-შვილის განცხადების დასაშვებობის საკითხი ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლების შესახებ. საკასაციო სასამართლომ

გამოარკვია:

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2009 წლის 15 იანვრის განჩინებით მ. გ-შვილს დაევალა საქმის წარმოების განახლების შესახებ განცხადების ხარვეზის შევსება, კერძოდ, განჩინების ჩაბარებიდან 7 დღის ვადაში 50 ლარის (იმ შემთხვევაში, თუკი განმცხადებელი ითხოვს საქმის წარმოების განახლებას ბათილად ცნობის საფუძველით) ან სახელმწიფო ბაჟის 100 ლარის გადახდის ქვითრის წარმოდგენა (იმ შემთხვევაში, თუკი განმცხადებელი ითხოვს საქმის წარმოების განახლებას ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო), გასაჩივრებული გადაწყვეტილების ზუსტი დასახელება, ასევე გასაჩივრების კონკრეტული საფუძველების მითითება.

დადგინდა საპროცესო ვადაში მ. გ-შვილმა ხარვეზის შევსების შესახებ განცხადებით მომართა საკასაციო სასამართლოს.

საკასაციო სასამართლომ განიხილა მ. გ-შვილის მიერ საქმის წარმოების განახლების შესახებ განცხადებაზე ხარვეზის შევსების საკითხი და მიიჩნევს, რომ განმცხადებელმა საკასაციო სასამართლოს მიერ დადგინდა ვადაში ვერ უზრუნველყო დანიშნული ხარვეზის სრულად შევსება და განცხადება განუხილველად დატოვებას ექვემდებარება შემდეგ გარემოებათა გამო:

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2009 წლის 15 იანვრის განჩინებით მ. გ-შვილის განცხადების ხარვეზად განისაზღვრა: განცხადების მოთხოვნის გაურკვევლობა, რადგან გაუგებარი იყო, თუ კონკრეტულად რას ითხოვდა განმცხადებელი - საქმის წარმოების განახლებას ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო, თუ ბათილად ცნობის საფუძველით; განცხადების დაუსაბუთებლობა, რამდენადაც განცხადება არ შეიცავდა მითითებას იმ კონკრეტულ საფუძველებზე, რომელთა გამოც უნდა მომხდარიყო საქმეზე წარმოების განახლება; გასაჩივრებული გადაწყვეტილების მიუთითებლობა, იმის გათვალისწინებით, რომ განცხადება არ შეიცავდა გასაჩივრებული გადაწყვეტილების ზუსტ დასახელებას, სახელმწიფო ბაჟის გადაუხდელობა.

ხარვეზის შევსების მიზნით წარმოდგენილ განცხადებაში მ. გ-შვილმა სასამართლოს მიერ დანიშნული ხარვეზი გამოასწორა მხოლოდ ნაწილობრივ: აღნიშნულ განცხადებაზე თანდართული საქართველოს სოციალური მომსახურების სააგენტოს ჭიათურის განყოფილების ცნობით ირკვევა, რომ

მ. გ-შვილის ოჯახი რეგისტრირებულია სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში და იღებს სოციალურ დახმარებას, რაც სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 46-ე მუხლის პირველი ნაწილის "ვ" ქვეპუნქტიდან გამომდინარე, მისი სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან გათავისუფლების საფუძველია; დაზუსტებულია განმცხადებლის მოთხოვნა, რომ იგი ითხოვს საქმეზე წარმოების განახლებას ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო; საქმეზე წარმოების განახლების კონკრეტულ საფუძველად მითითებულია მ. გ-შვილის საცხოვრებელ ბინაში გადაღებული ფოტოსურათები, რაც განმცხადებლის აზრით, ქვემდგომი ინსტანციის სასამართლოებში დროულად წარდგენის შესაძლებლობის პირობებში, მოპასუხის მიერ მისთვის მიყენებულ ზიანს დაადასტურებდა. რაც შეეხება ხარვეზს გასაჩივრებული გადაწყვეტილების ზუსტი დასახელების შესახებ, განცხადება კვლავ არ აკმაყოფილებს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 427-ე მუხლის პირველი ნაწილის "ა" ქვეპუნქტის მოთხოვნას, კერძოდ, იგი გასაჩივრებული გადაწყვეტილების ზუსტ დასახელებას ამჯერადაც არ შეიცავს.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 427-ე მუხლის პირველი ნაწილის "ა" ქვეპუნქტის თანახმად, განცხადება ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლების შესახებ უნდა შეიცავდეს გასაჩივრებული გადაწყვეტილების ზუსტ დასახელებას. მოცემულ შემთხვევაში განმცხადებელი არ მიუთითებს, თუ კონკრეტულად, რომელი გადაწყვეტილების გაუქმებას ითხოვს ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო, რის გამოც არ არსებობს ზემოაღნიშნული ნორმით გათვალისწინებული განცხადების დასაშვებობის პირობა.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ განმცხადებელმა მ. გ-შვილმა საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2009 წლის 15 იანვრის განჩინებით დადგენილ საპროცესო ვადაში ვერ უზრუნველყო აღნიშნულ განჩინებაში მითითებული ხარვეზის სრულად გამოსწორება, რის გამოც მ. გ-შვილის განცხადება დაუშვებელია და განუხილველად უნდა იქნეს დატოვებული.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 399-ე, 429-ე მუხლებით და

და ა ა დ გ ი ნ ა :

1. მ. გ-შვილის განცხადება ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლების თაობაზე დატოვებულ იქნეს განუხილველად.
2. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

საქმის წარმოების განახლება

განჩინება

#ა-2160-ა-28-08

23 მარტი, 2009 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატა

შემადგენლობა: მ. გოგიშვილი (თავმჯდომარე),

ნ. კანტალიანი (მომხსენებელი),

ლ. ლაზარაშვილი

დავის საგანი: დარღვეული საავტორო უფლების აღდგენა, მორალური და მატერიალური ზიანის ანაზღაურება

აღწერილობითი ნაწილი:

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2003 წლის 25 ნოემბრის გადაწყვეტილებით "ზე კოკა-კოლა კომპანისა" და "კოკა-კოლა ბოთლერს ჯორჯიას" საკასაციო საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, გაუქმდა თბილისის საოლქო სასამართლოს სამოქალაქო და სამეწარმეო საქმეთა კოლეგიის 2003 წლის 24 ივლისის გადაწყვეტილება, დ.მ-ძის სარჩელი შპს "კოკა-კოლა ბოთლერს ჯორჯიასა" და "ზე კოკა-კოლა კომპანის" მიმართ დარღვეული საავტორო უფლებების აღდგენისა და მორალური ზიანის ანაზღაურების შესახებ, ასევე "ზე კოკა-კოლა კომპანის" შეგებებული სარჩელი დ. მ-ძის მიმართ ლოგოტიპის ქართული ვერსიის ერთადერთ ავტორად და მესაკუთრედ ცნობისა და მოპასუხისათვის ლოგოტიპის

გამოყენების აკრძალვის თაობაზე არ დაკმაყოფილდა შემდეგ გარემოებათა გამო: საკასაციო სასამართლომ გაიზიარა სააპელაციო პალატის მიერ დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები, რომ ამერიკული კომპანია "ზე კოკა-კოლა კომპანი" დაარსდა 1892 წელს ჯორჯიის შტატში. 1893 წლის 31 იანვარს ამერიკის შეერთებული შტატების საპატენტო ოფისში პირველად დარეგისტრირდა კომპანიის სასაქონლო ნიშანი "KOFA-KOLA", რომლის ორიგინალური მონახაზი და ხელწერა ეკუთვნის ამ პროდუქტის სასმელის შემქმნელის, დოქტორ ჰემბერტონის პარტნიორ ფრანკ მ.რობინსონს. აღნიშნულიდან გამომდინარე, "ზე კოკა-კოლა კომპანის" როგორც ლოგოზე, ისე სასაქონლო ნიშანზე - "KOFA-KOLA" -1892-93 წლებიდან გააჩნია განსაკუთრებული ქონებრივი და არაქონებრივი უფლებები. "ზე კოკა-კოლა კომპანიმ" სასაქონლო ნიშან "KOFA-KOLA-ზე" სარეგისტრაციო განაცხადი საქართველოში შეიტანა 1992 წელს, ხოლო ქართულ ვარიანტზე -1993 წელს. ორივე ნიშანი წარმოადგენს კანონმდებლობით დაცვად ნაწარმოებს. საკასაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ აღნიშნული ლოგოტიპი მიეკუთვნება რა სახვითი ხელოვნების სფეროს, არ შეიძლება ჩათვალოს საავტორო უფლების მატარებელ ნაწარმოებად, ვინაიდან, ნაწარმოების ინტელექტუალური ხასიათი ვლინდება მის ინდივიდუალობაში, ორიგინალურობაში, იგი არ უნდა იმეორებდეს სხვა ნაწარმოებს, უნდა გააჩნდეს გარკვეული შემოქმედებითი დონე. ლათინური ლოგო "KOFA-KOLA" შესრულებულია წითელ ფონზე თეთრი წარწერით, ქართული ლოგოც იმავე სახითაა შესრულებული, ამასთან, საკასაციო სასამართლოს მოსაზრებით ნათლად იკვეთება ქართული ლოგოტიპის იდენტურობა ლათინურ ლოგოტიპთან მიმართებაში. მათი ურთიერთშედარებისას საკასაციო პალატამ მიუთითა, რომ ქართულ ვარიანტს ახასიათებს იმავე სახის ასოების ორნამენტები და ქართული ვარიანტით შენარჩუნებულია ლათინური ლოგოსათვის დამახასიათებელი ასოთა განლაგების სტილი, რაც ადასტურებს, რომ ვიზუალური ეფექტი უცვლელია და ფაქტობრივად ერთი დამწერლობის ასოები შეცვლილია სხვა დამწერლობის ასოებით, რაც ტრანსლიტერაციას წარმოადგენს და იგი საავტორო უფლებით დაცვადი არ არის. სასამართლომ გადაწყვეტილებაში მიუთითა თბილისის სამხატვრო აკადემიის პროფესორ გ. წ-ძისა და საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის კ.კველიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტის მეცნიერ-თანამშრომლის, ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორის, პროფესორ ე. მ-იანის დასკვნებზე, სადაც დადასტურებულია დ. მ-ძის მიერ შექმნილი ქართული ლოგოტიპის მსგავსება ლათინურ ლოგოტიპთან. ამასთან, სასამართლო არ დაეთანხმა ექსპერტის მსჯელობას, ვინაიდან მიიჩნია, რომ მისი დასკვნა ურთიერთსაწინააღმდეგო ფაქტორებს მოიცავს, შეუძლებელია ნახატი ვიზუალურად და შინაარსობრივად სხვა ნახატის იდენტური იყოს და თან ინარჩუნებდეს ორიგინალობას. სასამართლოს გადაწყვეტილებით, დ.მ-ძემ ვერ შეძლო, დაესაბუთებინა, თუ რატომ ითხოვდა "KOFA-KOLA-ს" პროდუქციის სარეალიზაციო ფასის არანაკლებ 1%-ის მიღებას ჰონორარის სახით. საკასაციო პალატამ ასევე დაუსაბუთებლად ჩათვალა დ.მ-ძის სარჩელი შპს "კოკა-კოლა ბოთლერს ჯორჯიას" წარმომადგენელთან მისი შეთანხმების შესახებ საავტორო ხელშეკრულების გაფორმების თაობაზე. საკასაციო პალატამ უსაფუძვლოდ მიიჩნია "ზე კოკა-კოლა კომპანის" შეგებებული სარჩელის.

დ. მ-ძემ განცხადებით მიმართა საკასაციო პალატას ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2003 წლის 25 ნოემბრის გადაწყვეტილების გაუქმებისა და საქმის წარმოების განახლების შესახებ შემდეგი საფუძვლით: 2008 წლის 5 ნოემბერს საქართველოს მხატვართა კავშირის თავმჯდომარემ აცნობა დ. მ-ძეს, რომ ამავე დღეს მხატვართა კავშირის სამდივნომ მიიღო დადგენილება დ. მ-ძის მიერ შექმნილი "კოკა-კოლას" ქართული ლოგოტიპის მხატვრული ღირებულების შესახებ, რომლის თანახმადაც იგი მიჩნეულ იქნა ორიგინალურ, ინტელექტუალურ, მაღალი დონის ნაწარმოებად, ამასთან, აღნიშნული გარემოება გამორიცხავს სასამართლოს მიერ დადგენილ ფაქტობრივ გარემოებას მის მიერ შექმნილი ლოგოტიპის ტრანსლიტერაციად აღიარების თაობაზე. ამდენად, ზემოხსენებული გარემოება წარმოადგენს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 423-ე მუხლის პირველი ნაწილის "ვ" ქვეპუნქტის საფუძველზე გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმების საფუძველს. დ.მ-ძემ განცხადებას მტკიცებულებად დაურთო საქართველოს მხატვართა კავშირის სამდივნოს 2008 წლის 5 ნოემბრის დადგენილება.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2003 წლის 25 ნოემბრის გადაწყვეტილების გაუქმებისა და საქმის წარმოების განახლების შესახებ დ.მ-ძის განცხადების იურიდიული დასაბუთების შემოწმების შედეგად ჩათვალა, რომ იგი არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 423-ე მუხლის პირველი ნაწილის "ვ" ქვეპუნქტის თანახმად, კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ახლად აღმოჩენილ გარემოებათა

გამო საქმის წარმოების განახლების მოთხოვნით, თუ, მხარისთვის ცნობილი გახდა ისეთი გარემოებები და მტკიცებულებები, რომლებიც ადრე რომ ყოფილიყო წარდგენილი სასამართლოში საქმის განხილვის დროს, გამოიწვევდა მისთვის ხელსაყრელი გადაწყვეტილების გამოტანას. მითითებული ნორმიდან გამომდინარეობს, რომ ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლებას შეიძლება საფუძვლად დაედოს მხარის მიერ საქმის წარმოების დასრულების შემდეგ ისეთი მტკიცებულების მოპოვება და გარემოების შეტყობა, რომლებსაც საქმის განხილვის პერიოდში მისი სასამართლოსათვის წარდგენის შემთხვევაში შეეძლოთ არსებითად ზეგავლენა მოეხდინა საქმის განხილვის შედეგზე.

ამდენად, საქმის წარმოება უნდა განახლდეს მხარის მიერ არა ნებისმიერი შინაარსის ახალი მტკიცებულების მოპოვებისას, არამედ მხოლოდ ისეთი მნიშვნელობის მქონე მტკიცებულების სასამართლოსათვის წარდგენის შედეგად, რომლის შეფასებით სასამართლო მიიღებდა განმცხადებელი მხარის სასარგებლო გადაწყვეტილებას. ამასთან, გასათვალისწინებელია, რომ კანონის ზემოხსენებული დანაწესიდან გამომდინარე, ახლად აღმოჩენილი ფაქტი უნდა არსებობდეს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების მიღებამდე, ხოლო მის შემდეგ წარმოშობილ გარემოებას სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 423-ე მუხლით გათვალისწინებულ იურიდიული შედეგი არ შეიძლება მოჰყვეს.

მოცემულ შემთხვევაში დ.მ-მე ასეთ მტკიცებულებად თვლის საქართველოს მხატვართა კავშირის სამდივნოს 2008 წლის 5 ნოემბრის დადგენილებას დ.მ-მის მიერ შექმნილი "ჩოჩია-ჩოლა-ს" ქართული ლოგოტიპის მხატვრული ღირებულების შესახებ, რომლის თანახმადაც იგი მიჩნეულ იქნა ორიგინალურ, ინტელექტუალურ, მაღალი დონის ნაწარმოებად, რაც გამორიცხავს გასაჩივრებული გადაწყვეტილებით საკასაციო სასამართლოს მიერ ლოგოტიპის სადავო ქართული ვარიანტის ტრანსლიტერაციად აღიარებას.

განმცხადებელი უთითებს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 423-ე მუხლის პირველი ნაწილის "ვ" ქვეპუნქტზე და თვლის, რომ საქართველოს მხატვართა კავშირის სამდივნოს 2008 წლის 5 ნოემბრის დადგენილება არის ისეთი მტკიცებულება, რომლის სასამართლოსათვის წარდგენის შემთხვევაში სასამართლო მიიღებდა განმცხადებლის სასარგებლო გადაწყვეტილებას. სასამართლო არ იზიარებს დ.მ-მის მოსაზრებას, ვინაიდან მხატვართა კავშირის მიერ ნაწარმოების აღიარება ორიგინალურად და ინტელექტუალურად მაღალი დონის მხატვრულ ნაწარმოებად ვერ წარმოშობს დ.მ-მის საავტორო უფლებას სადავო ნაწარმოებზე.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ დ.მ-მის მიერ წარმოდგენილი მტკიცებულება არ წარმოადგენს იმ გარემოებას, რომელიც გავლენას მოახდენდა სასამართლო გადაწყვეტილებაზე, რაც გამორიცხავს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების გაუქმებას და საქმის წარმოების განახლებას.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 430-ე მუხლის მოერე ნაწილით და

და ა ა დ გ ი ნ ა :

დ. მ-მის განცხადება საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2003 წლის 25 ნოემბრის გადაწყვეტილების გაუქმებისა და ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლების შესახებ განცხადება არ დაკმაყოფილდეს.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2003 წლის 25 ნოემბრის გადაწყვეტილება დარჩეს უცვლელი.

სახელმწიფო ბაჟი გადახდილია.

საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

საქმის წარმოების განახლება

განჩინება

ვ-1066-ბ-29-08

23 მარტი, 2009 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატა

შემადგენლობა: მ. გოგიშვილი (თავმჯდომარე),
ნ. კვანტალიანი (მომხსენებელი),
ლ. ლაზარაშვილი

დავის საგანი: უძრავი ქონების საკუთრებაში გადაცემა

აღწერილობითი ნაწილი:

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2008 წლის 10 ოქტომბრის განჩინებით ქ. თბილისში, ... ქ.#26-ში მდებარე #1 კორპუსის ბინის მესაკუთრეთა ამხანაგობის საკასაციო საჩივარი დარჩა განუხილველი დაუშვებლობის გამო.

2008 წლის 26 ნოემბერს ქ. თბილისში, ... ქ.#26-ში მდებარე #1 კორპუსის ბინის მესაკუთრეთა ამხანაგობის წარმომადგენელმა ი. ღ-შვილმა განცხადებით მიმართა საკასაციო სასამართლოს, მოითხოვა ამავე წლის 10 ოქტომბრის განჩინების ბათილად ცნობა და საქმის წარმოების განახლება შემდეგი საფუძვლებით: საკასაციო სასამართლომ არასწორად არ გაიზიარა კასატორის მოთხოვნა, მოცემული საქმე განვიხილა სასამართლო სხდომაზე მხარეთა დასწრებით, არ აცნობა კასატორს ზეპირი მოსმენის გარეშე საქმის განხილვის შესახებ და აღნიშნულით დაარღვია საჯაროობის პრინციპი. ამხანაგობამ სარჩელი აღძრა ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით, რა დროსაც მოპასუხეებად დაასახელა თბილისის მერიის სამსახურები, თბილისის სახელმწიფო ქონების აღრიცხვისა და პრივატიზების სამმართველოს მოხელეები. არსებული სასამართლო პრაქტიკის მიხედვით, მსგავსი ტიპის დავებს განიხილავს ადმინისტრაციული სასამართლო ზოგადი ადმინისტრაციული და ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსების საფუძველზე, მოცემულ შემთხვევაში კი საქმე უკანონოდ განხილულ იქნა სამოქალაქო სამართალწარმოების წესით. სააპელაციო და საკასაციო სასამართლოებმა ზერელედ შეაფასეს და დაამხინჯეს საქმის ფაქტობრივი გარემოებანი, როდესაც აღნიშნეს, რომ 1972 წლიდან 2004 წლამდე სადავო სარდაფებს ფლობდა სხვადასხვა სახელმწიფო დაწესებულება, თუმცა საქმეში არ იქნა წარმოდგენილი რაიმე მტკიცებულება, რომლის საფუძველზეც ისინი სადავო ფართს იკავებდნენ. სადავო ურთიერთობაზე ვერ გავრცელდება სამოქალაქო კოდექსის 156-ე და 158-ე მუხლები, ვინაიდან ზემოხსენებულ სახელმწიფო ორგანიზაციებს სადავო ფართზე მფლობელობა შეუწყდათ, ამასთან, მათი საკუთრების უფლება აღნიშნულ უძრავ ნივთზე საჯარო რეესტრის მონაცემებით არ დგინდებოდა. სახელმწიფოს საკუთრებად სადავო სარდაფი აღრიცხა 2004 წლის 27 ოქტომბერს თბილისის სახელმწიფო ქონების აღრიცხვისა და პრივატიზაციის სამმართველოს მოხელეების უკანონო ქმედებების შედეგად. სასამართლომ არასწორად განმარტა მოსარჩელის მიერ თავისი მოთხოვნის დასასაბუთებლად მითითებული დადგენილებები, როდესაც ჩათვალა, რომ მათი მეშვეობით, პრივატიზების გზით, ბინის მესაკუთრეებს უსასყიდლოდ გადაეცემოდათ მხოლოდ სამეურნეო დანიშნულების დამხმარე სათავსები, რომლებიც პრივატიზებამდე მათ სარგებლობაში იმყოფებოდა, ფაქტობრივად კი ზემოხსენებული დადგენილებებით მნიშვნელობა არ ჰქონდა, პირი ფლობდა თუ არა პრივატიზებამდე ფართს. სასამართლომ ყურადღება არ გაამახვილა იმ გარემოებაზე, თუ როგორ უნდა დაეკავებინათ მობინადრეებს სადავო სარდაფები, როდესაც ისინი ზემოხსენებული ორგანიზაციების უკანონო მფლობელობაში იმყოფებოდა. საკასაციო სასამართლომ არ გაითვალისწინა, რომ საკასაციო საჩივარი დასაშვები იყო სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 391-ე მუხლის მეხუთე ნაწილის "ა", "ბ" და "გ" ქვეპუნქტების შესაბამისად. სასამართლომ გვერდი აუარა სამოქალაქო კოდექსის 151-ე მუხლიდან გამომდინარე, მსგავსი ტიპის საქმეებზე არსებულ სასამართლო პრაქტიკას. საკასაციო სასამართლომ მიიჩნია რა, რომ სააპელაციო პალატას საქმის განხილვისას არსებითი ხასიათის საპროცესო დარღვევები არ დაუშვია, არ გაითვალისწინა, რომ სააპელაციო სასამართლომ არ შესთავაზა მხარეებს მორიგება, სიჩქარეში არ დანიშნა მხარეთა პაექრობა, რითაც დაარღვია სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 205-ე და 218-ე მუხლები. ფაქტობრივად კი, განმცხადებელს სურდა მორიგება.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო წარმოდგენილი განცხადების საფუძვლების შესწავლის შედეგად მიიჩნევს, რომ ქ. თბილისში, ... ქ.#26-ში მდებარე #1 კორპუსის ბინის მესაკუთრეთა ამხანაგობის განცხადება საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა

პალატის 2008 წლის 10 ოქტომბრის განჩინების ბათილად ცნობისა და საქმის წარმოების განახლების შესახებ არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგი საფუძვლებით: L

დაუსაბუთებელია განმცხადებლის მოსაზრება, რომ საკასაციო სასამართლომ ქ. თბილისში, ... ქ.#26-ში მდებარე #1 კორპუსის ბინის მესაკუთრეთა ამხანაგობის საკასაციო საჩივრის დასაშვებობა არასწორად განიხილა მხარეთა დასწრების გარეშე და ზეპირი მოსმენის გარეშე საქმის განხილვის შესახებ კასატორს არ აცნობა.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 408-ე მუხლის მესამე ნაწილის შესაბამისად, საკასაციო სასამართლოს შეუძლია გადაწყვეტილება გამოიტანოს საქმის ზეპირი მოსმენის გარეშე. სასამართლომ საქმის ზეპირი მოსმენის გარეშე განხილვის შესახებ წინასწარ უნდა აცნობოს მხარეებს. ამავ კოდექსის 401-ე მუხლის მესამე ნაწილის თანახმად, ამ კოდექსის 391-ე მუხლის საფუძველზე საკასაციო საჩივრის დასაშვებობას ამოწმებს სასამართლოს კოლეგიური შემადგენლობა. კოლეგია უფლებამოსილია, აღნიშნული საკითხი გადაწყვიტოს ზეპირი განხილვის გარეშე. დასახელებული კანონის დანაწესები საკასაციო სასამართლოს უფლებას ანიჭებს საქმე და, მათ შორის, საკასაციო საჩივრის დასაშვებობის საკითხი განიხილოს სასამართლო სხდომაზე მხარეთა დაუსწრებლად, ზეპირი მოსმენის გარეშე. საქმის მხარეთა დაუსწრებლად განხილვის თაობაზე სასამართლო ატყობინებს მხარეებს.

მოცემულ შემთხვევაში საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაცოტრების საქმეთა პალატის 2008 წლის 15 სექტემბრის განჩინებით ქ. თბილისში, ... ქ.#26-ში მდებარე #1 კორპუსის ბინის მესაკუთრეთა ამხანაგობის საკასაციო საჩივარი მიღებულ იქნა წარმოებაში დასაშვებობის შესამოწმებლად, ამასთან, მხარეს განემარტა, რომ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 391-ე მუხლის შესაბამისად, საკასაციო საჩივრის დასაშვებობის საკითხს საკასაციო სასამართლო განიხილავდა ზეპირი მოსმენის გარეშე. დასახელებული განჩინების ასლი მხარეებს გაეგზავნათ და ჩაბარდათ, რასაც კასატორი 2008 წლის 30 სექტემბრის განცხადებაში თავად ადასტურებს.

ამასთან, აღსანიშნავია, რომ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 422-ე მუხლი ადგენს რა კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების ბათილად ცნობის წანამდღვრებს, საქმის ზეპირი მოსმენის გარეშე განხილვისა და აღნიშნულის შესახებ მხარისათვის შეუტყობინებლობის მოტივით გადაწყვეტილების ბათილად ცნობის შესაძლებლობას არ ითვალისწინებს.

საკასაციო სასამართლო ვერ გაიზიარებს განმცხადებლის მოსაზრებას, რომ მოცემულ შემთხვევაში საქმე ადმინისტრაციული სამართალწარმოების ნაცვლად, არასწორად იქნა განხილული სამოქალაქო სამართალწარმოების წესით. აღნიშნული საქმე თავდაპირველად იხილებოდა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში, თუმცა საქალაქო სასამართლოს 2005 წლის 18 ივლისის განჩინებით იგი გადაეცა სამოქალაქო საქმეთა კოლეგიას.

რაც შეეხება განმცხადებლის მითითებას სააპელაციო და საკასაციო სასამართლოების მიერ მოცემული საქმის განხილვისას ფაქტობრივი გარემოებების არასწორად დადგენისა და მათი სამართლებრივად არასწორად შეფასების თაობაზე, საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 421-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით ან განჩინებით დამთავრებული საქმის წარმოების განახლება დასაშვებია მხოლოდ მაშინ, როდესაც არსებობს გადაწყვეტილების ბათილად ცნობის (422-ე მუხლი) ან ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლების შესახებ (423-ე მუხლი) განცხადების წანამდღვრები. დასახელებული ნორმიდან გამომდინარეობს, რომ ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების გაუქმება ან ბათილად ცნობა და საქმის წარმოების განახლება ამ გადაწყვეტილების გასაჩივრების მორიგ შესაძლებლობას არ წარმოადგენს, არამედ ზემოაღნიშნული საფუძველით საქმის წარმოების განახლებას კანონმდებელი უკავშირებს სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობით კონკრეტულად დადგენილი წინაპირობების არსებობას. ამდენად, კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებისა თუ განჩინების გასაჩივრება მისი იურიდიულად დაუსაბუთებლობის ან სამართლებრივად არასწორად გადაწყვეტის მოტივით დაუშვებელია.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 430-ე მუხლის მეორე ნაწილით და

და ა ა დ გ ი ნ ა :

ქ. თბილისში, ... ქ.#26-ში მდებარე #1 კორპუსის ბინის მესაკუთრეთა ამხანაგობის განცხადება საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაცოტრების საქმეთა პალატის 2008 წლის 10 ოქტომბრის განჩინების ბათილად ცნობისა და საქმის წარმოების განახლების შესახებ არ დაკმაყოფილდეს.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2008 წლის 10 ოქტომბრის განჩინება დარჩეს უცვლელად.
საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

6. წარმომადგენლის საქმიანობის შეზღუდვა სამოქალაქო პროცესში

განჩინება

#ას-591-929-07

6 თებერვალი, 2008 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატა
შემადგენლობა: მ. სულხანიშვილი (თავმჯდომარე),
რ. ნადირიანი (მომხსენებელი),
თ. თოდრია

დავის საგანი: სესხის დაბრუნება

აღწერილობითი ნაწილი:

2005 წლის 22 ნოემბერს ს. ჩ-შვილმა სარჩელით მიმართა ქუთაისის საქალაქო სასამართლოს მოპასუხე გ. კ-იას მიმართ და მოითხოვა მოპასუხისათვის 30000 აშშ დოლარის დაკისრება შემდეგი საფუძვლებით: მოსარჩელის განმარტებით, 2003 წლის 22 იანვარს სანოტარო წესით დამოწმებული ხელშეკრულების საფუძველზე, მოპასუხეს ასესხა 30000 აშშ დოლარი ორი წლის ვადით პროცენტის დაურიცხავად. მიუხედავად გ. კ-იას დაპირებისა, რომ იგი აღნიშნულ თანხას დანიშნულ ვადაზე ადრე გადაუხდიდა, იგი სესხის დაბრუნებას ვადის გასვლის შემდეგაც თავს არიდებს.

აღნიშნულიდან გამომდინარე, ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობის გამო, ს. ჩ-შვილმა მოითხოვა გ. კ-იასათვის მის სასარგებლოდ 30 000 აშშ დოლარის დაკისრება.

ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2006 წლის 20 ივლისის გადაწყვეტილებით ს. ჩ-შვილის სარჩელი დაკმაყოფილდა -გ. კ-იას მის სასარგებლოდ დაეკისრა 30 000 აშშ დოლარის გადახდა.

საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა მოპასუხე გ. კ-იამ, მოითხოვა მისი გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა.

აპელანტმა ასევე მოითხოვა 2003 წლის 22 ნოემბერს მას და მოსარჩელეს შორის დადებული სესხის ხელშეკრულების ბათილად ცნობა იმ საფუძველით, რომ მას ფული ჰქონდა ჩადებული ფირმა "საქ. ამერ კონტაქტში", მასთან ერთად აღნიშნულ ბიზნესში ჩართული პარტნიორებისაგან თანხა ერგებოდა ს. ჩ-შვილის მეუღლეს. ვინაიდან აღნიშნული თანხა მის პარტნიორებს არ გააჩნდათ და კრედიტორისგან პრობლემები ჰქონდათ, მას სთხოვეს, კრედიტორის მეუღლესთან გაეფორმებინა სესხის ხელშეკრულება, თანხას კი შემდგომში თავად გაისტუმრებდნენ ბიზნესიდან ამონაგები თანხით, რაც არ შეასრულეს, შესაბამისად, აპელანტმა მიიჩნია, რომ აღნიშნული ხელშეკრულება მოტყუებით იყო დადებული, რისთვისაც მოითხოვა მისი ბათილად ცნობა. სააპელაციო საჩივრის აღნიშნული მოთხოვნა სააპელაციო სასამართლოს სხდომაზე, ადგილზე მიღებული განჩინებით დაუშვებლად იქნა ცნობილი და დარჩა განუხილველად.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2006 წლის 27 დეკემბრის დაუსწრებელი გადაწყვეტილებით გ. კ-იას სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა, გაუქმდა საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება და ახალი გადაწყვეტილებით ს. ჩ-შვილის სარჩელი არ დაკმაყოფილდა. ამ გადაწყვეტილებაზე საჩივარი შეიტანა ს. ჩ-შვილის წარმომადგენელმა ზ. ფ-ქემ. 2007 წლის 7 მარტის განჩინებით სასამართლომ საჩივარი მიიღო წარმოებაში, ხოლო ამავე წლის 14 მარტის განჩინებით დაკმაყოფილდა საჩივარი, გაუქმდა დაუსწრებელი გადაწყვეტილება და აღინიშნა საქმის არსებითი განხილვა.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2007 წლის 30 მაისის განჩინებით გ. კ-იას სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა.

სააპელაციო სასამართლომ გაიზიარა პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები, კერძოდ, 2003 წლის 22 იანვარს, სანოტარო წესით დამოწმებული სესხის ხელშეკრულებით, ს. ჩ-შვილმა ორი წლის ვადით, პროცენტის დაურიცხავად, გ. კ-იას ასესხა 30 000 აშშ დოლარი, რაც გ. კ-იას არ დაუბრუნებია.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს მითითებული განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრა მოპა-სუხე გ. კ-იამ, მოითხოვა მისი გაუქმება და საქმის ხელახლა განსახილველად დაბრუნება შემდეგი საფუძვლებით:

კასატორის განმარტებით, გასაჩივრებული განჩინება დაუსაბუთებელია და გამოტანილია მნიშ-ვნელოვანი საპროცესო დარღვევებით, კერძოდ, ს. ჩ-შვილის წარმომადგენელ ზ. ფ-ძის მონაწი-ლეობა საქმეში იყო უკანონო და არ პასუხობდა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 440-ე მუხლის მოთხოვნებს, ამასთან, მისი და მეორე ადვოკატის -ნ. კ-ავას მინდობილობებიც არ იყო ლეგალი-ზებული. გარდა ამისა, კასატორი მიიჩნევს, რომ განჩინება გამოტანილია სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 105-ე მუხლის მე-2 ნაწილის მოთხოვნათა უგულვებელყოფით, კერძოდ, სასამართლომ არ გაითვალისწინა 2006 წლის 27 დეკემბერს მიღებული დაუსწრებელი გადაწყვეტილების დასაბუ-თება.

კასატორი ასევე მოითხოვს 2007 წლის 7 მარტისა და 14 მარტის განჩინებების გაუქმებას იმ საფუძვლით, რომ საჩივარი დაუსწრებელ გადაწყვეტილებაზე შეტანილი იყო არაუფლებამოსილი წარმომადგენლის მიერ.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ შეისწავლა საქმის მასალები, საკასაციო საჩივრის საფუძვლები და თვლის, რომ საკასაციო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 407-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, სააპელაციო სასა-მართლოს მიერ დამტკიცებულად ცნობილი ფაქტობრივი გარემოებები სავალდებულოა საკასაციო სასამართლოსათვის, თუ წამოყენებული არ არის დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზია (შედა-ვება). დასაშვებ და დასაბუთებულ პრეტენზიაში იგულისხმება მითითება იმ პროცესუალურ დარ-ღვევებზე, რომლებიც დაშვებული იყო სააპელაციო სასამართლოს მიერ საქმის განხილვის დროს, რამაც განაპირობა ფაქტობრივი გარემოებების არასწორად შეფასება და ამის შედეგად სამარ-თლებრივ-მატერიალური ნორმის არასწორად გამოყენება ან განმარტება.

სააპელაციო პალატის გადაწყვეტილებით დადგენილია, რომ 2003 წლის 22 იანვარს, სანოტარო წესით დამოწმებული სესხის ხელშეკრულებით ს. ჩ-შვილმა, ორი წლის ვადით, პროცენტის დაუ-რიცხავად, გ. კ-იას ასესხა 30 000 აშშ დოლარი, რაც გ. კ-იას არ დაუბრუნებია. აღნიშნული ფაქტობრივი გარემოებების მიმართ კასატორის მიერ არ არის წამოყენებული დასაშვები და დასაბუ-თებული საკასაციო პრეტენზია. კასატორი ვერ მიუთითებს ისეთ პროცესუალურ დარღვევებზე, რამაც განაპირობა არასწორი ფაქტობრივი გარემოებების დადგენა და, შესაბამისად, არასწორი შე-ფასება.

არასწორია კასატორის მტკიცება იმის თაობაზე, რომ ს. ჩ-შვილის წარმომადგენლის -ზ. ფ-ძის მონაწილეობა საქმეში არის უკანონო და არ პასუხობს სსკ-ის 440-ე მუხლის მოთხოვნებს.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 440-ე მუხლის თანახმად, პირებს, რომლებსაც არ გაუვლიათ ადვოკატთა ტესტირება და არ არიან გაწვევრიანებული საქართველოს ადვოკატთა ასოციაციაში, ეკ-რძალებათ წარმომადგენლის უფლებამოსილების განხორციელება სააპელაციო და საკასაციო ინ-სტანციის სასამართლოებში.

ზ. ფ-ძის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტებით დასტურდება, რომ ზ. ფ-ძემ 2006 წლის 23 მაისს ჩააბარა ადვოკატთა ტესტირება საერთო სპეციალიზაციით, რეგისტრაციის #03-759, ასევე გაწვევრიანებულია საქართველოს ადვოკატთა ასოციაციაში, მოწმობის #1383.

საკასაციო სასამართლო ასევე არ იზიარებს კასატორის მოსაზრებას იმასთან დაკავშირებით, რომ ს. ჩ-შვილის მიერ ზ. ფ-ძისა და ნ.კ-ავის სახელზე გაცემული მინდობილობები არ იყო ლეგა-ლიზებული, შესაბამისად, მათი მონაწილეობა საქმეში იყო უკანონო.

1993 წლის 22 იანვარს ქ. მინსკში მიღებული სამოქალაქო, საოჯახო და სისხლის სამართლის საქმეებზე სამართლებრივი დახმარებისა და სამართლებრივ ურთიერთობათა შესახებ კონვენციის მე-13 მუხლის თანახმად, დოკუმენტები, რომელიც მომზადებული ან დადასტურებულია ერთ-ერთი ხელშემკვერელი მხარის ტერიტორიაზე დაწესებულების ან სპეციალურად ამისათვის უფლებამოსილი პირის მიერ მათი კომპეტენციის ფარგლებში დადგენილი ფორმით და დადასტურებულია გერბიანი ბეჭდით, სხვა ხელშემკვერელი მხარეების ტერიტორიაზე მიიღება რაიმე სპეციალური დამოწმების გარეშე.

ამდენად, დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის (დსთ-ს) წევრი სახელმწიფოების ტერიტორიაზე გაცემული მინდობილობები სხვა ხელშემკვერელი მხარეების ტერიტორიაზე მიიღება ლეგალიზაციის გარეშე.

არასწორია კასატორის მოსაზრება იმის შესახებ, რომ სასამართლომ, 105-ე მუხლის შესაბამი-სად, არ შეაფასა მტკიცებულებები, კერძოდ, არ გაითვალისწინა ამ საქმეზე 2006 წლის 27 დე-კემბერს მიღებული დაუსწრებელი გადაწყვეტილების დასაბუთება. საკასაციო სასამართლო გან-

მარტავს, რომ დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის დროს სასამართლო არ აფასებს საქმეში არსებულ მტკიცებულებებს, მას გამოაქვს დაუსწრებელი გადაწყვეტილება მხარის გამოუცხადებლობის გამო და არა საქმის მასალების მიხედვით. ამასთან, დადგენილია, რომ სადავო დაუსწრებელი გადაწყვეტილება გაუქმებულია, შესაბამისად, გაუქმებული გადაწყვეტილების დასაბუთება ვერ დაედებოდა საფუძვლად გასაჩივრებულ გადაწყვეტილებას.

ამდენად, გასაჩივრებულ განჩინებას საფუძვლად არ უდევს კანონის დარღვევა, შესაბამისად, არ არსებობს მისი გაუქმების საფუძველი.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 410-ე მუხლით და

და ა ა დ გ ი ნ ა :

გ. კ-იას საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;
უცვლელად დარჩეს ამ საქმეზე ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2007 წლის 7 მარტის, 14 მარტისა 30 მაისის განჩინებები;
საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

7. არბიტრაჟი

კერძო არბიტრაჟის გადაწყვეტილების გასაჩივრება

განჩინება

#ას-969-1270-07

13 ივნისი, 2008 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკორტების საქმეთა პალატა

შემადგენლობა: მ. სულხანიშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),

რ. ნადირიანი,

თ. თოდრია

დავის საგანი: ქუთაისის მუდმივმოქმედი კერძო არბიტრაჟის 2001 წლის 14 დეკემბრის #1/227 გადაწყვეტილების ბათილად ცნობა

აღწერილობითი ნაწილი:

ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2007 წლის 20 მარტს სარჩელით მიმართა ნ. ხ-ძემ მოპასუხე ქუთაისის კერძო არბიტრაჟის გ. ფ-შვილის მიმართ და მოითხოვა კერძო არბიტრაჟის მიერ მიღებული გადაწყვეტილების ბათილად ცნობა. მოსარჩელის განმარტებით ოცდარვა წელი მუშაობდა ზეინდრის სამომხმარებლო საზოგადოების ბალანსზე რიცხულ სასურსათო მაღაზიაში გამყიდველად და წარმოადგენდა აღნიშნული მაღაზიის მეპაიეს. 2000 წლის 24 იანვარს პირადი განცხადების საფუძველზე გავიდა შვებულებაში, შვებულების პერიოდში გათავისუფლებულ იქნა სამსახურიდან. ზეინდრის სასურსათო მაღაზიაში გამგე გამყიდველად დაინიშნა გ. ა-შვილი.

მოსარჩელის განმარტებით ქ. ქუთაისის კერძო არბიტრმა გ. ფ-შვილმა 2006 წლის 14 დეკემბრის გადაწყვეტილებით დააკმაყოფილა გ. ა-შვილის მოთხოვნა და განმცხადებლის სახელზე აღირიცხა ზეინდრის სოფლის მომხმარებელთა საზოგადოების ბალანსზე რიცხული სასურსათო მაღაზიის ნახევარი, განაშენიანების ფართი -93,80 კვ.მ, მიწის ნაკვეთის ფართი -120,60 კვ.მ.

ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2007 წლის 20 აპრილის განჩინებით ნ. ხ-ძის შუამდგომლობის საფუძველზე გ. ა-შვილი ჩაბმულ იქნა საქმეში მესამე პირად დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნის გარეშე.

ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2007 წლის 29 მაისის განჩინებით კი დაკმაყოფილდა ნ. ლ-შვილის შუამდგომლობა და არასათანადო მოპასუხე მუდმივმოქმედი კერძო არბიტრაჟის არბიტრი გ. ფ-შვილი შეიცვალა სათანადო მოპასუხეებით და საქმეში სათანადო მოპასუხეებად ჩაერთვნენ გ. ა-შვილი და ვანის რაიონის სოფელ ზეინდრის კოოპერატივის თავმჯდომარე მ. გ-ია. მუდმივმოქმედი კერძო არბიტრი -დამოუკიდებელი მოთხოვნის გარეშე -მესამე პირად.

ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2007 წლის 31 ივლისის გადაწყვეტილებით ნ. ხ-ძის სარჩელი დაკმაყოფილდა და გაუქმდა ქუთაისის მუდმივმოქმედი კერძო არბიტრაჟის 2006 წლის 14 დეკემბრის #1/227 გადაწყვეტილება.

აღნიშნული გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა გ. ა-შვილმა და მოითხოვა ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2007 წლის 31 ივლისის გადაწყვეტილების გაუქმება.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2007 წლის 23 ოქტომბრის გადაწყვეტილებით გ. ა-შვილის სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა - გაუქმდა ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2007 წლის 31 ივლისის გადაწყვეტილება და ახალი გადაწყვეტილებით ნ. ხ-ძის სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

სააპელაციო სასამართლომ გაიზიარა აპელანტის მოსაზრება იმის თაობაზე, რომ ნ. ხ-ძე არ იყო საარბიტრაჟო სასამართლოს გადაწყვეტილების გასაჩივრების უფლებამოსილების მქონე პირი.

საქმის მასალებით დადგენილია და მხარეებს სადავო არ გაუხდიათ ის ფაქტობრივ გარემოება, რომ საარბიტრაჟო შეთანხმება გ. ა-შვილს და ზეინდრის ფოთის კოოპერატივის თავმჯდომარეს მ. გ-იას შორის დაიდო.

საქმის მასალებით დადგენილია, ისიც რომ ქ. ქუთაისის მუდმივმოქმედი კერძო არბიტრაჟის 2006 წლის 14 დეკემბრის გადაწყვეტილებით მხარეს წარმოადგენდა გ. ა-შვილი, რომლის სახელზეც აღირიცხა ზეინდრის სოფლის მომხმარებელთა საზოგადოების ბალანსზე რიცხული მაღაზიის ნახევარი.

დადგენილია, რომ ნ. ხ-ძე 1993 წლიდან იყო ზეინტრის ს/მ საზოგადოების მეპაიე და 2000 წლის 24 იანვრამდე გამგე გამყიდველად მუშაობდა სადავო სასურსათო მაღაზიაში.

პალატამ განმარტა, რომ უპირატესი შესყიდვის უფლებას საქართველოს სამოქალაქო კანონმდებლობა არ იცნობდა და არც მხარეს მიუთითებია ამ უფლების მიმნიჭებელ რაიმე სამართლებრივ ნორმაზე.

ის ფაქტი, რომ ნ. ხ-ძე იყო საზოგადოების მეპაიე (დანარჩენ 200 მეპაიესთან ერთად) და რამდენიმე წლის წინ მუშაობდა სადავო სასურსათო მაღაზიაში, პალატის მოსაზრებით არ შეიძლება განხილული ყოფილიყო მისი, როგორც გადაწყვეტილების გასაჩივრების უფლების მქონე სუბიექტის განმსაზღვრელ ფაქტორად, რადგან სადავო გადაწყვეტილებას არ შეუღახავს მისი უფლებები და კანონით დაცული ინტერესები.

აღნიშნული გადაწყვეტილება საკასაციო წესით გაასაჩივრა ნ. ხ-ძემ.

კასატორის აზრით საქმეში არსებული მასალებით ნათლად ჩანდა, რომ კერძო არბიტრაჟის არბიტრი გ. ფ-შვილმა 2006 წლის 14 დეკემბერს განიხილა არა დავა მხარეებს შორის არამედ ფიზიკური პირის გ. ა-შვილის განცხადება (ქონების საკუთრებად ცნობის შესახებ) რაც ფაქტობრივად წარმოადგენდა უდავო წარმოების წესით იურიდიული მნიშვნელობის მქონე ფაქტის დადგენას, რომლის დადგენა, კერძო არბიტრაჟის შესახებ საქართველოს კანონის თანახმად, არბიტრაჟის უფლებაში არ შედიოდა. ის ფაქტი რომ 2006 წლის 14 დეკემბერს არბიტრმა განიხილა განცხადება და არა შეთანხმება მხარეებს შორის დადასტურებულია თვითონ გასაჩივრებული არბიტრაჟის საქმე #1/227 გადაწყვეტილებაში, რომელიც არბიტრაჟის არბიტრ გ. ფ-შვილის მიერ იყო შედგენილი.

კასატორის განმარტებით არც საარბიტრაჟო საქმეში და არც სააპელაციო სასამართლოში საქმის განხილვის დროს გ. ა-შვილის მიერ არ ყოფილა წარდგენილი შენობა-ნაგებობის და მიწის ნაკვეთის შესყიდვის დამადასტურებელი დოკუმენტი - უარესიც არ არსებობდა საარბიტრაჟო შეთანხმება.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, კასატორმა მოითხოვა ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2007 წლის 23 ოქტომბრის გადაწყვეტილების გაუქმება და საქმეზე ახალი გადაწყვეტილების მიღება.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ განიხილა საქმის მასალები, გაეცნო საკასაციო საჩივრის საფუძვლებს და თვლის, რომ საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ შემდეგ გარემოებათა გამო:

სააპელაციო პალატამ ნ. ხ-ძე არ მიიჩნია საარბიტრაჟო სასამართლოს გადაწყვეტილების გასაჩივრებაზე უფლებამოსილ პირად. სასამართლოს განმარტებით, „კერძო არბიტრაჟის შესახებ“ საქართველოს კანონის 43-ე მუხლის დეფინიცია იძლევა განვრცობის საშუალებას და კერძო არბიტრაჟის გადაწყვეტილების გასაჩივრების უფლების მქონე სუბიექტად უნდა იქნეს მიჩნეული არამარტო მხარეები, არამედ -ის დაინტერესებული პირებიც, რომელთა უფლებაც ხელყოფილია გასაჩივრებული გადაწყვეტილებით. ნ. ხ-ძე კი სასამართლოს მიერ არ იქნა მიჩნეული ასეთ პირად. სასამართლომ არც მისი მეპაიობა და არც ამ ობიექტში მისი ხანგრძლივი მუშაობა არ ჩათვალა ასეთი ინტერესის არსებობის დადასტურებად, რასაც საკასაციო პალატა ვერ გაიზიარებს. სასამართლოს არ მიუთითებია ის მიზეზები (სამართლებრივი საფუძვლები), რომელთა არსებობაც დააბრკოლებდა ნ. ხ-ძის მიერ აღნიშნული ფართის შესყიდვის ფაქტს. იმ შემთხვევაში, თუ გ. ა-შვილს არ იქნებოდა პრეტენზია სადავო ფართზე, ნ. ხ-ძეს ისევე, როგორც სხვა ნებისმიერ დაინტერესებულ პირს უფლება ექნებოდა შეესყიდა მაღაზია. ამდენად სააპელაციო სასამართლოს მიერ მითითებული მოსაზრებით მხარის მოთხოვნის უგულვებლყოფა დაუშვებელია.

საქმეში არსებული მასალების გათვალისწინებით, კერძოდ კი იმ გარემოებების არსებობისას, როდესაც უძრავი ქონების გასხვისებაზე არ დადებულია ნასყიდობის ხელშეკრულება, ხოლო კერძო არბიტრაჟმა საარბიტრაჟო შეთანხმების დადების დღესვე უდავო წესით განიხილა გ. ა-შვილის განცხადება, სასამართლო ვალდებულია იმსჯელოს ასეთი გადაწყვეტილების კანონიერებაზე.

პალატა მიიჩნევს, რომ სააპელაციო სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება უნდა გაუქმდეს და საქმის ხელახალი განხილვის დროს სამართლებრივი შეფასება უნდა მიეცეს ქუთაისის მუდმივმოქმედი კერძო არბიტრაჟის 2006 წლის 14 დეკემბრის გადაწყვეტილებას.

სარეზოლუციო ნაწილი:

პალატამ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 412-ე მუხლით და

და ა ა დ გ ი ნ ა :

ნ. ხ-ძის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ;
გაუქმდეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2007 წლის 23 ოქტომბრის გადაწყვეტილება და საქმე ხელახალი განხილვისათვის დაუბრუნდეს იმავე პალატას; განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

საარბიტრაჟო შეთანხმება

გადაწყვეტილება საქართველოს სახელით

#ას-176-503-09

30 ივნისი, 2009 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატა

შემადგენლობა: მ. გოგიშვილი (თავმჯდომარე),

ნ. კვანტალიანი (მომხსენებელი),

ლ. ლაზარაშვილი

დავის საგანი: საარბიტრაჟო შეთანხმების არარსებობის აღიარება

აღწერილობითი ნაწილი:

შპს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა“ სარჩელი აღძრა სასამართლოში სს „თელასისა“ და შპს „კომერციული დავების საარბიტრაჟო პალატის“ მიმართ და მოითხოვა 2003 წლის 20 მაისის #05-2003 ხელშეკრულებიდან გამომდინარე, სს „თელასსა“ და შპს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემას“ შორის საარბიტრაჟო შეთანხმების არარსებობის დადგენა შემდეგი საფუძვლებით: 2003 წლის 20 მაისს საერთაშორისო კომპანია „ჭინგვილდ ინტერნაციონალ ლიმიტედ-ს“, შპს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემასა“ და კავშირ „საქართველოს ელექტროენერჯის საბითუმო ბაზარს“ შორის დაიდო #05-2003 ხელშეკრულება. ამ ხელშეკრულებით „საქართველოს ელექტროენერჯის საბითუმო ბაზარს“ უნდა უზრუნველყო რუსეთიდან საქართველოს ელექტროსისტემაში 2002 წლის აპრილში მოწოდებული ელექტროენერჯის უკან დაბრუნება, ხოლო შპს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემას“ ევალუბოდა აღნიშნული ელექტროენერჯის დაბრუნების ტექნიკური უზრუნველყოფა. ამ ხელშეკრულების მე-4 მუხლის ბოლო პუნქტის თანახმად, თუ დავები ხელშეკრულების მხარეებს შორის „ვერ გადაწყდება ურთიერთშეთანხმების გზით, ისინი გადაიჭრება სასამართლო წესით საქართველოს საარბიტრაჟო სასამართლოს მიერ“. აღნიშნული ხელშეკრულებით შპს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემას“ არ ეკისრებოდა რაიმე სახის ფინანსური ვალდებულება, თუმცა საერთაშორისო კომპანია „ჭინგვილდ ინტერნაციონალ ლიმიტედ“ არაერთგზის, სხვადასხვა დროს მოითხოვდა შპს „საქართველოს ელექტროენერჯის საბითუმო ბაზრისაგან“ ელექტროენერჯის დაბრუნებას და დაუბრუნებელი ელექტროენერჯის ღირებულების -1 048 668,49 აშშ დოლარის გადახდას. შპს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემას“ ასეთი ფინანსური ვალდებულება აღიარებული არა აქვს. 2005 წლის 10 ოქტომბერს საერთაშორისო კომპანია „ჭინგვილდ ინტერნაციონალ ლიმიტედ-სა“ და სს „თელასს“ შორის გაფორმდა მოთხოვნის უფლების დათმობის ხელშეკრულება, რომლის მე-2 პუნქტის თანახმად, „მოთხოვნის მფლობელი უთმობს, ხოლო შემძენი (სს „თელასი“) იძენს საკუთრების უფლებას მოთხოვნის მფლობელის დებიტორულ დავალიანებაზე, რომელიც წარმოშობილია 2003 წლის 20 მაისს გაფორმებული #05-2003 ხელშეკრულების თანახმად და რომელიც შეადგენს 42802792 კილოვატსაათ ელექტროენერჯის, შესაბამისად, 1048668,40 აშშ დოლარს“. აღსანიშნავია, რომ

მოთხოვნის უფლების დათმობის ხელშეკრულება არ უთითებს საერთაშორისო კომპანია „ჭინგვილდ ინტერნაციონალ ლიმიტედ-ის“ დებიტორზე, რომლის წინააღმდეგაც იქნა მოთხოვნის უფლება დათმობილი. აღნიშნული დათმობით, სავარაუდოდ, დებიტორად შეიძლება მიჩნეულ იქნეს შპს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა“, ასოციაცია „საქართველოს ელექტროენერჯის საბითუმო ბაზარი“ ან რომელიმე სხვა პირი. ამდენად, აღნიშნული მოთხოვნის უფლების დათმობის შესახებ ხელშეკრულებით მოსარჩელის მიმართ რაიმე მოთხოვნის უფლება სს „თელასისათვის“ არ დაუთმიათ. 2006 წლის 3 თებერვალს სს „თელასმა“ მიმართა საარბიტრაჟო პალატას შპს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემის“ წინააღმდეგ, რომელმაც 2006 წლის 3 თებერვლის გადაწყვეტილებით უკანონოდ მიიღო წარმოებაში საარბიტრაჟო პრეტენზია, ვინაიდან „კერძო არბიტრაჟის შესახებ“ საქართველოს კანონის პირველი და მეორე მუხლების შესაბამისად, მხარეთა შორის საარბიტრაჟო შეთანხმება არ გაფორმებულა. 2003 წლის 20 მაისის #05-2003 ხელშეკრულების მე-4 მუხლის ბოლო პუნქტით განსაზღვრული იყო დავების სასამართლო წესით საქართველოს საარბიტრაჟო სასამართლოს მიერ განხილვის პირობა, რაც ნიშნავს დავის სასამართლო წესით და არა კერძო საარბიტრაჟო წარმოებით განხილვას, ვინაიდან სადავო ჩანაწერით დავების განხილვის უფლებით აღიჭურვა „საქართველოს საარბიტრაჟო სასამართლო“, ასეთი სახელმწიფო ინსტიტუტი დღეისათვის აღარ არსებობს, მხარეთა შორის დავის განმხილველ ორგანოდ კი მიჩნეულ უნდა იქნეს საქართველოს საერთო სასამართლოები.

მოპასუხეებმა სარჩელი არ ცნეს შემდეგი დასაბუთებით: საერთაშორისო კომპანია „ჭინგვილდ ინტერნაციონალ ლიმიტედ-ს“ შპს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემას“ და „საქართველოს ელექტროენერჯის საბითუმო ბაზარს“ შორის გაფორმებული #05-2003 ხელშეკრულების 4.5 პუნქტით მხარეებმა განსაზღვრეს, რომ დავის წარმოშობის შემთხვევაში ის უნდა გადაწყვეტილიყო „საქართველოს საარბიტრაჟო სასამართლოს მიერ“, რითაც მხარეებმა გამოხატეს ნება, მათ შორის დავა გადაწყვეტილიყო კერძო არბიტრაჟის მიერ. სადავო ხელშეკრულებაში ასახულია „კერძო არბიტრაჟის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლით გათვალისწინებული ყველა რეკვიზიტი, ამდენად, სასარჩელო მოთხოვნა საფუძველს მოკლებულია.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2007 წლის 9 ნოემბრის გადაწყვეტილებით სარჩელი არ დაკმაყოფილდა, რაც სააპელაციო წესით გაასაჩივრა შპს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა“.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 25 ივნისის განჩინებით სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა, და გასაჩივრებული გადაწყვეტილება დარჩა უცვლელად შემდეგ გარემოებათა გამო: სააპელაციო სასამართლომ დაადგინა შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები: 2003 წლის 20 მაისს საერთაშორისო კომპანია „ჭინგვილდ ინტერნაციონალ ლიმიტედ-ს“, შპს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემას“ და ასოციაცია „საქართველოს ელექტროენერჯის საბითუმო ბაზარს“ შორის დაიდო #05-2003 ხელშეკრულება, რომელიც შეეხებოდა რუსეთის ენერჯოსისტემიდან მოწოდებული ელექტროენერჯის დაბრუნებას. აღნიშნული ხელშეკრულების 4.5 პუნქტის შესაბამისად, მხარეები შეთანხმდნენ მათ შორის წამოჭრილი სადავო საკითხების გადაწყვეტის წესზე, კერძოდ, დაადგინეს, რომ, თუ მხარეთა შორის წამოჭრილი „დავები ვერ გადაწყდება ურთიერთშეთანხმების გზით, ისინი გადაიჭრება სასამართლო წესით საქართველოს საარბიტრაჟო სასამართლოს მიერ“. 2005 წლის 10 ოქტომბერს საერთაშორისო კომპანია „ჭინგვილდ ინტერნაციონალ ლიმიტედ-ს“ და სს „თელასს“ შორის გაფორმდა მოთხოვნის უფლების დათმობის შესახებ ხელშეკრულება, რომლის პირველი და მეორე პუნქტების თანახმად, მოთხოვნის უფლების მფლობელი (საერთაშორისო კომპანია „ჭინგვილდ ინტერნაციონალ ლიმიტედ“) მოთხოვნის უფლების შემძენს (სს „თელასს“) უთმობს, საკუთრებაში გადასცემს საერთაშორისო კომპანია „ჭინგვილდ ინტერნაციონალ ლიმიტედ-ს“, შპს „საქართველოს ელექტროსისტემას“ და კავშირ (ასოციაცია) „საქართველოს ელექტროენერჯის საბითუმო ბაზარს“ შორის 2003 წლის 20 მაისს გაფორმებული ხელშეკრულებიდან გამომდინარე საერთაშორისო კომპანია „ჭინგვილდ ინტერნაციონალ ლიმიტედ-ის“ მოთხოვნის უფლებას, რომელიც შეადგენს 1048668,49 აშშ დოლარის 42802792 კილოვატსაათ ელექტროენერჯიას. 2006 წლის 3 თებერვალს სს „თელასმა“ მიმართა საარბიტრაჟო პრეტენზიით შპს „კომერციული დავების საარბიტრაჟო პალატას“ და მოითხოვა, მოპასუხე შპს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემისათვის“ 2003 წლის 20 მაისის #05-2003 ხელშეკრულებიდან გამომდინარე, არსებული დავალიანების გადახდის დაკისრება. სს „თელასი“ აღნიშნული საარბიტრაჟო პრეტენზიის აღძვრისას მოქმედებდა, როგორც 2003 წლის 20 მაისის #05-2003 ხელშეკრულებიდან გამომდინარე, მოთხოვნის უფლების შემძენი. შპს „კომერციული დავების საარბიტრაჟო პალატის“ მიერ აღნიშნული საარბიტრაჟო პრეტენზია მიღებულ იქნა წარმოებაში და კერძო საარბიტრაჟო განხილვის შედეგად მუდმივმოქმედმა კერძო არბიტრაჟმა სამი არბიტრის შემადგენლობით 2006 წლის 20 მარტის გადაწყვეტილებით დააკმაყოფილა სს „თელასის“ საარბიტრაჟო პრეტენზია. სააპელაციო სასამართლომ სამოქალაქო კოდექსის 52-ე მუხლზე დაყრდნობით მიუთითა, რომ სარჩელში დავის

საგანს წარმოადგენს რა მხარეთა შორის საარბიტრაჟო შეთანხმების არარსებობის აღიარება, მნიშვნელოვანია, დადგინდეს 2003 წლის 20 მაისის ხელშეკრულების 4.5 პუნქტში მხარეთა მიერ გამოვლენილი ნების შინაარსი, რაც შესაძლებელია მისი განმარტების გზით. პალატამ არ გაიზიარა აპელანტის განმარტება დავის საერთო სასამართლო წესით განხილვაზე შეთანხმების შესახებ, ვინაიდან აღნიშნული მოსაზრება არ გამომდინარეობს ხელშეკრულების 4.5 პუნქტის შინაარსიდან. სასამართლომ მიაჩნია, რომ „საარბიტრაჟო სასამართლოს“ მიერ დავის გადაწყვეტის შესახებ შეთანხმება უნდა განიმარტოს, როგორც მხარეთა მიერ გამოვლენილი ნება საარბიტრაჟო შეთანხმების თაობაზე. „კერძო არბიტრაჟის შესახებ“ კანონის მე-2 მუხლის საფუძველზე, სააპელაციო პალატა ასევე არ დაეთანხმა აპელანტის განმარტებას, რომ, პირველი მუხლის შინაარსიდან გამომდინარე, მხარეთა შორის უნდა არსებობდეს შეთანხმება, თუ რომელ მუდმივმოქმედ კერძო არბიტრაჟს გადაეცემა დავა, ვინაიდან აღნიშნული კანონი დავის განმხილველ კონკრეტულ კერძო არბიტრაჟზე შეთანხმების ვალდებულებას არ ითვალისწინებს. ამდენად, სასამართლომ ჩათვალა, რომ სს „თელასი“, სამოქალაქო კოდექსის 198-ე, 199-ე მუხლების შესაბამისად, უფლებამოსილი იყო, სპეციალური წერილობითი შეთანხმების გარეშე, საარბიტრაჟო პრეტენზიით მიემართა შპს „კომერციული დავების საარბიტრაჟო პალატისათვის“. სააპელაციო პალატის მოსაზრებით, პირველი ინსტანციის სასამართლომ მოცემული დავის გადაწყვეტისას სწორად გამოიყენა სამოქალაქო კოდექსის 52-ე მუხლი და დაუსაბუთებელია აპელანტის მითითება ამავე კოდექსის 53-ე მუხლზე, ვინაიდან აღნიშნული ნორმა ითვალისწინებს ისეთ შემთხვევას, როდესაც ნების გამოვლენის განმარტების გზით შეუძლებელია დადგინდეს გარიგების შინაარსი.

სააპელაციო სასამართლოს განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრა შპს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემამ“, მოითხოვა მისი გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილება შემდეგი საფუძველებით: 2003 წლის 20 მაისის ხელშეკრულების მე-4 მუხლის ბოლო პუნქტი მიუთითებს იმაზე, რომ მხარეთა შორის არავითარი საარბიტრაჟო შეთანხმება, მით უმეტეს, რომელიმე მუდმივმოქმედ კერძო არბიტრაჟის მიერ დავის განხილვაზე არ არსებულა. პირიქით, დავები უნდა გადაჭრილიყო „სასამართლო წესით“ და არა საარბიტრაჟო განხილვის გზით, „საქართველოს საარბიტრაჟო სასამართლოს“ და არა კერძო არბიტრაჟის მიერ. ხელშეკრულებაში „საქართველოს საარბიტრაჟო სასამართლოსა“ და დავის სასამართლო წესით განხილვის მითითებით მხარეები შეთანხმდნენ არა მათ შორის წამოჭრილი დავის რომელიმე კერძო არბიტრაჟის მიერ განხილვა-გადაწყვეტაზე, არამედ საქართველოს, როგორც სახელმწიფოს სახელით, მოქმედი საარბიტრაჟო სასამართლოს მიერ დავის განხილვაზე. ვინაიდან ამჟამად საქართველოს საარბიტრაჟო სასამართლო აღარ არსებობს, ნებისმიერი დავა მხარეთა შორის უნდა გადაწყდეს საერთო სასამართლოს მიერ. მიუხედავად იმისა, რომ ხელშეკრულების ზემოაღნიშნული დებულებიდან მხარეთა შორის დავის წარმოქმნის მომენტში (2006 წლისთვის) ცალსახად არ დგინდებოდა, თუ რა ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმისა და განსჯადობის სასამართლოზე იყო დატეხილი ხელშეკრულებაში, ხელშეკრულების მითითებული ნორმის შინაარსი კი გამორიცხავდა მიმდინარე ეტაპისათვის მოქმედი კერძო არბიტრაჟის გამოყენების შესაძლებლობას, სადავო საკითხის შესაფასებლად სასამართლოს უნდა ეხელმძღვანელა სამოქალაქო კოდექსის 53-ე მუხლით. სასამართლომ არასრულყოფილად იმსჯელა მოსარჩელის განმარტებაზე, რომ სამმხრივი ხელშეკრულების რუსულენოვან დანაშში „საქართველოს საარბიტრაჟო სასამართლო“ აღნიშნულია დიდი ასოთი, რაც რუსული ენის გრამატიკის მიხედვით, სასამართლოს კონკრეტულ, ერთადერთ ბუნებაზე და არა ზოგად კატეგორიაზე მიუთითებს. საერთაშორისო კომპანია „ჭინგვილდ ინტერნაციონალ ლიმიტედ“, როგორც რუსეთის ენერგეტიკული კომპანიების გავლენის ქვეშ არსებული სუბიექტი სარგებლობს სახელშეკრულებო დებულებების სტანდარტული ჩარჩოებით, პრინციპებითა და ფორმულირებებით, მათ შორის დავების განმხილველ ინსტანციასთან დაკავშირებით. როგორც წესი, დღემდე ასეთ ინსტანციად, უმეტეს შემთხვევაში, სახელდება სახელმწიფო არბიტრაჟი ანუ სახელმწიფო საარბიტრაჟო სასამართლო, სახელმწიფო სამეურნეო სასამართლო ან რუსეთის სავაჭრო-სამრეწველო პალატასთან არსებული საერთაშორისო კომერციული არბიტრაჟი. სასამართლომ მიუთითა სამოქალაქო კოდექსის 52-ე მუხლზე, რომლის მიხედვით მხარეთა ნების წარმოადგენდა დავის სასამართლო წესით გადაჭრა, რაც გულისხმობს დავის არსებობის შემთხვევაში სადავო საკითხის საერთო სასამართლოების მიერ განხილვა-გადაწყვეტას. ნიშანდობლივია, რომ სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებით, ნების გამოვლენის განმარტებისას უნდა გაირკვეს ორივე მხარის ნამდვილი ნება, აიხსნას არა მარტო გაუგებარი ან ორაზროვანი სიტყვა-სიტყვითი ტექსტი, არამედ შეივსოს არასრული, ზოგჯერ კი -შესწორდეს გაუმართავი ტექსტიც. აღნიშნულის გათვალისწინებითაც სასამართლოს მხედველობის მიღმა რჩება კასატორის ნების გარკვევის საკითხი, ვინაიდან ამ უკანასკნელმა ხელშეკრულების ზემოხსენებული პუნქტი იმთავითვე სასამართლოში სადავო გახადა, არ ისარგებლა და არ ჩაერთო მოწინააღმდეგე მხარის მიერ საკუთარი ცალმხრივი შეხედულებით ინტერპრეტირებულ დავის გადაწყვეტის მექანიზმებში. სასამართლომ მხარის ნების თავისუფალი გამოხატვის ნაცვლად,

თავისი გადაწყვეტილებით კასატორის ნების შინაარსი იძულებით განსაზღვრა. არასრულყოფილია სასამართლოს მითითება „კერძო არბიტრაჟის შესახებ“ საქართველოს კანონის მხოლოდ მე-2 მუხლზე, რომელიც განსაზღვრავს, თუ რა შეიძლება აისახოს საარბიტრაჟო შეთანხმებაში. დასახელებული კანონის იმგვარი განმარტება, რომლის მიხედვითაც სამოქალაქო დავის გადაცემა დაიშვება მხოლოდ მხარეთა შორის ნათლად შეთანხმებული კონკრეტული მუდმივმოქმედი კერძო არბიტრაჟისთვის, არსებითი ხასიათის მატარებელია, მათ შორის, იმ მიზეზითაც, რომ თითოეულ კერძო არბიტრაჟს გააჩნია საკუთარი დებულება, საარბიტრაჟო განხილვის წესები, არბიტრთა სია, მოსაკრებლების სქემა და ასევე რეპუტაცია. ყველა ეს ფაქტორი, უდავოდ, მხედველობაშია მისაღები კონკრეტული მუდმივმოქმედი კერძო არბიტრაჟის შერჩევისა და შეთანხმებისას, შესაბამისად, არც ერთ მხარეს არ უნდა წაერთვას უფლება, შესაბამისი კრიტერიუმებით განახორციელოს არჩევანი.

სააპელაციო სასამართლომ დადგინდა ცნო და კასატორს სადავოდ არ გაუხდია შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები: 2003 წლის 20 მაისს საერთაშორისო კომპანია „ჭინგილდ ინტერნაციონალ ლიმიტედ-ს“, შპს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემას“ და ასოციაცია „საქართველოს ელექტროენერჯის საბითუმო ბაზარს“ შორის დაიდო #05-2003 ხელშეკრულება, რომელიც შეეხებოდა რუსეთის ენერჯისტიკიდან მოწოდებული ელექტროენერჯის დაბრუნებას. აღნიშნული ხელშეკრულების 4.5 პუნქტის შესაბამისად, მხარეები შეთანხმდნენ მათ შორის წამოჭრილი სადავო საკითხების გადაწყვეტის წესზე, კერძოდ, დაადგინეს, თუ მხარეთა შორის წამოჭრილი „დავები ვერ გადაწყდება ურთიერთშეთანხმების გზით, ისინი გადაიჭრება სასამართლო წესით საქართველოს საარბიტრაჟო სასამართლოს მიერ“. 2005 წლის 10 ოქტომბერს საერთაშორისო კომპანია „ჭინგილდ ინტერნაციონალ ლიმიტედ-ს“ და სს „თელასს“ შორის გაფორმდა მოთხოვნის უფლების დათმობის შესახებ ხელშეკრულება, რომლის პირველი და მეორე პუნქტების თანახმად, მოთხოვნის უფლების მფლობელი (საერთაშორისო კომპანია „ჭინგილდ ინტერნაციონალ ლიმიტედ“) მოთხოვნის უფლების შემქმნის (სს „თელასს“) უთმობს, საკუთრებაში გადასცემს საერთაშორისო კომპანია „ჭინგილდ ინტერნაციონალ ლიმიტედ-ს“, შპს „საქართველოს ელექტროსისტემას“ და კავშირ (ასოციაცია) „საქართველოს ელექტროენერჯის საბითუმო ბაზარს“ შორის 2003 წლის 20 მაისს გაფორმებული ხელშეკრულებიდან გამომდინარე საერთაშორისო კომპანია „ჭინგილდ ინტერნაციონალ ლიმიტედ-ის“ მოთხოვნის უფლებას, რომელიც შეადგენს 42802792 კილოვატსაათ ელექტროენერჯის, შესაბამისად, 1048668,49 აშშ დოლარს. სს „თელასმა“ მიმართა საარბიტრაჟო პრეტენზიით შპს „კომერციული დავების საარბიტრაჟო პალატას“ და მოითხოვა, მოპასუხე შპს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემისთვის“ 2003 წლის 20 მაისის #05-2003 ხელშეკრულებიდან გამომდინარე, არსებული დავალიანების გადახდის დაკისრება. შპს „კომერციული დავების საარბიტრაჟო პალატის“ მიერ აღნიშნული საარბიტრაჟო პრეტენზია მიღებულ იქნა წარმოებაში და კერძო საარბიტრაჟო განხილვის შედეგად მუდმივმოქმედმა კერძო არბიტრაჟმა სამი არბიტრის შემადგენლობით 2006 წლის 20 მარტის გადაწყვეტილებით დააკმაყოფილა სს „თელასის“ საარბიტრაჟო პრეტენზია.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საკასაციო საჩივრის საფუძვლების შესწავლისა და გასაჩივრებული განჩინების იურიდიული დასაბუთების შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ შპს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემის“ საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს, სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული განჩინება უნდა გაუქმდეს და შპს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემის“ სარჩელი დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 411-ე მუხლის თანახმად, საკასაციო სასამართლო თვითონ მიიღებს გადაწყვეტილებას საქმეზე, თუ არ არსებობს ამ კოდექსის 412-ე მუხლით გათვალისწინებული გადაწყვეტილების გაუქმებისა და საქმის სააპელაციო სასამართლოში ხელახლა განსახილველად დაბრუნების საფუძვლები.

„კერძო არბიტრაჟის შესახებ“ საქართველოს კანონის 43-ე მუხლის თანახმად, სასამართლო უფლებამოსილია, განიხილოს მხარის სარჩელი და შეცვალოს საარბიტრაჟო გადაწყვეტილება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ დარღვეულია არბიტრაჟის მიერ საქმის განხილვისა და გადაწყვეტის მხარეთა შეთანხმებით ან კანონით დადგენილი წესები.

საკასაციო სასამართლო თვლის, რომ სააპელაციო პალატამ მოცემულ დავაზე სწორად დაადგინა ფაქტობრივი გარემოებები, მაგრამ არასწორი სამართლებრივი შეფასება მისცა მათ, კერძოდ, სააპელაციო პალატამ გასაჩივრებული განჩინებით სამოქალაქო კოდექსის 52-ე მუხლის საფუძველზე განმარტა ხელშეკრულების 4.5 პუნქტი და დაასკვნა, რომ მხარეთა მიერ გამოვლენილ იქნა ნება საარბიტრაჟო წესით დავის განხილვაზე. სააპელაციო პალატამ ასევე დაასკვნა, რომ „კერძო არბიტრაჟის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის შესაბამისად, კონკრეტულ კერძო არბიტრაჟზე შეთანხმება სავალდებულო არ არის.

საკასაციო სასამართლო ეთანხმება სააპელაციო პალატის მითითებას, რომ "კერძო არბიტრაჟის შესახებ" საქართველოს კანონის მე-2 მუხლით ზუსტად არის რა განსაზღვრული, თუ რა უნდა აღნიშნოს საარბიტრაჟო შეთანხმებაში (მხარეთა დასახელება და მათი საცხოვრებელი ადგილი ან იურიდიული მისამართი; დავის საგანი; შეთანხმების დრო და ადგილი), არ არის მითითებული დავის განმხილველი კერძო არბიტრაჟის ზუსტი დასახელების აუცილებლობის თაობაზე, თუმცა აღნიშნული მუხლი ცალსახად არ განსაზღვრავს კანონის დამოკიდებულებას საარბიტრაჟო შეთანხმების შინაარსთან მიმართებით.

საარბიტრაჟო შეთანხმება ეს არის კერძო-სამართლებრივი შეთანხმება საპროცესო ურთიერთობების ფორმის არჩევის შესახებ. იგი შეიძლება გაფორმდეს როგორც დამოუკიდებლად, ასევე წარმოადგენდეს მხარეთა შორის დადებული სახელშეკრულებო ურთიერთობის ერთ-ერთ პირობას, თუმცა თავისი იურიდიული ბუნებით განსხვავდება ტიპური ხელშეკრულების პირობისაგან. საარბიტრაჟო შეთანხმება ნეიტრალური პირობაა, რომელიც ხელშეკრულების სხვა პირობებისაგან განსხვავებით, არც ერთ მხარეს რაიმე უპირატესობას ან სარგებელს არ ანიჭებს. მხარეები, ნამდვილი ნების გამოხატვის საფუძველზე ერთობლივად და თანასწორად წყვეტენ არსებულ თუ სამომავლოდ შესაძლო დავების გადაწყვეტის წესს. შესაბამისად, ორივე მხარეს თანაბარ პირობებში და თანაბარ საწყისებზე შეუძლია, მიიღოს გადაწყვეტილება დავის კერძო არბიტრაჟის მიერ განხილვის თაობაზე. ნებისმიერი შეთანხმება, რომლითაც მხარეებს სურთ მათ შორის არსებული დავის განხილვა არბიტრაჟის მიერ, შინაარსობრივად უნდა შეიცავდეს იმ მინიმუმს, რომელიც აუცილებელია საარბიტრაჟო შეთანხმებად მისი კვალიფიკაციისათვის, კერძოდ, საარბიტრაჟო შეთანხმებიდან არაორაზროვნად უნდა ირკვეოდეს მხარეთა სურვილი, მათ შორის არსებული სამართლებრივი ურთიერთობიდან წარმოშობილი დავა განსახილველად გადაეცეს არბიტრაჟს, და არა საერთო სასამართლოს. ამ შეთანხმებით ასევე ზუსტად უნდა დგინდებოდეს, თუ რომელ სამართლებრივ ურთიერთობასთან დაკავშირებული დავა უნდა განიხილოს არბიტრაჟმა და შესაძლებელი უნდა იყოს იმ არბიტრაჟის იდენტიფიცირება, რომელმაც უნდა განიხილოს დავა. საარბიტრაჟო შეთანხმება, გარდა ამ აუცილებელი პირობებისა, შესაძლებელია, შეიცავდეს სხვა ზოგადად არამირითად, დამატებით პირობებსაც, რაც მხარეთა ნებაზეა დამოკიდებული და იმ კონკრეტულ შემთხვევაში შესასრულებლად აუცილებელია.

საკასაციო სასამართლო ზემოაღნიშნულ დასკვნებს აფუძნებს შემდეგზე: სასამართლოსათვის მიმართვისა და სამართლებრივი დავის უფლება საქართველოს კონსტიტუციით უზრუნველყოფილი ძირითადი უფლებაა (კონსტიტუციის 42-ე მუხლის პირველი ნაწილით ყოველ ადამიანს უფლება აქვს თავისი უფლებათა და თავისუფლებათა დასაცავად მიმართოს სასამართლოს), რომელიც ასახულია საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსში (მეორე მუხლის პირველი ნაწილი). "კერძო არბიტრაჟის შესახებ" საქართველოს კანონის პირველი მუხლით, პირებს შორის წამოჭრილი სამოქალაქო დავა მათივე შეთანხმებით განსახილველად გადაეცემა მუდმივმოქმედ ან ამ დავისათვის საგანგებოდ შექმნილ დროებით კერძო არბიტრაჟს.

ზემოაღნიშნული ნორმების ანალიზი ცხადყოფს, რომ არბიტრაჟისათვის დავის განსახილველად გადაცემის შეთანხმების შინაარსი უნდა შეიცავდეს მხარეთა ნამდვილი ნების გამოხატვას კონკრეტული სამოქალაქო დავის კონკრეტული არბიტრაჟის მიერ საარბიტრაჟო წესით დავის განხილვის თაობაზე. როდესაც მხარეები თანხმდებიან, რომ დავა განიხილოს არბიტრაჟმა და არა სასამართლომ, ამავდროულად, გამოხატავენ თავიანთ ნებას, რომ თანახმა არიან მათ დავაზე გადაწყვეტილება მიღებულ იქნეს საარბიტრაჟო განხილვის წესით, რაც მნიშვნელოვნად განსხვავდება საერთო სასამართლოებში სამოქალაქო საქმის განხილვის წესისაგან (ასე მაგალითად, ამ უკანასკნელ შემთხვევაში კერძო სამართლის სუბიექტს, განსხვავებით საარბიტრაჟო განხილვისაგან, უფლება აქვს, თავისი ინტერესები დაიცვას სამი ინსტანციის სასამართლოში; განსხვავებით სასამართლოსგან, კერძო არბიტრი შეიძლება იყოს ნებისმიერი, იურიდიული განათლების არ მქონე პირი).

ამავდროულად, უდავოა, რომ კომერციული დავების გადასაწყვეტად საარბიტრაჟო შეთანხმების არსებობისას მხარეთა შორის დავის გადაწყვეტა ალტერნატიული გზით -საარბიტრაჟო სასამართლოს მეშვეობით ხორციელდება, რა დროსაც მხარეთა დარღვეული უფლებებისა და ინტერესების სრულყოფილი დაცვის იგივე გარანტია უნდა არსებობდეს, რაც საერთო სასამართლოებში მსგავსი დავების განხილვისას. სწორედ ეს მოსაზრება და ნდობა მუდმივმოქმედი თუ კონკრეტული კერძო არბიტრაჟისადმი უდევს საფუძვლად მხარეთა გადაწყვეტილებას, უფრო ხელსაყრელ დავის განმხილველ ორგანოდ არბიტრაჟის მიჩნევისას. შესაბამისად, პირთა ნება დავის ამგვარი წესით განხილვის თაობაზე ემყარება მათ ნდობას შერჩეული არბიტრაჟისადმი, რომელიც კანონის თანახმად, შეიძლება იყოს როგორც მუდმივმოქმედი, ასევე, ამ დავისათვის დროებით, საგანგებოდ ამ სამართლებრივი ურთიერთობისათვის შექმნილი. სწორედ ამიტომაც კანონი უფლებას აძლევს მხარეებს,

გამოხატონ ნება და გადაწყვიტონ არბიტრაჟის წევრთა რაოდენობა და მათი დანიშვნის წესი („კერძო არბიტრაჟის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-9 მუხლი).

ამდენად, განსახილველ შემთხვევაში 2003 წლის 20 მაისს საერთაშორისო კომპანია „ჭინგვილდ ინტერნაციონალ ლიმიტედ-ს“, შპს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემასა“ და ასოციაცია „საქართველოს ელექტროენერჯის საბითუმო ბაზარს“ შორის დადებული #05-2003 ხელშეკრულების 4.5 პუნქტით მხარეთა შეთანხმება, რომ „თუ აღნიშნული დავები ვერ გადაწყდება ურთიერთშეთანხმების გზით, ისინი გადაიჭრება სასამართლო წესით საქართველოს საარბიტრაჟო სასამართლოს მიერ“, დავის საარბიტრაჟო წესით განხილვაზე მხარეთა ნების უტყუარად მიჩნევის საფუძველს არ იძლევა. სასამართლოს ეს მოსაზრება ემყარება გადაწყვეტილების კვლევით ნაწილში მითითებულ დასკვნას, რომ კონკრეტულ არბიტრაჟზე მითითება საარბიტრაჟო შეთანხმების აუცილებელ პირობას წარმოადგენს. მოცემულ შემთხვევაში მხარეები ხელშეკრულების სადავო პუნქტით კონკრეტულ მუდმივმოქმედ ან კერძო არბიტრაჟზე არ შეთანხმებულან. არბიტრაჟის უფლებამოსილებას საეჭვოს და ნაკლებ სავარაუდოს ხდის ხელშეკრულების იმავე პუნქტში მითითებული დავების სასამართლო და არა საარბიტრაჟო წესით განხილვაზე დათქმა. მითითებული გარემოებები საკმარის საფუძველს წარმოადგენს დასკვნისათვის, რომ მოდავე მხარეთა შორის გაფორმებული ხელშეკრულებით არსებულ ან წარმოშობილ დავებზე საარბიტრაჟო შეთანხმება არ მიღწეულა.

ამავდროულად საკასაციო სასამართლო იზიარებს კასატორის მოსაზრებას სააპელაციო პალატის მიერ სამოქალაქო კოდექსის 52-ე მუხლის არასწორად გამოყენების თაობაზე, კერძოდ, აღნიშნული ნორმით ნების გამოლენის განმარტებისას ნება უნდა დადგინდეს გონივრული განსჯის შედეგად და არა მარტოდენ გამოთქმის სიტყვა-სიტყვითი აზრიდან. როგორც ზემოთ აღინიშნა, საარბიტრაჟო შეთანხმებას საფუძველად უდევს მხარეთა ნამდვილი ნება, რაც ზოგ შემთხვევაში შესაძლებელია, განმარტებას საჭიროებდეს. კანონის ზემოთ მითითებული ნორმით გათვალისწინებული ნების გონივრული განსჯით განმარტება გულისხმობს კერძო-სამართლებრივი ურთიერთობის სუბიექტების მიერ გამოვლენილ ნებასთან მიმართებით ყველა ფაქტორის გამოკვლევასა და ურთიერთშეჯერებას. მოცემულ შემთხვევაში საკასაციო სასამართლო ყურადსაღებ გარემოებად მიიჩნევს იმ ფაქტს, რომ საქართველოს საარბიტრაჟო სასამართლო ისტორიულად, როგორც სახელმწიფო ინსტიტუტი არსებობდა (თუმცა 2003 წლის 20 მაისისათვის –სადავო ხელშეკრულების დადების დროისათვის საქართველოს საარბიტრაჟო სასამართლო უკვე გაუქმებული იყო). ასევე საგულისხმოა ის გარემოებაც, რომ ზემოაღნიშნული ხელშეკრულება შედგენილია რუსულ ენაზე, რაც არ გამორიცხავს კასატორის ვარაუდს, რომ ერთ-ერთი მხარის –საერთაშორისო კომპანია „ჭინგვილდ ინტერნაციონალ ლიმიტედ-ი“ წარმოადგენს რუსულ კომპანიას, ხოლო რუსეთში დღემდე მოქმედებს სპეციალიზებული სახელმწიფო საარბიტრაჟო სასამართლო. თუმცა აქვე საკასაციო სასამართლო ხაზგასმით აღნიშნავს, რომ ეს გარემოებები მხოლოდ გარკვეულ საფუძველებს ქმნიან მხარეთა ნების გამორკვევაში და საკასაციო სასამართლოს მიერ მიღებული წინამდებარე გადაწყვეტილება ერთმნიშვნელოვანდ ეყრდნობა დასკვნას, საარბიტრაჟო შეთანხმების აუცილებელ პირობათა ზუსტად განსაზღვრის აუცილებლობის თაობაზე.

ამასთან, საკასაციო სასამართლოს ზემოაღნიშნული დასკვნა ემყარება როგორც ეროვნული კანონმდებლობის დანაწესთა ურთიერთშეჯერებასა და განმარტებას, ასევე, გაეროს საერთაშორისო სავაჭრო სამართლის კომისიის (იუნსიტრალის) მიერ შემუშავებულ მოდელურ კანონს „საერთაშორისო სავაჭრო არბიტრაჟის შესახებ“ (1985 წლის 21 ივნისი), რომელიც მსოფლიოს ყველა რეგიონში ყველა სამართლებრივი სისტემის მიერ მათ აღიარებაზეა გათვალისწინებული. სანიმუშო კანონის შესაბამისად, დავის საარბიტრაჟო წესით განხილვისას პრიორიტეტული მნიშვნელობა ენიჭება თვით მხარეთა ნებას, დავის საარბიტრაჟო წესით განხილვის თაობაზე, კერძოდ, მოდელური კანონის 7.1 მუხლის თანახმად, „საარბიტრაჟო შეთანხმება“ –ეს არის მხარეთა შეთანხმება ყველა ან ზოგიერთი ისეთი დავის არბიტრაჟისათვის გადაცემის შესახებ, რომელიც წარმოიშვა ან მომავალში წარმოიშვება მათ შორის რომელიმე სამართლებრივ ურთიერთობასთან დაკავშირებით დამოუკიდებლად იმისა, ხელშეკრულებითი ხასიათისაა ეს ურთიერთობა თუ არა.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 411-ე მუხლით და

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა :

შპს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემის“ საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს.

გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 25 ივნისის განჩინება.

შპს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემის“ სარჩელი დაკმაყოფილდეს, აღიარებულ იქნას, რომ შპს „ჭინგვილდ ინტერნაციონალ ლიმიტედ-ს“, შპს „საქართველოს სახელმწიფო ელექ-

ტროსისტემასა“ და ასოციაცია “საქართველოს ელექტროენერჯის საბითუმო ბაზარს“ შორის 2003 წლის 20 მაისის ხელშეკრულებიდან გამომდინარე დავებზე მხარეთა შორის საარბიტრაჟო შეთანხმება არ არსებობს.

სს “თელასს“ და შპს “კომერციული დავების საარბიტრაჟო პალატას“ სოლიდარულად დაეკისროს შპს “საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემის“ სასარგებლოდ ამ უკანასკნელის მიერ გადახდილი სახელმწიფო ბაჟის -5450 ლარის გადახდა.

საკასაციო პალატის გადაწყვეტილება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

კანონისმიერი მემკვიდრეობა

განჩინება

#ას-202-529-09

28 ივლისი, 2009 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატა

**შემადგენლობა: მ. გოგიშვილი (თავმჯდომარე),
ლ. ლაზარაშვილი (მომხსენებელი),
ნ. კვანტალიანი**

დავის საგანი: კერძო არბიტრაჟის გადაწყვეტილების გაუქმება, საკუთრების უფლების რეგისტრაციის გაუქმება (სარჩელში); კანონისმიერი მემკვიდრეობის მოწმობის ბათილად ცნობა (შეგებულ სარჩელში)

აღწერილობითი ნაწილი:

2008 წლის 17 ივლისს სამტრედიის რაიონულ სასამართლოს სასარჩელო განცხადებით მიმართა მ. ყ-შვილმა მოპასუხეების -მ. ჭ-ძისა და ქუთაისის მუდმივმოქმედი კერძო არბიტრაჟის არბიტრ ქ. ფ-შვილის მიმართ. მოსარჩელემ მოითხოვა ქუთაისის მუდმივმოქმედი კერძო არბიტრაჟის 2008 წლის 13 მაისის გადაწყვეტილებისა და სამტრედიაში, ... ქ. #145-ში მდებარე უძრავ ქონებაზე მ. ჭ-ძის საკუთრების უფლების გაუქმება.

სასარჩელო განცხადებაში აღნიშნულია, რომ მ. ყ-შვილის და -ი. ყ-შვილი 1985 წელს ცოლად გაჰყვა აწ გარდაცვლილ შ. ჭ-ძეს. ისინი ქორწინების რეგისტრაციაში გატარდნენ 1986 წელს. თანაცხოვრების პერიოდში შვილი არ შეძენიათ.

1997 წლის 5 მაისს გარდაიცვალა ი. ყ-შვილის ქმარი. მისი გარდაცვალების შემდეგ ი. ყ-შვილმა, როგორც კანონით პირველი რიგის მემკვიდრემ, მიიღო გარდაცვლილის სამკვიდრო ქონება, რაზეც ნოტარიუსმა ქ. ჭ-ძემ 2000 წლის 29 მაისს გასცა კანონისმიერი მემკვიდრეობის მოწმობა. მითითებულ ქონებას ი. ყ-შვილი ფლობდა გარდაცვალებამდე, რაც მის მაზლს -შ. ჭ-ძეს სადავოდ არ გაუხდია. ი. ყ-შვილი გარდაიცვალა 2008 წლის 16 თებერვალს.

მოსარჩელე მიიჩნევდა, რომ ი. ყ-შვილის დანაშთი ქონება მის საკუთრებაში უნდა აღრიცხულიყო, რამდენადაც: ა) ი. ყ-შვილს პირველი რიგის კანონით ან ანდერძით მემკვიდრე არ ჰყავდა, ხოლო მოსარჩელე წარმოადგენდა მეორე რიგის კანონით მემკვიდრეს; ბ) გარდაცვლილის მკურნალობასა და დაკრძალვასთან დაკავშირებული ყველა ხარჯი მოსარჩელეს ჰქონდა გადახდილი; გ) მოსარჩელემ კანონით დადგინდ 6-თვიან ვადაში სამკვიდროს გახსნის ადგილის სანოტარო ორგანოში შეიტანა განცხადება სამკვიდროს მიღების შესახებ, სამკვიდრო მოწმობა ჯერ არ აუღია, რადგან არ გასულა აღნიშნული 6-თვიანი ვადა.

მოსარჩელე ასევე აღნიშნავდა, რომ ი. ყ-შვილის გარდაცვალების შემდეგ ამ უკანასკნელის დანაშთი ქონებაზე წარმოეშვა დავა მ. ჭ-ძესთან. ეს უკანასკნელი სამტრედიის პოლიციის თანამშრომლების მიერ გაფრთხილებულ იქნა, არ მიეყენებინა შეურაცხყოფა მ. ყ-შვილისათვის. ამასთან, მოდავე მხარეებს განემარტათ, რომ არსებული სამოქალაქო დავის გადასაწყვეტად უნდა მიემართათ სამტრედიის რაიონული სასამართლოსათვის. მიუხედავად ამისა, ქუთაისის მუდმივმოქმედი კერძო არბიტრაჟის 2008 წლის 13 მაისის გადაწყვეტილების საფუძველზე, მ. ჭ-ძემ საკუთრებაში აღრიცხა სამტრედიაში, ... ქ. #145-ში (ყოფილი ... ქ. #205) მდებარე ი. ყ-შვილის უძრავი ქონება. მოსარჩელე მიიჩნევდა, რომ აღნიშნულით ილახებოდა მისი, როგორც მემკვიდრის უფლებები, რაც სარჩელის დაკმაყოფილებას განაპირობებდა.

მოპასუხე მ. ჭ-ძემ იმავე სასამართლოში შეგებებული სარჩელი წარადგინა მ. ყ-შვილისა და ნოტარიუს ქ. ჭ-ძის მიმართ. შეგებებულმა მოსარჩელემ მოითხოვა ნოტარიუს ქ. ჭ-ძის მიერ აწ გარდაცვლილი ი. ყ-შვილის სახელზე გაცემული 2000 წლის 29 მაისის კანონისმიერი მემკვიდრეობის მოწმობის ბათილად ცნობა.

შეგებულ მოსარჩელე განმარტავდა, რომ ქუთაისის მუდმივმოქმედი კერძო არბიტრაჟის 2008 წლის 13 მაისის გადაწყვეტილებით, იგი ცნობილ იქნა პირველი რიგის მემკვიდრედ აწ გარდაცვლილი დედის, ვ. ჭ-ძის დანაშთ საცხოვრებელ სახლზე, მდებარე სამტრედიაში, ... ქ. #145-ში, რომლის მიწის ნაკვეთის ფართობი 3702.0კვ.მ., საცხოვრებელი სახლის ფართობი შეადგენს 120.6კვ.მ-ს. ამავე ქონებაზე 2008 წლის 29 მაისს ნოტარიუსმა ქ. ჭ-ძემ გასცა კანონისმიერი მემკვიდრეობის მოწმობა ი. ყ-შვილის სახელზე.

იმ საფუძველით, რომ საარქივო ცნობის შესაბამისად ზემოაღნიშნული უძრავი ქონება წარმოადგენდა მ. ჭ-ძის დედის -ვ. ჭ-ძის საკუთრებას, შეგებულ მოსარჩელე მიიჩნევდა, რომ მასზე ი. ყ-შვილს (მ. ჭ-ძის რძალი) კანონისმიერი მემკვიდრეობის უფლება არ უნდა მიეღო, მით უფრო, იმ ვითარებაში, როდესაც არ არსებობდა ვ. ჭ-ძის შვილების თანხმობა.

შეგებულ მოსარჩელის ავტორის მოსაზრებით, ნოტარიუსს არ გააჩნდა იმის დამადასტურებელი მტკიცებულება, რომ ზემოთითხსნილი ქონების მესაკუთრე იყო შ. ჭ-ძე. მ. ყ-შვილმა, ისევე როგორც მისმა გარდაცვლილმა დამ ი. ყ-შვილმა, კარგად იცოდნენ, რომ სადავო სახლი ააშენა მ. ჭ-ძემ ჯერ კიდევ ვ. ჭ-ძის სიცოცხლეში და იდგა მოპასუხის ეზოში.

სამტრედიის რაიონული სასამართლოს 2008 წლის 22 სექტემბრის გადაწყვეტილებით მ. ყ-შვილის სარჩელი დაკმაყოფილდა -გაუქმდა ქუთაისის კერძო არბიტრაჟის 2008 წლის 13 მაისის #1/56 გადაწყვეტილება, მ. ჭ-ძის შეგებულ მოსარჩელი არ დაკმაყოფილდა.

სასამართლოს მიერ საქმეზე დადგენილად იქნა მიჩნეული შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები:

ი. ყ-შვილი 1985 წელს ცოლად გაჰყვა აწ გარდაცვლილ შ. ჭ-ძეს. ისინი ქორწინების რეგისტრაციაში გატარდნენ 1986 წელს. ერთად ცხოვრების პერიოდში შვილი არ შეძენიათ. 1997 წლის 5 მაისს გარდაიცვალა შ. ჭ-ძე, ხოლო 2008 წლის 16 თებერვალს -ი. ყ-შვილი;

1982 წლის 10 ივნისს გარდაიცვალა შ. ჭ-ძის, მ. ჭ-ძისა და მ. ჭ-ძის დედა ვ. ჭ-ძე;

გარდაცვალებამდე შ. ჭ-ძე და ი. ყ-შვილი ცხოვრობდნენ სამტრედიაში, ... ქ. #145-ში (ყოფილი ... ქ. #205), ხოლო მ. ჭ-ძე ცხოვრობს ... ქ. #143-ში (ყოფილი ... ქ. #203).

მ. ჭ-ძე და შ. ჭ-ძე იყვნენ ძმები. მათ ჰყავთ ასევე და მ. ჭ-ძე, იგივე ქ. თ-ძე;

ქუთაისის კერძო არბიტრაჟს სასარჩელო განცხადებით მიმართა მ. ჭ-ძემ მოპასუხე ი. ჭ-ძის (შვილის) წინააღმდეგ და მოითხოვა 1982 წელს გარდაცვლილი დედის -ვ. ჭ-ძის დანაშთ საცხოვრებელ სახლზე, მდებარე სამტრედიაში, ... ქ. #145-ში, მემკვიდრედ ცნობა. ქუთაისის კერძო არბიტრაჟის 2008 წლის 13 მაისის გადაწყვეტილებით მ. ჭ-ძე ცნობილ იქნა პირველი რიგის მემკვიდრედ დედის -ვ. ჭ-ძის დანაშთ საცხოვრებელ სახლზე, მდებარე სამტრედიაში, ... ქ. #145-ში, რომლის მიწის ნაკვეთის ფართობი 3702კვ.მ., საცხოვრებელი სახლის ფართობი შეადგენს 120.6კვ.მ-ს.

რაიონულმა სასამართლომ არ გაიზიარა მოპასუხის წარმომადგენლის მსჯელობა იმის შესახებ, რომ მ. ჭ-ძემ მემკვიდრეობით მიიღო დედის ვ. ჭ-ძის დანაშთი ქონება, რომელიც მდებარეობს სამტრედიაში, ... ქ. #145-ში. სასამართლოს მითითებით, მხარის აღნიშნულ მოთხოვნას საფუძვლად ედო სსიპ საქართველოს ეროვნული არქივის ტერიტორიული ორგანოს სამტრედიის არქივიდან წარდგენილი მტკიცებულება იმის შესახებ, რომ 1976 წლის ჩანაწერებით ოჯახის უფროსად მითითებულია ვ. ჭ-ძე და არა შ. ჭ-ძე (თუმცა ამავე დოკუმენტში დედასთან ერთად მითითებული იყო მხოლოდ ერთი შვილი -შ. ჭ-ძე და არა მ. ჭ-ძე ან მ. ჭ-ძე), რასაც დაეყრდნო არბიტრი და სამტრედიაში, ... ქ. #145-ში მდებარე საცხოვრებელი სახლი მიიჩნია ვ. ჭ-ძის სამკვიდროდ.

რაიონული სასამართლოს მითითებით, საქმის მასალებით უტყუარად დგინდებოდა შემდეგი:

სამტრედიაში, ... ქ. #145-ში მდებარე საცხოვრებელი სახლის 2000 წლის 25 მარტის ტექნიკური პასპორტი შევსებულია შ. ჭ-ძის სახელზე, რომელიც შემდეგ გადახაზულია და ჩაწერილია ყ-შვილი ი. (მეუღლე); შეფასების ნაერთი აქტი მიწის ნაკვეთზე, ფართობი 1486კვ.მ, გაცემული 2000 წლის 26 მაისს, შედგენილია შ. ჭ-ძის სახელზე; სამტრედიის ქალაქის გამგეობის კომისიის 2000 წლის 24 მარტის #15 აქტით სამტრედიაში, ... #145-ში მდებარე საცხოვრებელი სახლი ეკუთვნის აწ გარდაცვლილ შ. ჭ-ძეს; გარდა ამისა, მოსარჩელის მიერ წარდგენილ იქნა საბინაო წიგნი შ. ჭ-ძის სახელზე, დათარიღებული 1985 წლის 9 ოქტომბრით. საბინაო წიგნის თანახმად, შ. ჭ-ძე წარმოადგენს სამტრედიაში, ... ქ. #205-ში მდებარე საცხოვრებელი ბინის ერთადერთ მფლობელს 1984 წლიდან, ანუ დედის -ვ. ჭ-ძის გარდაცვალებიდან.

რაიონულმა სასამართლომ ყურადღება მიაქცია იმ გარემოებას, რომ სსიპ საქართველოს ეროვნული არქივის ტერიტორიული ორგანოს სამტრედიის არქივიდან მიღებული ზონარეგულირების წიგნით ვ. ჭ-ძე ოჯახის უფროსად მითითებულია 1976 წლის მდგომარეობით. ეს უკანასკნელი გარდაიცვალა 1982 წელს. ზემოაღნიშნული მტკიცებულებები დათარიღებულია 1985 და 2000 წლებით, მაშინ, როდესაც ვ. ჭ-ძე უკვე გარდაცვლილი იყო.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, რაიონულმა სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ სამტრედიისში, ... ქ. #145-ში (ყოფილი ... ქ. #205) მდებარე საცხოვრებელი სახლი 2008 წლის მაისში არ წარმოადგენდა ვ. ჭ-ძის დანაშთ ქონებას (სამკვიდროს), ვინაიდან უკვე 1984 წლიდან მისი მფლობელი იყო შ. ჭ-ძე. შესაბამისად, ნოტარიუს ქ. ჭ-ძის მიერ კანონისმიერი მემკვიდრეობის უფლების მოწმობა ი. ყ-შვილის სახელზე გაიცა მისი მეუღლის -შ. ჭ-ძის და არა ვ. ჭ-ძის სამკვიდროზე, რომელსაც შეადგენდა სამტრედიისში, ... ქ. #145-ში (ყოფილი ... ქ. #205) მდებარე საცხოვრებელი სახლი და მიწის ნაკვეთი ფართობით 1486კვ.მ, გაცემული 2000 წლის 26 მაისს, სამტრედიის ქალაქის გამგეობის კომისიის 2000 წლის 24 მარტის #15 აქტით. გარდა ამისა, მ. ყ-შვილის მიერ წარდგენილი 1985 წლის 9 ოქტომბრის საბინაო წიგნით ი. ყ-შვილის მამკვიდრებელს წარმოადგენდა მხოლოდ შ. ჭ-ძე.

ქუთაისის კერძო არბიტრაჟის 2008 წლის 13 მაისის გადაწყვეტილებას კანონსაწინააღმდეგობასთან მიმართებით რაიონულმა სასამართლომ აღნიშნა შემდეგი:

საქმეში არსებული მტკიცებულებებით და მხარეთა ახსნა-განმარტებებით დგინდებოდა, რომ მ. ჭ-ძესა და მის შვილს -ი. ჭ-ძეს არასდროს უდავიათ ვ. ჭ-ძის დანაშთ სახლზე არასდროს ჰქონია ადგილი. უფრო მეტიც, არ არსებობდა დავა მ. ჭ-ძესა და ი. ყ-შვილს შორის ან მას და შ. ჭ-ძეს შორის. სამტრედიისში, ... ქ. #145-ში მდებარე საცხოვრებელ სახლზე დავა დაიწყო ი. ყ-შვილის გარდაცვალების შემდეგ, 2008 წელს. ამდენად, მ. ჭ-ძესა და ი. ჭ-ძეს შორის სამოქალაქო დავა წარმოადგენდა ფიქციას და რეალურად არსებობდა არ ჰქონია. სასამართლოს მოსაზრებით, ასეთი ვითარება ეწინააღმდეგებოდა "კერძო არბიტრაჟის შესახებ" კანონს, ქუთაისის მუდმივმოქმედი კერძო არბიტრაჟის "თემიდას" დებულებას, რომლებიდანაც გამომდინარეობს, რომ კერძო არბიტრაჟი განიხილავს სამოქალაქო დავას მხარეებს შორის. "კერძო არბიტრაჟის შესახებ" კანონის პირველი მუხლის პირველ პუნქტში აღნიშნულია, რომ პირებს შორის წამოჭრილი დავა მათივე შეთანხმებით განსახილველად გადაეცემა კერძო არბიტრაჟს.

ამასთან, კერძო არბიტრაჟი "თემიდას" დებულების 1.1 მუხლის თანახმად, საქმეთა განხილვისას კერძო არბიტრაჟი ხელმძღვანელობს "კერძო არბიტრაჟის შესახებ" კანონით, სამოქალაქო კოდექსით და სამოქალაქო სამართალურთიერთობათა მომწესრიგებელი სხვა ნორმატიული აქტებით. სწორედ სამოქალაქო კოდექსის მოთხოვნებს (1306-ე მუხლი, 1336-ე მუხლი პირველი ნაწილი) ეწინააღმდეგებოდა ის, რომ კერძო არბიტრაჟმა განიხილა რეალურად არარსებული სამოქალაქო დავა იმ ქონებაზე, რომელიც არ წარმოადგენდა ვ. ჭ-ძის სამკვიდროს და რომელიც ირიცხებოდა შ. ჭ-ძის, ხოლო ამ უკანასკნელის გარდაცვალების შემდგომ -ი. ყ-შვილის (მოსარჩელის დის) საკუთრებაში.

ი. ყ-შვილის სახელზე გაცემული კანონისმიერი მემკვიდრეობის უფლების მოწმობის ბათილად ცნობის შესახებ შეგებებული სარჩელის დაუკმაყოფილებლობა მოსარჩელემ იმით დაასაბუთა, რომ კანონისმიერი მემკვიდრეობის მოწმობის გაცემისას ნოტარიუსი დაეყრდნო სამტრედიის რაიონის ტექნიკური ინვენტარიზაციის ბიუროდან მიღებულ ცნობა-დახასიათებას, სარეგისტრაციო მოწმობას, შ. ჭ-ძისა და ი. ყ-შვილის ქორწინების მოწმობას, შ. ჭ-ძის გარდაცვალების მოწმობას და ცნობას სამკვიდრო ქონების ფლობისა და მართვის შესახებ, რომელიც გაიცა ასევე სამტრედიის რაიონის ტექნიკური ინვენტარიზაციის ბიუროს მიერ.

სასამართლომ არ გაიზიარა მოწინააღმდეგე მხარის მტკიცება იმასთან დაკავშირებით, რომ აღნიშნული ცნობა-დახასიათება 2000 წლის 29 მაისისათვის უკვე ძალადაკარგული იყო ვადის გასვლის გამო, რამდენადაც მას გაუგრძელდა მოქმედების ვადა ამავე სამსახურის დამოწმებული ბეჭდით, რაც აღინიშნა მეორე გვერდზე მარჯვენა დაბალ კუთხეში. იმავდროულად, სასამართლომ განმარტა, რომ სამკვიდრო ქონების ფლობისა და მართვის შესახებ ცნობის გაცემის უფლება, მართალია, არ ჰქონდა ტექნიკური ინვენტარიზაციის ბიუროს, მაგრამ ნოტარიუსთან წარდგენილი დანარჩენი დოკუმენტების საშუალებით დასტურდებოდა ის, რომ სამტრედიისში, ... ქ. #145-ში მდებარე უძრავი ქონება წარმოადგენდა გარდაცვლილი შ. ჭ-ძის სამკვიდროს, ხოლო შ. ჭ-ძისა და ი. ყ-შვილის ერთად ცხოვრების ფაქტი სამტრედიისში, ... ქ. #145-ში მდებარე საცხოვრებელ სახლში მოწინააღმდეგე მხარეს სადავოდ სასამართლო სხდომაზეც არ გაუხდია. აღნიშნულთან დაკავშირებით რაიონულმა სასამართლომ მიუთითა სამოქალაქო კოდექსის 1421-ე მუხლის მე-2 ნაწილზე, რომლის თანახმად, მემკვიდრის მიერ სამკვიდრო მიღებულად ითვლება, როდესაც იგი ფაქტობრივად შეუდგება სამკვიდროს ფლობას ან მართვას და განმარტა, რომ ნოტარიუსის მიერ გაცემული კანონისმიერი მემკვიდრეობის უფლების მოწმობა წარმოადგენდა სამკვიდროს მიღების მხოლოდ იურიდიულ დადასტურებას, მისი მიღება ხდებოდა ფაქტობრივად.

ამდენად, რაიონულმა სასამართლომ მიიჩნია, რომ კანონისმიერი მემკვიდრეობის მოწმობის ბათილად ცნობის საფუძველი არ არსებობდა.

დასახელებული გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრეს მ. ჭ-მემ და არბიტრმა ქ. ფ-შვილმა, რომლებმაც მოითხოვეს გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და საქმეზე ახალი გადაწყვეტილების მიღება.

აპელანტებმა არ გაიზიარეს რაიონული სასამართლოს მიერ დადგენილი ფაქტობრივი გარემოება იმის შესახებ, რომ სამტრედიისში, ... ქ. #145-ში (ყოფილი ... ქ. #205) მდებარე საცხოვრებელი სახლის მფლობელს 1984 წლიდან წარმოადგენდა შ. ჭ-მე. ერთადერთი მტკიცებულება, რომლითაც აღნიშნული ფაქტი დასტურდებოდა, იყო 1985 წლის 9 ოქტომბერს შედგენილი საბინაო წიგნი. დანარჩენი მტკიცებულებები შედგენილი იყო 1985 წლის 9 ოქტომბერს, შ. ჭ-მის გარდაცვალებიდან სამი წლის შემდგომ, საბინაო წიგნის საფუძველზე. დასახელებული დოკუმენტი გარკვევით მიუთითებდა, რომ შ. ჭ-მის საცხოვრებელი ფართის ოდენობა შეადგენდა 60კვ.მ-ს და არა 120კვ.მ-ს. ასეთი ვითარება თავისთავად ბადებდა კითხვას, თუ როგორ გახდა ი. ყ-შვილი 120კვ.მ-ის მესაკუთრე.

აპელანტთა მოსაზრებით, სასამართლომ არასწორად შეაფასა ამონაწერი საჯარო რეესტრიდან და მის საფუძველზე არასწორად დაადგინა, რომ მ. ჭ-მის საკუთრებას წარმოადგენდა ... ქ. #203-ში (ყოფილი ... ქ. #143) მდებარე საცხოვრებელი სახლი. მითითებული მტკიცებულება ადასტურებდა, რომ მ. ჭ-მე გახდა სამტრედიისში, ... ქ. #145-ში (ყოფილი ... ქ. #205) არსებული ქონების მესაკუთრე. ამასთან, უფლების წარმომშობ დოკუმენტად მითითებული იყო ქუთაისის კერძო არბიტრაჟის 2008 წლის 13 მაისის გადაწყვეტილება.

საარბიტრაჟო სასამართლოს ზემომითითებული გადაწყვეტილებით ირკვეოდა, რომ შ. ჭ-მე გახდა ... ქ. #145-ში არსებული ქონების მესაკუთრე, რომლის საცხოვრებელი ფართი შეადგენდა 120კვ.მ-ს, მიწის ნაკვეთის ფართი -3702კვ.მ-ს. რაც შეეხებოდა ი. ყ-შვილის სამკვიდრო ქონებას, კანონისმიერი სამემკვიდრეო მოწმობის თანახმად, იგი შეადგენდა ამავე მისამართზე არსებულ საცხოვრებელ 120კვ.მ-ს და 1486კვ.მ მიწის ნაკვეთს. ამდენად, აპელანტები აღნიშნავდნენ, რომ სასამართლომ მ. ჭ-მეს ყოველგვარი დასაბუთების გარეშე "წართვა" საკუთრება 2216კვ.მ მიწის ნაკვეთზე, მაშინ, როდესაც მოწინააღმდეგე მხარეს იგი არ ეკუთვნოდა.

აპელანტთა მტკიცებით, მ. ჭ-მეს სადავო ქონება (დედის -ვ. ჭ-მის დანაშთი სამკვიდრო) მიღებული ჰქონდა ფაქტობრივი ფლობით. აღნიშნულ სახლში ვ. ჭ-მის სიცოცხლეში ცხოვრობდა მოპასუხის ქალიშვილი. ამასთან, დედის დასაფლავებასთან დაკავშირებული ხარჯები მ. ჭ-მემ გაიღო.

აპელანტთა მოსაზრებით, კერძო არბიტრაჟის კანონსაწინააღმდეგობასთან დაკავშირებით სასამართლოს მსჯელობა განპირობებული იყო არბიტრაჟის მიერ განსახილველი დავის არსის არასწორი განმარტებით. არბიტრაჟი სამოქალაქო დავათა განხილვას მხარეთა შეთანხმების საფუძველზე ახორციელებდა, რაც მისი სასამართლოსაგან განმასხვავებელ ერთ-ერთ გარემოებას წარმოადგენდა. საარბიტრაჟო შეთანხმება, როგორც წესი, დგებოდა შეთანხმებულ, ერთმანეთისადმი კეთილგანწყობილ მხარეებს შორის, რომლებიც მათ წინაშე წამოჭრილი საკითხის გადაწყვეტას არბიტრს ანდობდნენ და რაც მ. ჭ-მის შემთხვევაში სახეზე იყო.

რაც შეეხებოდა არბიტრაჟის მიერ გადაწყვეტილების საფუძველად გამოყენებულ საარქივო ცნობას, რომელიც თითქოსდა ვერ ადასტურებდა ვ. ჭ-მის მიერ ქონების მესაკუთრეობას, აღნიშნულ ნაწილში სასამართლოს დასკვნები აპელანტებმა ასევე არასწორად მიიჩნიეს. მათთვის გაუგებარი იყო, თუკი მთავარ მტკიცებულებად აღიარებული აქტი #15-ის შედგენის საფუძველს წარმოადგენდა საბინაო წიგნი და 1977 წლის სახლის ტექნიკური ნახაზი, რატომ არ შეიძლებოდა, არქივს ეხელმძღვანელა საარქივო წიგნის 1967-77 წლების მონაცემებით, მით უფრო, ისეთ პირობებში, როდესაც ტექნიკურს არქივი განადგურებული იყო.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 10 დეკემბრის გადაწყვეტილებით მ. ჭ-მისა და ქ. ფ-შვილის სააპელაციო საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა -გაუქმდა სამტრედიის რაიონული სასამართლოს 2008 წლის 22 სექტემბრის გადაწყვეტილება ქუთაისის კერძო არბიტრაჟის 2008 წლის 13 მაისის #1/56 გადაწყვეტილების გაუქმების ნაწილში და ამ ნაწილში მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება: მ. ყ-შვილის (ჩ-იას) სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა -გაუქმდა ქუთაისის კერძო არბიტრაჟის 2008 წლის 13 მაისის #1/56 გადაწყვეტილება ვ. ჭ-მის დანაშთ საცხოვრებელ სახლზე, მდებარე ქ. სამტრედიისში, ... ქ. #145-ში, 120.6 კვ.მ და 1486 კვ.მ მიწის ნაკვეთზე მ. ჭ-მის მემკვიდრედ ცნობის ნაწილში, დანარჩენ ნაწილში გადაწყვეტილება დარჩა უცვლელი.

სააპელაციო სასამართლომ მიუთითა საქმეში არსებულ #1/56 საარბიტრაჟო შეთანხმებაზე, რომლის თანახმად, მ. ჭ-მე (მამა) და ი. ჭ-მე (შვილი) შეთანხმდნენ მემკვიდრედ ცნობის შესახებ დავა განსახილველად ქუთაისის მუდმივმოქმედი კერძო არბიტრაჟისათვის გადაეცათ. კერძო არბიტრაჟმა მათი შეთანხმების საფუძველზე განიხილა მემკვიდრედ ცნობის თაობაზე დავა. აღნიშნულის გათვალისწინებით, ასევე სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-12 მუხლის, "კერძო არ-

ბიტრაჟის შესახებ” კანონის პირველი მუხლის პირველი პუნქტიდან გამომდინარე, სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ კერძო არბიტრაჟის მიერ არ დარღვეულა “კერძო არბიტრაჟის შესახებ” კანონით დადგენილი საქმის განხილვის პროცედურა.

საქმეზე დგინდებოდა, რომ მ. ყ-შვილი არის აწ გარდაცვლილი ი. ყ-შვილის და. შ. ჭ-ძე და ი. ყ-შვილი ქორწინების რეგისტრაციაში გატარდნენ 1986 წლის 24 ოქტომბერს. 1982 წელს გარდაიცვალა შ. ჭ-ძის დედა -ვ. ჭ-ძე. მ. ჭ-ძე და შ. ჭ-ძე იყვნენ ძმები. 1985 წლის საბინაო წიგნით დგინდებოდა, რომ შ. ჭ-ძე 1984 წლიდან წარმოადგენდა სამტრედიაში, კიკვიძის ქ. #205-ში არსებული საცხოვრებელი სახლის ძირითად მფლობელს. ეს უკანასკნელი გარდაიცვალა 1997 წლის 5 მაისს.

სააპელაციო სასამართლომ ყურადღება მიაქცია საქმეში წარდგენილ რიგ მტკიცებულებებზე, კერძოდ:

სამტრედიის არქივის ცნობით დგინდებოდა, რომ 1976 წლის ჩანაწერებით ვ. ჭ-ძე წარმოადგენდა ოჯახის უფროსს, მასთან ერთად ოჯახის წევრად მითითებული იყო შვილი შ. ჭ-ძე;

2000 წლის 25 მარტის ტექპასპორტით დგინდებოდა, რომ სამტრედიაში, კიკვიძის ქ. #145-ში მდებარე სახლისა და მიწის ნაკვეთის (1486კვ.მ) მფლობელი იყო შ. ჭ-ძე, ხოლო შემდეგ მითითებული იყო ი. ყ-შვილი;

სამტრედიის რაიონის ტექნიკური ინვენტარიზაციის ბიუროს ცნობა-დახასიათებით დგინდებოდა, რომ მიწის ნაკვეთის მესაკუთრე იყო შ. ჭ-ძე. მიწის ნაკვეთი შეადგენდა 1486კვ.მ-ს, საცხოვრებელი ფართი -91.4კვ.მ-ს, ხოლო დამხმარე ფართი -29.2კვ.მ-ს.

სარეგისტრაციო მოწმობისა და უკანასკნელი საცხოვრებელი ადგილის შესახებ ცნობის ასლით დგინდებოდა, რომ სამტრედიაში, ... ქ. #145-ში მდებარე სახლისა და მიწის ნაკვეთის მესაკუთრე იყო შ. ჭ-ძე, რომლის გარდაცვალების შემდეგ ქონებას ფლობდა და სარგებლობდა ი. ყ-შვილი;

კანონისმიერი სამკვიდრო მოწმობით დგინდებოდა, რომ ი. ყ-შვილი იყო შ. ჭ-ძის მემკვიდრე, რომელმაც მემკვიდრეობით მიიღო საცხოვრებელი სახლი, მდებარე სამტრედიაში, ... ქ. #145-ში, სასარგებლო ფართით -120.6კვ.მ, მიწის ფართით -1436კვ.მ;

გარდაცვალების მოწმობით დგინდებოდა, რომ ი. ყ-შვილი გარდაიცვალა 2008 წლის 16 თებერვალს.

საქმეში არსებული მასალების საფუძველზე სააპელაციო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ მ. ჭ-ძეს დედის -ვ. ჭ-ძის გარდაცვალების შემდეგ ფაქტობრივი ფლობით არ მიუღია სამკვიდრო. საქმის განხილვისას მ. ჭ-ძის მიერ არ იყო წარდგენილი კანონით დადგენილი წესით გათვალისწინებული მტკიცებულებები, რომ ვ. ჭ-ძე წარმოადგენდა სადავო ქონების მესაკუთრეს, ასევე, მის მიერ ვ. ჭ-ძის გარდაცვალების შემდეგ სადავო ქონების მიღების თაობაზე, ხოლო საქმეში არსებული სამტრედიის არქივის სამსახურიდან წარდგენილი ამონაწერი სააპელაციო სასამართლომ არ მიიჩნია ქონების საკუთრებად ცნობის საფუძველად. სასამართლოს განმარტებით, მესაკუთრედ ცნობის ფაქტი არ შეიძლებოდა დადგენილიყო სსიპ საქართველოს ეროვნული არქივის მიერ გაცემული ამონაწერით.

ზემოაღნიშნული ფაქტობრივი გარემოებების გათვალისწინებით სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ ი. ყ-შვილმა, როგორც შ. ჭ-ძის პირველი რიგის კანონიერმა მემკვიდრემ, სამოქალაქო კოდექსის 1306-ე და 1336-ე მუხლების თანახმად, მიიღო შ. ჭ-ძის დანაშთი ქონება, რომელიც მდებარეობდა სამტრედიაში, ... ქ. #145-ში და შედგებოდა 120კვ.მ საცხოვრებელი სახლისა და 1486კვ.მ მიწის ნაკვეთისაგან.

კერძო არბიტრაჟის გადაწყვეტილებით მ. ჭ-ძე ცნობილ იქნა ვ. ჭ-ძის დანაშთი ქონების, სამტრედიაში, ... ქ. #145-ში მდებარე 3702.0კვ.მ მიწის ნაკვეთისა და საცხოვრებელი 120.6კვ.მ-ის მემკვიდრედ.

ამდენად, სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებით, კერძო არბიტრაჟის მიერ საქმის განხილვისას დაირღვა სამოქალაქო კოდექსის 1306-ე, 1336-ე მუხლები, აგრეთვე, კერძო არბიტრაჟი “თემი-დას” დებულების 1.1 და 1.2 მუხლების მოთხოვნები, რამდენადაც მან მ. ჭ-ძე ცნო ი. ყ-შვილის ქონების მესაკუთრედ. კერძო არბიტრაჟმა არ გამოიკვლია, ნამდვილად წარმოადგენდა თუ არა სადავო ქონება ვ. ჭ-ძის სამკვიდროს, ვინაიდან, სამოქალაქო კოდექსის 183-ე მუხლის თანახმად, სასამართლოში არ ყოფილა წარდგენილი მტკიცებულება, ვინ იყო სადავო ქონების მესაკუთრე. ტექნიკური პასპორტითა და სხვა დოკუმენტებით დგინდებოდა, რომ სადავო ქონების მესაკუთრე იყო შ. ჭ-ძე. შესაბამისად, ქონება მემკვიდრეობით სწორად მიიღო ი. ყ-შვილმა, როგორც პირველი რიგის მემკვიდრემ. იმაზე მითითება, რომ ვ. ჭ-ძე იყო კომლის უფროსი, არ წარმოადგენდა სადავო ქონების მესაკუთრედ ცნობის საფუძველს.

სააპელაციო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია ფაქტობრივი გარემოება იმის შესახებ, რომ სამტრედიაში, ... ქ. #145-ში მდებარე 120კვ.მ სახლი და 1486კვ.მ მიწის ნაკვეთი წარმო-

ადგენდა შ. ჭ-ძის საკუთრებას 2000 წლისათვის, ვინაიდან იგი სადავო ქონების მფლობელი იყო 1984 წლიდან.

საჯარო რეესტრის ამონაწერით დგინდებოდა, რომ სამტრედიაში, ... ქ. #145-ში მდებარე 130კვ.მ საცხოვრებელი სახლი და 3702.0კვ.მ მიწის ნაკვეთი წარმოადგენდა მ. ჭ-ძის საკუთრებას. უფლების დამადასტურებელ დოკუმენტად მითითებული იყო ქუთაისის მუდმივმოქმედი კერძო არბიტრაჟის 2008 წლის 13 მაისის #1/56 გადაწყვეტილება.

სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებით, ვინაიდან ი. ყ-შვილი წარმოადგენდა სამტრედიაში, ქ. #145-ში მდებარე საცხოვრებელი 120კვ.მ და 1486კვ.მ მიწის ნაკვეთის მესაკუთრეს, შესაბამისად, მ. ყ-შვილმა იგივე საცხოვრებელი ფართი და მიწის ნაკვეთი მიიღო მემკვიდრეობით. აქედან გამომდინარე, მოსარჩელის მოთხოვნა მ. ჭ-ძის საკუთრების უფლებით საჯარო რეესტრის ჩანაწერის მთლიანად გაუქმების თაობაზე უსაფუძვლო იყო, რამდენადაც იგი ეხებოდა ნაწილობრივ მ. ჭ-ძის საკუთრებაში არსებულ ფართსაც.

სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საკასაციო წესით გაასაჩივრა მ. ჭ-ძემ, რომელმაც მოითხოვა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა, შემდეგი საფუძვლებით:

ქვემოთხსენიებული ინსტანციის სასამართლოებმა არ გამოიკვლიეს საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები, უსაფუძვლოდ არ დააკმაყოფილეს მოპასუხის წარმომადგენლის შუამდგომლობა მოწმეთა დაკითხვისა და დოკუმენტალური მტკიცებულებების საქმეზე დართვის თაობაზე. აქედან გამომდინარე, არასწორად დადგინდა ფაქტობრივი გარემოება იმის შესახებ, თუ ვინ შეუდგა სადავო ქონების ფაქტობრივად ფლობას ვ. ჭ-ძის გარდაცვალების შემდეგ და, შესაბამისად, ვინ გახდა დანაშთი ქონების მემკვიდრე.

ნაცვლად ზემოაღნიშნულისა, სასამართლომ შეაფასა საბინაო წიგნის ჩანაწერები, რომლებსაც მოქმედი კანონმდებლობის თანახმად არანაირი იურიდიული ძალა არ გააჩნდა და რომელთა მტკიცებულებად გამოყენება არ დაიშვებოდა. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 103-ე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, კანონის დარღვევით მოპოვებულ მტკიცებულებებს იურიდიული ძალა არა აქვთ.

საქმის განმხილველმა სასამართლოებმა მ. ჭ-ძის შუამდგომლობის დაუკმაყოფილებლობა იმით დაასაბუთეს, რომ მას ქუთაისის კერძო არბიტრაჟის გადაწყვეტილების გაუქმებასთან არანაირი კავშირი არ გააჩნდა. სინამდვილეში მოწმეების დაკითხვითა და ნოტარიულად დამოწმებული აქტებით უნდა გარკვეულიყო, თუ ვინ შეუდგა სადავო ქონების ფაქტობრივ ფლობას. ასეთ ვითარებაში ცხადად დადასტურდებოდა, რომ მ. ჭ-ძე, როგორც პირველი რიგის მემკვიდრე, გახდა სადავო ქონების მესაკუთრე.

კასატორის განმარტებით, მამა-შვილ მ. ჭ-ძესა და ი. ჭ-ძეს შორის არსებული დავა განპირობებული იყო იმით, რომ ამ უკანასკნელს, როგორც ვ. ჭ-ძის დანაშთი ქონების ფაქტობრივი ფლობით მიმღებ პირს, ასევე გააჩნდა პრეტენზია მითითებულ ქონებაზე. მხარეები შეთანხმდნენ, რომ დავა განეხილა საარბიტრაჟო სასამართლოს, რომელმაც "არბიტრაჟის შესახებ" კანონის მოთხოვნათა სრული დაცვით სამკვიდრო ქონება მიღებულად ჩაუთვალა ვ. ჭ-ძის პირველი რიგის მემკვიდრეთაგან ცოცხლად დარჩენილ მ. ჭ-ძეს. ქ. ჭ-ძემ -მ. ჭ-ძის დამ თავის წილზე უარი განაცხადა. სასამართლომ ასევე არ დააკმაყოფილა მოპასუხის წარმომადგენლის შუამდგომლობა, დაერთოთ საქმეზე ნოტარიუს მ. გოგოლაძის მიერ დადასტურებული ქ. ჭ-ძის პოზიცია იმის შესახებ, რომ სადავო სახლი აშენებულია დედამისის -ვ. ჭ-ძის სიცოცხლეში მისი ძმების -მ. და შ. ჭ-ძეების მიერ, ამ სახლზე მას, როგორც ვ. ჭ-ძის შვილს, პრეტენზია არ გააჩნია, რადგან დედის წილი უკვე მიღებული აქვს. ამ შემთხვევაში შუამდგომლობის დაუკმაყოფილებლობის მოტივად მიეთითა მხარის მიერ საქმის გაჭიანურების მცდელობაზე.

კასატორის აზრით, მცდარია სააპელაციო სასამართლოს მსჯელობა სადავო სახლზე ვ. ჭ-ძის საკუთრების დაუდგენლობასთან მიმართებით. მისთვის გაუგებარია, იმ პირობებში, როდესაც შ. ჭ-ძე მიჩნეულ იქნა 1486კვ.მ მიწის ნაკვეთისა და 120კვ.მ შენობის მესაკუთრედ, ამავე ქონებაზე ვ. ჭ-ძის მესაკუთრეობა როგორ გამოირიცხებოდა. ამდენად, სადავო არ არის, რომ ვ. ჭ-ძე იყო მესაკუთრე და მისი გარდაცვალების შემდეგ ქონებას ფაქტობრივი ფლობით დაეუფლა მ. ჭ-ძე.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის შესწავლის, მხარეთა ახსნა-განმარტებების მოსმენის, საკასაციო საჩივრის საფუძვლების გამოკვლევის შედეგად მიიჩნევს, რომ უნდა გაუქმდეს გასაჩივრებული გადაწყვეტილება ნაწილობრივ, შემდეგ გარემოებათა გამო:

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული გადაწყვეტილება უცვლელად უნდა დარჩეს მ. ყ-შვილის სარჩელის დაკმაყოფილების ნაწილში, ხოლო მ. ჭ-ძის შეგებებული სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის ნაწილში საჭიროა საქმის გარემოებების

დამატებით გამოკვლევა და აღნიშნულ ნაწილში საქმე ხელახლა განსახილველად უნდა დაუბრუნდეს სააპელაციო სასამართლოს.

მ. ყ-შვილის სარჩელის დაკმაყოფილების ნაწილში საკასაციო სასამართლო სრულად იზიარებს სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული გადაწყვეტილების მოტივებს.

საქმეზე დადგენილია, რომ ი. ყ-შვილი და შ. ჭ-ძე იყვნენ ცოლ-ქმარი. შ. ჭ-ძე გარდაიცვალა 1997 წლის 5 მაისს, ხოლო ი. ყ-შვილი - 2008 წლის 16 თებერვალს. მათ შვილი არ დარჩენიათ. შ. ჭ-ძის გარდაცვალების შემდეგ ი. ყ-შვილმა კანონისმიერი მემკვიდრეობის უფლების მოწმობის საფუძველზე მიიღო შ. ჭ-ძის სამკვიდრო -სამტრედიაში, ... ქ.#145-ში მდებარე სადავო საცხოვრებელი სახლი.

ი. ყ-შვილის გარდაცვალების შემდეგ მისმა მაზლმა -მ. ჭ-ძემ მიმართა ქუთაისის მუდმივმოქმედ კერძო არბიტრაჟს თავისი ქალიშვილის -ინგა თევზაძის წინააღმდეგ და მოითხოვა სამტრედიაში, ... ქ.#145-ში მდებარე საცხოვრებელ სახლზე, როგორც დედამისის -ვ. ჭ-ძის დანაშთ ქონებაზე, მემკვიდრედ ცნობა. ქუთაისის მუდმივმოქმედი კერძო არბიტრაჟის 2008 წლის 13 მაისის გადაწყვეტილებით მ. ჭ-ძე ცნობილ იქნა სამტრედიაში, ... ქ.#145-ში მდებარე ვ. ჭ-ძის დანაშთ საცხოვრებელ სახლზე პირველი რიგის მემკვიდრედ.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ ქუთაისის მუდმივმოქმედი კერძო არბიტრაჟის მიერ საქმე განხილულია და სადავო გადაწყვეტილება გამოტანილია "კერძო არბიტრაჟის შესახებ" საქართველოს კანონით დადგენილი საქმის განხილვის წესების დარღვევით, რაც ამ კანონის 43-ე მუხლის "ბ" ქვეპუნქტიდან გამომდინარე, მისი გაუქმების საფუძველია. კერძოდ, აღნიშნული კანონის პირველი მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, კერძო არბიტრაჟს განსახილველად გადაეცემა პირებს შორის წამოჭრილი სამოქალაქო დავა ანუ საარბიტრაჟო განხილვის საგანი შეიძლება იყოს მხარეთა შორის რეალურად სადავო სამართალურთიერთობა. მოცემულ შემთხვევაში საარბიტრაჟო განხილვის მხარეებს წარმოადგენდნენ მ. ჭ-ძე და მისი ქალიშვილი ი. თ-ძე, რომელთა შორის სამტრედიაში, ... ქ.#145-ში მდებარე სადავო საცხოვრებელი სახლის, როგორც ვ. ჭ-ძის დანაშთი ქონების მემკვიდრეობის საკითხი, საქმის მასალების თანახმად, არასოდეს ყოფილა სადავო. ამდენად, მოცემულ შემთხვევაში კერძო არბიტრაჟს არა აქვს განხილული სადავო სამართალურთიერთობა, რაც სწორად შეაფასა სააპელაციო სასამართლომ.

რაც შეეხება მ. ჭ-ძის შეგებულ სარჩელს, რომლის დავის საგანსაც წარმოადგენს ი. ყ-შვილის სახელზე გაცემული 2000 წლის 29 მაისის კანონისმიერი მემკვიდრეობის მოწმობის ბათილად ცნობა, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ ამ ნაწილში სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული გადაწყვეტილება დაუსაბუთებელია.

შეგებულ სარჩელის მოთხოვნის საფუძველია სამტრედიაში, ... ქ.#145-ში მდებარე საცხოვრებელ სახლზე მ. ჭ-ძის მიერ მემკვიდრეობის მიღება ფაქტობრივი დაუფლების გზით. მ. ჭ-ძე მიუთითებს, რომ დედამისი ვ. ჭ-ძე გარდაიცვალა 1982 წელს, რის შემდეგაც სამტრედიაში, ... ქ.#145-ში მდებარე საცხოვრებელ სახლს დაუფლა ფაქტობრივი ფლობით. აღნიშნული გარემოების დასადასტურებლად მ. ჭ-ძე როგორც პირველი, ისე სააპელაციო ინსტანციის სასამართლოში ითხოვდა მოწმეთა დაკითხვას, რაზედაც სრულიად დაუსაბუთებლად ეთქვა უარი. სააპელაციო სასამართლოს მ. ჭ-ძის მიერ სადავო უძრავი ქონების ფაქტობრივი დაუფლების გზით მემკვიდრეობით მიღების საკითხზე არ უმსჯელია, ამასთან მიმართებით საქმის მასალები არ გამოუკვლევიან და არც შესაბამისი ფაქტობრივი გარემოებები დაუდგენია.

საქმის ხელახალი განხილვისას სააპელაციო სასამართლომ საქმის მასალების საფუძველზე, მათ შორის, მოწმეთა დაკითხვის მეშვეობით, უნდა გამოარკვიოს, სამტრედიაში, ... ქ.#145-ში მდებარე საცხოვრებელ სახლი შედიოდა თუ არა 1982 წელს გარდაცვლილი ვ. ჭ-ძის სამკვიდრო მასაში და ვინ მიიღო მემკვიდრეობა, მათ შორის, ფაქტობრივი ფლობით, აღნიშნულ სახლზე -მხოლოდ შ. ჭ-ძემ, მხოლოდ მ. ჭ-ძემ, თუ ორივემ ერთად.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 412-ე მუხლის საფუძველზე ნაწილობრივ აუქმებს გასაჩივრებულ გადაწყვეტილებას და ამ ნაწილში საქმეს ხელახლა განსახილველად უბრუნებს სააპელაციო სასამართლოს.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 410-412-ე მუხლებით და

და ა ა დ გ ი ნ ა:

მ. ჭ-ძის საკასაციო საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდეს;
გაუქმდეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 10 დეკემბრის გადაწყვეტილება იმ ნაწილში, რომლითაც უცვლელად დარჩა სამტრედიის რაიონული

სასამართლოს 2008 წლის 22 სექტემბრის გადაწყვეტილება მ. ჭ-მის შეგებულ სარჩელზე უარის თქმის შესახებ და ამ ნაწილში საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდეს სააპელაციო სასამართლოს;

დანარჩენ ნაწილში უცვლელად დარჩეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 10 დეკემბრის გადაწყვეტილება;

საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

კერძო არბიტრაჟის გადაწყვეტილების გაუქმება

განჩინება

#ას-357-676-09

29 დეკემბერი, 2009 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკორტების საქმეთა პალატა

შემადგენლობა: მ. სულხანიშვილი (თავმჯდომარე),

თ. თოდრია (მომხსენებელი),

რ. ნადირიანი

დავის საგანი: საარბიტრაჟო გადაწყვეტილების გაუქმება

აღწერილობითი ნაწილი:

2007 წლის 3 სექტემბერს სარჩელით მიმართა რ. გ-ავამ შპს „ბარისტერის“ წინააღმდეგ. სარჩელის თანახმად, მოითხოვა 2007 წლის 20 აგვისტოს საარბიტრაჟო გადაწყვეტილების გაუქმება, ასევე, „კერძო არბიტრაჟის შესახებ“ საქართველოს კანონის 44-ე მუხლის შესაბამისად, გასაჩივრებული გადაწყვეტილების აღსრულების შეჩერება.

სარჩელი წარმოებაში იქნა მიღებული 2007 წლის 19 სექტემბერს. 2007 წლის 14 ნოემბრის საოქმო განჩინებით საქმეში მოპასუხედ იქნა ჩაბმული მ. ბ-მე.

სარჩელი ძირითადად ემყარება შემდეგ გარემოებებს:

2005 წლის 9 ივლისს რ. გ-ავასა და მ. ბ-მეს შორის სანოტარო ფორმით დაიდო სესხის, იპოთეკისა და ბინით სარგებლობის ხელშეკრულება, რომლის თანახმად მ. ბ-მემ რ. გ-ავას ასესხა 3000 აშშ დოლარი ერთი წლის ვადით, ვალდებულების შესრულების უზრუნველსაყოფად იპოთეკით დაიტვირთა რ. გ-ავას საკუთრებაში არსებული ბინის ნაწილი, რომელიც შეადგენდა მთელი საცხოვრებელი სახლის 43\290 ნაწილიდან 20\290-ს, მდებარე ქ. თბილისში, ... ქ.#113-ა-ში. ამავე ხელშეკრულებით სესხის სარგებლის სახით განისაზღვრა რ. გ-ავას საკუთრებაში არსებული იპოთეკით დატვირთული საცხოვრებელი სახლის 20\290-ის მ. ბ-მისათვის სარგებლობის უფლებით გადაცემა. ხელშეკრულება ითვალისწინებდა მხარეთა შეთანხმებას დავის არბიტრაჟის ან სასამართლო წესით გადაწყვეტის თაობაზე.

2007 წლის 13 ივლისს რ. გ-ავამ საარბიტრაჟო პრეტენზიით მიმართა შპს „ბარისტერს“. იგი საარბიტრაჟო პრეტენზიაში მიუთითებდა, რომ მ. ბ-მემ ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადაში არ უზრუნველყო ბინის იმავე მდგომარეობაში რ. გ-ავასათვის გადაცემა, ამასთან, მნიშვნელოვნად დაახინა სარგებლობაში გადაცემული საცხოვრებელი სახლის ნაწილი.

საარბიტრაჟო პრეტენზიით რ. გ-ავამ მოითხოვა მ. ბ-მისათვის, უძრავი ქონების დაზიანების გამო, 3120 ლარის, მოძრავი ნივთების დაზიანების გამო, 1743 ლარის, ხოლო მიუღებელი შემოსავლისათვის 2100 ლარის დაკისრება. რ. გ-ავამ მიუთითა, ვინაიდან, სესხის ხელშეკრულებიდან გამომდინარე, მას ეკისრებოდა ვალდებულება, გადაეხადა მ. ბ-მისათვის 3000 აშშ დოლარი, შესაბამისად, მოითხოვა ვალდებულებათა გაქვითვა, გაქვითვის შედეგად დარჩენილი თანხის მ. ბ-მისათვის დაკისრება და იპოთეკის ხელშეკრულების გაუქმება.

2007 წლის 20 აგვისტოს საარბიტრაჟო გადაწყვეტილებით არ დაკმაყოფილდა რ. გ-ავას საარბიტრაჟო პრეტენზია. დაკმაყოფილდა მ. ბ-მის შეგებულ საარბიტრაჟო პრეტენზია ნაწილობრივ და რ. გ-ავას მ. ბ-მის სასარგებლოდ დაეკისრა სესხის ძირითადი თანხის - 3000 აშშ დოლარის ეკვივალენტი ლარისა და ფულადი ვალდებულების ვადის გადაცილებისათვის კანონით განსაზღვრული ყოველთვიური 2%-ის დაკისრება, ამავე გადაწყვეტილებით რ. გ-ავას დაეკისრა მ. ბ-მის მიერ წარმომადგენლის მომსახურებისათვის გაწეული ხარჯის 400 აშშ დოლარის ეკვივალენტი ლარისა და 177 ლარის მ. ბ-მის მიერ გადახდილი საარბიტრაჟო მოსაკრებლის გადახდა.

რ. გ-ავა მიიჩნევს, რომ არბიტრაჟმა დაარღვია საქმის განხილვისა და გადაწყვეტის კანონით დადებული დავის წესი, კერძოდ, კერძო არბიტრაჟმა რ. გ-ავას არასწორად გადახდევინა საარბიტრაჟო მოსაკრებელი 177 ლარის ოდენობით.

რ. გ-ავას უნდა გადაეხადა 112 ლარი, ვინაიდან მისი საარბიტრაჟო პრეტენზიის დავის საგნის ღირებულება შეადგენდა 7470 ლარს, ხოლო, კერძო არბიტრაჟის დებულების თანახმად, სა-არბიტრაჟო მოსაკრებელი განისაზღვრებოდა სადავო საგნის ღირებულების 1,5%-ით დამატებითი ღირებულების გადახდის გარეშე.

არბიტრაჟი შეიქმნა ერთი წევრის შემადგენლობით, მაშინ, როცა თავად მხარეებს არ ჰქონდათ განსაზღვრული არბიტრაჟის წევრთა შემადგენლობა და, შესაბამისად, იგი უნდა შექმნილიყო 3 წევრის შემადგენლობით. საარბიტრაჟო პრეტენზიის განხილვა არ დაიწყო პრეტენზიის წარდგენიდან 5 დღის ვადაში, რასაც ითვალისწინებდა კერძო არბიტრაჟის დებულება. პრეტენზია წარდგენილ იქნა 13 ივლისს, მისი განხილვა, ნაცვლად 18 ივლისისა, დაიწყო 8 აგვისტოს. არც ერთი სხდომის უწყებები არ ჩაჰბარებია პირადად რ. გ-ავას.

მოწინააღმდეგე მხარის შეგებებული პრეტენზია არ გადაეგზავნა რ. გ-ავას 2 დღის ვადაში, 23 ივლისს შეტანილი შეგებებული საარბიტრაჟო პრეტენზია რ. გ-ავას ჩაჰბარდა მხოლოდ 29 ივლისს ადვოკატის მეშვეობით.

კერძო არბიტრაჟმა უზრუნველყო რ. გ-ავასათვის საარბიტრაჟო განხილვის თავისებურებების მისი უფლებებისა და მოვალეობების გაცნობა, რაც გამოიხატა იმაში, რომ კერძო არბიტრაჟის დებულება რ. გ-ავას არ გაეგზავნა მოწინააღმდეგე მხარის მიერ წარმოდგენილ შეგებებულ საარბიტრაჟო პრეტენზიასთან ერთად.

სხდომის ოქმი არ ასახავს საქმის განხილვის არსებით მომენტებს, მათ შორის, საქმის განხილვის გადადებას, მ. ბ-ძის აღიარებებს, ასევე რ. გ-ავას შუამდგომლობებს მოწმეთა გამოა-ხებისა და დაკითხვის, ექსპერტის მოწვევის თაობაზე, რაზეც კერძო არბიტრაჟის მიერ მიიღო უსაფუძვლო უარი.

სხდომის ოქმი ხელმოწერილია მხოლოდ არბიტრის მიერ მაშინ, როდესაც განხილვას სხდომის მდივანიც ესწრებოდა.

დებულების თანახმად, კერძო არბიტრაჟს არ უნდა მიეღო მ. ბ-ძის მიერ 2007 წლის 23 ივლისს წარდგენილი შეგებებული საარბიტრაჟო პრეტენზია, ვინაიდან ამ უკანასკნელს 2007 წლის 20 ივლისს, ე.ი. უფრო ადრე, სარჩელით ჰქონდა მიმართული სასამართლოსათვის რ. გ-ავას მიმართ იმავე დავის საგანზე და იმავე საფუძველით, რის შესახებაც რ. გ-ავას მხრიდან ინფორმი-რებული იყო კერძო არბიტრაჟი.

არბიტრაჟმა თავისი ინიციატივით შეცვალა შეგებებული საარბიტრაჟო პრეტენზიის საფუძველი და საგანი, რაც იმაში გამოიხატა, რომ მ. ბ-ძის ერთ-ერთ მოთხოვნას წარმოადგენდა მიუღებელი შემოსავლის დაკისრება საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 411-ე მუხლის თანახმად, არბიტრაჟმა კი გამოიყენა 403-ე მუხლი და დააკისრა თანხა რ. გ-ავას ფულადი ვალდებულების ვადის გადა-ცილების გამო.

თბილისის საქალაქო სასამართლოს 2008 წლის 16 იანვრის გადაწყვეტილებით რ. გ-ავას სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

აღნიშნულ გადაწყვეტილებაზე სააპელაციო საჩივარი შეიტანა რ. გ-ავამ.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო სამეთა პალატის 2008 წლის 1 დეკემბრის გადაწყვეტილებით რ. გ-ავას სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა, გაუქმდა თბილისის საქა-ლაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2008 წლის 16 იანვრის გადაწყვეტილება და მიღებულ იქნა ახალი; დაკმაყოფილდა რ. გ-ავას სარჩელი, გაუქმდა შპს „ზარისტერის“ საქართვე-ლოს მუდმივმოქმედი არბიტრაჟის 2007 წლის 20 აგვისტოს საარბიტრაჟო გადაწყვეტილება და რ. გ-ავას საარბიტრაჟო პრეტენზია მ. ბ-ძის მიმართ, ასევე მ. ბ-ძის შეგებებული საარბიტრაჟო პრე-ტენზია რ. გ-ავას მიმართ სესხის, იპოთეკისა და ბინის სარგებლობის ხელშეკრულებიდან გა-მომდინარე დავაზე განსახილველად დაუბრუნდა საარბიტრაჟო სასამართლოს.

პალატამ მიიჩნია, რომ სადავო შემთხვევაში მუდმივმოქმედი საარბიტრაჟო სასამართლოს შპს „ზარისტერის“ მიერ საქმის განხილვისას დარღვეულია „კერძო არბიტრაჟის შესახებ“ კანონით დადგენილი წესები, კერძოდ, მიუთითა, რომ კანონის პირველი მუხლით პირებს შორის წამოჭრი-ლი სამოქალაქო დავის საარბიტრაჟო წესით განხილვის აუცილებელ საფუძველს წარმოადგენს მხა-რეთა შორის დადებული საარბიტრაჟო შეთანხმება, რომელიც კანონის სხვა ნორმებიდან გამომდი-ნარე შეიძლება ჩამოყალიბებულ იქნეს, როგორც ცალკე წერილობით, ასევე იყოს მხარეთა შორის დადებული ხელშეკრულების ნაწილი, მაგრამ კანონმდებელი ორივე შემთხვევაში აწესებს შეთანხმე-ბის აუცილებელ ფორმას, რომელიც დაცულ უნდა იყოს მხარეთა მიერ. სააპელაციო პალატამ მი-უთითა, რომ კანონის მეორე მუხლში საარბიტრაჟო შეთანხმებაში უნდა აღინიშნოს სხვა პირო-ბებთან ერთად დავის საგანი. აღნიშნა, რომ დავის საგანი ესაა მატერიალურ სამართლებრივი მოთხოვნა მოპასუხისადმი, რომელიც უნდა განიხილოს საარბიტრაჟო სასამართლომ და რომლის მიმართაც გამოტანილ უნდა იქნეს გადაწყვეტილება.

სააპელაციო პალატამ ასევე მიუთითა, რომ კონკრეტულ შემთხვევაში, რ. გ-ავას მიერ აღძრული საარბიტრაჟო პრეტენზიის საგანს წარმოადგენდა მოპასუხის მიერ ხელშეკრულების შეუსრულებლობით მიყენებული ზიანის ანაზღაურება.

სააპელაციო პალატამ აღნიშნა, საქმეში წარმოდგენილი არც ერთი დოკუმენტით დასტურდება, რომ მხარეთა შორის არსებობდა „კერძო არბიტრაჟის შესახებ“ კანონის მეორე მუხლის მოთხოვნის შესაბამისად შედგენილი საარბიტრაჟო შეთანხმება ზიანის ანაზღაურების საკითხის არბიტრაჟის მიერ განხილვის თაობაზე. მხარეთა შორის 2005 წლის 9 ივლისს დადებული ხელშეკრულების მე-14 პუნქტის თანახმად, „მხარეთა შორის სადავო საკითხებზე შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში დავა წყდება კერძო არბიტრაჟის ან სასამართლო წესით საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად“. სააპელაციო პალატამ მიუთითა, რომ მხარეთა მიერ მიღწეულ ზემოთ მითითებულ შეთანხმებაში ჩანს, რომ მხარეები სადავო ურთიერთობის მოწესრიგებისათვის უშვებენ კერძო არბიტრაჟის მიერ საქმის განხილვას კანონმდებლობის შესაბამისად. კანონმდებლობით კი საარბიტრაჟო სასამართლო უფლებამოსილია, საქმე განიხილოს მხოლოდ საარბიტრაჟო შეთანხმების არსებობის შემთხვევაში, რაც დადგენილი გარემოებებიდან გამომდინარე არ არსებობს.

პალატამ მიიჩნია, რომ ზემოთ მითითებული ხელშეკრულების მე-14 პუნქტში მითითებული დანაწესი არ შეიძლება ჩაითვალოს საარბიტრაჟო შეთანხმებად, შესაბამისად, საარბიტრაჟო სასამართლო არ იყო უფლებამოსილი, განეხილა რ. გ-ავას საარბიტრაჟო პრეტენზია. მართალია, რ. გ-ავამ საარბიტრაჟო სასამართლოში პრეტენზიის წარდგენით და მოწინააღმდეგე მხარე მ. ბ-ძემ აღნიშნულთან მიმართებაში, თავისი მოქმედებით გამოხატეს ნება საარბიტრაჟო სასამართლოში საქმის განხილვისა, მაგრამ აღნიშნული ვერ შეცვლის კანონის იმპერატიულ მოთხოვნას მხარეთა შორის წერილობითი საარბიტრაჟო შეთანხმების არსებობის სავალდებულობის შესახებ.

სააპელაციო პალატამ მიიჩნია, რომ საარბიტრაჟო სასამართლოს მიერ დარღვეულია „კერძო არბიტრაჟის შესახებ“ კანონის მოთხოვნები. პალატამ განმარტა დასახელებული კანონის მე-18 მუხლის მესამე ნაწილი.

პალატამ დადასტურებულად მიაჩნია, რომ რ. გ-ავას საარბიტრაჟო დებულება არ გაგზავნია მ. ბ-ძის შეგებულ საარბიტრაჟო პრეტენზიასთან ერთად.

სააპელაციო პალატამ მიუთითა, რომ სააპელაციო სასამართლოში რ. გ-ავას მიერ წარმოდგენილი იქნა გზავნილის დედანი დალუქული სახით, რომელიც დაემთხვა საქმის ფურცელ 113-132-ზე განთავსებულ დოკუმენტებს (აღნიშნული საქმის ფურცლები წარმოადგენენ საარბიტრაჟო საქმის მასალებს). პალატამ დადასტურებულად ცნო, რომ რ. გ-ავას გაეგზავნა 16 ფურცელი. აღნიშნული 16 ფურცელი კი მოიცავს დოკუმენტებს დებულების გარეშე.

სააპელაციო პალატამ მიიჩნია, რომ საარბიტრაჟო სასამართლოს მიერ დარღვეულია თავისივე დებულების მე-10 მუხლის 10.16 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტი, კერძოდ, მ. ბ-ძემ საარბიტრაჟო პრეტენზიის მიღების დროს აღძრა დავა საერთო სასამართლოში იმავე დავის საგანზე იმავე საფუძვლზე რ. გ-ავას მიმართ. საარბიტრაჟო სასამართლომ კი, ზემოთ მითითებული წესის შესაბამისად, საქმის წარმოება არ შეწყვიტა.

სააპელაციო პალატამ ასევე მიიჩნია, რომ დარღვეულია „კერძო არბიტრაჟის შესახებ“ კანონის მე-20 მუხლის მოთხოვნები, კერძოდ, მითითებული მუხლით არბიტრაჟი ვალდებულია, მხარეს წერილობით აცნობოს არბიტრაჟის ყოველი სხდომის ჩატარების დრო და ადგილი. წერილობითი შეტყობინება მიღებულად ითვლება, თუ იგი ჩაჰბარდა ადრესატს პირადად ან მუდმივ საცხოვრებელ ადგილას, ანდა იურიდიულ მისამართზე. მოცემულ შემთხვევაში არბიტრაჟის მიერ გაგზავნილი უწყება ჩაჰბარდა რ. გ-ავას წარმომადგენელს. პალატამ დადგენილად მიიჩნია, რომ საარბიტრაჟო სასამართლოს მიერ დარღვეულია საქმის განხილვის კანონით დადგენილი წესები.

აღნიშნულ გადაწყვეტილებაზე საკასაციო საჩივარი შეიტანა მ. ბ-ძემ. მან მიუთითა, რომ რ. გ-ავას მიერ საარბიტრაჟო პრეტენზიის წარდგენამდე ზიანის ანაზღაურების თაობაზე არ არსებობდა მხარეთა შორის წერილობითი შეთანხმება დავის საარბიტრაჟო წესით განხილვის თაობაზე, მაგრამ რ. გ-ავას მიერ საარბიტრაჟო პრეტენზიის შეტანისა და მ. ბ-ძისათვის გადაცემის შემდეგ, მ. ბ-ძემ თავისი თანხმობა გამოხატა იმით, რომ მან შეიტანა შეგებებული საარბიტრაჟო პრეტენზია. სასამართლომ მოცემულ შემთხვევაში, არასწორად გამოიყენა კერძო არბიტრაჟის შესახებ საქართველოს კანონის 1-ლი და მე-2 მუხლები და არ გამოიყენა ამავე კანონის 28-ე მუხლი.

კასატორის მოსაზრებით, სააპელაციო სასამართლომ დაარღვია კერძო არბიტრაჟის შესახებ კანონის მე-18 მუხლის მე-3 ნაწილის მოთხოვნები, ვინაიდან დავა განხილულ იქნა დებულების მოთხოვნათა დარღვევით, როცა მ. ბ-ძის საარბიტრაჟო პრეტენზია თანდართული საბუთებით ჩაჰბარდა რ. გ-ავას წარმომადგენელს და არა თავად მას.

კასატორმა მიუთითა, რომ რ. გ-ავას არ ჩაჰბარებია მ. ბ-ძის შეგებებული სარჩელთან ერთად დებულება, რაც დადასტურებულ იქნა სხდომაზე რ. გ-ავას მიერ წარმოდგენილი რ. გ-ავას

გზავნილით, დედნის სახით, დალუქული. აღნიშნულით კი დაირღვა “კერძო არბიტრაჟის შესახებ” საქართველოს კანონის 25-ე მუხლის I ნაწილი – თანასწორობის პრინციპი.

კასატორის მოსაზრებით, სააპელაციო სასამართლომ არ გამოიყენა “კერძო არბიტრაჟის შესახებ” საქართველოს კანონის 30-ე მუხლი, რომლის თანახმადაც, სასამართლოს უფლება არ აქვს განიხილოს სარჩელი საკითხზე, რომელიც საარბიტრაჟო შეთანხმების საგანს წარმოადგენს, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც მხარეები მოითხოვენ საქმის განხილვას სასამართლოში.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ განიხილა საქმის მასალები, გაეცნო საკასაციო საჩივარს და თვლის, რომ საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ, გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 1 დეკემბრის გადაწყვეტილება და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდეს იმავე პალატას შემდეგ გარემოებათა გამო:

საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ სააპელაციო სასამართლომ არასწორად განმარტა “კერძო არბიტრაჟის შესახებ” საქართველოს კანონის 43-ე მუხლის “ბ” ქვეპუნქტი, რომლის თანახმად, სასამართლო უფლებამოსილია, განიხილოს მხარის სარჩელი და შეცვალოს საარბიტრაჟო გადაწყვეტილება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ დარღვეულია არბიტრაჟის მიერ საქმის განხილვისა და გადაწყვეტის მხარეთა შეთანხმებით ან ამ კანონით დადგენილი წესები.

2005 წლის 9 ივლისს რ. გ-ავასა და მ. ბ-ძის შორის სანოტარო ფორმით დაიდო სესხის, იპოთეკისა და ბინით სარგებლობის ხელშეკრულება. ხელშეკრულება ითვალისწინებდა მხარეთა წერილობით შეთანხმებას დავის არბიტრაჟის ან სასამართლო წესით გადაწყვეტის თაობაზე.

საკასაციო პალატა ყურადღებას ამახვილებს იმ გარემოებაზე, რომ არბიტრაჟმა განიხილა ორი საარბიტრაჟო პრეტენზია: რ. გ-ავას საარბიტრაჟო პრეტენზია ზიანის ანაზღაურების შესახებ, რომლის განხილვის საარბიტრაჟო წესზე არ იყო წერილობითი შეთანხმება 2005 წლის 9 ივლისს რ. გ-ავასა და მ. ბ-ძის შორის სანოტარო ფორმით დადებული სესხის, იპოთეკისა და ბინით სარგებლობის ხელშეკრულებაში და მ. ბ-ძის საარბიტრაჟო პრეტენზია სესხის დაბრუნებისა და მისი დაუბრუნებლობით ზიანის ანაზღაურების შესახებ, რომლის შესახებ მხარეთა შორის ზემოაღნიშნულ ხელშეკრულებაში იყო შეთანხმება დავის სასამართლო ან არბიტრაჟის მიერ განხილვაზე.

საკასაციო პალატა თვლის, რომ სააპელაციო სასამართლოს უნდა გამოეყენებინა “კერძო არბიტრაჟის შესახებ” საქართველოს კანონის 28-ე მუხლი, რომლის თანახმად, თუ ამ კანონის რომელიმე დებულება, რომლიდანაც მხარეებს შეუძლიათ გადაუხვიონ, ანდა საარბიტრაჟო შეთანხმების რომელიმე მოთხოვნა არ იყო დაცული, მიუხედავად ამისა, მხარე აგრძელებს მონაწილეობას საარბიტრაჟო განხილვაში ისე, რომ ამგვარი დარღვევის წინააღმდეგ დაუყოვნებლივ ანდა, თუ ამისათვის გათვალისწინებულია ვადა, ამ ვადის განმავლობაში წერილობით არ წამოაყენებს თავის შესაგებელს, მაშინ ჩაითვლება, რომ მან უარი თქვა შეპასუხების უფლებაზე.

განსახილველი ნორმის გათვალისწინებით 2005 წლის 9 ივლისის ხელშეკრულებით განსაზღვრული საარბიტრაჟო შეთანხმებით არ იყო დაცული რ. გ-ავას მიერ საარბიტრაჟო პრეტენზიის სახით წარდგენილი მოთხოვნა, მაგრამ მხოლოდ ეს ფაქტი არ შეიძლება მიუთითებდეს იმაზე, რომ საარბიტრაჟო სასამართლო არ იყო უფლებამოსილი, განეხილა აღნიშნული პრეტენზია. იმ შემთხვევაში, თუ მხარემ საარბიტრაჟო განხილვის საგანი გახადა მოთხოვნა, რომელიც არ იყო დაცული საარბიტრაჟო შეთანხმებით, საარბიტრაჟო სასამართლო უფლებამოსილია, განიხილოს აღნიშნული მოთხოვნა, თუ მოწინააღმდეგე მხარე ეთანხმება ამ მოთხოვნის საარბიტრაჟო სასამართლოს მიერ განხილვას.

საკასაციო პალატა ითვალისწინებს სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილ ფაქტობრივ გარემოებას იმის შესახებ, რომ რ. გ-ავამ საარბიტრაჟო პრეტენზიის წარდგენით და მოწინააღმდეგე მხარე მ. ბ-ძემ თავიანთი მოქმედებით გამოხატეს ნება საარბიტრაჟო სასამართლოში საქმის განხილვისა. ამდენად, საკასაციო პალატა თვლის, რომ აღნიშნული გარემოება წარმოადგენს საფუძველს საარბიტრაჟო სასამართლოსათვის ქვემდებარე საქმეებზე, “კერძო არბიტრაჟის შესახებ” საქართველოს კანონის 28-ე მუხლის თანახმად განიხილოს და მიიღოს გადაწყვეტილება.

დაუსაბუთებელია სააპელაციო სასამართლოს მოსაზრება იმასთან დაკავშირებით, რომ რ. გ-ავას არ გაეგზავნა “საქართველოს მუდმივმოქმედი არბიტრაჟის” დებულება. სააპელაციო სასამართლო უთითებს, რომ რ. გ-ავას მიერ წარმოდგენილი დალუქული სახით დედნის გზავნილში არ იყო დებულება.

უპირველეს ყოვლისა, გასათვალისწინებელია, რომ “კერძო არბიტრაჟის შესახებ” საქართველოს კანონის მე-7 მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, ყოველი მუდმივმოქმედი არბიტრაჟი ვალდებულია, მიიღოს და არბიტრაჟის ამოქმედებამდე მასობრივი ინფორმაციის საშუალებით გამოაქვეყნოს დებულება, რომელშიც უნდა შევიდეს არბიტრაჟის დანიშვნისა და საარბიტრაჟო განხილვის წესები. ამდენად, განსახილველი ნორმა მოითხოვს დებულების მასობრივი ინფორმაციის საშუალებით გა-

მოქვეყნებას არბიტრაჟის ამოქმედებამდე. საკასაციო პალატა განმარტავს, რომ დებულების საჯაროდ გამოქვეყნება წარმოადგენს პრეზუმფციას, რაც გულისხმობს იმას, რომ ყოველი პირი, ვინც მიმართავს კონკრეტულ მუდმივმოქმედ არბიტრაჟს, გაცნობილია (საჯაროდ გამოქვეყნების შედეგად) მის დებულებას. მიუხედავად ამისა, მხარეებმა შეიძლება მიიღონ არბიტრაჟის დებულების წესები, რომლებიც თავისთავად შეიძლება ითვალისწინებდნენ ამ დებულების ასლის მხარეებისათვის გაგზავნის აუცილებლობას, კერძოდ, საკასაციო პალატა ყურადღებას ამახვილებს ამ არბიტრაჟის დებულებით გათვალისწინებულ წესზე, რომლის თანახმად, მხარეებს უწყებებთან ერთად ეგზავნებათ ასევე "საქართველოს მუდმივმოქმედი არბიტრაჟის" დებულება (დებულების მე-6 მუხლის 6.6 პუნქტი).

მიუხედავად იმისა, რომ "კერძო არბიტრაჟის შესახებ" საქართველოს კანონი არ ითვალისწინებს მხარეებისთვის არბიტრაჟის შესახებ დებულების გაგზავნას და მოითხოვს მხოლოდ ამ დებულების საჯაროდ გამოქვეყნებას, დებულების მხარესათვის გაგზავნის აუცილებლობა მუდმივმოქმედმა არბიტრაჟმა გაითვალისწინა თავის დებულებაში, რაც მიუთითებს მისი განხილვის წესზე "კერძო არბიტრაჟის შესახებ" საქართველოს კანონის მე-18 მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, კერძოდ, მუდმივმოქმედი არბიტრაჟში დავა განიხილება მისი დებულების შესაბამისად, თუ მხარეები და მუდმივმოქმედი არბიტრაჟი სხვა რამეზე არ შეთანხმებულან. ამდენად, თუ მხარეები და მუდმივმოქმედი არბიტრაჟი სხვა რამეზე არ შეთანხმებულან მუდმივმოქმედი არბიტრაჟის დებულებით გათვალისწინებული წესებით დავის განხილვა წარმოადგენს მხარეთა შორის საარბიტრაჟო შეთანხმების არსებით ნაწილს და ქმნის საარბიტრაჟო შეთანხმების ერთიან სუბსტანციას. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, რადგან არბიტრაჟის მიერ მხარეთა დავა იხილებოდა მისი დებულების შესაბამისად, რაც ითვალისწინებდა უწყებასთან ერთად მხარეებისათვის, ასევე არბიტრაჟის დებულების გაგზავნას, მიუთითებს იმაზე, რომ განხილვის ამ წესზე მხარეები შეთანხმდნენ. საკასაციო პალატა, ასევე განმარტავს, რომ იმ შემთხვევაში, თუ საარბიტრაჟო შეთანხმების აღნიშნული მოთხოვნა არ იყო დაცული (არ გაეგზავნა მხარეს უწყებასთან ერთად საარბიტრაჟო შეთანხმება) და, მიუხედავად ამისა, მხარე ამის წინააღმდეგ არ წარმოადგენს თავის შესაგებულს, მაშინ ჩაითვლება, რომ ეს მხარე უარს აცხადებს შეპასუხების უფლებაზე "კერძო არბიტრაჟის შესახებ" საქართველოს კანონის 28-ე მუხლის თანახმად.

კონკრეტულ შემთხვევაში სააპელაციო სასამართლომ უნდა იმსჯელოს და გამოიკვლიოს, რ. გ-ავამ განაცხადა თუ არა პრეტენზია საარბიტრაჟო სასამართლოში "საქართველოს მუდმივმოქმედი არბიტრაჟის" დებულების ჩაუბარებლობის თაობაზე.

ამასთან ერთად აღსანიშნავია, რომ იმ შემთხვევაშიც, თუ მხარემ განაცხადა პრეტენზია საარბიტრაჟო სასამართლოში დებულების ჩაუბარებლობის შესახებ, სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებიდან არ ირკვევა, თუ რა სამართლებრივი კრიტერიუმებით შეაფასა სასამართლომ და მიიჩნია, რომ რ. გ-ავას მიერ დალუქული სახით წარმოდგენილი გზავნილის დედნით, რ. გ-ავას გაეგზავნა 16 ფურცელი, რომელიც არ მოიცავს დებულებას. ამ შემთხვევაში არ ირკვევა სასამართლომ თვითონ გახსნა ლუქი თუ არა, 16 ფურცელი წარმოადგენდა ზუსტად იმ დოკუმენტებს, რომელიც საარბიტრაჟო სასამართლომ გაუგზავნა მხარეს და რა მტკიცებულებით დასტურდება ეს, ასევე სააპელაციო სასამართლომ არ შეაფასა მოპასუხისადმი საარბიტრაჟო პრეტენზიისა და თანდართული დოკუმენტების ასლების გზავნილი, რომელშიც მითითებულია, რომ მხარეს ეგზავნება თანდართული დოკუმენტები და "საქართველოს მუდმივმოქმედი არბიტრაჟის" დებულება. ამდენად, სააპელაციო სასამართლომ უნდა გამოიკვლიოს და დაასაბუთოს გაეგზავნა თუ არა მხარეს მუდმივმოქმედი არბიტრაჟის დებულება და, თუ მას დებულება არ გაეგზავნა, განაცხადა თუ არა მან ამის შესახებ პრეტენზია საარბიტრაჟო სასამართლოში.

საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ დაუსაბუთებელია სააპელაციო სასამართლოს მოსაზრება იმის შესახებ, რომ საარბიტრაჟო სასამართლომ მიერ დარღვეულია თავისი დებულების მე-10 მუხლის 10.16 პუნქტის "დ" ქვეპუნქტი, მას უნდა შეეწყვიტა საქმის წარმოება, რადგან აღნიშნული დავა იხილებოდა სასამართლოში, კერძოდ, დებულების მე-10 მუხლის 10.16 პუნქტის "დ" ქვეპუნქტის თანახმად, მუდმივმოქმედი არბიტრაჟი არ მიიღებს საარბიტრაჟო პრეტენზიას (საჩივარს), თუ სასამართლო წარმოებაშია საქმე დავაზე იმავე მხარეებს შორის, იმავე საგანზე და იმავე საფუძვლით.

სააპელაციო სასამართლო არ მსჯელობს და არ იკვლევს განაცხადა თუ არა მხარემ იმის შესახებ, რომ იგივე საქმე იხილებოდა სასამართლოს მიერ, ასევე სასამართლოს გადაწყვეტილება არ მოიცავს გამოკვლევას, საარბიტრაჟო პრეტენზიის მიღების დროს საერთო სასამართლოს წარმოებაში მიღებული ჰქონდა თუ არა ამ დავაზე სარჩელი.

საკასაციო პალატა, ასევე თვლის, რომ სააპელაციო სასამართლომ არასწორად განმარტა "კერძო არბიტრაჟის შესახებ" საქართველოს კანონის მე-20 მუხლი და სრულად არ შეაფასა ამ მუხლის განმარტებისათვის აუცილებელი ფაქტობრივი გარემოებები, კერძოდ, სააპელაციო სასამართლომ

მიიჩნია, რომ არბიტრაჟის სხდომის ჩატარების დროისა და ადგილის შესახებ შეტყობინება ეგზავნებოდა მხარის წარმომადგენელს და არა მხარეს.

საკასაციო პალატა განმარტავს, რომ განსახილველი მუხლის მიზანს წარმოადგენს მხარის სა-არბიტრაჟო სასამართლოში მონაწილეობის უფლების უზრუნველყოფა. აღნიშნული მუხლით დაცულია მხარის უფლება, იცოდეს საქმის განხილვასთან დაკავშირებული ყველა საკითხი იმ დროის ვარაუდით, რომ მოემზადოს თავისი უფლების მაქსიმალური რეალიზაციისათვის, რითაც საბოლოოდ უზრუნველყოფილი უნდა იქნეს მისი საარბიტრაჟო სასამართლოში საქმის განხილვაში მონაწილეობისა და თავისი უფლების დაცვის შესაძლებლობა.

მიუხედავად იმისა, რომ განსახილველი ნორმა ითვალისწინებს მხარისათვის და არა წარმომადგენლისათვის არბიტრაჟის სხდომის ჩატარების დროისა და ადგილის შესახებ შეტყობინების გაგზავნას, დასადგენია მხარე (რ. გ-ავა) მონაწილეობდა თუ არა საარბიტრაჟო განხილვაში, წარმომადგენელს არბიტრაჟის სხდომის ჩატარების დროისა და ადგილის შეტყობინება გაეგზავნა თუ არა რ. გ-ავას მითითებით. წინააღმდეგ შემთხვევაში განაცხადა თუ არა რ. გ-ავამ ამის შესახებ პრეტენზია “კერძო არბიტრაჟის შესახებ” საქართველოს კანონის 28-ე მუხლის მოთხოვნათა დაცვით.

სარეზულუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 412-ე მუხლით და

და ა ა დ გ ი ნ ა :

მ. ბ-მის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ;
გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 1 დეკემბრის გადაწყვეტილება და საქმე ხელახალი განხილვისათვის დაუბრუნდეს იმავე პალატას;
განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.